საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№31 (74)
18 აგვისტო – 7 სექტემბერი, 2010

საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

გრეჩიხა, სოსისი, გიმპუ და ანაკლია

მიხეილ სააკაშვილი:

ასევე უნდა იყვნენ პრეზიდენტები: მათაც უნდა ითამაშონ და აშენონ, ოღონდ არა სათამაშო, არამედ ნამდვილი მასალისგან. მეც ასე ვარ, მეც ვთამაშობ...

9

აფხაზეთის ომი და სახიფათო მითები 4

ახალი გადანაწილებები ხელისუფლების ბიზნესში 6

პოლიცია იმ ახალგაზრდებზე ნადირობს, რომელთა მშობლები საზღვარგარეთ იმყოფებიან 7

გია ხუხაშვილი: მოსახლეობის დიდი ნაწილი პურზე და წყალზეა 8

მინისტრების დეკლარა-ციებიდან «გამქრალი» ქონება 10

«ყივჩაღების შემოსევა» საქართველოში 11

საქართველოში დევნილებს შიმშილი ემუქრება 17

ოსმალოს საქართველო 27

ევროზე შეტევა და ევროკავშირის დემონტაჟი 31

რატომ წუხს მაკეინი სააკაშვილის ბედზე და ვინ აკონტროლებს საქართველოს საჰაერო სივრცეს? 20

ნუკრი ქანთარია: 12



ამ ხელისუფლების ხელში ყველაფერს უნდა ველოდოთ, მათ შორის — ომს ან რაიმე უფრო დიდ უბედურებასაც

ახლო აღმოსავლეთი ახალი ომის ზღვარზე 22

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

გაკვირვებულნი

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:

რა უყვარს ბავშვს? — თამაში, კონკრეტული საქმიანობა, კონკრეტული ნივთის ფლობა და არა — ცარიელი ლაპარაკი. ასევე უნდა იყვნენ პრეზიდენტები: მათაც უნდა ითამაშონ და აშენონ, ოღონდ არა სათამაშო, არამედ ნამდვილი მასალისგან. მეც ასე ვარ, მეც ვთამაშობ, ვაშენებ და კიდევ ბევრს ავაშენებ ასე.

„პირველი“

კახა კაციტაძე, პოლიტოლოგი, ფილოსოფოსი:

გრაფმა კამილო კავურმა, რომელიც იტალიის სახელმწიფოს გაერთიანებას XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ხელმძღვანელობდა, მაშინ, როცა გამოიკვეთა, რომ იტალიის გაერთიანებას ხელს ვეღარაფერი შეუშლიდა, გენიალური ფრაზა თქვა — იტალიის სახელმწიფო კი შევქმენით, მაგრამ ახლა იტალიელებია შესაქმნელიო.

„ინტერპრესნიუსი“

კახა შარტავა, ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი:

საქართველოს ტერიტორიის ქართული მოსახლეობისგან დაცლის პროცესი მიმდინარეობს და ამ პროცესს ლეგიტიმაციას თავად ხელისუფლება უწევს.

„პირველი“

ნინო ბურჯანაძე, დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს ლიდერი:

ხელისუფლება მზად არის, ისეთი პროვოკაციებიც მოაწყოს, რომლებიც მისი ოპონენტის ფიზიკურ ლიკვიდაციას გამოიწვევს... მმართველ გუნდს დევნილი მოსახლეობა დაშინებული ჰყავს.

„პირველი“

თენგიზ სიგუა, ყოფილი პრემიერ-მინისტრი:

რომ გამოდის სააკაშვილი და იძახის, ყველა უბანში თუ დასახლებულ პუნქტში სამხედრო ფორმირებები უნდა შეიქმნასო, ეს არ არის მილიტარისტული განცხადება? როგორ ჩავდო, კაცო, მილიონები, როცა ქვეყნის პირველი პირი ომზე ლაპარაკობს... ეს არის ინვესტიციების შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ანუ ჩვენი ხელისუფლების მკვეთრი მილიტარისტული რიტორიკა. ამას ემატება კიდევ ბიზნესის ტერორი...

„ალია“

დავით საგანელიძე, ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი:

ხელისუფლება ცდილობს, ოპოზიციას ძალადობისკენ გვიბიძგოს, მაგრამ ეს გზა ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება, მით უმეტეს, ამ უპასუხისმგებლო ხელისუფლების პირობებში, რომელსაც თავისი სავარძლის მეტი არაფერი აინტერესებს.

„ყველა სიახლე“

სოსო ცისკარიშვილი, პოლიტოლოგი:

ძალიან საინტერესო იქნებოდა საქართველოში აკრედიტებული ელჩებისაგან პასუხის მიღება ასეთ შეკითხვაზე: რამდენად გავრცელებულია მათ ქვეყანაში ასეთი პრაქტიკა, როცა პრეზიდენტი ქვეყნიდან გადის და არავინ იცის, სად არის და როდის დაბრუნდება?

„ასავალ-დასავალი“

გიორგი შალუტაშვილი, რეჟისორი:

დღეს ჩვენი წარმატებული თეატრების რეპერტუარის 90 პროცენტი ბულვარული დრამატურგიაა, რომელიც ოდნავადაც არ უკავშირდება დღევანდელ პრობლემატიკას. ეს დამალვას, პრობლემებიდან გაქცევას ნიშნავს.

„ყველა სიახლე“

«ყივჩალთასნორი» მასწავლებლები და შიმშილისთვის განწირული მომავალი

ვინაიდან სახელისუფლო პროპაგანდა დაუღალავად გვიჩიჩინებს, რომ მიმდინარე პროცესებში დადებითი მხარეც უნდა დავინახოთ, ერთხელ მაინც დავუჯეროთ და ვაღიაროთ, რომ გასული კვირის მოვლენებში ერთი დადებითი მომენტი ნამდვილად იყო. მართალია, დევნილებს შენობებიდან ყრიდნენ, გარემოვაჭრეებს არბევდნენ, საწვავი გაძვირდა და, ცხადი გახდა, რომ პურ-პროდუქტების გაძვირებაც გარდაუვალია (ადრე ტონა ხორბალს 260 დოლარად ვყიდულობდით, ახლა 360-380 დოლარის გადახდა მოგვიწევს). ამასთანავე, დადგინდა, რომ გასულ თვეში ჩვენი საგარეო ვალი კიდევ 118,66 მილიონი დოლარით გაიზარდა. მაგრამ დადებითი მომენტიც იყო, როგორ თუ არ იყო... მიხეილ სააკაშვილი დასავლეთ ნახევარსფეროში იმყოფებოდა და ნაწილობრივ მაინც მოკლებული იყო შესაძლებლობას, ამ დღეებში ქვეყნისთვის დამატებითი პრობლემები შეექმნა.

არუბამდე გზა ჰქონია

კუნძული არუბა კარიბის ზღვის სამხრეთით მდებარეობს; მისი ფართობი 195 კვ. კილომეტრია. კუნძულზე 105 ათასი ადამიანი ცხოვრობს. არუბა ნიდერლანდების სამეფოს ფედერაციის სუბიექტია, მისი დედაქალაქი ორანიესტადია. საშუალო წლიური ტემპერატურა 28 გრადუსია; კლიმატი მშრალი, ტროპიკულია. სახელწოდება „არუბა“, მეცნიერების ვარაუდით, ადგილობრივი ინდიელების ენიდან მოდის და „ნიჟარების კუნძულს“ ნიშნავს, თუმცა არსებობს თეორია, რომლის თანახმად „არუბა“ ესპანური „oro hubo-დან („აქ იყო ოქრო“) წარმოიშვა. ამაში გარკვეული ლოგიკა არის, ოქრო მართლაც იყო, თუმცა „წყეულმა კოლონიზატორებმა“ ყველაფერი თან წაიღეს.

ჩვენ, ალბათ, არასოდეს მივაქცევდით ყურადღებას ესოდენ საინტერესო ინფორმაციას, რომ არა მიხეილ სააკაშვილი, რომელიც გასულ კვირას, მისი ოფიციალური ვებ-გვერდის თანახმად, **„ერთდღიანი ვიზიტით არუბაში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში მიხეილ სააკაშვილი არუბას პრემიერ-მინისტრ მიშელ (გოდფრაიდ) ემანს, ასევე არუბას გუბერნატორ ფრედის რეფუნჯოლის შეხვდა. შეხვედრისას მხარეებმა ისაუბრეს კარიბის რეგიონის ურთიერთობების თაობაზე სხვასხვა ქვეყნებთან, მათ შორის — საქართველოსთან“.**

აჯანყებული ხალხის მიერ ქვეყნიდან გაძევებული, საზიზღარი დიქტატორი რომ ვყოფილიყავი, ამ კუნძულზე სიამოვნებით დავსახლდებოდი.

ამ შეხვედრის შემდეგ სააკაშვილი რამდენიმე დღით მედიის თვალთახედვიდან გაქრა, თითქოს იქვე შორიახლოს მდებარე ბერმუდის სამკუთხედში გაუჩინარდა. **ისე, არუბელებმა თუ მოინდომეს, არანაირი სამკუთხედი არ დასჭირდებათ; 2005-ში კუნძულზე უკვალოდ გაქრა ამერიკელი გოგონა ნატალი ჰელოუეი, ამ ფაქტმა (სხვა ინციდენტებთან ერთად) არუბაზე დასვენების მსურველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შეამცირა.** არადა, მშვენიერი ადგილებია; **აჯანყებული ხალხის მიერ ქვეყნიდან გაძევებული, საზიზღარი დიქტატორი რომ ვყოფილიყავი, ამ კუნძულზე სიამოვნებით დავსახლდებოდი.**

მაშ ასე, ჩვენ აღმოვაჩინეთ არუბა, თუმცა დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ არუბამ აღმოგვაჩინა ჩვენ, რადგან **სააკაშვილის ვიზიტს ადგილობრივებმა დიდი ყურადღება ნამდვილად არ დაუთმეს.** საეჭვოდ დუმდნენ ადგილობრივი ოფიციალური საიტები და საინფორმაციო საშუალებები, მხოლოდ „Solo di Pueblo“-მ მაღალი რანგის (იდეაში) სტუმარს ერთი სტრიქონი აღირსა, თანაც როგორ: **მასალაში, რომელიც გუბერნატორის სამუშაო დღეს ასახავდა და, ძირითადად, ერთ-ერთი სინდიკატის წარმომადგენლებთან შეხვედრას დაეთმო (ფოტოც ახლავს), ბოლო სტრიქონში ნათქვამია „გუბერნატორი მიესალმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომელიც არუბას პირველად სტუმრობს“** (თუ ლექსიკონის დახმარებით ადგილობრივი ენიდან, „პაპიამენტო“-დან სწორად ვთარგმნე). მოლაპარაკებების დღის წესრიგზე არაფერია ნათქვამი და ოფიციალური ფოტოც არ ჩანს. მეტიც, **„Aruba.com“-მა ჩამოთვალა ყველა სტუმარი, რომელიც პრემიერ-მინისტრ მიშელ (გოდფრაიდ) ემანსთან ერთად** (რად უნდა ეს ორი სათაური?), **კოლუმბიის პრეზიდენტის ინაუგურაციას ესწრებოდა, ერთადერთი ვინც გამორჩა, მიხეილ სააკაშვილი იყო.** მოკლედ, არუბამ სააკაშვილი, ცოტა არ იყოს, ვერ შეამჩნია. სიმართლე რომ ვთქვათ, მას, დიდი ხანია, ჩვენ გარდა განსაკუთრებულ ყურადღებას არავინ აქცევს.

თუმცა, როგორც შევთანხმდით, შევეცადოთ ყველაფერში დადებითი მხარე დავინახოთ. იმ დღეებში, როდესაც მიხეილ სააკაშვილი კარიბის ზღვის რეგიონში იმყოფებოდა, საქართველო ორი წლისწინანდელ მოვლენებს იხსენებდა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ საზოგადოებას აგვისტოს ომის წლისთავზე სააკაშვილის რიტორიკის მოსმენა ან ტელეეკრანებზე მისი ხილვა სურდა; **ყველაფერი, რაც აგვისტოს ომთან დაკავშირე-**

მოკლედ

„დაუჯერებელი წინსვლა“

მოლდოვის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ მიხაი გიმპუს, როგორც ჩანს, ჩამოსვლისთანავე მოარგეს ვარდისფერი სათვალე და მანაც განაცხადა, რომ „ბოლო წლებში საქართველომ დაუჯერებელ წინსვლას მიაღწია, რაც მისი თავისუფლების დამსახურებაა“. შემდეგ კი ანაკლიის პატრიოტთა ბანაკში ქართველ ბავშვებთან ერთად დამსვენებელ სტიქიით დაზარალებულ მოლდოვ და ბელორუს ბავშვებს განუმარტა, რომ ყველა პრობლემა მოგვარებადია და საქართველო ამის ნათელი მაგალითია, რომ „ჩვენი პლანეტა დიდია და მიწა ყველას ეყოფა. თავისუფლება – ესაა მთავარი! შეიძლება, თავისუფალი იყო მცირე მიწაზე და არ იყო – დიდზე. ეს უნდა გახსოვდეთ და აღარ გაიმეოროთ სხვათა შეცდომები!“

დიქტატორული რეჟიმი საქართველოში

პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი საქართველოს ხელისუფლებას „დიქტატურული რეჟიმის დამყარებასა და საკუთარი ხალხის აბუჩად აგდებაში“ ადანაშაულებს.

დამამტკიცებელ არგუმენტებში ნათქვამია: „ცივილიზებულ მსოფლიოში პატრიოტებად ითვლებიან ადამიანები, ვინც ხალხს ხელისუფლებისგან იცავს, საქართველოში კი პატრიოტია ის, ვინც ხელისუფლებას იცავს ხალხისგან; ცივილიზებულ სამყაროში ქუჩა ქვეყნის დემოკრატიულობის მაჩვენებელია, საქართველოში ქუჩა ხელისუფლების ძალადობის დემონსტრირების ადგილია“.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ბით მას უნდა ეთქვა და გაეკეთებინა, მან უკვე თქვა და გააკეთა. შესაძლოა, სააკაშვილმა იგრძნო კიდეც, რომ საზოგადოებისთვის თავის შეხსენება მაშინ, როდესაც ის ომში დაღუპულებს გლოვობს, მისი მხრიდან მაინცდამაინც წინდახედული ნაბიჯი არ იქნება და საზღვარგარეთ გამგზავრება ამჯობინა.

ვინაიდან ჩვენ ვერასოდეს დავადგენთ, რა საერთო აქვს საქართველოს არუბასთან და რა თემებზე შეიძლებოდა მის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების წარმოება, ჩავთვალოთ, რომ სააკაშვილმა ამ ვოიაჟის დროს, უბრალოდ, დაისვენა და ნერვები დაიმშვიდა (ეს, რა თქმა უნდა, ძალიან აქტუალური პრობლემაა, თუმცა საინტერესოა, რა დაგვიჯდა ყოველივე ეს?). ბოლოს იგი, როგორც იქნა, გამოჩნდა, მიუხედავად იმისა, რა იმედებს ამყარებდნენ მისი ოპონენტები ბერმუდის სამკუთხედსა და კარიბის ზღვის მეკობრეებზე და მოლდოვის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ მიხაი გიმპუს შეხვდა. ამ ზესახელმწიფოს (არუბასავით გლობუსზე ძლივს ეტევა) ლიდერთან შეხვედრის დღეს გაკეთებული განცხადებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, **ტროპიკულ ჰავას სააკაშვილზე რაიმე დადებითი გავლენა არ მოუხდენია, უფრო — პირიქით.**

შემოგვეპარა ყივჩაღი

„მთავარი მოთხოვნაა, საქართველოში მცხოვრები სკოლის ასაკის ყველა ბავშვი, 5-დან 16 წლის ჩათვლით, ინგლისურენოვანი გახდეს, რასაც მივაღწევთ მომდევნო 4 წლის განმავლობაში: ეს მოგვცემს საშუალებას, რომ საქართველო უფრო წინ წავიდეს და ყველაზე დიდი ნახტომი გააკეთოს შემდგომი ათწლეულების განმავლობაში პოსტ-საბჭოთა სივრცეში. — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, — **როგორც თავის დროზე დავით აღმაშენებელმა ჩამოიყვანა 50 ათასი ყივჩაღი და საქართველოს სახელმწიფომ შეუქცევადი ხასიათის მოდერნიზაცია მიიღო, ზუსტად ამ მასშტაბის მოვლენაა 3 წლის განმავლობაში 10 ათასამდე ინგლისურის მასწავლებლის ჩამოყვანა საქართველოში“** („ინტერპრესნიუსი“). ბოდიში ვრცელი ციტატისთვის, მაგრამ ეს შედევრია; ამ შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილმა აშკარად საკუთარ თავს აჯობა.

„მთავარი მოთხოვნაა... (ვისი მოთხოვნა?) **ყველა ბავშვი... ინგლისურენოვანი გახდეს** (რომელ ენას აირჩევენ მეორე ენად ბავშვები, მხოლოდ მათი და მათი მშობლების გადასაწყვეტია, ნაკლებად სავარაუდოა, რომელიმე მათგანმა რჩევისთვის სააკაშვილს მიმართოს), **რასაც მივაღწევთ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში...** (წინა ოთხი წლის განმავლობაში რის მიღწევასაც ლამობდით, იმას ხომ უკვე მიაღწიეთ; ნანგრევები ცენტრალური ტრასიდან რამდენიმე კილომეტრშია, ჰალსტუხი — გარდერობში. თანაც, თუ რაიმე არ გამოგვრჩა, კონსტიტუციური ვადებით თუ ვიმსჯელებთ, არც ოთხი, არც სამი წლის შემდეგ ხელისუფლებაში, წესით, აღარ უნდა იყოთ) **უფრო წინ წავიდეს და ყველაზე დიდი ნახტომი გააკეთოს...** (ის, რომ უფსკრულში ხტომაში აბსოლუტური ჩემპიონები ვართ, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. კიდევ სად უნდა გადავხტეთ?) **როგორც თავის დროზე დავით აღმაშენებელმა...** (როგორც ჩანს, ისევ ედრება, მაგრამ ეს პასაჟი უკომენტაროდ დავტოვოთ, აქ ყველაფერი ცხადია, ანამნეზიც და პათოგენეზიც) **ჩამოიყვანა 50 ათასი ყივჩაღი** (ჰა?! ადრე ვიცოდით, რომ 40 ათასი ოჯახი ჩამოიყვანა, მართალია, ზედმიწევნით ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში საუბარია ათეულობით ათას ოჯახზე და არა — ადამიანზე) **და საქართველოს სახელმწიფომ შეუქცევადი ხასიათის მოდერნიზაცია მიიღო“** (აქ ხუთი ვარიანტია: ან ამის მთქმელმა არ იცის, რა არის საქართველო, ან ძნელად წარმოუდგენია, რა არის სახელმწიფო, ან ვერ იაზრებს იმას, რა არის მოდერნიზაცია, ან გაგებაში არ არის, ვინ იყვნენ ყივჩაღები; ან კიდევ ყველა ფაქტორი, რომელიც ჩამოვთვალეთ ერთდროულად მოქმედებს). და საქმე, თურმე **„ამავე მასშტაბის მოვლენასთან გვაქვს“** (ამინ. **„დიდი ყივჩაღობის“** სეზონი გახსნილია).

საინტერესოა, ვინ არიან ეს „ყივჩაღთასწორი“ მასწავლებლები, თანაც სააკაშვილისეულ არითმეტიკას თუ მივმართავთ, ერთი მასწავლებელი ხუთ მოდერნიზატორ ყივჩაღს უდრის. **თუ თქვენ შებრძანდებით ვებმისამართზე footprintsrecruiting.com/forums/chatter-about-georgia/, სადაც აღნიშნული კონტინგენტი იკრიბება, თავად (ან ინგლისური ენის სპეციალისტის დახმარებით) შეძლებთ შეაფასოთ მათი ორთოგრაფია, პუნქტუაცია, ლექსიკა, წინადადებების წყობა და გონებრივი პოტენციალი.**

ამასთანავე, გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ამ ადამიანთა დაქირავებისას პედაგოგიური გამოცდილება აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, ფოტოებით თუ ვიმსჯელებთ, ისინი მშვენიერი ახალგაზრდები ჩანან და, **იმედია, მომავალში გაცილებით საინტერესო საქმეები ელით, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლების საეჭვო კომბინაციებში მონაწილეობაა, თუმცა, ალბათ, ის ადამიანები მაინც არ არიან, რომლებსაც შეეძლებათ ჩვენი ბავშვები შექსპირისა და ჯოისის ენას სათანადო დონეზე აზიარონ. მეტიც, ალბათ, ძნელად მოიძებნება მშობელი, რომელიც საკუთარ შვილზე მსგავსი პედაგოგიური და ლინგვისტური ექსპერიმენტების ჩატარებას მოიწონებს.**

შესაძლოა, ვინმეს ელანდება კიდეც ინგლისურენოვანი საქართველო, სადაც ადამიანები, ერთმანეთთან ყოფილი კოლონიებისთვის დამახასიათებელ, კოშმარულ ერზაცინგლისურზე ურთიერთობენ, თუმცა ნურას უკაცრავად; მეფე ლეონიდე ცნობილ ფილმში (მერე რა, რომ ამ ფილმს ისტორიასთან იმდენივე აქვს საერთო, რამდენიც ყივჩაღებს — ძველ ბერძნებთან), რომ იტყოდა: „This is Sparta!“, **ჩვენებურად რომ ვთქვათ, ეს საქართველოა, რომელიც „ჯორჯია“ არასოდეს გახდება.**

თუ რა გააკეთა ლეონიდემ, უშუალოდ ამ ფრაზის წარმოთქმის შემდეგ, მაყურებელს, იმედია, ახსოვს.

წინ კი მძიმე ზამთარი გველის

სიტუაცია დევნილების პრობლემების გარშემო სულ უფრო რთულდება. **„ჩვენ დაბეჯითებით მოვუწოდებთ, რომ ამ ადამიანებს უფრო არსებითი და მიზანმიმართული დახმარება გაუწიონ, მათი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის განმტკიცებისთვის. მათ (ადგილნაცვალ პირებს) მძიმე, ძალიან მძიმე ზამთარი ელოდებათ“, — განაცხადა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელმა სიუზენ მიურეი ჯონსონმა** („E“).

ვითარებას ის გარემოება ამძიმებს, რომ „მსოფლიო სასურსათო პროგრამა“ ქართველ დევნილებს ველარ დაეხმარება; არასაკმარისი შემოწირულობების გამო ის იძულებული გახდა უფასო სურსათით მათი უზრუნველყოფის პროგრამა შეეჩერებინა. ამასთან, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გასულ წელთან შედარებით შემცირებული ბიუჯეტი აქვს. თანაც ჩინოვნიკების უნარი — ეს თანხები ეფექტურად განკარგონ, ეჭვქვეშ არაერთგზის დამდგარა.

კიდევ უფრო შორს თუ წავალთ, ვნახავთ, რომ მომავალში პრობლემა უფრო გართულდება; საქართველოს საგარეო ვალის პირამიდა დეფოლტს გარდაუვალს ხდის. შესაბამისად, რაღაც მომენტში მთავრობა იძულებული გახდება, ხარჯები მკვეთრად შეამციროს, რაც დევნილების მდგომარეობაზე ასევე უარყოფითად აისახება.

ამავე დროს, მათი შანსები მშობლიურ კერას რომ დაუბრუნდნენ (ყოველ შემთხვევაში, ამ ხელისუფლების პირობებში), პრაქტიკულად, ნულია.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორი: „Amnesty International“-მა თავის მოხსენებაში (სავსებით სამართლიანად) ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა უმუშევრობაა; ცნობილია, რომ ბევრი მათგანი თავს გარევაჭრობით ირჩენდა, გასულ კვირას კი თბილისის ცენტრალური უბნებიდან გარემოვაჭრეები გაყარეს, ამასთანავე, დევნილები გამოაძევეს დედაქალაქის ცენტრში მდებარე შენობებიდან, მათ, როგორც ჩანს, პერიფერიაზე გადასახლება მოუწევთ, სადაც სამუშაოს შოვნა გაცილებით რთულია. როგორც ჩანს, **„მძიმე ზამთარი“,** რომელზეც სიუზენ ჯონსონი საუბრობს, **ბევრ ადამიანს შიმშილის ზღვარზე დააყენებს.**

კიდევ ერთი თემა, რომელსაც საზოგადოებამ ყურადღება, ალბათ, აუცილებლად უნდა მიაქციოს: **„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს ბრძანებით, 25 აგვისტოდან საქართველოში მოქმედი ბევრი ბავშვთა სახლი მუშაობას წყვეტს. ლიკვიდაციის პროცესშია სიღნაღის რაიონის ზემო ბოდბის სკოლა-პანსიონიც, სადაც 50 მზრუნველობამოკლებული ბავშვი ირიცხება“** („FactNews“). **„რამდენიმე ბავშვი ოჯახებში უკვე დავაბრუნეთ, ზოგიერთების მშობლების მოძიება გვიჭირს და აქტიურად ვმუშაობთ, რომ აქ დარჩენილი ბავშვებიც დავაბრუნოთ,** — განუცხადა „FactNews“-ს სკოლა-პანსიონის უფროსმა აღმზრდელმა ალინა ქადაგიძემ და დასძინა: — **მათი სხვა ბავშვთა სახლებში გადაყვანა არ იგეგმება. ალბათ, მშობლებს მოვძებნით და ჩავაბარებთ, რომ დოკუმენტი გაფორმდეს. მაგრამ, თუ რამდენიმე დღის შემდეგ გადაამოწმებთ, იმ ბავშვებს უმძიმეს პირობებში აღმოაჩენთ — ქუჩაში“.**

დავდგეთ ახლა და ვუყუროთ, როგორ „გრიალებს“ ვიღაც კარიბის ზღვის კუნძულებზე, საკუთარ რეზიდენციას ალამაზებს, მოდერნიზებულ ყივჩაღებს ქირაობს და ათეულობით მილიონ დოლარს უაზრო პროექტებში ყრის. პათეტიკური ინტონაციისთვის ბოდიში, მაგრამ **ერი, რომელსაც არ შეუძლია საკუთარ გაჭირვებულებს მიხედოს, ალბათ, კარგავს უფლებას, ერად იწოდებოდეს;** თუ უკვე შინაგანად მზად ვართ, რომ გულგრილად შევხედოთ იმას, როგორ დაიხოცებიან შიმშილით ჩვენი თანამემამულეები, რის მაღალ ალბათობაზეც საერთაშორისო ექსპერტები მიანიშნებენ.

დიმიტრი მონიავა

გაფრაზებული

ედუარდ შევარდნაძე,
ექს-პრეზიდენტი:

მაშინ გადავდექი იმიტომ, რომ ჩემი გაზრდილი ბიჭების იმედი მქონდა, ვფიქრობდი, ახალი ძალაა და ქვეყანას მიხედავენ-მეთქი. პირიქით მოხდა. დღეს შემიძლია თამამად ვთქვა — არ უნდა გადავმდგარიყავი და დღეს საქართველო სულ სხვა იქნებოდა, ბედნიერი იქნებოდა!

„ასავალ-დასავალი“

გოგი თოფაძე,
ბიზნესმენი:

საქართველოს ფუნქცია უკვე განსაზღვრულია: ჩვენ ვართ სატრანსპორტო დერეფანი ევროპასა და აზიას შორის. ამ დერეფნის ელემენტები — ფოთის პორტი და ბათუმის პორტი, უკვე გაყიდულია, რადგან ქვეყანას უზარმაზარი ვალი აქვს წამოკიდებული. რკინიგზა გაყიდულია. გზას რომ ვაშენებთ, იმასაც პატრონი გამოუჩნდება, რადგან მასაც ნასესხები ფულიც აგებენ. გეკითხებით, რომელი სატრანსპორტო დერეფნით გინდა თავის შენახვა, თუ ეს ყველაფერი უცხოელების საკუთრებაა?

„ყველა სიახლე“

დიმიტრი ჯაიანი,
რეჟისორი და მსახიობი:

ამომივიდა უკვე ყელში, რომ ამბობენ, ფოთოლი არ ჩამოვარდნილაო. ვერ გავიგე, ჩემზე ნაკლებია ფრანგი? ფოთოლიც ჩამოვარდა და ესენი ცეცხლს ეთამაშებიან, ეს ცუდად დამთავრდება, ერთი ფოთლის ჩამოვარდნა ჭირს, თორემ მერე შეიძლება ხეც აღარ დარჩეს თავის ადგილზე!

„კვირის ქრონიკა“

პაატა ჯიბლაძე,
ლეიბორისტული პარტიის წევრი:

უგულავა ერთ ხანს 44-ე სკოლაში სწავლობდა, იმავე ქუჩაზე ცხოვრობს მისი „მარჯვენა ხელი“ მამუკა ახვლედიანიც. წარმოიდგინეთ, კაცი თავის მეზობლებს, თავის უბანს უყიდის სკოლას და ეს კაცი არის დედაქალაქის მერი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უგულავამ და ახვლედიანმა ამ უბანში ხომ უნდა იცხოვრონ?

„ყველა სიახლე“

გიორგი გაჩეჩილაძე,
მწვანეთა პარტიის ლიდერი:

ირანელები და არაბები, ქართული ცხვრის შემდეგ, უკვე ალპური საძოვრების შესყიდვასაც აპირებენ!.. საძოვრების ფართობები სასოფლო-სამეურნეო მიწების 60 პროცენტს შეადგენს — ეს არის საქართველოს ტერიტორიის 25 პროცენტი! ახლა თქვენ თვითონ დაასკვენით, ყიდის თუ არა სააკაშვილის რეჟიმი ბითუმად ქართულ მიწებს!

„ასავალ-დასავალი“

გია ყარყარაშვილი,
ყოფილი თავდაცვის მინისტრი:

ეხლა, ჩემი ჯანმრთელობის კაცს სხვა იარაღი არა აქვს... ხელისუფლებას ვეტყვი: თქვენ განცხრომაში ცხოვრობდეთ და ქართველი ხალხი შიმშილისგან იჩაგრებოდეს და თავს იკლავდეს, ამ უნამუსობას ნამდვილად არ შეგარჩენთ! გამხელთ, უბრალოდ! აი, იქ მოვალთ, სადაც თქვენ განცხრომაში იქნებით, დასასვენებლად ან საქეიფოდ და იქ შეგარცხვენთ.

„ალია“

გუბაზ სანიკიძე,
ეროვნული ფორუმის ლიდერი:

ამ ხელისუფლებას ჰგონია, რომ სახელმწიფოს აქვს ერთი, დასჯის ფუნქცია — დაგიჭერ, დაგაპატიმრებ, ჩაგალპობ ციხეში. მეურვეობის ფუნქციაზე უარი აქვს ნათქვამი. წელს 5 თეთრად ჩაიბარეს ვაშლი, წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა. მონებს არ ექცეოდნენ ასე. სოფლის მეურნეობაზე იცით, რამდენია გამოყოფილი? 55 მილიონი და პარლამენტზე არის 40 მილიონი, ამ უსაქმურებზე, ამ პარაზიტებზე. თან ამ 55 მილიონში შედის სამინისტროს მთელი აპარატის შენახვა და ასე შემდეგ.

„ალია“

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

გაფრთხილებული

ეკა ბესელია,
მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პოლიტპატიმრებს“ ხელმძღვანელი:

„ადგილი აქვს არაადამიანურ მოპყრობას, ცემის და წამების ფაქტებს. ტუბერკულოზი მასობრივად არის მოდებული მთელს პენიტენციალურ სისტემას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა გლდანის, ქსნის, ბათუმისა და ქუთაისის ციხეები“.

„რეზონანსი“

ლაშა ჩხარტიშვილი,
კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:

„ჩვენ მოვუწოდებთ, რომ დევნილებმა მასობრივი აქციები დაიწყონ და სოლიდარობის მაღალი ხარისხი გამოავლინონ გარემოვაჭრეებთან ერთად. წინასაარჩევნოდ ხელისუფლება იყო დამთმობი, თუმცა ახლა მათ დაიწყეს ამ ადამიანების გამოსახლება, აპირებენ, რომ რეგიონებში ჩაასახლონ, სადაც გაურკვეველია, რა პირობები ექნებათ, ასევე ექნებათ თუ არა სამუშაო ადგილები და ა.შ. რეალურად საარსებო წყარო აღარ ექნებათ“.

„რეზონანსი“

მინდია უგრეხელიძე,
სამართლის დოქტორი, პროფესორი:

ჩემთვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იმთავითვე მიუღებელია და თქვენც იცოდეთ, რომ ის ვერ გაიხარებს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რომ კარგი ყოფილიყო, საერთაშორისო სასამართლოებს მოასწრებდა ვინმე ამის დანგრევას?! რატომ არ იყენებს ნაფიც მსაჯულებს არც ერთი საერთაშორისო სასამართლო?! იმიტომ, რომ იქ ძალიან მაღალი სტანდარტებია. შეიძლება, სხვა მიზეზებიც იყოს, იქ იმდენად ჩახუჭუჭებული და რთული საკითხები წყდება, რომ ნაფიცი მსაჯულისთვის ეს მძიმე ტვირთი იქნება, მაგრამ ესეც ხომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არაეფექტიანობის მიმანიშნებელია?! ავიღოთ მსოფლიოს ყველაზე რაციონალური და პრაქტიკული ერები, რატომ არ აქვთ მათ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო? იაპონელებმა პირდაპირ თქვეს, ჩვენს კულტურას ეს ვერ მიესადაგება და ეს ნაყოფი ჩვენს ნიადაგზე ვერ გაიხარებსო, ჩვენთან კი, როგორც ჩანს, ყველაფერი ხარობს.

„თბილისელები“

გიორგი კობახიძე,
დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი:

სააკაშვილის პასუხისმგებლობა უმძიმესია, სააკაშვილი და მთელი მისი ხელისუფლება ორი წლისწინანდელი მოვლენების გამო პასუხს აგებენ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს იყო დანაშაული როგორც ქართველი ერის, ასევე კაცობრიობის წინაშე!..

„ალია“

აფხაზეთის ომი და სახიფათო მითები

ზუსტად 18 წელი გავიდა იმ დღიდან, როდესაც საქართველოს ისტორიაში პირველი ქართულ-აფხაზური კონფლიქტი დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ბევრი მითი და ტყუილი დაგროვდა. ბევრი იქამდეც მიდის, რომ უარყოფს ასეთი ომის არსებობასაც კი; ამ დღეს ტელევიზიით ზოგი გულწრფელად იმეორებდა ხელისუფლების პრიმიტიულ პროპაგანდას, რომელიც ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს ჩამოყალიბდა და სააკაშვილმა პოლიტიკის ქვაკუთხედად აქცია — ეს ომი რუსეთთან იყოო, ავიწყდებათ, 1992-1993 წლებში ელცინის რუსეთში სრული პოლიტიკური და ეკონომიკური ქაოსი რომ იყო და ძალლი პატრონს ვერ ცნობდა. რუბლი კი ამ დროს ლამის ქაღალდის წონით და არა ნომინალით განისაზღვრებოდა და თოკით შეკრული დიდი ოთხმაგი, მძიმე „პაჩკა“ 5-10 დოლარსაც ვერ „გაქაჩავდა“.

ასე რომ, რუსეთთან, და არა აფხაზ სეპარატისტებთან, ომი – ეს ერთ-ერთი უმთავრესი მითია ჩვენი გულის მოსაფხანად. აფხაზებს კი მიაჩნიათ, რომ საქართველოს „აგრესიის“ პირობებში ისინი ვაჟკაცურად იცავდნენ თავიანთ მიწას და ჩრდილო-კავკასიელ მოხალისეებთან ერთად და რუსი პილოტებისა და ინსტრუქტორების დახმარებით გამარჯვებას მიაღწიეს (ყოველ შემთხვევაში, ასე გეტყვით ყველა აფხაზი). მათთვის შეურაცხმყოფელია ჩვენი პროპაგანდის მიერ გავრცელებული ფრაზა „რუსებმა წაგვართვეს აფხაზეთი“, მათ მიაჩნიათ, რომ „მოიპოვეს დამოუკიდებლობა“. რაღაც დოზით სიმართლე ამაში ნამდვილად არის და, თუ არ შევეცადეთ მათი ფსიქოლოგიის გაანალიზებას, შეგვიძლია აფხაზეთზე აღარც კი ვიოცნებოთ.

დავუბრუნდეთ აფხაზების განწყობას – თუ ოდესმე გვიწერია ერთიან სახელმწიფოში კვლავ ერთად ცხოვრება, როგორც ეს მეფე ლეონის დროს იყო, რაღაც საერთო ენა უნდა გამოვნახოთ; დღეს კი სრულიად სხვადასხვა ენებზე ვლაპარაკობთ, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.

ყველამ ვიცით, რომ 14 აგვისტოს ეროვნული გვარდია კიტოვანმა შეიყვანა აფხაზეთში და ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმი ისე დაიკავა, როგორც საბჭოთა არმიამ 1945 წელს — ჰიტლერელების დედაქალაქი. ამის არავითარი აუცილებლობა, რასაკვირველია, არ ყოფილა და, **როდესაც მათ მთავრობის სახლიდან აფხაზების დროშა ჩამოგლიჯეს და ფეხქვეშ გათელეს, ამით სათავე დაუდეს „ეთნოკონფლიქტს“!** კიტოვანისთვის იქ შესვლა არავის უბრძანებია — 1992 წლის 10 აგვისტოს საქართველოს მაშინდელ ფსევდოპარლამენტს — „სახელმწიფო საბჭოს“ აფხაზეთის ოკუპაციაზე არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია, ეს არის მითი. **ეს გადაწყვეტილება მიიღო ამ ორგანოს ოთხკაციანმა პრეზიდიუმმა; ახლა კი ესენი ერთიმეორისკენ და სხვებისკენ იშვერენ ხელს.**

აფხაზეთში შესვლის გადაწყვეტილება მიიღო „სახელმწიფო საბჭოს“ ოთხკაციანმა პრეზიდიუმმა; ახლა კი ერთიმეორისკენ და სხვებისკენ იშვერენ ხელს.

რკინიგზის დაცვა მარადიორებისგან და გატაცებული ვიცე-პრემიერის სანდრო კვაკაძის განთავისუფლების ოპერაციის გადაწყვეტილება კი რამდენიმე დღით ადრე იყო მიღებული. ასევე, აგვისტოს პირველ დღეებში რუსეთმა, შეთანხმების თანახმად, ასიოდე დაჟანგული ტანკი გადმოსცა საქართველოს და ისინი პირდაპირ აფხაზეთში გაგზავნეს. ოღონდ ტანკებით რკინიგზის დაცვა, რბილად რომ ვთქვათ, სამხედრო ისტორიის ახალი ფურცელია. ასე რომ, აქ მრავალ ტყუილთან გვაქვს საქმე.

არადა, აფხაზეთში ჩვენ პრობლემები საბჭოთა კავშირის დაშლამდე გაცილებით ადრეც გვქონდა. ამას კი ვერც ჩვენ და ვერც აფხაზები ვერ ვაცნობიერებდით იმ დროს არსებული უმკაცრესი ცენზურისა და საინფორმაციო ვაკუუმის გამო, როდესაც ორივეს ურთიერთგამომრიცხავი სიმართლე გვქონდა. ეს კი ომის წინ უკვე „მეგაფონების დიპლომატიაში“ და ურთიერთლანძღვაში გადაიზარდა, თუ ამას საერთოდ დიპლომატია ჰქვია.

ის, თუ რა ჩაიდინეს ამ ომში აფხაზებმა, ჩეჩნებმა და ჩერქეზებმა, ბაგრამიანის ბატალიონმა და მათმა მფარველმა რუსებმა, ბევრმა კარგად ვიციო. ცხონებული თამაზ ნადარეიშვილისგან ისიც ვიცით, რომ აფხაზებს ქართველი ქალების გაუპატიურებებში მონაწილეობა არ მიუღიათ. ისინი პირიქით, ხშირად ქართველებს იფარებდნენ. ამავე დროს მორცხვად ვმალავთ, რომ **აგვისტოს იმ დღეებში კიტოვანის ხალხი მთელი ოთხი დღე ძარცვავდა დაცარიელებულ სოხუმს.** ერთი მაინც უნდა ითქვას – ეს ეთნიკურად არავის წინააღმდეგ არ იყო მიმართული და ეს ერთი წლის შემდეგ ჩემ მიერ ჟენევიდან ჩამოყვანილმა დამკვირვებელთა მისიამაც დაადასტურა — **ჩვენები ეთნიკური ნიშნით არ ძარცვავდნენ, არამედ, — უბრალოდ, ყველა ბინას, რომელიც მოეწონებოდათ, ქართველის იყო, აფხაზის, სომხის თუ ბერძნის.** ერთი თვის შემდეგ კი ანალოგიური ძარცვა ისეთი მასშტაბით განვითარდა გაგრაში ამჯერად სხვა შენაერთის მიერ, რომ, თავისდა საუბედუროდ, სწორედ ადგილობრივები დაეხმარენ შამილ ბასაევის ჩეჩნურ ბატალიონს 2 ოქტომ-

▶

მოკლედ



საინფორმაციო ომის ქრონიკა

მოსკოვსა და მინსკს შორის გაჩაღებული საინფორმაციო ომის მორიგ ეტაპზე, რუსული მედიის მიხედვით, პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ბელარუს კოლეგასთან — ალექსანდრე ლუკაშენკოსთან ლაპარაკს აღარ აპირებს. თავის მხრივ, ლუკაშენკომ, შესაძლოა, ერევანში კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციის არაფორმალურ სამიტზე ჩასვლა არ ისურვოს. სწორედ ასე მოიქცა ის შარშან, როდესაც „რძის ომის“ პერიოდში მოსკოვში გამართულ ანალოგიურ ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიიღო. კრემლში „რიგ საკითხებში ბელარუსის პრეზიდენტის არათანამიმდევრულობაზე“ საუბრობენ და ლუკაშენკოს მიერ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ პირობის შეუსრულებლობაზე ამახვილებენ ყურადღებას.

სასაფლაოს დირექტორი დააკავეს

საფლავების წაბილწვისა და კომერციული მოსყიდვის ბრალდებით დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა კუკიის სასაფლაოს დირექტორი, 1967 წელს დაბადებული ბადრი ღამბაშიძე დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, ღამბაშიძემ წლების წინათ დაკრძალული მიცვალებულის საფლავი ხელახალი დასაფლავებისთვის გაყიდა და ჭირისუფალს ოფიციალური გადასახადის — 107 ლარის გარდა, დამატებით 500 ლარიც გამოსძალა. დაკავებულმა დანაშაული უკვე აღიარა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 258-ე და 221-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების ხუთ წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

მსოფლიო ბაზარზე ხორბალი გაძვირდა

მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციამ ხორბლის ექსპორტის დროებითი შეწყვეტის შესახებ განაცხადა, მსოფლიო ბაზარზე მისმა ფასმა მომენტალურად დაიწყო ზრდა.

ექსპორტის აკრძალვის ძალაში შესვლიდან მეორე დღეს მსოფლიო ბირჟაზე ხორბლის ფასმა ბოლო ორი წლის მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია. მოსკოვში ვარაუდობენ, რომ პურის ფასთან ერთად, გაძვირდება ყველა ის პროდუქტი, რომლის დამზადებისთვისაც ხორბალი გამოიყენება. ძლიერი გვალვის გამო რუსეთში ხორბლის წლევანდელი მოსავლის რაოდენობამ 60 მილიონი ტონაც კი ვერ შეადგინა, არადა, მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის ქვეყანას 78 მილიონი ტონა ხორბალი სჭირდება.

ლეიბორისტები სარკოზისგან პასუხს მოითხოვენ

„2008 წლის აგვისტოს ომის დროს სარკოზი-სააკაშვილის მოლაპარაკებებს ესწრებოდნენ ამერიკელი მრჩევლებიც, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტს ყველაფერს კარნახობდნენ,“ — ეს ისტორიკოს ელენ კარენ დანკოსის განცხადებაა, რომლის გამოც საქართველოს ლეიბორისტული პარტიის წევრები საფრანგეთის პრეზიდენტის — ნიკოლა სარკოზის ადმინისტრაციისაგან ახსნა-განმარტებებს მოითხოვენ. „თუ ეს ფაქტი დადასტურდება, გამოდის, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველო ორი იმპერიის დაპირისპირების პოლიგონად იქცა“, — აცხადებენ ლეიბორისტები და თავად ნიკოლა სარკოზისგან ამ ინფორმაციის ოფიციალურად უარყოფას ან დადასტურებას და განმარტებებს მოითხოვენ.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ბერს, ქალაქში შესულიყო და აელო. თურით დამთავრდა ეს გაგრელებისთვის, დღეს ისტორიის კუთვნილებაა.

ერთი გავრცელებული მითია, რომ ავტონომიები შექმნილი იყო, როგორც ნელი მოქმედების ნაღმები.

სინამდვილეში მაშინ, როდესაც ეს ავტონომიები შეიქმნა, ცხადია, საბჭოთა კავშირის დაშლაზე არავინ ფიქრობდა; პირიქით, მიაჩნდათ, რომ „ხალხთა ერთობის“ ორიგინალურ რეცეპტს მიაგნეს. მაგრამ ამ იდეამ არც ჩვენში და არც იუგოსლავიაში არ იმუშავა თავიანთი საკმაოდ იდენტური სტრუქტურებითა და ანალოგიური პრობლემებით.

როგორც პოლიტიკაში იტყვიან, „ტანგო რომ იცეკვო, ორია საჭირო“. ამ პერიოდში ორივე მხრიდან **ყველაფერი კეთდებოდა ორი ეთნოსის დასაპირისპირებლად და ამაში დიდი როლი ჩვენი საზოგადოების ნაწილსაც მიუძღვის.** მაგალითად, იმის მაგივრად, რომ ფრთხილად მოვკიდებოდით ისეთ ფაქიზ საკითხს, როგორც ეთნოსი და ეთნოგენეზია, ჩვენ პოლიტიკური სპეკულაციის თემად წამოვწიეთ საკითხი, თუ წარმოშობით ვინ იყვნენ აფხაზები: აბაზგინები, აფსუები თუ სულაც მეგრელების შთამომავლები ან „მოსხები“; და ასევე, თუ ვინ, როდის მივიდა ამა თუ იმ მიწაზე, რა ცნებასაც საერთაშორისო სამართალი საერთოდ არ ცნობს. მაგალითისთვის, რა ვუყოთ თანამედროვე ამერიკელებს, ჩრდილოეთში იქნება ეს თუ სამხრეთში, თეთრი იქნება ის თუ შავი, გავყაროთ ამერიკიდან და წითელკანიან ინდიელების შთამომავლებს (მაგალითად, უგო ჩავესს) დავუტოვოთ ამერიკის კონტინენტი?

ჩვენსა და აფხაზებს შორის კონფლიქტი ეროვნული ნიშნით მხოლოდ საბჭოთა პერიოდში წარმოიშვა.

მაგრამ, თუ აფხაზები ამას აცნობიერებდნენ, ჩვენთან ამას 80-იანი წლების ბოლომდე ვერ ამჩნევდნენ და მათ ახირებად მიიჩნევდნენ. **მაგალითად, შევარდნაძე სულ ამტკიცებს – იქ არავითარი ეთნო-კონფლიქტი არ ყოფილა, ეს პოლიტიკური კონფლიქტი იყო.** არადა, პოლიტიკის სახელმძღვანელოებში წერია, რომ „ეთნოკონფლიქტი – ეს არის ორ ან რამდენიმე ეთნოსს შორის წარმოშობილი პოლიტიკური კონფლიქტი“. **და თუ იქ ეთნოკონფლიქტი არ ყოფილა, მაშინ რანაირად მოხდა იქ „ეთნოწმენდა?“**

ეროვნულ ენებზე სკოლებში სწავლების შეწყვეტა საბჭოთა კავშირის აბსოლუტურად ყველა ავტონომიაში ერთდროულად მოხდა, რომლის

ყველაფერი კეთდებოდა ორი ეთნოსის დასაპირისპირებლად და ამაში დიდი როლი ჩვენი საზოგადოების ნაწილსაც მიუძღვის.

საბოლოო ეტაპი მთელი სსრკის რუსულ ენაზე გადასვლა უნდა ყოფილიყო; ასე რომ, ჩვენ, ქართველები აქ აბსოლუტურად არაფერ შუაში არ ვიყავით, მაგრამ აფხაზებს ამის გაგება არ უნდათ. ამის შემდეგ კი **ერთ-ერთი ახალი კონფლიქტი 60-იანი წლების ბოლოს ეკონომიკურ ნიადაგზე წარმოიშვა ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსის მწყობრში ჩადგომისას. მჟავანაძის კორუმპირებული მმართველობის დროს აქ დიდი ფულის კეთების საშუალება გამოჩნდა, ხოლო ყველა ფული თანამდებობა ქართველებმა დაიკავეს, რითაც ბოგოლა აფხაზებმა თავი დაჩაგრულად იგრძნეს. თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ კეთდებოდა ეთნიკური პრინციპით** — ეს იყო სუფთა კლანური, ნათესაური კორუმპირებული გადანაწილება, რაც ყოველთვის გავრცელებული იყო ორივე ერში.

კიდევ ერთი მითი ისაა, რომ 1989 წელს სოხუმში თბილისის უნივერსიტეტის ქართული ფილიალი გაიხსნა. ეს „პატრიოტული აქტი“ სინამდვილეში სუფთა პროვოკაცია და ცეცხლზე ნავთის დასხმა იყო, რისი შედეგიც ყველამ ვნახეთ. ამავე დროს, როდესაც ეროვნული მოძრაობის ერთი ფრთა საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრობდა, სხვა ნაწილს მიაჩნდა, რომ ჯერ აფხაზებთან, ოსებთან და სხვა უმცირესობებთან უნდა გაგვერჩია საქმე. **ზოგიერთი ქართველი „არაფორმალისგან“ ეთნოწმენდისკენ მოწოდებებიც ისმოდა, რამაც უკიდურესობამდე დაძაბა ჩვენი ურთიერთობა მათთან.** იყვნენ თუ არა ეს „პოლიტიკოსები“ შეგზავნილები ეროვნულ მოძრაობაში? ამას

ჩვენ, ალბათ, დიდხანს ვერ გავიგებთ, თუმცა მათ თავიანთი შავი საქმე გააკეთეს! ხოლო ის, ვინც 1969 წელს აფხაზებთან სერიოზული სამხედრო კონფლიქტი აგვაცილა, იყო მერაბ კოსტავა! და ვინ იცის, ალბათ, სწორედ იმიტომაც მოიცილეს, რომ აფხაზებთან კონფლიქტისთვის გახსნოდათ გზა?!

ბევრი მითია და ბევრი კითხვაა: მაგალითად, დაეთანხმა თუ არა არძინბა პრიმაკოვის გეგმას საქართველოს ფედერალურ მოწყობაზე? და თუ დაეთანხმა, შევარდნაძემ რატომ თქვა უარი? რა უნდოდა ბერეზოვსკის თბილისში საიდუმლო მოლაპარაკებებზე? – ცხადია, ფული, მაგრამ კონკრეტულად რა პირობებში და როგორ? აპირებდა თუ არა ცხონებული ბადრი პატარკაციშვილი აფხაზეთის ტერიტორიის „ყიდვას“ და ვინ და რატომ შეუშალა ხელი?

ძალიან ბევრი მითი არსებობს და ყველას მე აქ ნამდვილად ვერ განვიხილავ, თუმცა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან მათგანს უნდა შევეხო: **არძინბა არ იყო რუსეთის „მარიონეტი“, როგორც ჩვენი პროპაგანდა ნათლავდა მას, ის აფხაზი ნაციონალისტი იყო, მოგვწონს თუ არა ჩვენ ეს. კიდევ უფრო საინტერესოა ბაგაში. ის საპრეზიდენტო არჩევნებში აფხაზებმა ღიად პრორუსულ კანდიდატს ამჯობინეს.**

ასევე გავცელებულია, – **თითქოს რუსებს აფხაზეთი მისი კურორტების ან მანდარინების გამო სჭირდებათ. ეს ასე იყო ოცი წლის წინათ, მაგრამ, კარგა ხანია, ეს ასე აღარ არის** – წელიწადში ორი მილიონი რუსი ისვენებს ანტალიის ოლქში, მდიდარმა რუსებმა კი ყველა მთავარი მსოფლიო კურორტი მთლიანად აითვისეს.

ხოლო ჩვენი მშვენიერი გაგრა და ბიჭვინთა თავისი მცირე გამტარუნარიანობისა და კრიმინოგენური სიტუაციის გამო მხოლოდ ყველაზე ღარიბ რუსებს თუ დააინტერესებთ. **სინამდვილეში რუსეთის ხელისუფლებას იქ მხოლოდ ოჩამჩირის საზღვაო და გუდაუთის საჰაერო ბაზები აინტერესებთ შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილის გასაკონტროლებლად** (ეს იმ ჩვენი ვაი-პოლიტიკოსების გასაგნად, რომლებიც იმეორებენ — არ ვიცით, რუსებს რა უნდათო!).

აქ მივდივართ ყველაზე მთავარ მითთან, რომ თითქოს რომელიმე საერთშორისო ორგანიზაცია აიძულებდეს რუსეთს, მოახდინოს აფხაზეთის „დეოკუპაცია“ (მე ამ სტატიაში მხოლოდ აფხაზეთზე ვლაპარაკობ, ვინაიდან ცხინვალთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული სიტუაციაა). მართალია, რომ 1999 წლის სტამბულის სამიტზე სწორედ ეუთომ აიძულა ელცინი, დათანხმებულიყო საქართველოდან თავისი ბაზების გაყვანაზე. მაგრამ **ელცინის მაშინდელი რუსეთი და პუტინ-მედვედევის დღევანდელი რუსეთი – ეს ორი თვისობრივად განსხვავებული ქვეყანაა! ასე რომ, დღეს რუსეთი აფხაზეთში გამალებულად აშენებს სამხედრო ბაზებს და ის იქიდან ახლო მომავალში წამსვლელი არაა.** და არც ევროპის მორიგი „შეშფოთება“ აწუხებს, ამ დღეებში რომ გამოითქვა იქ C-300 სარაკეტო კომპლექსების განთავსების გამო.

ბოლო მითი არის, რომ ეს ხელისუფლება აფხაზეთიდან ყველა დევნილს დააბრუნებს თავის სახლებში.

ტრაგიკული რეალობა კი ის არის, რომ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ამის შანსი არ არსებობს და ყველაზე კარგად ეს სწორედ საკაშვილმა იცის!

ვინმეს ეს უცაბედი დამთხვევა ჰგონია, რომ სწორედ 14 აგვისტოს, ომის დაწყების დღეს მერია პოლიციასთან ერთად დაერია გარე მოვაჭრეებს, რომელთა ძირითადი ბირთვი სწორედ აფხაზეთიდანაა დევნილი? **ხელისუფლებამ ისინი ცინიკურად მონათლა „შევარდნაძის დევნილებად“ და არც საარსებო საშუალებას უტოვებს და არც ბოლო არჩევნების დროს შეპირებული საცხოვრებელი ფართის დაკანონებას ჰპირდება.**

წაგებული ომების თარიღებს კი ხელისუფლება ფეიერვერკებითა და კონცერტებით აღნიშნავს; როგორც ჩანს, უხარია, რომ მოიშორა ეს „ზედმეტი“ ტერიტორიები, ახლა კი, ალბათ, „ზედმეტი“ დევნილების მოშორებითაა დაკავებული...

რამაზ კლიმიაშვილი

საავტორო სვეტი

ქვის ხანა — შუა პალეოლითი

ყოველთვის ვამბობდი, რომ ისინი ქვებს ისვრიან. ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის“ დაარსების დღიდან ალალი ნეანდერტალელებისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები კოჭებში ეტყობოდათ.

გადმოცემით, ქვებს ბავშვობიდან ისროდნენ, თუმცა საჯაროდ ეს პირველად ბოლნისში 2003-ში გააკეთეს, ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე; მოგვიანებით კი, უკვე ნამდვილი „ქვის ხანა“ დაიწყო. ისინი (Sonderbrigaden und Einsatzgruppen) ისროდნენ ქვებს პოლიციის სამმართველოსთან და ფურცელაძის ქუჩაზე, სხვა ნაკლებად მასშტაბური ინციდენტების დროს და **იმაში, რომ ხურვალეთში ჩასულ ნინო ბურჯანაძესაც ქვები დაუშინეს, ახალი და უჩვეულო ნამდვილად არაფერია. ვერაფერს ვიზამთ, ჭეშმარიტი ნეანდერტალელი ძირითად ინსტინქტს ვერ დაძლევს და ხელი ნებისმიერ შემთხვევაში ქვისკენ წაუცდება.**

როდესაც მიხეილ სააკაშვილი ცნობილ ფრაზას „ზანგები ვართ თუ ველურები?“ წარმოთქვამდა, ძირითადი ყურადღება ამ პასაჟის რასისტულ შემადგენელზე გადავიდა, არადა, ის მეორე კითხვასაც შეიცავს. **ჩვენი მმართველი ფენის წარმომადგენლები ზანგები ნამდვილად არ არიან, კანის ფერზე ეტყობათ კიდეც, თუმცა ველურობის რა მოგახსენოთ, წეს-ჩვეულებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ალბათ, უფრო არიან, ვიდრე — არა. XXI საუკუნეში ძვებსა და ფეკალიებს** (გაზაფხულის აქციების დროს ასეთი შემთხვევაც იყო) **ისვრიან.** ამასთანავე, ბელადი და მარადიულ ექსტაზში ჩავარდნილი შამანები ჰყავთ... არაფერი პირადული, მხოლოდ ანთროპოლოგია.

„ვინც თქვენ შორის უცოდველია, პირველმა იმან ესროლოს ქვა“.

კიდევ კარგი, რომ იმ დროში და იმ ადგილას არ აღმოჩნდნენ, სადაც ეს სიტყვები ითქვა. ისე ჩაქოლავდნენ, როგორც დაგიბარებია. ზემოთ თქმულის გააზრებისთვის, მათ ევოლუციის გრძელი გზა აქვთ გასავლელი, ჯერჯერობით კი **სააკაშვილის საქართველოში გაგანია პალეოლითია.** ამას მხოლოდ ქვების სროლა როდი ადასტურებს, სწორედ იმ პერიოდისთვის დამახასიათებელმა პრინციპმა **„ან — ჩვენ, ან — ისინი“,** რომელიც ნეანდერტალელებისა და კრომანიონელების ბრძოლას განსაზღვრავდა, ჩვენს რეალობაში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა.

სინამდვილეში სააკაშვილის მმართველობის ისტორია შეიძლება ასეთ ჭრილშიც განვიხილოთ: საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი წლების განმავლობაში ეძებდა თანაარსებობის ფორმას ხელისუფლების სათავეში აღმოჩენილ ჯგუფთან, თუმცა ვერა და ვერ პოულობდა მას, რადგან ურთიერთობების იმ სქემას, რომელსაც ხელისუფლება სთავაზობდა, საკუთარი თავისთვის დეგრადაციისა და გადაშენების საფრთხის შემცველად აღიქვამდა. ხოლო **იქ, სადაც თანაარსებობა შეუძლებელია, იწყება ბრძოლა თვითგადარჩენისთვის, რომელსაც შეზღუდული ეკოლოგიური ნიშის პირობებში კანიბალურ ლოზუნგამდე „ან — ჩვენ, ან — ისინი“** მივყავართ.

ოდესმე (სავარაუდოდ, მალე) ეს შეიძლება ძალიან ცუდად დასრულდეს. იმ სიძულვილმა და სისასტიკემ, რომელთა გამოვლინებებს დღეს მხოლოდ ცალკეულ (საკმაოდ გახშირებულ) ეპიზოდებში ვეჯახებით, ერთ დღეს შეიძლება მთელი ქვეყანა წალეკოს. **მომავლის ისტორიის სახელმძღვანელოებში ეს ეპიზოდი, ალბათ, ცალკე ქვეთავად შევა, სათაურით „ქართველი ერის თვითგენოციდი“** ან **„აუტოგენოციდი“,** გაჩნია, რა ტერმინს აირჩევენ. ბარემ სიტუაცია ქვის ხანის ბინადრებისთვის გასაგებ ენაზე აღვწეროთ (ალბათ, მათაც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ამ დისკუსიაში ჩაერთონ): **როგორც ჩანს, მალე იმ სიზიფის ლოდს, რომელსაც, ამდენი წელია, მივათრევთ, ბოლოსდაბოლოს ჰაერში ავაგდებთ და შუბლს შევუშვერთ** (ტერმინების განმარტება, ისევ და ისევ მათთვის, ვინც ქვებითაა შეიარაღებული: სიზიფე ყოფილი ბელადია, რომელიც, მარტივად რომ ვთქვათ, შამანებს არ უჯერებდა. ალბათ, საკმარისია, დამატებით დეტალებს განვითარების მომდევნო საფეხურზე შეიტყობენ).

ისე, ქართულ ენაში სიტყვებს „ქვებს ისვრის“ როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში, ორივე მნიშვნელობა ისეა შერწყმული, რომ ვერც გაარჩევ, სად მთავრდება გადატანითი და იწყება პირდაპირი. ორივე თვალსაზრისით, დაუღალავად ისვრიან და დასასრული ამ პროცესს არა და არ უჩანს. **კულტურასა და ცივილიზაციას, რომლის განვითარებას ამდენი ათასწლეული მოხმარდა, თანდათან ქვების სქელი ფენა ფარავს. დასანანია, სხვა თუ არაფერი... ნუთუ ევოლუციის მწვერვალზე ისევ ქვებით შეიარაღებული პიტეკანტროპები უნდა ვიხილოთ?**

კარგი იქნება, თუ რაიმე ალტერნარიულ სცენარს მოვძებნით.

დიმიტრი მონიავა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

გაფრაზებულნი

დავით ზურაბიშვილი,
რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:

დღეს ხელისუფლების სათავეში არის პიროვნება, რომელსაც საკუთარი თავი და ქვეყანა აქვს გაიგივებული. მას ეს ქვეყანა აინტერესებს იმდენად, რამდენადაც თვითონ არის აქ უფროსი. თუ თვითონ არ იქნება სათავეში, მას ეს ქვეყანა საერთოდ არ აინტერესებს. ხვალ რომ დარჩეს ერთი რაიონი საქართველოში და დანარჩენი დავკარგოთ (ღმერთმა ნუ ქნას და ეს არც მოხდება), ის მაინც იქნება კმაყოფილი და იქნება იმის მმართველი. აი, ასეთი ტიპია.

„ახალი თაობა“



მამუკა გიორგაძე,
სახალხო პარტიის თავმჯდომარე:

„ნაცმოძრაობაში“ თუ ხარ, მაპატიეთ, მაგრამ „ჩმორი“ ხარ, თუ „ნაცმოძრაობიდან“ გამოხვალ, რა, ვაჟკაცი ხდები? არა, ბატონო, რა „ჩმორიც“ იყავი, ის დარჩები. „მოქკავშირსა“ და „ნაცმოძრაობაში“ გაზრდილ ადამიანს რომ ჯიგარი ქართული ვერ ექნება, ეს ხომ არ არის საკამათო. მენტალურად ეს ადამიანები ერთი და იგივე არიან.

„ახალი თაობა“

თეიმურაზ შაშიაშვილი,
„თეთრი მოძრაობის“ ლიდერი:

ერთი სიკვდილი გავათავე, როდესაც ავსტრიაში, ქალაქ ინსბრუკში ვიყავი და სასტუმრო „პენზში“ ქართველები მასხრად აგვიგდეს, — თქვენი მერის ცოლი ამ სასტუმროში გაშავებული გვყავს, ქურდობისთვის დავაპატიმრეთო... ის პერიოდი იყო, როდესაც ლელა კილაძე არ გახლდათ უგულავას ცოლი და ის იყო მიხეილ სააკაშვილის ვიზაჟისტი.

„ალია“

შალვა ნათელაშვილი,
ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე:

დიდი სიამოვნებით მივცემ ჩვენებას ჰააგის სისხლის სამართლის ტრიბუნალს, არაერთხელ გამიკეთებია ამის შესახებ განცხადება. რაც ვიცით, ყველაფერს ვეტყვით, პრობლემა არ არის. ვიტყვი, რომ ეს კაცი არის დამნაშავე, რომელმაც დაბომბა თავისი ქვეყნის ტერიტორია და მძინარე ქალაქი...

„ალია“

გიგი უგულავა,
თბილისის მერი:

„მოვაჭრეებმა უნდა გაიგონ, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია თითოეული თბილისელი მომხმარებლის ინტერესების დაცვა. როცა მალფუჭებადი პროდუქცია 40 გრადუს სიცხეში იყიდება, მის ხარისხსა და უვნებლობაზე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ“.

„რეზონანსი“

ბექაურის «აშტრომს» 203-მილიონიანი პროექტიდან აძევებენ



ახალი გადანაწილებები ხელისუფლების ბიზნესში

ხელისუფლებაში გზების დაგებაში გახარჯული მილიონების ხელახალი გადანაწილება იწყება. 203-მილიონიანი პროექტიდან „აშტრომს“ აძევებენ. ჯერ უცნობია, ვინ გააგრძელებს მის დაწყებულ საქმეს, თუმცა საუბარია, რომ „აშტრომი“, სამცხე-ჯავახეთში გზების რეაბილიტაციის პროექტში მონაწილე სხვა კომპანიებმა გადაყლაპეს, რადგან მათ უკან უფრო წონიანი მაღალჩინოსნები დგანან.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტის წევრი, „ნაციონალი“ კობა ბექაური, როდესაც მას ჟურნალისტ შალვა რამიშვილის მოსყიდვის მიზნით 100.000-ის გადაცემის დროს თავზე სამართალდამცავები დაადგნენ, აცხადებდა, 150 ათასი ისრაელში მცხოვრებმა ბიზნესმენმა უპროცენტოდ მასესხაო. ვერსიები, რომელიც ბექაურსა და რამიშვილს ჰქონდათ — თითქოსდა ორივე მათგანი თავის მხრივ გამოძიებას ატარებდა, ამ ეტაპზე ჩვენი განხილვის საგანი არაა, ამჯერად ბექაურის ბიზნესის ებრაულ კვალზე უნდა ვისაუბროთ.

ისრაელში დარეგისტრირებული კომპანია „აშტრომ ინტერნეიშენალი“ სამცხე-ჯავახეთში გზების რეაბილიტაციის პროექტში მონაწილეობდა. 203-მილიონიანი პროექტი ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში გზის რეაბილიტაციას ითვალისწინებს. რამდენიმე სხვა გავლენიან კომპანიასთან ერთად, გზის ამ მონაკვეთის რეაბილიტაციის მიზნით ჩატარებულ ტენდერში კომპანია „აშტრომ ინტერნეიშენალმა“ გაიმარჯვა. აღნიშნულ კომპანიას სწორედ სკანდალური დეპუტატის, კობა ბექაურის სახელს უკავშირებენ. **ბექაური აღნიშნული კომპანიის მიერ ჩატარებული სამუშაოების პრეზენტაციებზე რამდენიმეჯერ დაუფარავადაც გამოჩნდა. ხელისუფლებამ მას პარლამენტარის უფლებამოსილება კი შეუწყვიტა, მაგრამ იგი დღემდე სარგებლობდა „ნაციონალობის“ სხვა სიკეთეებით.** მეტიც, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების განცხადებით, „აშტრომ ინტერნეიშენალსაც“ სწორედ მისი წყალობით ჰქონდა გახსნილი გზები ტენდერებში.

სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტი „ათასწლეულის გამოწვევის“ ფონდიდან დაფინანსდა და მას მონიტორინგს „სოროსის ფონდი“ უწევდა. სწორედ **მონიტორინგის შედეგად, ამ ფონდმა უამრავი დარღვევა აღმოაჩინა, ჯერ კიდევ რამაზ ნიკოლაიშვილის საგზაო დეპარტამენტის უფროსად მუშაობის პერიოდში, თუმცა ამას ნიკოლაიშვილის კარიერაზე არ უმოქმედია.** მეტიც, იგი პრეზიდენტმა ჯერ ორდენით დააჯილდოვა, შემდეგ კი დააწინაურა და მინისტრის პორტფელი უბოძა. არადა, **პროექტი, რომლის ღირებულებაც ნიკოლაიშვილმა 102 მილიონიდან 203 მილიონამდე გაზარდა და რომელიც გზის 245-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციას ითვალისწინებდა, „სოროსის ფონდის“ მონიტორინგის შედეგებით სერიოზული ხარვეზებით მიმდინარეობდა.** მონიტორინგში ასევე ნათქვამი იყო, რომ **35-მილიონიანი კონტრაქტი აზერბაიჯანულ კომპანია „აზერ შაათსერვისს“ ყოველგვარი ტენდერის გარეშე გადაეცა.**

> **35-მილიონიანი კონტრაქტი აზერბაიჯანულ კომპანია „აზერ შაათსერვისს“ ყოველგვარი ტენდერის გარეშე გადაეცა.**

მოგეხსენებათ, „სოროსის ფონდი“ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ფრთად ითვლება. მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, სავარაუდო იყო, რომ **ბოკერია-რამიშვილის ხაზი გზებიდან „ფულის მოტეხვაზე“ კონტროლს ითხოვდა.** ამ ვარაუდს ისიც ამყარებს, რომ **ამავე პროექტში მონაწილეობდა „ბლექ სი გრუპი“, რომელიც ოპოზიციური დეპუტატების განცხადებით, ამირან მამუჩაძეს ეკუთვნის, რომელიც დეპუტატ გივი თარგამაძის დეიდაშვილია.** „კომერსანტის“ ინფორმაციით კი, ახლახან „აშტრომს“ პროექტი დაატოვებინეს, რადგან სამუშაოების განსაზღვრულ ვადებში დასრულებას ვერ ახერხებდა და დღეს მის საქმიანობას შემოსავლების სამსახური და საგამოძიებო დეპარტამენტი სწავლობს.

გზების დაგება, რომელიც საქართველოში ერთ-ერთ პრიორიტეტად ითვლება, ოპოზიციონერი დეპუტატების განცხადებით, მილიონების კეთების საუკეთესო საშუალებაა. სწორედ ამიტომ **ტენდერებს ის კომპანიები იგებენ, რომელთა უკანაც ხელისუფლების მოქმედი თუ ყოფილი წევრები დგანან. ასეთებად კი დავით კეზერაშვილი, კობა ბექაური, მაია ნადირაძე, გივი თარგამაძე, ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა, გიგა ბოკერია** და სხვები სახელდებიან. იმ სქემის მიხედვით, რომელიც ოპოზიციამ შეადგინა, გზების რეაბილიტაციაზე გაწერილი მილიონები ხელისუფლების მაღალჩინოსნებში ნაწილდება. **ბექაური გახდა ხელისუფლებისთვის მიუღებელი მოთამაშე თუ მისი კომპანიის გაძევება და ჩაძირვა გივი თარგამაძის ბიზნეს ინტერესებს უკავშირდება, ძნელი სათქმელია.** თუმცა პროექტში „ბლექ სი გრუპის“ დარჩენა და „აშტრომის“ გამოძევება, რომლის დარღვევებითაც აქამდე სამართალდამცავი ორგანოები არ დაინტერესებულან, კითხვის ნიშნებს ნამდვილად აჩენს.

სოფო გელაშვილი

მოკლედ



პროდუქტები გაძვირდა

ქართულ ბაზარზე ხილბოსტნეული გაძვირდა. საშუალოდ 10-30 თეთრითაა გაძვირებული კარტოფილი, კომბოსტო, სტაფილო და საზამთრო. მომატებულია შაქრის ფასიც, უახლოეს დღეებში კი პურისა და პურპროდუქტების გაძვირებას ელიან. ბაზარში მოვაჭრეები პროდუქტის გაძვირებას დედაქალაქში გარევაჭრობის აკრძალვას უკავშირებენ. მათი განმარტებით, ადრე გარემოვაჭრეებს დღეში საკმაოდ სოლიდური შემოსავალი – რიგ შემთხვევებში 50 ლარიც კი რჩებოდათ. ბაზარში გადანაცვლების შემდეგ მათი დღიური შემოსავალი საშუალოდ 20 ლარამდე შემცირდა, ამიტომ იძულებულნი გახდნენ. პროდუქტის ფასში თავიანთი მოგების წილი გაზარდონ. სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში ფასები კიდევ უფრო მოიმატებს.

სააკაშვილი ანტირუსულ ბლოკს ქმნის

რუსულ პრესაში უკვე საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დსთ-ის ტერიტორიაზე 1999 წელს აშშ-ის პატრონაჟით შექმნილი სუამის (საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვის ალიანსი) ფარგლებში „ანტირუსული ბლოკის“ აღდგენას ცდილობს. ანალიტიკოსები იმასაც ვარაუდობენ, რომ ალიანსის შემადგენლობა გადახალისდება და უკრაინის ადგილს ბელარუსი დაიკავებს. სუამის საქმიანობის განახლებაზე ისაუბრა ახლახან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემაც. მისი თქმით, „ოთხეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრები შემოდგომაზე გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში ნიუ იორკში შეიკრიბებიან და სუამის სამიტის თარიღს დაადგენენ.



იერუსალიმში დამცავ კედელს ანგრევენ

ისრაელის თავდაცვის ჯარმა იმ ორმეტრიანი ბეტონის კედლის დანგრევა დაიწყო, რომელიც რვა წლის წინ იერუსალიმის ებრაულ კვარტალ გილოსა და არაბულ ბეიტ-ჯალას შორის ებრაელების არაბებისგან დასაცავად აღიმართა. ახლა მთავრობა მიიჩნევს, რომ მოსახლეობას საფრთხე აღარ ემუქრება. 2000-2002 წლებში, როდესაც ისრაელსა და პალესტინელებს შორის კონფლიქტი მკვეთრად გამწვავდა, გილოს კვარტალი არაერთხელ გახდა ტყვიამფრქვევებისა და სნაიპერების სამიზნე. ადგილობრივი მოსახლეობა შეშფოთებულია, კედელი მათ უსაფრთხოების შეგრძნებას უჩენდა. ჯარის სარდლობამ მდგომარეობიდან მშვენიერი გამოსავალი მოძებნა და განაცხადა, რომ, თუ საჭირო იქნება, კედელს ისევ ააშენებენ.

მორალური ხარაკირი

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვიცე-კანცლერმა გიდო ვესტერველემ დიდი მსხვერპლი გაიღო და განაცხადა, რომ თავის პარტნიორს მიქაელ მრონცას არ წაიყვანს იმ ქვეყნებში ოფიციალური ვიზიტებისას, სადაც ჰომოსექსუალიზმი აკრძალულია ან სისხლის სამართლით დასჯად ქმედებად ითვლება. ამასთან, მინისტრმა დასძინა, რომ მისი სექსუალური ორიენტაცია არანაირად არ ავიწროვებს მისი მუშაობის სფეროს. ვესტერვალემ დანარჩენ ჰომოსექსუალებს შეახსენა, რომ ამგვარი კავშირისთვის ირანში, სუდანში, იემენში, მავრიტანიაში, სომალში, ნიგერიაში და საუდის არაბეთში სიკვდილით სჯიან, მსოფლიოს 75 სხვა ქვეყანაში კი ასამართლებენ. მინისტრის ამ განცხადებას პრესაში „მორალური ხარაკირი“ უწოდეს.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

პოლიცია განსაკუთრებით იმ ახალგაზრდებზე ნადირობს, რომელთა მშობლები საზღვარგარეთ იმყოფებიან

ჩვენს ქვეყანაში ყველაფერს ძალოვნები რომ წყვეტენ, ვხედავთ და შევეჩვიეთ; აღარ გვიკვირს, რომ სასამართლო პოლიტიკისა და პროკურატურის შემადგენელი ნაწილია და სიმართლეზე თვალს ხუჭავს; ვხედავთ, შევეჩვიეთ და აღარ გვიკვირს, თუკი ვინმე უდანაშაულო პიროვნებას, „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა ინტერესებიდან გამომდინარე, საპყრობილეში მოათავსებენ.

დღეს საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენაა: ბიზნესის დატერორება, ადამიანის უფლებათა ფეხქვეშ გათელვა, პირდაპირ ქუჩებში ახალგაზრდების ხოცვა-ჟლეტა, მოსმენ-დასმენის ინსტიტუტის ფაქტობრივი დაკანონება, ქვეყანაში საყოველთაო შიშისა და სასოწრკვეთილების დანერგვა. ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიოს“ თავის მოსაზრებას უზიარებს პიროვნება (ვინაობის გამხელა არ ისურვა), რომელმაც რამდენიმე ათეული წელი იმუშავა სამართალდამცავ ორგანოებში მაღალ თანამდებობებზე:

ზამთარში დამშეულ მგელთა ხროვა რომ გამოვა საშოვარზე, ისეა დღეს პოლიცია, უფრო მეტად — საპატრულო პოლიცია. აგედევნებიან, გითვალთვალებენ, იქნებ, რაიმე შეცდომა დაუშვა ავტომანქანით მოძრაობის დროს და დაჯარიმებისთვის საბაბი იშოვონ. თუნდაც უმნიშვნელო დარღვევის დროს მგლებივით დაგესევიან; სიტყვას ვერ შეუბრუნებ, რადგან ვითარებას დაძაბავენ, გაართულებენ და შეიძლება საპატიმროშიც აღმოჩნდე.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ, პოლიციამ ხალხის ნდობა მოიპოვაო. სიცრუეა, მათ მიმართ მხოლოდ შიში და ზიზღი იგრძნობა. ისინი პატივისცემით მხოლოდ მათივე ოჯახის წევრებსა და ახლობლებში სარგებლობენ. პოლიცია ვერ იტანს ქუჩაში თავმოყრილ ახალგაზრდებს, მით უმეტეს, თუკი რომელიმე მათგანი ნასამართლევია ან პირობითი სასჯელი აქვს. ზუგდიდში მათ ქუჩებში გამოსვლა ეკრძალებათ. პერიოდულად, „პროფილაქტიკისთვის“, ასეთ პირებს ოჯახებში უვარდებიან, მიჰყავთ იძულებით ნარკოლოგიურ შემოწმებაზე. თუ ვინმემ პრეტენზია გამოთქვა ან გამოესარჩლა, პოლიციის მუშაკისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდება გარანტირებული გაქვს. თავს ვერ გაიმართლებს, მოწმეები ხომ ისევ პოლიციელები არიან?! იქით უნდა ეხვეწო და მადლობა უნდა გადაუხადო, აღკვეთის ღონისძიებად „გირაო“ თუ გაგიფორმეს და საბოლოოდ საპროცესო გარიგებას დაგაჯერეს.

ჩვენთან პოლიციელებს ნარკოტიკულ საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთა გამოვლენა „ცოტა სხვანაირად“ ესმით და ამისთვის თავისებურ ხერხს იყენებენ; მაგალითად, **მოიყვანენ პიროვნებას, რამდენიმე საათს ამყოფებენ სამმართველოში ან პოლიციის განყოფილებაში, შემდეგ კი მოწყურებულს წყალს მიაწოდებენ, ამ წყალში კი ნარკოტიკია გარეული. დაკავებული დალევს ამ წყალს, 1-2 საათის შემდეგ წაიყვანენ ნარკოლოგიურ შემოწმებაზე და ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ფაქტიც სახეზეა. მე შენ გეტყვი და დაამტკიცებ შენს სიმართლეს.** სწორედ ამის გამო არ მიჰყავთ პიროვნება დაკავებისთანავე შემოწმებაზე, აჩერებენ რამდენიმე საათს, წყურვილმა რომ შეაწუხოს. პოლიციის ეს მეთოდი ცნობილი გახდა და ყველა ცდილობს, არ დალიოს პოლიციის მუშაკის მიერ მოწოდებული წყალი. ამიტომ საჭირო გახდა სხვა ხერხის გამოძებნა და გამონახეს კიდეც. **პოლიციაში მოჰყავთ დაკავებული, ძალის გამოყენებით გაუკეთებენ ნარკოტიკს ნემსით (ეს მეტწილად ხდება საღამოობით). დაკავებულს არ აძლევენ თავის ადვოკატთან და ახლობლებთან შეხვედრის უფლებას. დაკავებული რამდენიმე საათის განმავლობაში იზოლირებულია, შემდეგ კი მიჰყავთ შემოწმებაზე. ამასობაში გადის 5-6 საათი და, რომც მოინდომო, ნემსის ნაჩხვლეტს მაინც ვერ უპოვნი.**

პოლიციის სამმართველოებსა და განყოფილებებში მოულოდნელი შემოწმება რომ ჩაატარონ, დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას აღმოაჩენენ. პოლიციის ყველა სამმართველოსა და განყოფილებაში ჰყავთ სპეციალურად ასეთი სამუშაოების შემსრულებელი გამომძიებლები და ოპერატიული მუშაკები.

მართლაც, რაც ბოლო პერიოდში ხდება, უკვე მეტისმეტია. ზუგდიდელები: მალანია, ჭანტურია, აკობია, კუკავა და სხვები ასეთი თავხედი და აღვირახსნილი პოლიციელების გამო უკანონოდ არიან დაკავებულნი და შესაძლებელია მხოლოდ კოლოსალური თანხის გადახდის შემდეგ დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას, წინააღმდეგ შემთხვევაში 7-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. **პოლიციელები განსაკუთრებით ნადირობენ იმ ახალგაზრდებზე, რომელთა მშობლები საზღვარგარეთ იმყოფებიან.** პროკურატურა კი წაყრუებას არჩევს, რადგან გირაოსა და საპროცესო შეთანხმების დროს მიღებული თანხები საკმაოდ სოლიდურია.

ლადო ქირია,
ზუგდიდი

გამოხმაურებები

ირაკლი მელაშვილი,
ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი:

განმუხურში რა ვიზეიმეთ 8 აგვისტოს? რის გამო გავუშვით ფეიერვერკები? არასოდეს დამავიწყდება ის კითხვა, როდესაც „ბი-ბი-სის“ წამყვანმა 2008 წლის აგვისტოს თბილისში მყოფ თავის ჟურნალისტს ჰკითხა, — ეს ქართველები დროშებს რომ აფრიალებენ და ზეიმობენ, ვერ დაინახეს, რა დაემართათო?

„ალია“



გიორგი ტუღუში,
სახალხო დამცველი:

ჩემი მხრიდან არაერთი რეკომენდაცია იყო გაკეთებული, პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამო. ეს ეხებოდა როგორც ცემას, ასევე სხვადასხვა სახის შეურაცხყოფას. როდესაც პროკურატურას მასალები გადავუგზავნე და ძიების დაწყებას ვითხოვდი, რამდენიმე ინციდენტში უშუალოდ დაწესებულების ხელმძღვანელობა ფიგურირებდა, მათ შორის, დირექტორი და მოადგილეები.

„რეზონანსი“

შალვა ხაჭაპურიძე,
პარტია „ჩვენი საქართველოს“ ლიდერი:

სააკაშვილის მიერ აშენებულმა ვითომდა სახელმწიფომ ხალხს ვერ მისცა უსაფრთხოება, ეროვნული თვითმყოფადობა, სოციალური თანასწორობა და ეკონომიკური კეთილდღეობა. სამართლიან სასამართლოსა და კანონიერებაზე ოცნებაც კი სასაცილოა... აღარაფერს ვამბობ თავისუფალ არჩევნებზე, რაც უკვე ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება...

„ალია“

თენგიზ სანაძე,
აკადემიკოსი:

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებიდან წიგნები არაერთხელ დაკარგულა, მაგრამ ამის გამო არავინ მოუხსნიათ, არავინ დაუჭერიათ და არავინ გადაუყენებიათ. ამიტომაც ვთვლი, რომ ხუბუა ამის გამო კი არ გადადგა, არამედ გაცილებით სხვა სერიოზული მიზეზი არსებობს, რომელიც ფართო საზოგადოებამ არ ვიცით.

„რეზონანსი“

ჯემალ მებონია,
პროფესორი:

წიგნი რომ დაიკარგა, ცუდია, მაგრამ უნივერსიტეტი რომ დაკარგულდანგრეულია, ესაა ყველაზე დიდი კატასტროფა და მთავარი დანაშაული. არ მინდა წაქცეულ კაცზე ცუდის თქმა, მაგრამ ფაქტია, რომ ხუბუას გააკეთებინეს შავი საქმე და მოიშორეს.

„რეზონანსი“

მოკლედ

„ქრისტიან-დემოკრატები“ მართვას სწავლობენ

მთელი საქართველოს მასშტაბით საკრებულოებში „ქრისტიან-დემოკრატების“ 80-მდე წარმომადგენელს აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ორგანიზებით გამართულ შიდაპარტიულ კონფერენციაზე ასწავლეს, თუ როგორ უნდა მართონ რეგიონები და რა გზით უნდა განვითარდნენ რეგიონული თვითმმართველობის ორგანოები. ბოლოს კი „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა გიორგი თარგამაძემ ყველასთვის კარგად ნაცნობი საკრალური ტექსტი გაიმეორა: „მთელი საქართველოს მასშტაბით ჩვენი დეპუტატები იქნებიან მოსახლეობის პრობლემების თანაზიარი. გააკეთებენ ყველაფერს, რათა ამ პრობლემების მოგვარებას ხელი შეუწყონ“. სიახლე ისაა, რომ ამერიკელებმა ურჩიეს, „ასეთ საქმეებს პოლიტიკური პასუხისმგებლობის გარდა, შესაბამისი ცოდნით შეიარაღებაც სჭირდებაო“.

ირანი ახალ ბირთვულ ცენტრს აშენებს

ირანის ატომური ენერგიის ორგანიზაციის ხელმძღვანელის — ალი ალბარ სალეხის განცხადებით, ქვეყანაში რიგით მესამე ბირთვული ცენტრის მშენებლობა 2011 წელს დაიწყება. სად განთავსდება ცენტრი, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ეს ნამდვილად იქნება საჰაერო დარტყმებისგან დაცული ტერიტორია. ამჟამად ქალაქ ნათანზში უკვე მოქმედებს ბირთვული ცენტრი, მეორის მშენებლობა კი გარეუბან ფორდოში მიმდინარეობს. 2009 წლის შემოდგომაზე ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა განაცხადა, რომ ქვეყანაში კიდევ ათი ბირთვული ცენტრი აშენდებოდა. ქვეყნის ხელისუფლება დაჟინებით ამტკიცებს, რომ ბირთვული პროგრამა მშვიდობიანია, თუმცა უცხოელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ის ბირთვული იარაღის შექმნას გეგმავს.

ჩრდილოეთ კორეა — Twitter-ში

12 აგვისტოს Twitter-ში გაჩნდა მიკრობლოგი, რომელსაც ჩრდილოეთ კორეის ოფიციალური ბლოგის პოზიცია უჭირავს და რომელმაც უკვე მოაგროვა 900-ზე მეტი ხელმომწერი. მაშინ, როდესაც სამხრეთ კორეა ჩრდილოელ მეზობელს გაერთიანებისა და ერთობლივი განვითარების გეგმას სთავაზობდა, ამ ბლოგზე განთავსდა იმ ინტერნეტსაიტის მისამართი, რომელოზეც სამხრეთ კორეისა და აშშ-ის მიმართ კრიტიკული მასალები ქვეყნდება. საიტის დასახელება, uriminzokkiri.com, „ჩან ნაციას“ ნიშნავს და სამხრეთ კორეაში ის დაბლოკილია. იმის თაობაზე, რომ uriminzokkiri.com ფხენიანის ოფიციალური საიტია, ინფორმაცია ვერ ზუსტდება. რესურსი ჩინეთშია დარეგისტრირებული და მიკრობლოგის კონტაქტები ჩინეთში დარეგისტრირებულ კიდევ ერთ საიტამდე, silibank.com-მდე მიდის.

კოალიციის დანაკარგები იზრდება

ავღანეთში კოალიციის საერთაშორისო ძალების დანაკარგებმა 2000-ს გადააჭარბა. დამოუკიდებელი საიტის iCasualties.org-ის ინფორმაციით, 2001 წლიდან ამ დრომდე სულ 2002 სამხედრო დაიღუპა, მათგან 1226 ამერიკელია, 331 — ბრიტანელი და 445 — სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელი. როგორც გამოცემა იტყობინება, ახლა ავღანეთში აშშ-სა და ნატოს 140.000 ჯარისკაცია. პრეზიდენტ ობამას გეგმის მიხედვით, ჯარების სრულმასშტაბიანი გამოყვანის პროცესი 2011 წლის ივლისში დაიწყება და 2014 წლამდე უნდა დასრულდეს. მაგრამ ეს ობამას გეგმაა, კოალიციური ძალების ახალი სარდალი დევიდ პეტრუესი კი აცხადებს, რომ ამ ვადებთან არანაირი შეხება არ აქვს და ყველაფერი რეგიონში შექმნილ მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

სანახაობა უპურობდ

საკვები პროდუქტების გაძვირების პროცესი, სამწუხაროდ, აგვისტოშიც გრძელდება. როგორც ეკონომიკის ექსპერტები ვარაუდობენ, შესაძლოა, აგვისტო ივლისზე უფრო მეტად მაღალინფლაციური იქნეს. ამჯერად ფასების მატება პურსა და მარცვლეულ პროდუქტს ემუქრება.

ნოდარ კაპანაძე:
რომ მოშივდება, ტურისტს ხომ არ შეჭამს ხალხი?

ნოდარ კაპანაძე, ეკონომიკის ექსპერტი:

— შესაძლებელია ფასები ხელოვნურად გაზარდეს, თუმცა, საქართველო რომ მთლიანად ექსპორტირებულ საქონელზეა დამოკიდებული, ფაქტია. მგონია, რომ ფასების მომატება უფრო ხორბლის გაძვირებასთანაა დაკავშირებული, რაც გამოიწვია გვალვების გამო ხორბლის მოუსავლიანობამ, რასაც საბოლოო ჯამში ხორბლის დეფიციტიც მოჰყვა.

— ასეთი შემთხვევისთვის სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს თუ არა რაიმე განსაკუთრებული გეგმა?

— სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს დამუშავებული მარცლეულის ბალანსი. ერთ პატარა მაგალითს მოვიყვან: მოგეხსენებათ, სამხრეთ კორეა მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყანაა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ცნობილია ტექნიკური შესაძლებლობებით, გადაწყვიტეს, რომ ფული ჩაედოთ ბრინჯის ბიზნესში. იმის გამო, რომ გლეხები ქალაქში არ გაქცეულიყვნენ, ბრინჯის მოყვანისთვის თავი არ დაენებებინათ, სპეციალური პროგრამა შეიმუშავეს. ანალოგიური ღონისძიება ტარდება შვეიცარიაშიც მეცხოველეობის ხელისშესაწყობად, ნორვეგიაში — მეთევზეობის გასავითარებლად. **ყველა ქვეყანაში, რომელიც ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნად ითვლება, სოფლის მეურნეობას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ.** აუცილებელია, ჩვენნაირ ქვეყანას ჰქონდეს შემუშავებული სტრატეგიული გეგმა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით.

გია ხუხაშვილი:
მოსახლეობის დიდი ნაწილი პურზე და წყალზეა

— დღესდღეობით სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ყველაზე ნაკლებად ზრუნავს ხელისუფლება. ამ ეტაპზე ტურიზმის განვითარებაა პრიორიტეტული...

— სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდი დრო სჭირდება. მისი მხარდაჭერა განსაკუთრებულ ძალისხმევასა და ენერგიას მოითხოვს და ნაკლებსახალისოცაა, განსხვავებით ტურიზმისგან, მაგრამ რად გვინდა ისეთი ტურიზმი, თუ ხალხი მშიერი მოკვდა. ტურისტს ხომ არ შეჭამს ხალხი, რომ მოშივდება?

გია ხუხაშვილი, ეკონომიკის ექსპერტი:

— პური ერთ-ერთი სტრატეგიული პროდუქტია. ამ ხანძრებმა და გვალვებმა ხორბლის მოსავალს მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა. ის ფაქტი, რომ რუსეთმა ხორბალზე ემბარგო დააწესა, სტრატეგიული და არა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. რუსეთი თავს იზღვევს; ცდილობს, შექმნას ხორბლის მარაგი, რათა თავიდან აიცილოს პურის კრიზისი. ბუნებრივია, ეს გარკვეულწილად დაძაბულობას გამოიწვევს ხორბლის ბაზრებზე.

პურის გაძვირება მოსალოდნელია, რადგან მასზე მოთხოვნა გაიზრდება. თუ როგორ აისახება ეს ქართულ ბაზარზე, თქმა მიჭირს, მაგრამ რადგან საქართველოში მძიმე სოციალური ფონია, ირიბი გზით გააძვირებენ. ჩვენთან გაძვირებას პროდუქტის შეფუთვის ხარჯზე ახდენენ. შევფუთეთ, დავჭერით და იმიტომ გავაძვირეთო. ეგრეთ წოდებული მცოცავი გაძვირება ბაზარზე ისედაც მიმდინარეობს, ათასნაირი პური იყიდება და შეფუთვების ხარჯზე ფასი უკვე მომატებულია. ალბათ, მალე ამ პროცესის გააქტიურებასთან გვექნება საქმე. ეს კი უფრო დაამძიმებს არსებულ სიტუაციას.

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, შეიძლება ითქვას, მარტო პურზე და წყალზე ცხოვრობს. სტრატეგიული მარაგის შექმნა შეიძლება, მაგრამ არ ვგულისხმობ იმას, რომ მთლიანად სახელმწიფომ შეისყიდოს ხორბლის მარაგი. მან უნდა სცადოს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეშვეობით გააკონტროლოს სიტუაცია ბაზარზე, რომ არ მოხდეს ეგრეთ წოდებული დეფიციტური წყვეტა. ალბათ, ეს იქნება სწორი გზა. ვფიქრობ, რომ ამას უფრო სტაბილური და მუდმივმოქმედი სახე უნდა მიეცეს.

— შესაძლებელია თუ არა, სახელმწიფომ საკუთარი თავი თვითონ უზრუნველყოს ხორბლით?

— ეს ძალიან რთული საკითხია. საქართველოს ფარგლებში მოყვანილი ხორბლის იმედად ყოფნა ძალიან რთულია, როგორც ხარისხით, ასევე რაოდენობის თვალსაზრისითაც. მხოლოდ საკუთარი ხორბლის ამარა ყოფნა სახელმწიფოს, ჩემი აზრით, არ შეუძლია, თუმცა გააქტიურება შეუძლია, რაც პროპორციას შეცვლის შემოტანილ და ადგილობრივ ხორბალს შორის. მაგრამ სახელმწიფოს ყურადღება მთლიანად ტურიზმზე აქვს გადატანილი. ჩვენთან ახლა ვირტუალური ტურიზმის ბუმია. მართალია, ერთი მეორეს ხელს არ უშლის და ტურიზმის განვითარებაც აუცილებელია, მაგრამ, ჩემი აზრით, პრიორიტეტად სახელმწიფომ სოფლის მეურნეობა უნდა დაისახოს და პოლიტიკა შეცვალოს, თორემ მუდმივად გვექნება ეს პრობლემები.

ესაუბრა
ლილი მირუტაძე

სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქტი 1 აგვისტოდან მნიშვნელოვნად გაძვირდა. ფასები ჯერ ალკოჰოლურ პროდუქტებზე, შემდეგ კი სურსათზე გაიზარდა. ალკოჰოლური სასმელების გაძვირებას აქციზური მარკების გაძვირებას უკავშირებენ, სურსათზე ფასების ზრდას კი – უამინდობით გამოწვეულ მწირ მოსავალს.

პურზე ფასები უკვე გაიზარდა საქართველოს რეგიონებში.

კახეთის პურსაცხობებსა და მაღაზიებში **პურს მოსახლეობა 50 თეთრის ნაცვლად უკვე 60 თეთრად ყიდულობს.**

ფასების ზრდას ექსპერტთა ნაწილი კლიმატური პირობების გაუარესებით ხსნის, რაც, თავის მხრივ, მოსავლიანობას ამცირებს. უკვე დადგენილია, რომ **გაძვირდება ყავა, ჩაი, ბრინჯი, კაკაო, შაქარი...**

პურის მწარმოებელი კომპანიები უკვე აქტიურად ალაპარაკდნენ პურის გარდაუვალ გაძვირებაზე. მათი თქმით, **ერთი ტომარა ფქვილის ფასი 29 ლარიდან 34 ლარამდე გაიზარდა**, რის გამოც, ისინი იძულებულნი არიან პური საშუალოდ ათი თეთრით მაინც გაძვირონ. ზოგიერთი სახეობის პური უკვე გაძვირდა, ამასთან, ფასის მატება მომავალშიც მოსალოდნელია.

საერთაშორისო ბირჟებზე ხორბლის ფასმა სწრაფი ზრდა ორი კვირის წინათ დაიწყო და გასულ კვირას ორწლიან მაქსიმუმს, ტონაზე 211 ევროს მიაღწია. ფასი კვლავ იზრდება. ყველაფერი ამის მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ მსხვილმა ექსპორტიორებმა ხორბლის გაყიდვა შეამცირეს.

ფასებს გაზრდისკენ თავდაპირველად ამერიკულ ბირჟებზე რუსეთსა და უკრაინიდან მიღებულმა ცუდმა ამბებმა უბიძგა. მსოფლიოში სიდიდით მესამე ექსპორტიორის, რუსეთის ცენტრალურ ნაწილში გვალვა და მოსავლიანობის შემცირებაა, რასაც ბოლო დღეებში მასშტაბური ხანძრებიც დაერთო. საქმე კარგად არც უკრაინასა და ყაზახეთშია. ფასების ზრდის მოლოდინში გაყიდვა შეაჩერეს იმ მეხორბლეებმაც, რომლებსაც გვალვა არ შეხებია. **15 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე რუსეთში ხორბლის გატანაზე უკვე ემბარგო დაწესდა. ფასებთან დაკავშირებით ექსპერტები დამაიმედებელ პროგნოზებს ვერ აკეთებენ.** მათი ვარაუდით, არ არის გამორიცხული, სპეკულანტებმა ბირჟებზე ფასები კიდევ გაზარდონ. წინასწარი გათვლებით, **ფასები ზრდას სექტემბრამდე განაგრძობს.**

რაც შეეხება აქაურ ფერმერებს, მათი თქმით, წლევანდელმა მოსავალმა არ გაამართლა. კახეთში ყანების დიდი ნაწილი მღრღნელებმა განადგურა. ბევრი ფერმერი ვალებში ჩავარდა, შესაბამისად, მცირე მოსავალი აიღეს და, როგორც წისქვილკომბინატებში ამბობენ, ადგილობრივი ხორბლის მარაგი მხოლოდ სექტემბრის მეორე ნახევრამდე გაწვდება.

თუ გავითვალისწინებთ იმ მძიმე სოციალურ მდგომარეობას, რაც დღეს საქართველოშია, პურის გაძვირება საკმაოდ მტკივნეული იქნება მოსახლეობისთვის. წინა თვეში სამომხმარებლო კალათაზე იმდენად გაიზარდა ფასები, რომ ეკონომიის მიზნით დიასახლისებმა ზოგიერთი პროდუქტი საერთოდ ამოიღეს კვების რაციონიდან. მაგრამ **პურის გაძვირება სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის სოციალურად გაჭირვებულ ფენას.**

გასაგებია, რომ მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები ჩვენს ჯიბეზე აისახება, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება რომ გასართობ და დროსტარების ობიექტებზე მეტ ყურადღებას სოფლის მეურნეობის განვითარებას უთმობდეს, კრიზისულ მდგომარეობაში, ალბათ, არ აღმოვჩნდებოდით.

ლეიბორისტული პარტია პურის გაძვირებაში ხელისუფლებას ადანაშაულებს. მათი თქმით, ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალური მდგომარეობის ფონზე ხელისუფლება პურის ფასს ხელოვნურად ზრდის და ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას დამატებით პრობლემებს უქმნის. ლეიბორისტები მოუწოდებენ ხელისუფლებას, **„მანამ, სანამ მოშიმშილე საზოგადოება ბუნტს მოუწყობს, დაშალოს პურის**

მწარმოებელი მონოპოლისტი კომპანიები, რომლებიც პურის ფასს ხელოვნურად ზრდიან, და პურის სახელმწიფო რეზერვი შექმნას.“

მოკლედ

უნიკალურ წიგნებს არქივიდანაც იპარავენ

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტისა და პროკურატურის თანამშრომლებმა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს.

დაკავებულნი არიან საქართველოს ეროვნული არქივის ბიბლიოთეკის დირექტორი ზურაბ ეცადაშვილი და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი 1948 წელს დაბადებული რობერტ მნაცაკანოვი საქართველოს ეროვნული არქივის ბიბლიოთეკის საცავებიდან XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს ეროვნული, ისტორიული და კულტურული ფასეულობის მქონე უნიკალურ წიგნებზე ბიბლიოთეკის შტამპს შლიდნენ და შუამავალი პირების დახმარებით ახდენდნენ მათ რეალიზაციას როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. დაკავებულია მათი „მუდმივი კლიენტიც“, სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ დირექტორი არჩილ გელოვანი.

დემოკრატები ობამას წინააღმდეგ

ნიუ იორკში ტყუპი ცათამბჯენების ადგილზე მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით აშშ-ის პრეზიდენტის ინიციატივას კონგრესის სენატში დემოკრატთა ლიდერმა ჰარი რიდმა მხარი არ დაუჭირა. მისი პრეს-მდივნის განცხადებით, რელიგიის თავისუფლებისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, რიდი მიიჩნევს, რომ „უმჯობესი იქნება, თუკი მეჩეთი სადმე სხვაგან აიგება“. საინფორმაციო საშუალებები აღნიშნავენ, რომ ეს ის უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც მმართველი პარტიის ფრაქციის ხელმძღვანელი ადმინისტრაციის უფროსის პოზიციას ეწინააღმდეგება. როგორც ცნობილია, თვითმფრინავების გამტაცებელი ტერორისტები წარმოშობით მუსლიმანური ქვეყნებიდან იყვნენ. პრეზიდენტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ცხარე დისკუსიები გაიმართა კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორისაც.

გრეჩიხა, სოსისი, გიმპუ და ანაკლია

ხელისუფლებამ დრო იხელთა და ცხელი ზაფხულის ყოველ დღეს მაქსიმალურად იყენებს — დევნილებსაც ასახლებს, გარემოვაჭრეებსაც დაერია და, ამავე დროს, პიარზეც ზრუნავს, ოპოზიცია კი დროის მოკვლას ცდილობს. პრეზიდენტი სააკაშვილი საქმეს და გართობას ერთმანეთს უთავსებს, ოპოზიციის ლიდერებმაც ტაიმ-აუტი აიღეს და ზოგი მთაში ისვენებს, ზოგიც ზღვაზე ლივლივებს...

„ნუ ეცდები დროის მოკვლას, დრო მოვა და თვითონ მოგკლავს“, — თუ არ ვცდები, ტარიელ ჭანტურიას ეს სტრიქონები ყველაზე კარგად გამოხატავს ქართული პოლიტიკის მრუმე რეალობას. ხელისუფლებამ იცის, რომ დროს ვერ გაუსწრებს, მაგრამ არც უნდა ჩამორჩეს, თორემ სავარძელი „გაასწრებს“. აი, ოპოზიცია კი დღემდე ვერ მიხვდა, რა სურს... ხალხს! და ჰგონია, რომ მიტინგებზე ხმაჩახლეჩილ და ხელებგადატყავებულ, ღამეებნათევ და გვერდებდაჟეჟილ ადამიანებს უკვე დაავიწყდათ ოპოზიციის „სიმღერა“ „ძველმოტივიდან“.

„მიშა წადი!“ — ეს მოწოდება სააკაშვილმა პრეზიდენტობის პირველივე წელს შეუსრულა ოპონენტებს და **„წავიდა ჰეეე...“ — დაიწყო მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო.**

„მიშა მოვდივარ!“ — ეს მოწოდებაც პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო სააკაშვილმა და **„წამოდი, ერთად ვიაროთო“** პასუხიც არ დაუგვიანა თბილისელების „ბატონ პრეზიდენტ“ გაჩეჩილაძეს. მაგრამ, როგორც კი შემოესმა **„მიშა მოვედი, მოვედი!“**, აი, მაშინ კი მოძუძგა და მთელი სამი თვე არ გაკარებია პრეზიდენტის სასახლეს, — **თუ ბიჭი ხარ, შედიო**.

რისი შემსვლელი იყო გრეჩიხა, მიშამაც კარგად იცოდა. იმ გაზაფხულზე ხეებიც კი გაირინდნენ, ემანდ ფოთოლი არ ჩამოგვვარდეს და ეს ნეტარი ოპოზიციის ლიდერები ჩვენი დაუდევრობით ხიფათს არ გადაეყარონო. არც აპირებდნენ სადმე შესვლას, უბრალოდ, ფასს იდებდნენ, მაზანდას სწევდნენ და ხალხის ემოციით სარფიანი ვაჭრობაც გააჩაღეს.

ახლა მიშა პრეზიდენტის საკადრის ტურებს არ იკლებს კარიბის ზღვის კუნძულებზე და ოპოზიციის ლიდერებსაც მთელი სამი თვის მონაგარი აქვს დასახარჯი.

იაპონური სამზარეულოს მოყვარული პრეზიდენტისგან ერთობ მოულოდნელი იყო ანაკლიაში „გრეჩიხის“, სოსისისა და კვერცხის მირთმევა, მაგრამ, თუ საპროტესტო აქციების ლიდერების მოთხოვნებს (ხმამაღლა რომ გამოთქვამდნენ, იმას არა!) გავიხსენებთ და მიშას მადასაც არ დავივიწყებთ, **სრულიად ლოგიკური იქნება იმ „მოვდივარ-მობრძანდის“ შედეგი, როცა მიშამ „ბატონი პრეზიდენტი“ გრეჩიხაც და მისი ამფსონებიც — ზოგი სოსისივით და ზოგიც კვერცხივით — მართალია, უგემურად, მაგრამ უპრობლემოდ გადასანსლა**.

როცა ასეთი შეხმატკბილება, ალბათ, არავის გააკვირვებს პრეზიდენტის ნათქვამი, რომ თურმე სერიოზულად კი არ ფიქრობს ქვეყნის უმძიმესი კრიზისიდან გამოყვანაზე, არამედ ერთობა, ბავშვობის ოცნებებს ისრულებს, რადგან **„ყოველ პრეზიდენტში ბავშვი უნდა ცოცხლობდეს, რომელსაც თავისუფალი მსოფლიო და კონკრეტული საქმეები უყვარს“.**

საქართველოს ძალიან ძვირი უჯდება **„პრეზიდენტი, რომელშიც ბავშვი ცოცხლობს“, და არამარტო წმინდად მატერიალური თვალსაზრისით, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს ავტორიტეტი ნულს ქვემოთ ნიშნულს ჩასცდა, დიდი ხანია...**

ანაკლიის ახალგაზრდულ ბანაკში მოლდოველ და ბელარუს ბავშვებთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრისას სააკაშვილი როლში შეიჭრა და, რაკი ყველაზე კარგად თავს სწორედ ბავშვების გარემოცვაში გრძნობს, ერთობ გაილაღა.

„რა უყვარს ბავშვს? – თამაში, კონკრეტული საქმიანობა, კონკრეტული ნივთის ფლობა და არა — ცარიელი ლაპარაკი. ასევე უნდა იყვნენ პრეზიდენტები: მათაც უნდა ითამაშონ და აშენონ, ოღონდ არა სათამაშო, არამედ ნამდვილი მასალისგან. მეც ასე ვარ, მეც ვთამაშობ, ვაშენებ და კიდევ ბევრს ავაშენებ ასე. ეს ბანაკი ჩემი ახდენილი ოცნებაა, თანაც — ძალიან სწრაფად ახდენილი: თებერვალში ეს ოცნება გამიჩნდა და უკვე მაისში ეს ლამაზი ბანაკი ავაშენეთ. აქ მთავარი ისაა, რომ ოცნებობდე, მიზანი დაისახო და ფრთები შეისხა მის განსახორციელებლად. როცა ფრთები გაქვს, ყველა საქმეს ადვილად უმკლავდები, ოღონდ უნდა გჯეროდეს, რომ სწორი გზით მიდიხარ და ყველაფერი გამოგივა. იმედი კი ის საუკეთესო კომპასია, რომელიც დასახულ მიზნამდე აუცილებლად მიგიყვანს“, – მიმართა (სხვათაშორის რუსულად!) მიხეილ სააკაშვილმა მოლდოველ და ბელარუს ახალგაზრდებს.

„მეც ასე ვარ, მეც ვთამაშობ“, — გგონიათ ეს სიტყვები უბრალო წამოცდენაა? არა, ის მართლა თამაშობს, მას სახელმწიფოს მართვა თამაში ჰგონია და, როცა ორი წლის წინათ მისთვის **კონკრეტული სათამაშო — სახელად „საქართველო“** „დაამტვრია“ და საერთოდ დაკარგვის საფრთხის წინაშეც დადგა თავისივე, რბილად რომ ვთქვა, სულსწრაფობით, მაშინვე აჭინჭყლდა...

ჭირვეული ბავშვი ოჯახის პრობლემაა, ჭირვეული პრეზიდენტი კი მთელი ქვეყნის თავსატეხია. ომწაგებული ქვეყნის ტერიტორიებდამკარგავმა პრეზიდენტმა თებერვალში გაჩენილი ოცნება უკვე მაისში აიხდინა. **ახლა უკვე ძნელი წარმოსადგენი არ არის, რატომ არ ეთმობა პრეზიდენტობა — საკუთარი ოცნებების ახდენის, უცნაური ახირებების რეალობად ქცევის ყველაზე კარგი საშუალება.**

სააკაშვილის ამ განცხადებას მოლდოველ და ბელარუს ბავშვებთან ერთად მისი მოლდოველი კოლეგა მიხაი გიმპუც ისმენდა. იმიტომაც გაამახვილა ყურადღება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან კავშირების განწყვეტის დაუშვებლობაზე — **„ძველი, წლებით გამოცდილი მეგობარი 100 ახალს უდრის“.**

ახლა გაიგო სააკაშვილმა, რომ „ახალი არ უნდა, ძველი ურჩევნია“? ახლა, როცა საქართველოს უკვე ძალიან ძვირად დაუჯდა მისი „ფაეტონზე ჯდომა“?

„ალბათ, საქართველოში ყოფნის ხანმოკლე პერიოდში თავადაც დარწმუნდით, რომ ჩვენ ძალიან გვიყვარს ბელარუსებიც, მოლდოველებიც, უკრაინელებიც, სომხებიც, აზერბაიჯანელებიც, რუსებიც და ყველა სხვა ხალხი, რომელიც ოდესღაც ერთიან სახელმწიფოში – სსრკ-ში ცხოვრობდა. ჩვენ ძალიან მრავალეთნიკური ქვეყანა ვართ. ჩემ შესახებაც კი ხშირად გამიგია, „სააკაშვილი სომეხია, ებრაელია, მოლდოველია...“ და ა.შ. ადრეც მითქვამს და ახლაც ვეტყვი ჩემს ხალხს: **თუ არ მოგწონთ სომხები, მე თქვენთვის სომეხი ვიქნები, თუ ვერ იტანთ რუსებს, ვიქნები რუსი და, ამავე დროს, დავრჩები ყველაზე დიდ ქართველად, რადგან დაუშვებელია ადამიანთა დაყოფა ეთნიკური, რასობრივი და სხვა ნიშნით.** ერთადერთი საზღვარი შეიძლება, **კარგ და ცუდ ადამიანებს შორის გაივლოს და ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობ, ყურადღების კონცენტრირება ცუდ ადამიანებზე არ ღირს, რადგან ირგვლივ ამდენი კარგი ადამიანია“,** — მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა ბელარუს და მოლდოველ ახალგაზრდებს.

„სააკაშვილი სომეხია, ებრაელია, მოლდოველია...“ გაგვიგია, როგორ არ გაგვიგია! სომეხი გაგვიგია, ებრაელი არ მახსოვს, მაგრამ აი, მოლდოველიაო, ეს კი პირველად მესმის! **თუ ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტ თბილისელ სომეხს — იური მეჩითოვს დავუჯერებთ** (არადა, რატომ არ უნდა დავუჯეროთ?), **„აი, სააკაშვილზე ხომ ამბობენ: სომეხია, სომეხიაო! არ დაიჯერო. როგორ არის სომეხი, ეგეთი არტისტიზმი სომეხს ვინ მისცა?“.** იურას დაეჯერება, — სომეხი არ ყოფილა, ფაიზაღია! ებრაელობისა კი მართლა არაფერი სცხია. ისღა დაგვრჩენია, მისი მოლდოვური ფესვები ვეძებოთ... **თავისივე ხელისუფლების წარმომადგენლებს კი ხშირ-ხშირად გაუმეოროს, რომ მათთვის „რუსია“.**

რაც შეეხება რასობრივი ნიშნით დაყოფას, ამის თაობაზე **განმარტებები მსოფლიოს ყველაზე ცნობილ და გავლენიან აფროამერიკელს მისცეს და არც იმის კითხვა დაავიწყდეს, „ზანგი ხომ არა ხარ, რატომ იქცევი ველურივით?“**

თურმე როგორი ღრმად განსწავლული ყოფილა სსრკ ისტორიაში, როგორ ზუსტად სცოდნია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსებები, საერთო წარსული და პრობლემები; ის მსგავსებები, რომლიდან გამორჩეულობასაც ასე ესწრაფვის ნაცხელისუფლება, ის წარსული, რომლის უღმერთოდ გადაწერასაც ახლა დაჟინებით ცდილობენ. ამ ფონზე კი მართლაც გასაოცარია, რომ ძველი კავშირების დაკარგვის დაუშვებლობაზე გაამახვილა ყურადღება.

„როგორი პოლიტიკური პერიპეტიებიც არ უნდა იყოს, როგორი პრობლემებიც არ უნდა შეიქმნას და თქვენ იცით, რომ, სამწუხაროდ, არსებობს ძალიან კონკრეტული პრობლემები, ჩვენ ერთმანეთთან კავშირი არ უნდა დავკარგოთ. რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩვენთვის ფართოვდება, გვიჩნდება ახალი კავშირები, ინტერესები, მიდრეკილებები, მისწრაფებები, მეგობრები, რაც ბუნებრივია, მაგრამ ძველი, წლებით გამოცდილი მეგობრები არ უნდა დავივიწყოთ. ჩვენ ძალიან ბევრი რამ გვაკავშირებს. ამიტომაც, მართალია, ყველა მიმართულებით ვფართოვდებით და ვვითარდებით, მაგრამ ძველი კავშირების დაკარგვა დაუშვებლად მიმაჩნია და ამას ჩემს თავს ვერ ვაპატიებდი. მთავარია, არ დავკარგოთ შეგრძნება იმისა, რომ არსებობს სხვა სახელმწიფო, რომელიც ძალიან გვგავს. ეს არის მთავარი, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მას არც ბელარუსის წარმატებებზე ყურადღების გამახვილება დავიწყებია და ამ კონტექსტში განსაკუთრებით, **„მრავალი ზეწოლის მიუხედავად, ბელარუსული ეკონომიკის სიმტკიცე“** აღნიშნა. მოლდოვასთან მიმართებაში კი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ **„როგორც იქნა, მოლდოვას მომავლის მტკიცე ხედვა ჩამოუყალიბდა“.**

ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებით **„ბერმუდის სამეულის“** შექმნის მრუმე პერსპექტივას — **სააკაშვილი-გიმპუ-ლუკაშენკო.** რიგითობა პირობითია, მთავარი მსგავსება და შედეგია: **„ჩვენ ძმები ვართ — ტყუპები, ერთად დავიღუპებით“.**

„ეს ძალიან მნიშვნელოვანია! მთავარი სწორედ ისაა, სწორად განსაზღვრო, საით მიდიხარ, და დაუღალავად იარო ამ მიზნისკენ. უნდა გჯეროდეს, რომ ყველაფერი შესაძლებელია და ძალ-ღონე არ დაიშურო მიზნის მისაღწევად“.

ჩვენ აქამდე ვიცოდით, რომ საქართველოს ევროპულ ორიენტაციას ალტერნატივა არ აქვს და საქართველოს ნატოსკენ სწრაფვაც ასევე უალტერნატივო იყო. ამ განცხადებით კი ვიგებთ, რომ **პრეზიდენტმა ახლაღა განსაზღვრა, „საით მიდის“. თურმე ჩვენ, მოლდოვამ და ბელარუსმა, ანუ „მათ სამთა“ ერთად უნდა გადავლახოთ წინაღობები. აღარც ევროკავშირი, აღარც ნატო, აღარც შეერთებული შტატები...** გაქრა აუხდენელი ოცნებები, როგორც მირაჟი უდაბნოში გზააბნეული ბედუინისთვის, მიუწვდომელი, როგორც ჯოხზე გამობმული ლორთქო ბალახი... არ დავაკონკრეტებ, რისთვის.

წერილის დასაწყისში დროზე ვისაუბრე, დაკარგულ დროზე... ახლა აღმოჩნდა, რომ მთელი ეს წლები უქმად დაგვიკარგავს და ხელისუფლება კვლავ კომპასის ძიებაშია. ოპოზიცია კი მას შემდეგ, **რაც კარგად გაირუჯება და მოკვიტინდება, ახალი ენერგიით შეუდგება თავის დაფასებასა და ხალხის დამუნათებას.**

ჩვენ დროის მოკვლას ვცდილობთ. არადა, დრო მოდის... მოვა და მოსაკლავიც აღარავინ ეყოლება მირაჟადქცეულ „ოდესღაც დიდ საქართველოში“.

ბონდო მძინარაშვილი

სრულიად ლოგიკურია იმ «მოვდივარ-მობრძანდის» შედეგი, როცა მიშამ «ბატონი პრეზიდენტი» გრეჩიხაც და მისი ამფსონებიც — ზოგი სოსისივით და ზოგიც კვერცხივით — მართალია, უგემურად, მაგრამ უპრობლემოდ გადასანსლა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

მინისტრების დეკლარაციებიდან «გამქრალი» ქონება

როგორ მდიდრდებიან ქართველი ჩინოვნიკები

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როცა სააკაშვილმა მინისტრთა კაბინეტი წარადგინა, თანამდებობის პირები გააფრთხილა, რამდენიმე წლის შემდეგ მათ სახელზე არ აღმოჩენილიყო ძვირადღირებული უძრავი თუ მოძრავი ქონება. რევოლუციამდე საშუალო ფენის წარმომადგენელი და ახლადგამინისტრებული ჩინოვნიკები, როგორც დეკლარაციებით ირკვევა, მართლაც იცავდნენ სააკაშვილის გაფრთხილებას, დეკლარაციებს ზედმიწევნით ზუსტად ავსებდნენ, მითუმეტეს, რომ ჩასაწერი ბევრი არც არაფერი ჰქონდათ.

რატომ ვერ აღმოაჩინა პრეზიდენტმა, რომ ბოლო წლებში მისი ჩინოვნიკების დეკლარაციები მეტისმეტად შეივსო?

რატომ ვერ აღმოაჩინა პრეზიდენტმა, რომ ბოლო წლებში მისი ჩინოვნიკების დეკლარაციები მეტისმეტად შეივსო ან მათი ქონება იმდენად გაიზარდა, რომ გადაწყვიტეს, დეკლარაციიდან ყველაფერი გაექროთ და მშობლების, მეუღლეების, სხვა ახლო ნათესავების სახელზე გაეფორმებინათ? თუმცა ჩვენ, საზოგადოებამ ვიცით, რომ, მაგალითად, **აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძეს,** რომელსაც საკაშვილი ბოლო დროს ძალიან ხშირად აქებს, 2004 წელს შევსებული დეკლარაციის მიხედვით თბილისში, კრწანისის ქუჩაზე ერთადერთი ბინა ებადა და სხვა უძრავ თუ მოძრავ ქონებას არ ფლობდა, ახლა კი მისი ოჯახი ბათუმში ბარათაშვილის ქუჩაზე №20-ში ცხოვრობს. ვარშალომიძეებს ამ სახლის მხოლოდ მეორე სართული ეკუთვნოდათ, თუმცა მას შემდეგ, რაც ლევან ვარშალომიძე აჭარის მთავრობის თავმჯდომარედ დაინიშნა, სახლის მთლიანად შესყიდვა დაიწყეს და მეზობლებს ბინები თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასში დაათმობინეს.

2006 წლის დეკლარაციაში **პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ზაზა გოროზია** მიუთითებს 38.000 ლარად შეფასებულ საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთს მარტვილში, მშვიდობის ქუჩაზე, ასევე, მსუბუქ ავტომანქანას, 1997 წელს გამოშვებულ „აუდი ა-8“-სა და 1994 წელს გამოშვებულ „ბმვ 730“-ს. 2007 წელს მის ქონებას 100 ათასი ლარის ღირებულების 10 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ემატება მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში, რომლის ფასი 2008 წლის დეკლარაციაში უკვე 300.000 ლარამდე იზრდება. 2009 წლის დეკლარაციაში გოროზია ავტომანქანების გაყიდვას მიუთითებს და დეკლარაციაში უძრავ-მოძრავი ქონების გრაფა ცარიელი რჩება. სად წაიღო, ვინ წაართვა მას 300 000-ლარიანი მიწის ნაკვეთი და სხვა ქონება, უცნობია.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიორგი ხაჩიძე 2005 წელს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულად მუშაობის პერიოდში, დეკლარაციაში 20.000 ლარად შეფასებულ საცხოვრებელ სახლს მიუთითებს დაბა სურამში; სხვა უძრავ-მოძრავი ქონება, დეკლარაციის მიხედვით, არ გააჩნია. მას 12.000 დოლარად აქვს დაგირავებული ბინა თბილისში, ატენის ქუჩაზე. ამავე წელს მას წერეთლის 89-ში მდებარე ბინა 13.500 დოლარად, ხოლო ავტომანქანა „ჰონდა“ 3.000 დოლარად გაუყიდია. 2006 წელს ხაჩიძე ქონების შეძენას იწყებს, მის სახლს სურამში, 4.000 ლარად შეფასებული მიწის ნაკვეთი (518 კვ.მ) ემატება დაბა ბაკურიანში და 1992 წელს გამოშვებული ავტომობილი „მიცუბიში პაჯერო“, რომლის ღირებულებად 5.000 დოლარია ჩაწერილი. აღნიშნულ შენაძენებს კი ასე განმარტავს: **„საცხოვრებელი სახლი სურამში მივიღე მემკვიდრეობით, აწ გარდაცვლილი ბებიის ანდერძის საფუძველზე, ავტომობილი „მიცუბიში პაჯერო“, 1992 წლის გამოშვება, შევიძინე განვადებით, პირადი დანაზოგით. მიწის ნაკვეთი ბაკურიანში (518კვ.მ) შევიძინე საბანკო კრედიტით. საბარათე ანგარიშზე ირიცხება სახელფასე თანხა. 10.000 დოლარი არის ჩემი პირადი დანაზოგი ხელფასიდან და ნაწილი — უახლოესი ნათესავების პირადი დანაზოგი“.**

ასე უგროვებენ თურმე უახლოესი ნათესავები ფულს ბატონ ხაჩიძეს. ჰოდა, შედეგად მის 2010 წლის დეკლარაციაში უკვე საცხოვრებელ სახლს ვხვდებით თბილისში, მისამართი მითითებული არ არის, ფართობი კი 75 კვ.მ-ია. ხაჩიძის 2010 წლის დეკლარაციაში აღარც სურამის ბებიისგან ნაანდერძები სახლია და აღარც — ავტომანქანები, მხოლოდ ბაკურიანის მიწის ნაკვეთია დარჩენილი. მინისტრს იპოთეკური სესხიც აქვს, 45.000 დოლარი უძრავი ქონების შესაძენად.

დედაქალაქის ყოფილი პროკურორის, ამჟამად კი კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულ გიორგი ღვინიაშვილს ქონება 2004 წელს ასე გამოიყურება: საცხოვრებელი სახლი გურჯაანის რაიონში — 20.000 ლარი, მსუბუქი ავტომობილი — 3.000 ლარი, ბინა თბილისში — 50.000 ლარი, რომელიც მამამისის სახელზეა რეგისტრირებული. 2005 წელს ღვინიაშვილების ქონებას საირმის ქუჩაზე მდებარე 8.000-ლარიანი ავტოფარეხი ემატება და 7.000-ად ღირებული მსუბუქი ავტომანქანა „ვაზ 21213“, ოღონდ აღნიშნული ნამატი გიორგი ღვინიაშვილის მამის სახელზეა. 2006 წელს გიორგი ღვინიაშვილი უცხოური წარმოების ავეჯის 6.800-ლარიან განვადებას აკეთებს „საქართველოს ბანკში“ და 22-ათასიან „აუდი ა-8“ ყიდულობს, რომელსაც 2007 წელს ყიდის. ბოლო დეკლარაცია, რომელიც საჯარო სამსახურის ბიუროს ბაზაში იძებნება, 2008 წლითაა დათარიღებული. ღვინიაშვილის ბოლო დეკლარაციაში ცვლილებები არ არის, მამამისი კი ისევ 2005 წელს ნაყიდი „ვაზ 21213“-ით დადის.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე 2004 წლისთვის, პარლამენტის წევრობისას შევსებულ დეკლარაციაში უთითებს თბილისში ბინას ავტოფარეხით (90.000 ლარი), მამამისის სახელზე 12.000-იან ბინას თბილისში, ხოლო დედის, ლილი ბაქრაძის სახელზე — აგარაკს სურამში; ასევე — 6.000 ლარად შეფასებულ ტყავის სამეულს, 5.000 ლარად შეფასებულ სასადილო გარნიტურს, 5.000 ლარად შეფასებულ სამზარეულო გარნიტურს და 5.000 ლარად შეფასებულ ავტომობილს; აგრეთვე, 70.000 ლარის სესხს 2002 წლის 6 აპრილიდან 2007 წლის 6 აპრილამდე და მამამისის, შუქრი ბაქრაძის მიერ 71.200 ლარად გაყიდულ ბინას თბილისში.

2006 წლის დეკლარაციიდან ბაქრაძის ავტომანქანა ქრება. სამაგიეროდ, 1995 წელს გამოშვებული „ოპელ ვექტრა“ ჩნდება, ოღონდ მამამისის სახელზე. 2006 წელს შუქრი ბაქრაძე კიდევ ერთ ბინას ყიდის გლდანში 25.000 ლარად, რომელიც 2005 წლის დეკლარაციაში, სხვათაშორის, ბაქრაძეებს არ ჰქონდათ. 2007 წელს დავით ბაქრაძე 2002 წელს აღებულ 70.000-იანი კრედიტიდან დარჩენილ თანხას ისტუმრებს (53.460 ლარი), მის დეკლარაციაში სხვა ცვლილება არ არის და, გიორგი ღვინიაშვილის მამის მსგავსად, მამამისიც კვლავ 1995 წელს გამოშვებული „ოპელ ვექტრით“ დადის. სამაგიეროდ, დიდი ცვლილებებია 2010 წლის დეკლარაციაში. მასში დედამისის, ლილი ბაქრაძის სახელზე გაფორმებული მიწის ნაკვეთი თბილისში, ტიბაანის ქუჩაზე და ამავე ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი ჩნდება. მანქანას იცვლის შუქრი ბაქრაძეც. მარკა უცნობია, მაგრამ „კრეს ავტოჰაუსში“ 9.735 ლარად ღირებულ ავტომობილს ყიდულობს.

2004-2005 წლის დეკლარაციებში არანაირი უძრავ-მოძრავი ქონება არ გააჩნია **ენერგეტიკის ამჟამინდელ მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურს.** 2006 წელს იგი 2.500 დოლარის 18-თვიან კრედიტს იღებს და 2.200 დოლარად 1994 წელს გამოშვებულ „ფორდ ესკორტს“ ყიდულობს. 2007 წელს „ფორდ ესკორტს“ ყიდის და კვლავ მანქანას იძენს, ამჯერად 6.000 ლარად ღირებულ „მიცუბიში გალანტს“ და ასევე 111.200 დოლარის იპოთეკურ სესხს იღებს „საქართველოს ბანკში“. 2008 წელს ხეთაგური 17.000-დოლარიან ავტომანქანა „მერსედეს ბენცს“ იძენს ისევ კრედიტით „საქართველოს ბანკში“.

2009 წლის დეკლარაციაში უკვე ჩნდება 162 კვ.მ მშენებარე ბინა და ავტოფარეხი ძოწენიძის ქუჩაზე 142.630 დოლარად. აღსანიშნავია, რომ ხეთაგური კრედიტების გასავალში უთითებს 20.084,48 დოლარს, ასევე 6.859,07 დოლარს, მანქანის გაყიდვას — 5500 ლარად და შეძენას — 16.000 დოლარად. როგორც ხედავთ, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯებისა, მინისტრს 111.200 დოლარის სესხზე ბინის შესაძენად 30.000 დოლარის დამატება დასჭირდა. ეს მაშინ, როცა ხელფასის სახით მას 74.920, ხოლო მეუღლეს 50.852 ლარი მიუღია. 2010 წლის დეკლარაციაში მინისტრის ბინა და ავტოფარეხი უკვე აშენებულია და, ალბათ, კეთილმოწყობილიც. რა დაუჯდა მისი მოწყობა მინისტრს, არსად ჩანს. მის დეკლარაციაში ჩნდება ორი ავტომანქანა: 2006 წელს გამოშვებული „მერსედეს ბენც“ ე-350 და 2002 წელს გამოშვებული „მერსედეს ბენც“ ც-240, რომლის ღირებულებასაც მინისტრი დეკლარაციაში არ უთითებს.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი 2008 წლის დეკლარაციაში თბილისში, გორგასლის ქუჩაზე მდებარე 100.000 დოლარად ღირებულ სახლს მიუთითებს, ასევე — ბინას ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე, რომლის ღირებულება 45.000 დოლარია. მას „სახალხო ბანკისგან“ 34.400 ლარის კრედიტი აუღია და წელიწადში 8.600 დოლარის გასავალი აქვს. 2009 წლის დეკლარაციაში კი მისი სახლები უკვალოდ ქრება და მინისტრის დეკლარაციაში მხოლოდ კრედიტია დარჩენილი. 2010 წლის დეკლარაციაში სუბელიანს ისევ გადაუწყვეტია ბინების დეკლარაციაში შეტანა.

ბინა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე და მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლით ახალციხეში, რომლის ღირებულებაც უცნობია, არის შეტანილი **საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის — ივანე მერაბიშვილის** 2010 წლის დეკლარაციაში. თუმცა წინა წლების ქონებრივი მდგომარეობა უცნობია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს 2010 წლამდე შევსებული დეკლარაციების საძიებო გრაფაში შინაგან საქმეთა სამინისტროს შეტანა დავიწყებია, ისევე, როგორც პრეზიდენტის რწმუნებულების შეტანა 2010 წელს შევსებული დეკლარაციების საძიებო გრაფაში.

სოფო გელაშვილი

ბინა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე და მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლით ახალციხეში, — სულ ეს არის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის — ივანე მერაბიშვილის ქონება დეკლარაციის მიხედვით.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ყივჩალების შემოსევა საქართველოში, ანუ სააკაშვილის ჩაყენებული ეგზეკუცია

აღიარა: — ეს პროგრამა ჩემი იდეა არისო. გულწრფელი აღიარება სასჯელის შემსუბუქების საფუძველი შეიძლება გახდეს... მკურნალობის დამთავრების შემდეგ, რაც ამ შემთხვევაში აუცილებელია.

ტელესენსაცია, როგორც ყოველთვის, ვერონიკა ქობალიათი დაიწყო, რომელიც ისიც იყო მეცხრე ციდან ჩამოგვიფრინდა: მაყურებლებში გადმოსული კრის დე ბურგი — მომღერალი — თურმე ვერონიკას ეცეკვა, რაზეც „მდგრადი განვითარების“ ბედნიერმა მინისტრმა თავად გვამცნო. გვამცნო კი არა, ტყვიამფრქვევის ჯერით დაგვცხრილა ეკრანიდან:

— არაფერი დაგეგმილი არ იყო. შემთხვევით მოხდა ეხლა და. ააა... სიმღერის დროს მოვიდა და ვიცეკვეთ. ააა, ძალიან სასიამოვნო იყო და, რაც მთავარია, რომ ააა. ხალხი კარგი განწყობით არის, ყველა მხიარულია... ააა (**ო, ეს ააა — თეა თუთბერიძის საფირმო კერძი, როგორც ჭინთვები უსარგებლო ნივთიერების, ამ შემთხვევაში — მომწამლავი სიტყვების ორგანიზმიდან გამოსადევნებლად**).

ხალხი კი მხიარულია: „ტანცი-მანცი ლავ ჰაღუმე!..“ როცა დემოკრატიის შუქურა ქრება, შოუბიზნესის მბჟუტავი ვარსკვლავები ჩამოჰყავთ ბათუმში. ამჯერად კრის დე ბურგი მოიწვიეს, დიდ ფულად და დროებითი თავშესაფრებიდან გამოყრილი ლტოლვილების გულის გასახარად...

ეს იყო მანამდე, სანამ „იმედის“ დიქტორმა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ მეტყველების დასახვეწად დემოსთენეს მიერ საუკუნეების წინათ ჩატარებული ექსპერიმენტის საწყის ფაზას გადიოდა, აკვარიუმში ჩაყრილი კენჭების დაუნაწევრებელი ერთფეროვნებით ჩაგვიჩხრიალა: **„პრეზიდენტის ინიცირებული პროგრამით „ისწავლე და ასწავლე საქართველოში“ 3 წლის განმავლობაში ათი ათასი პედაგოგი ჩამოვა. პროგრამის მთავარი მიზანია ახალი თაობის (მიერ) ინგლისური ენის მაქსიმალურად შესწავლა, ისე, რომ, მშობლიური ქართულის შემდეგ, მეორე სალაპარაკო ენა ინგლისური იყოს“.**

რაო, რაო?

რაო და — „საგანმანათლებლო რევოლუციაო“! ცოტა ხნის შემდეგ ეკრანზე გამოჩენილი მიხეილიც დაგვიდასტურებს, რომ მართლაც რევოლუციაააო, თანაც — საგანმანათლებლო.

მიმოგზაური ურიასი არ იყოს (Вечный жид — ურია მარადიული), აგრეთვე, ჩეკისტობის, რაც ერთხელ თუ შეგეყარა, მთელი ცხოვრება გაგყვება, რევოლუციონერობაც მოურჩენელი სენია, პერმანენტული რევოლუციონერობა — ტროციკიზმი: ბუნებაში ყოფილი ჩეკისტი არ არსებობს ისევე, როგორც არ არსებობს ყოფილი რევოლუციონერი.

„ვარდების რევოლუცია“, „საგანმანათლებლო რევოლუცია“ და ამათ შორის წვრილ-წვრილი რევოლუციები, ვითარცა ვარსკვლავები — „დანი და ძმანი ჩემი“ — ელიტარული კორუფციის ცის კაბადონზე, რომლის ქვეშ გაშლილ მშობლიურ მიწაზე დასახლებულ ადამიანებს ორი სალაპარაკო ენა ექნებათ — ქართული და ინგლისური.

სამეგრელოში როგორ იქნება, პატივცემულო მიხეილ? ან სვანეთში? იქ სამი რომ გამოდის? სამი სალაპარაკო ენა! აზერბაიჯანელებით და სომხებით დასახლებულ რაიონებში? იქაც სამ-სამი, რომელთაგან ერთი ინგლისურია?

ქართული ხომ შევასწავლეთ! ახლა ინგლისურსაც შეასწავლიან ახალი ყივჩაღები, რომლებიც რევოლუციის მოსახდენად მოიწვია სააკაშვილმა ამერიკიდან, ინგლისიდან, კანადიდან, პოლონეთიდან (!) და კიდევ სხვა ქვეყნებიდან.

„როგორც თავის დროზე დავით აღმაშენებელმა ჩამოიყვანა 50 ათასი ყივჩაღი და საქართველოს სახელმწიფოს მოდერნიზაციამ მიიღო შეუქცევადი ხასიათი, ზუსტად ამ მასშტაბის მოვლენაა შემდეგი სამი წლის განმავლობაში ათი ათასი მასწავლებლის ჩამოყვანა საქართველოში, მთელ საქართველოში, რომელსაც საქართველოს მთავრობა დღეს აკონტროლებს“.

თქვა რუქამ არაკი.

არაკი იმის თაობაზე, რომ საქართველოს მოდერნიზაცია თურმე დავით IV აღმაშენებლის დამსახურება ვერ იქნებოდა, ყივჩაღები რომ არ ჩამოესახლებინა საქართველოში(!).

რამდენი ჩამოასახლაო?

50 ათასი ყივჩაღი.

თუ იმ „მოხალისე მასწავლებლებმა“ ისევე იციან ინგლისური, როგორც მათმა მოხალისე ერთჯერადმა ლექტორმა დავითის ეპოქა, ჩავარდნილა „საგანმანათლებლო რევოლუცია“ და ეგაა.

აკადემიკოს როინ მეტრეველის მიხედვით, **დავითმა 50 ათასი ყივჩაღი კი არ ჩამოასახლა საქართველოში, არამედ 40 ათასი ყივჩაღური ოჯახი. თითოეული ოჯახი დაავალდებულა, ერთი მოლაშქრე გამოეყვანა მეფის ლაშქარში. გააქრისტიანა ისინი, მოახდინა მათი ასიმილაცია და 50 წლის შემდეგ ჩამოსახლებულნი ნაყივჩაღარებად იქცნენ.**

ეს ერთი ლაფსუსი.

ახლა მეორე. როგორ უნდა გავიგოთ „საქართველოს მასშტაბი“, „მთელი საქართველო“, რომელსაც „საქართველოს მთავრობა დღეს აკონტროლებს?“ რასაც დღეს ვაკონტროლებთ, ესაა „მთელი საქართველო“? გვაჩვევთ, ბატონო მიხეილ? ეგებ, ეს კაპიტულანტური უაზრობა წამოგცდათ ისევე, როგორც ამასწინანდელი „ზანგები ხომ არა ვართ, ველურები“?

ან, იქნებ, განგებ გაითამაშეთ უვიცობა, იქ, ვიღაცისთვის რომ გეჩვენებინათ — წამოცდენები თქვენთვის ჩვეული ამბავია და სულაც არ ნიშნავს, რომ ნააზრევის შეგნებული ნაყოფია, ანუ პოზიციაა?

„ვარდების რევოლუცია“, „საგანმანათლებლო რევოლუცია“ და ამათ შორის წვრილ-წვრილი რევოლუციები, ვითარცა ვარსკვლავები — „დანი და ძმანი ჩემი“ — ელიტარული კორუფციის ცის კაბადონზე, რომლის ქვეშ გაშლილ მშობლიურ მიწაზე დასახლებულ ადამიანებს ორი სალაპარაკო ენა ექნებათ — ქართული და ინგლისური.

რას არ იფიქრებს კაცი!

მაგალითად, შეიძლება, ასე განსაჯოს: საბჭოთა კავშირის დროს რუსული ხომ იყო ერთა შორის ურთიერთობის ენა? იყო. წყობილების რეალობიდან გამომდინარეობდა, სადაც 15 შემადგენელი ერთ მთლიანობას წარმოადგენდა.

ახლა რახან მეორე ენად ინგლისურს (გინდა თუ არა, მაინცდამაინც ინგლისურს) თავს გვახვევენ, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ სხვა ერთი მთლიანობის ნაწილად სურს გვაქციოს სააკაშვილის ხელისუფლებამ?

გაგიკვირდებათ ასეთი ავანტიურიზმი?

არ არის ინგლისური მეორე სალაპარაკო ენა საფრანგეთში, არ არის გერმანიაში, არ არის ესპანეთში და ასე შემდეგ.

ჩვენ რატომ ვმამლაყინწობთ? ხომ არ არის ეს მარგანალების გამოკვეთილი ნიშანი, როცა ცენტრში გადმოსახლებული პროვინციალი დედაქალაქელზე უფრო მეტად ცდილობს, „გამოსულად“ მოაჩვენოს საზოგადოებას თავი და ამ ზღვარდაუდებელი მისწრაფებით ბითურდება აბსოლუტურად?

არის და მერე როგორ არის!

თანაც გვეტრაბახებიან: **„რასაც ჩვენ ვაკეთებთ საქართველოში და რასაც გავაკეთებთ მომდევნო წლების განმავლობაში, ეს არის ნამდვილი „საგანმანათლებლო რევოლუცია“ და მსგავსი არაფერი არ გაუკეთებია არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანას... ოთხი წლის განმავლობაში მივაღწევთ იმას, რომ ყველა ქართველი ბავშვი, სკოლის ასაკის, ხუთი წლისა და მასზე უფროსი, გახდება ინგლისურენოვანი. ეს ნიშნავს იმას, რომ ქართულის შემდეგ მათი მეორე ენა იქნება ინგლისური“.**

რატომ ინგლისური?

ყველა სერიოზულ საერთაშორისო ორგანიზაციაში ოფიციალური სამუშაო ენა რამდენიმეა: ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური, რუსული, ინდური... ეს ნიშნავს, რომ ყველა ენა თანაბარუფლებიანია და ერთ-ერთისთვის პრიორიტეტის მინიჭება სხვების დაკნინებას ნიშნავს. ენების აპარტეიდს? რატომაც არა...

ვინ მოგცათ თქვენ, მიხეილ სააკაშვილს, ენების დისკრედიტაციის უფლება თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში — საქართველოში? რატომ გვართმევთ უფლებას, ვისწავლოთ ის უცხო ენა, რომელიც მოგვწონს, რომელზეც არა მარტო ლაპარაკი შეგვეძლება, არამედ ორიგინალში იმ შედევრების წაკითხვა, რომლებიც გენიალურ შემოქმედებს შეუქმნიათ მრავალენოვან სიტყვაკაზმულ მწერლობაში?

„სპარსული ენის სიტკბომან მასურვა მუსიკობანი...“

დავსვით ეს შეკითხვა და პასუხად გვესმის: **„ამას მოჰყვება ის, რომ შემდგომ ეტაპებზე, გათვალისწინებით დღევანდელი მოთხოვნების, მათი შემდგომი ენები (!) იქნება ჩინური, რეგიონის გათვალისწინებით (!) არაბული და თურქული, რუსული. მაგრამ პირველი, მთავარი, მინიმალური მოთხოვნა ის არის, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვი 5 წელზე უფრო მეტი ასაკისა და 16 წლის ჩათვლით რამდენიმე წელიწადში იქნება ინგლისურენოვანი“.**

მოთხოვნაა! ბრძანებაა ბეჭედდასმული!

არა, არ მოგესმათ არც მაშინ, როცა ტელეეკრანიდან მოძრავ მიკროფონში იღვრებოდა ეს გაუგებრობა, არც თვალს მოუტყუებიხართ, როცა წინამდებარე აბზაცი წაიკითხეთ: რამდენიმე წელიწადში **„ყველა ქართველი ბავშვი იქნება ინგლისურენოვანი“. ინგლისური ეცოდინება კი არა, ინგლისურენოვანი იქნება, რაც ერთი და იგივე არ არის, დამეთანხმებით. ისევე, სხვათაშორის, როგორც აბსოლუტურად განსხვავებულია მინიმალური მოთხოვნა და მთავარი მოთხოვნა.** რადგან მთავარი მოთხოვნა არ შეიძლება იყოს მინიმალური, და — პირიქით. თუ ინგლისურში სხვანაირადაა, პატივცემულო მიხეილ?!

მაგრამ ეს კოკრებია. გაუგებრობის ვარდი ახლა იფურჩქნება — **„შემდგომი ენები იქნება ჩინურიდან“: „რეგიონის გათვალისწინებით არაბული და თურქული, რუსული“.** რაც ასე უნდა გავიგოთ: თუ თურქულის სწავლა გინდა, ბათუმის რეგიონში უნდა ჩახვიდე, რომლის თურქული ანექსია, რაგინდ ხალთაში მალო, ფაქტია; თბილისის შემოგარენში არაბულს ასწავლიან, რადგან აქაური მიწები, კარგა ხანია, არაბებს აქვთ ნაყიდი. რუსულის სასწავლებლად, ალბათ, ცალკე ანკლავს შექმნიან, სადაც თავს მოუყრიან სტაჟიან აგენტებსა და მოღალატებს, პოტენციურ გამცემლებს, რისკფაქტორების მქონე კონტინგენტს რეგიონებისა და სოციალური მდგომარეობის მიხედვით.

აი, ქართულს სად ისწავლის იმ აბიტურიენტების 26 თუ 27 პროცენტი, რომელიც წლეულს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაინცდამაინც მშობლიურ ლიტერატურაში ჩაიჭრა, მომკალით და — არ ვიცი.

არც არის საჭირო, რადგან, როგორც სააკაშვილი ამბობს: **„მე მიმაჩნია, რომ ყივჩაღების შემდეგ ასეთი დიდი გარღვევა საქართველოს არ ექნება“...**

რა დროს ქართულის ცოდნაა!

რამდენჯერმე მოვუსმინე ამ ტელეშედევრს და ვერ მიხვდი, სერიოზულად ლაპარაკობდა ეს კაცი, თუ გამოცდას აბარებდა უნარ-ჩვევებში, სადაც თუ უპასუხებ, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ხანდაზმულ ადამიანს ადგილს არ დაუთმობ, გამსვლელ ქუჩას მოგართმევენ.

სიხეპრის აპოგეა!

არმაზ სანებლიძე

P.S. მაინც ვინ არიან ეს „ინგლისურის მასწავლებლები“, რომლებსაც ამერიკაში, კანადაში, ინგლისსა და პოლონეთში დღე და ღამე გასწორებული ჰქონდათ იმაზე ფიქრით, როდის იქნება, ჩავიდეთ საქართველოში და ახალ თაობას ინგლისური შევასწავლოთო...

„ესენი არიან ძალიან ახალგაზრდები... ესენი არიან იდეალისტები. პრაქტიკულად, ისინი ჩამოდიან, პრინციპში, უფასოდ... მე მინდა მადლობა ვუთხრა იმ ქართულ ოჯახებს, რომლებიც მათ იღებენ საკუთარ სახლში“.

მეფის ჯარის ეგზეკუცია ჩაუყენებია ჩვენს იმპერატორს ქართულ სოფლებში. ვინც არ იცის, რა არის ეგზეკუცია, განვუმარტავ — „შეუწერინებია“ ამ იდეალისტების შენახვა.

სად იდეალიზმი, სად ეგზეკუცია, ანუ როგორც სამეგრელოში იტყვიან, „სოლე-სოშა — მეხორხოშა“, რაც „საიდან სადაო, წმინდა საბაოს“ ადეკვატურია.

ხოლო დავით აღმაშენებელივით აპირებს თუ არა მიხეილ სააკაშვილი პროტესტანტების ამ ახალი ურდოს მართლმადიდებლობაზე მოქცევას, თუ პირიქით იქნება, იმპერატორს არაფერი უთქვამს. არც კარაბადინში წერია.

შეგონება: გული უნდა დაგწყდეს მხოლოდ სისულელეზე, რომელიც ჯერ არ გითქვამს და არ ჩაგიდენია.

დანარჩენს შემდეგ მოგახსენებთ.

შემომეყარნენ ყივჩაღნი ნაპირსა შავი ზღვისასა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

ნუკრი ქანთარია:

სააკაშვილის ხელში ყველაფერს უნდა ველოდოთ, მათ შორის — ომს ან რაიმე უფრო დიდ უბედურებასაც

ქვეყანაში დღეს არსებულ ვითარებასა და ოპოზიციური სპექტრის სექტემბრიდან მოსალოდნელ გააქტიურებაზე გვესაუბრება „ქართული აკადემიის“ ერთ-ერთი ლიდერი, რეჟისორი ნუკრი ქანთარია.



— **ბატონო ნუკრი, მთელი ზაფხულის განმავლობაში ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები იმდენად ჩამკვდარი და გაუფერულებულია, ხანდახან მგონია, რომ ხელისუფლებამ საბოლოოდ დაამონა და დააბეჩავა ქართველი ხალხი. თქვენი აზრით, დღეს რეალურად რა შეუძლია საზოგადოებას, შერჩა თუ არა მას იმდენი ძალა, რომ ხელისუფლება შეცვალოს?**

— საზოგადოება თავისთავად დიდი ძალაა და, რა თქმა უნდა, მას ყოველთვის შეუძლია ხელისუფლებაზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენა, მაგრამ იმისთვის, რომ განხორციელდეს ძირეული ცვლილებები, ანუ შეიცვალოს ხელისუფლება, უპირველესად, საჭიროა ერთიანობა და ბრძოლა ამ გაერთიანებული ძალებით...

იყო დრო, თუნდაც იგივე 2007 წლის ნოემბრის ავგედითი მოვლენების შემდეგ, როცა ხელისუფლება ქუჩაში ეგდო და, ფაქტობრივად, ვერ მართავდა პოლიტიკურ პროცესებს, მაგრამ მაშინ, სამწუხაროდ, ოპოზიციაში ვერ მოიძებნა ძალა, რომელიც ამ ვითარებას გამოიყენებდა და დაწყებულ საქმეს ფინალურ წერტილს დაუსვამდა. შემდეგ ამას მოჰყვა შიდა დაპირისპირება ოპოზიციურ სპექტრში, ურთიერთბრალდებები პარტიებს შორის — არა, შენ შეცდი, არა, მეო, — რამაც საბოლოოდ ისევ ჩვენ გვაზარალა და ხელისუფლების წისქვილზე დაასხა წყალი.

დღეს უკვე, შეიძლება ითქვას, ვიმყოფებით უნდობლობის ეპოქაში, ანუ საზოგადოება არ ენდობა თითქმის არც ერთ ოპოზიციურ პარტიას და დიდწილად ამითაც არის განპირობებული ის, რომ პოლიტიკური პროცესები ჩამკვდარია და არაფერი ქვეყანაში არ ხდება...

— რა შეუძლია საზოგადოებას-მეთქი იმიტომ გეკითხებით, რომ ბოლო დროს იგი ხელისუფლების არც ერთ ქმედებაზე სათანადოდ არ რეაგირებს. მარტო გასულ კვირას ათასობით გარემოვაჭრე აყარეს და, ფაქტობრივად, ულუკმაპუროდ დატოვეს ეს ხალხი. ასევე ქუჩაში გამოყარეს ასეულობით დევნილი, მაგრამ პროტესტი არავის გასჩენია. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, ბადებს კითხვას — ხომ არ შეეგუა საზოგადოება ხელისუფლების მხრიდან უკანონობას?

— ერთი შეხედვით, ჩანს და, ალბათ, ხელისუფლებასაც ჰგონია, რომ საზოგადოება ხელჩაქნეულია, მაგრამ მეორეს მხრივ, **დღეს იმდენად ცუდად არის საქმე ქვეყანაში, იმდენი უკანონობა ხდება ჩვენ გარშემო, რომ შეუძლებელია, ხალხმა ეს მუდმივად ითმინოს.**

ძალიანაც რომ გვინდოდეს, ამას, უბრალოდ, ვერ გავუძლებთ, ვინაიდან ეს არის ვითარება, რომელიც დღითიდღე უარესდება და აუტანელი ხდება. ასე რომ, რაც უნდა შეგვილამაზოს ხელისუფლებამ ეს მდგომარეობა, რაც უნდა სინგაპურად და დუბაიდ წარმოგვიდგინოს ეს ქვეყანა, ის პრობლემები, რაც დღეს-დღეობით თავზე გვაყრია, ყველასთვის ნათელია; და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ხალხი ამაზე, ადრე თუ გვიან, ხმას აიმაღლებს... წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ დავემსგავსებით უიმედო ავადმყოფს, რომელიც წევს და სიკვდილს ელოდება.

— თქვენ, როგორც ოპოზიციური სპექტრის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი, იღებთ თუ არა დაშვებულ შეცდომებზე პასუხისმგებლობას და, საერთოდ, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ოპოზიცია მთელი რიგი საკვანძო საკითხების გადაწყვეტისას შეცდა?

— რა თქმა უნდა, მე ჩემ წილ პასუხისმგებლობას არ გავურბივარ და არ ვთაკილობ იმის აღიარებას, რომ გარკვეული შეცდომები დავუშვით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. **საჭიროა, ყველა პარტიამ თუ ცალკეულმა სუბიექტებმა აღიარონ თავიანთი შეცდომები, რათა მსგავსი რამ მომავალშიც არ განმეორდეს...**

— მაინც რა იყო ის მთავარი შეცდომა, რამაც წელში გატეხა ოპოზიცია?

— ჩემი აზრით, ოპოზიციამ საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როცა სააკაშვილის ინაუგურაციის დღეს იპოდრომზე შეკრებილი ასი ათასობით მომიტინგე დაშალა. მაშინ იყო ყველაზე რეალური შანსი იმისა, რომ ხელისუფლების შეცვლის პროცესი მაქსიმალურად დაგვეჩქარებინა, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო ეს შანსი ვერ გამოვიყენეთ და მერე უკვე საზოგადოებამაც გული აიყარა ყველაფერზე...

— თქვენ თუ იცოდით, რომ ლევან გაჩეჩილაძე მიტინგის დაშლას აპირებდა?

— ნამდვილად არ ვიცოდი და დარწმუნებული ვარ, სხვა ლიდერებისთვისაც ეს აბსოლუტურად მოულოდნელი იყო, ვინაიდან გაჩეჩილაძემ, როგორც გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერმა, ეს გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო. არ ვიცი, მაშინ ის რას ფიქრობდა და რა განზრახვით, რა მიზნით გადადგა ეს ნაბიჯი, მაგრამ ფაქტი ერთია — **იპოდრომის აქციის იყო ჩვენი ბოლო და ყველაზე რეალური შანსი, რომელიც, ჟარგონით რომ ვთქვათ, არ უნდა გაგვემაზა...**

— ისე, რა მოხდება, ხელისუფლებას ბოლომდე რომ ვაცალოთ? რაღა დარჩა სააკაშვილს? — ორ წელიწად-ნახევარი, ამოწურავს თავის ვადას და წავა, აბა, რას იზამს?!

— დღეს სააკაშვილისა და მისი კრიმინალური გარემოცვის ერთადერთი მიზანი ქვეყნის სათავეში, რაც შეიძლება, დიდხანს ყოფნაა. მათ კარგად იციან, რომ, როგორც კი შეიცვლება ხელისუფლება, ზოგს ჰააგა ელის, ზოგს — აქაური სასამართლო, ზოგს საზოგადოების სამსჯავრო და ზოგს კიდევ, ღმერთმა უწყის, რა. ამიტომაც არიან ესენი ძალაუფლებას მუნის ტკიპებივით ჩაბღაუჭებულნი და ცოცხალი თავით არ უნდათ წასვლა.

რაც შეეხება კითხვას — რა მოხდება, ხელისუფლებას ბოლომდე რომ ვაცალოთ — კი ბატონო, თუ ეს გვინდა, ვაცალოთ, მაგრამ მაშინ მოგვიწევს იმის ყურება, თუ როგორ დაგვემხობა და დაგვექცევა ეს ისედაც დაღუპვის პირამდე მისული ქვეყანა თავზე. ორწელიწად-ნახევარი კი საკმარისზე მეტი დროა იმისთვის, რომ ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდეს...

— კი მაგრამ, გამოსავალს რაში ხედავთ?

— ჩვენ ერთი რამ უნდა გავაცნობიეროთ და გვესმოდეს — **არ შეიძლება, ხელისუფლების სათავეში ავადმყოფი იყოს.**

სააკაშვილმა ამაში თავისი გიჟური, შიზოფრენიული მოქმედებით არაერთხელ დაგვარწმუნა. ასე რომ, გამოსავალი ერთადერთია — ბრძოლა და ისევ ბრძოლა.

გასაგებია, რომ დღეს საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მიზეზთა და მიზეზთა გამო ბევრ რამეზე ხელი აქვს ჩაქნეული, მაგრამ ეს ქვეყანა ჩვენ თუ არ ვიხსენით, სხვა ამას, უბრალოდ, არც და ვერც გააკეთებს. ამიტომ, მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, სანამ დროა, უნდა გავერთიანდეთ და ვიბრძოლოთ, თორემ ამ რეჟიმის წინააღმდეგ 2013 წელს თუ დაველოდეთ, მერე შეიძლება აღარც ჰქონდეს ამ ბრძოლას აზრი.

— ორიოდე სიტყვით ჩვენს ჩრდილოელ მეზობელზეც ვისაუბროთ. მიგაჩნიათ თუ არა, რომ დღევანდელ ვითარებაში საქართველოსთვის რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა აუცილებელია?

— არა თუ აუცილებელი, ეს არის ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ არსებული ხელისუფლების პირობებში ამ ურთიერთობის აღდგენა, უბრალოდ, შეუძლებელია. პუტინი არის ძალიან ნიჭიერი, პრინციპული ადამიანი და ის ყოველთვის ასრულებს იმას, რასაც ამბობს. მან თქვა, სააკაშვილს არ დაველაპარაკებიო; მორჩა, გათავდა, ქვეყანაც რომ ჩამოიქცეს, ის ამ სიტყვებს უკან არ წაიღებს. ასე რომ, **სანამ ხელისუფლებას არ შევცვლით, სამწუხაროდ, რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაზე ლაპარაკიც ზედმეტია.**

თუ საკაშვილისთვის ყველაზე და ყველაფერზე მაღლა ხალხის ინტერესები დგას, მაშინ, რა თქმა უნდა, ამის გამო უნდა გადადგეს და ეს აქამდეც უნდა გაეკეთებინა, მაგრამ კაცი, რომელსაც ეს ქვეყანა თავისი პირადი საკუთრება, ქონება ჰგონია, ცხადია, ამის გამკეთებელი არ არის. ამას ყველა ვხედავთ და სწორედ ამიტომ არის ამ ხელისუფლების მოშორება საჭირო...

— ბატონო ნუკრი, რომც გამოვნახოთ რუსეთთან საერთო ენა, რას შეცვლის ეს საქართველოსთვის?

— ილუზია იმისა, რომ მოსკოვთან ურთიერთობის მოგვარებისთანავე აფხაზეთიც დაგვიბრუნდება და ოსეთიც, ნამდვილად არ უნდა გვქონდეს, მაგრამ **ის, რომ მეზობელ სახელმწიფოსთან მტრული დამოკიდებულება კარგს არაფერს მოგვიტანს, ცხადია და ამაში უკვე დავრწმუნდით.**

საერთოდ, ობიექტურად თუ შევხედავთ, ის პოლიტიკა, რასაც დღეს კრემლი ჩვენ მიმართ ატარებს, სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან ამ სივრცეში, რასაც კავკასია ჰქვია, მას აქვს თავისი ინტერესები, რასაც, საკუთარი უსაფრთხოების პრინციპებიდან გამომდინარე, ის, უბრალოდ, ვერ დათმობს. აბა, წარმოიდგინეთ, საქართველო რუსეთის ადგილზე რომ იყოს და ჩვენს გავლენის სფეროში ვიღაცამ შემოსვლა დააპიროს, როგორ მოვიქცევით?.. გავიხსენოთ ჩვენი ისტორია, როცა იმპერია ვიყავით, ვის ჰპატიობდნენ ჩვენი დიდი მეფეები, იგივე თამარი, დავითი და სხვები, ხარკის გადაუხდელობას, ურჩობას?.. ანუ მე იმის თქმა მინდა, რომ არ შეიძლება რუსეთის ინტერესების იგნორირება, ბოდიში და, ფეხებზე დაკიდება, რასაც ეს ხელისუფლება არ იშლის და რამაც დაღუპა კიდეც ეს ქვეყანა...

— ისევ ოპოზიციაზე გკითხავთ, თუ გაქვთ ინფორმაცია, რას აპირებენ ხელისუფლების მიერ თავის დროზე რადიკალებად შერაცხული პარტიები სამომავლოდ? უნდა ველოდოთ თუ არა უახლოეს მომავალში მათ გააქტიურებას?

— სექტემბრიდან, ალბათ, იქნება გარკვეული ძვრები, მაგრამ როგორ და რა მიმართულებით წარიმართება ეს პროცესი, ძნელი სათქმელია. ის კი ნამდვილად ვიცი, რომ **დღეს ოპოზიციური პარტიები ძალ-ღონეს არ იშურებენ ერთმანეთის წინააღმდეგ, რათა მათ შორის ვინმე ლიდერი არ გამოიკვეთოს და მთელი ძალაუფლება მის ხელში არ აღმოჩნდეს.** ეს უკვე ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები ვერა და ვერ ამაღლდნენ პირად ინტერესებზე, ამბიციებზე და, მიუხედავად უამრავი შეცდომისა, ჭკუა მაინც ვერ ისწავლეს...

— ამ გარემოების გათვალისწინებით, გჯერათ, რომ ხელისუფლება 2013 წლამდე შეიცვლება?

— იყო დრო, როცა ჩვენ ეს გვჯეროდა, მაგრამ, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, თუ ვიმსჯელებთ, 2013 წლამდე კი არა, რამდენ ხანსაც უნდათ, იმდენ ხანს იქნებიან ესენი ხელისუფლებაში. არც ისაა გამორიცხული, რომ 2012 წელს სააკაშვილი თვითონვე გადადგეს, დანიშნოს ვადამდელი არჩევნები და პრემიერ-მინისტრად მოგვევლინოს. იმ დროისთვის მას უკვე კონსტიტუცია სრულიად ექნება „ტანზე შემოკერილი“ და, ბუნებრივია, ყველაფერი შეეძლება.

ერთი სიტყვით, **ჩვენ ნებისმიერი სცენარისთვის მზად უნდა ვიყოთ, ყველაფერს უნდა ველოდოთ, მათ შორის — ომს ან რაიმე უფრო მასშტაბურ, დიდ უბედურებასაც, ვინაიდან ხელისუფლებაში გვყავს გიჟი, ავადმყოფი და ამ გიჟს კიდევ როდის რა მოუვა აზრად, კაცმა არ იცის...**

ესაუბრა
ჯაბა ჟვანია

მოკლედ

ციხეებში სიტუაცია გამოსწორდა

სახალხო დამცველის აპარატმა დასავლეთ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მონიტორინგი ჩაატარა და დაასკვნა: გარდა იმისა, რომ ფეხბურთს ქვაყრილზე თამაშობენ, პატიმრებს პრობლემები აღარ აქვთ. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინათ პრობლემურ გეგუთის №8 დაწესებულებაში თანამშრომლები პატიმრებს „გამომწვევად და დამამცირებლად აღარ ექცევიან“, აღარც უმიზეზოდ სჯიან და კარცერშიც კი, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, ათავსებენ. ანგარიშის თანახმად, ხშირ შემთხვევაში, ადმინისტრაცია მსჯავრდებულთა თხოვნებს დიდსულოვნად ითვალისწინებს; ხონის №9 დაწესებულებაში კი ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდა გადატვირთულობის პრობლემა — 650 ადგილზე სასჯელს 371 მსჯავრდებული იხდის.

წალენჯიხელებს მიწებს ართმევენ

წალენჯიხელი გლეხების კუთვნილი 150 ჰექტარი მიწა ეკონომიკის სამინისტრომ კანონიერი მეპატრონეებისგან მალულად იტალიურ კომპანია „ფერეროს“ მიჰყიდა. ადგილობრივთა თქმით, წალენჯიხის გამგებელი მამუკა ქარდავა ხელს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ზაზა გოროზიასკენ იშვერს და აცხადებს, რომ მის დავალებას ასრულებს. მიწები მფლობელებს ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ ჰქონდათ დაკანონებული. მას შემდეგ, რაც მიწა სადავო გახდა, მფლობელებმა მესაკუთრეობის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტის შედგენა მოითხოვეს. ამგვარი დოკუმენტები დღემდე არ გაცემულა, ძველი კი ხელისუფლებაში მიმოფანტულმა „ფერეროს“ გულშემატკივრებმა თვითნებურად გააუქმეს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ყოჩაღ, მიშა!

დღევანდელ პრესაში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი სათაური ეს უნდა იყოს. რა ყოჩაღ და რის ყოჩაღ, როცა ქვეყანას დედა აღარ ჰყავს და ლამისაა, მხოლოდ ვაკე-ვერა შემოგვრჩეს უწინდელი საქართველოდან. ბედის გაღიმების შემთხვევაში კი, შესაძლოა, საბურთალო და სოლოლაკიც შემოვიდეს ჩვენს იურისდიქციაში. შევეცდები, მოჭარბებული ემოციების გარეშე მოგახსენოთ, თუ რატომ „ყოჩაღ!“

რაც მეტს «გვიზამს», უფრო მეტად დავრწმუნდებით, რომ სწორედ ამას ვიმსახურებთ და უფრო მეტსაც.

ოპერაცია „მიხეილ სააკაშვილი“ დიდი ხნის წინათ დაიგეგმა, თუმცა, ჩემი აზრით, ძირშივე მცდარია აზრი, რომ შეერთებული შტატების ხელისუფლებას იმთავითვე სააკაშვილზე ჰქონდა ფსონი დადებული და მხოლოდ მას განიხილავდა ედუარდ შევარდნაძის მემკვიდრისა თუ შემცვლელის უალტერნატივო კანდიდატურად. **ყველას კარგად გვახსოვს, როგორ მომძლავრდა ზურაბ ჟვანიას „კამანდა“ მაშინ, როცა სააკაშვილი ჯერ კიდევ ამერიკაში იყო და საქართველოში მისი სახელი გაგონილიც კი არავის ჰქონდა.** ძნელია იმის თქმა, გაკეთებული იყო თუ არა მაშინ უკვე ხსენებული ცალსახა აქცენტი ჟვანიაზე, მაგრამ, ამის სერიოზული ნიშნები რომ ნამდვილად არსებობდა, უდავოა.

როდესაც ესა თუ ის სუპერსახელმწიფო რომელიმე ბანანის რესპუბლიკისმაგვარში ხელისუფლების შეცვლას გეგმავს, წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები რამდენიმე წელიწადს მოიცავს და მჭიდრო მუშაობა იწყება ამ რესპუბლიკისმაგვარის „პოლიტიკურ სპექტრთან“. როცა აღნიშნული „სპექტრის“ რამდენიმე სუბიექტს მეტ-ნაკლებად თანაბარი სასტარტო პირობები აქვს, **სუპერსახელმწიფო თითოეულ მათგანთან მუშაობს და არც ერთს არ ამყოფებს სასათბურე პირობებში. სწორედ ამის დადასტურება იყო „ვარდების რევოლუციამდე“ ნახევარი წლით თუ ოდნავ უფრო ადრე ცნობილი ავანტიურისტის, ჯორჯ სოროსის მიერ ბუდაპეშტში ზურაბ ჟვანიას, მიხეილ სააკაშვილისა და დავით გამყრელიძის (!) დაბარება და მათთან „გასაუბრება“.** როგორც ჩანს, „იქ“ უკვე კარგად უწყოდნენ, რომ ჟვანია, უდიდესი მცდელობების, ნამდვილად გამორჩეული ჭკუისა და გააფთრებული პიარის მიუხედავად, ვერანაირად ვერ „კრეფდა“ ხელისუფლებაში მოსასვლელად საჭირო რეიტინგს და ვერ ყალიბდებოდა „შევარდნაძის წინააღმდეგ ქართველი ერის ბრძოლის“ ერთპიროვნულ ლიდერად. **სააკაშვილი და გამყრელიძე სწორედ ამიტომ იწვევდნენ იმ ეტაპზე მავანთა ინტერესს – გამოდგებოდნენ თუ არა ისინი ერთად ან ცალ-ცალკე ოპოზიციური მოძრაობის ლიდერ(ებ)ად.**

სწორედ მაშინ დადგა მომენტი, როცა თითოეულ მათგანს (საბოლოოდ ჩამოწერილი არც ჟვანია იყო) „პატრონებისთვის“ უნდა დაემტკიცებინა, რომ „ძალი შესწევდა ქადილისა“ და თავად უნდა გაეკვალა გზა ქართული ოპოზიციის ლიდერობისკენ. ამ გააფთრებულ ბრძოლაში თითოეულ მათგანს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა. სწორედ ეს იყო რეალური „პრაიმერი“ და არა ის ონანიზმი, რითაც სულ ცოტა ხნის წინათ დავითაშვილ-ძიძიგურის დუეტი იყო დაკავებული.

2003 წლის 2 ნოემბრის „გაყალბებულ“ არჩევნებს მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ჟვანია თითქმის ერთნაირი რეიტინგით მიადგნენ. რაც შეეხება ჯერ კიდევ „ალდაგის“ მფლობელ გამყრელიძეს, მას უკვე დაკარგული ჰქონდა რეალობის შეგრძნება და ლამის ჩვენი გალაქტიკის მომსახურეობის ზონიდან იყოს გასული თავისი არაადეკვატური ნაბიჯებით (თუნდაც პარლამენტის იმ საბედისწერო სხდომაზე მისვლა რად ღირს, როცა პარლამენტში ნამდვილად გასულ ლეიბორისტებსაც კი ეყოთ ჭკუა და შევარდნაძის სიახლოვეს არ გამოჩენილან). ჟვანიას ნინო ბურჯანაძე ჰყავდა აფარებული სახედ და ფარად და ოდნავ მოიმატა რეიტინგი, თუმცა მას პერსპექტივა მაინც არ ჰქონდა – თავისი არცთუ სახარბიელო გარეგნული მონაცემებისა და ხალხში მოარული ხმების გამო მისი ორიენტაციისა თუ სომხური წარმოშობის შესახებ (მართალი იყო ეს თუ არა, მნიშვნელობა აღარ ჰქონდა – ჭორი მუშაობდა). მაგრამ ესეც არ იყო გადამწყვეტი – **ამ პერიოდისთვის, მიხეილ სააკაშვილი უკვე ფილიგრანული სიზუსტით მიდიოდა ოლიმპისკენ და ყველაზე ზუსტად აკეთებდა იმას, რაც ავადმყოფური აზროვნების ამომრჩეველში გარანტირებულ წარმატებას მოუტანდა.**

ნაკლებად სავარაუდოა, რომ იდეალური პიარი, რომელიც სააკაშვილმა ჯერ კიდევ 2 ნოემბრის არჩევნებამდე დაიწყო, მხოლოდ მის მიერ ყოფილიყო მოფიქრებული, მაგრამ, ასეა თუ ისე, **მხოლოდ სააკაშვილმა გააკეთა ის, რამაც მისი რეიტინგის ელვისებური ზრდა განაპირობა – ოპოზიციურმა ლიდერმა ქვის სროლა დაიწყო.**

გვახსოვს ბოლნისი და ბათუმი, სადაც სააკაშვილმა ყველას დაანახა, რომ მხოლოდ ის იყო „ქვის მსროლელი“ დაჭაობებული და მოყირჭებული ხელისუფლებისთვის და ხალხსაც მეტი რა უნდოდა. მიშა ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

თუ ჩემი ანალიტიკური აზროვნება არ მღალატობს, სწორედ მაშინ მოიპოვა სააკაშვილმა ამერიკელ პატრონთა საბოლოო კეთილგანწყობა და „სტავკაც“ მასზე გაკეთდა. ვერ გეტყვით, რატომ ვერ თუ არ გადადგა მსგავსი ნაბიჯები ჟვანიამ. არადა, ის, რომ ამ ხალხს სწორედ ქვის მსროლელი და არც თუ გაწონასწორებული ლიდერი სჭირდებოდა და არა მშვიდი და დალაგებული პოლიტიკოსი, ძნელი გამოსაცნობი ნამდვილად არ იყო. ამას ჟვანიაც კარგად უნდა მიმხვდარიყო, ამერიკელი თუ რუსი „პიარშჩიკების“ დახმარების გარეშეც.

მაგრამ ერთი იყო ხელისუფლებაში მოსასვლელად ქართველობის კრეტინიზმის (შეურაცხყოფად არავინ მიიღოს, სამედიცინო ტერმინია) **გამოყენება და მეორე – ის, რაც სააკაშვილმა უქნა ამ ქვეყანაში დასახლებულ ადამიანებს.**

ხელისუფლებაში მოსასვლელად, ამერიკელ პატრონთა და მათი საშუალებით ქართულ ძალოვან სტრუქტურებთან ერთად, სააკაშვილს ე.წ. შავი სამყაროც კარგად ეხმარებოდა. **ძნელი სათქმელია, რისი იმედი ჰქონდათ ქურდებს სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემთხვევაში** — შევარდნაძის პერიოდში მათ ისედაც უბატონოდ ვერავინ სცემდა ხმას და ამაზე მეტი (მინისტრების პორტფელები თუ სხვა რამ) თუ უნდოდათ, ძნელი სათქმელია, მაგრამ **ქუჩა რომ ძირითადად სააკაშვილზე და ნაკლებად ჟვანიაზე მუშაობდა, ყველამ იცოდა.**

რევოლუციამ გაიმარჯვა, ქურდებმა კი მიიღეს ის, რასაც იმსახურებდნენ – ვირის აბანო. სხვათაშორის, საზოგადოებაში ასეთი განწყობაც არსებობს — **ოპოზიციურად განწყობილი ძალიან ბევრი ადამიანი იწონებს ქურდული სამყაროს ასეთ „მიჩმორებას“ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ.** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ამ მოწონებისა კი ისაა, რომ, როდესაც თავი კიტრად მოგაქვს და აცხადებ, რომ ციხე კი არა, მთელი ქვეყანა ქურდებისაა, ოდნავ უნდა გაფაფხურდე მაინც, როცა ხელისუფლება შენს წინააღმდეგ ასეთ ტოტალურ შეტევაზე გადმოდის და განადგურებს. ახია შენზე. ზუსტად იქ არის შენი ადგილი, სადაც ხარ.

შევარდნაძის პერიოდის ნამდვილად კორუმპირებულ ჩინოვნიკებს რომ გადაუარა (რა ფორმებით, ეს სხვა საკითხია), **ამის საწინააღმდეგო არც ჰქონია ვინმეს რამე და ვერც ექნებოდა. მაგრამ შემდეგ? ინტელიგენციას თავზე ისე დააშარდა და ჩარეცხა, ხმაც ვერავინ ამოიღო** (სხვათაშორის, ეს ის ინტელიგენციაა, 9 აპრილის შემდეგ „არაფრის რომ არ ეშინოდა“ და „საბჭოთა ტანკებს მედგრად ებრძოდა“ კომენდანტის საათის გაუქმების შემდეგ); **მეცნიერება საერთოდ გააუქმა; ლტოლვილებს, სოხუმს ვინ ჩივის, კოდორიც უკან დაატოვებინა; სვანეთს აფრასიძეების „ხათრით“ 10 ვერტმფრენით „მიეალერსა“ და „ტრუპები“ ერთმანეთზე დაალაგა** (ვიღაც კნაოდა – სვანები ამას არ მოითმენენ და არ შეარჩენენო, თუ მეხსიერება არ მღალატობს); **გარემოვაჭრეებს გაჩენის დღე აწყევლინა; ბიზნესმენებს რეკეტი სანატრელი გაუხადა; ტერიტორიები ჯერ რა გვქონდა დარჩენილი და იმაზე ნაკლები მივიღეთ; ერის მენტორებად და თანამედროვე სულხან-საბა ორბელიანებად ეკა ხერხეულიძეები, ოჩიაურები, თეა თუთბერიძეები და დათო დარჩიაშვილები დასვა; მივიწყებული თარიღი — 7 ნოემბერი თავიდან აღსანიშნი გახადა და... არც არაფერი!** მშვიდად და ბედნიერად მოგზაურობს, ხან მალიბუშია და ხან — მონტე-კარლოში, ხან დოქტორი დოტი (პირადი მასაჟისტი) ჩამოჰყავს და ხანაც ჯენიფერ ლოპესის ჩამოყვანაზე ფიქრობს, **მოწყენილ ხალხს „მოდელირებული ქრონიკებით“ ართობს, დამარცხებულ ხალხს (ქვეყანას) რუსეთზე გამარჯვებას აზეიმებს...**

აბა, არ ვენაცვალე ამის მერე მიშას? ხალხს, რომელიც ამ ყველაფერს მორჩილად ხვდება, ხმას არ იღებს და აბსოლუტურად ყველაფერს ითმენს, სხვანაირად უნდა მოექცე?

ვიღაც შემეკამათება — აბა, ხალხმა რა ქნას, ოპოზიციაც ხომ ასეთი უგვანო გვყავსო. გვყავს და ზუსტად იმიტომ გვყავს, რომ **ხალხი ისევ ქვის მსროლელ ლიდერს ელოდება;** რომ ჩვენი დღევანდელი მენტალიტეტიდან გამომდინარე, „სხვანაირი“ და „კარგი“ ოპოზიცია, უბრალოდ, ვერ წარმოიქმნება, რადგან ამას ჭკუა, დაფიქრება და განსჯა სჭირდება, ჩვენ კი ეს გვეზარება; **ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ „მხსნელი“ გამოჩნდეს და თითოეული ჩვენგანის გასაკეთებელი გააკეთოს.**

მკითხველი, იმედია, მიხვდება, რომ სტატიის სათაურში გამოტანილი „მიშა“ კრებითი სახელია და არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მხოლოდ მიხეილ ნიკოლოზოვიჩს. **მხოლოდ სააკაშვილის ჭკუა და გამბედაობა ნამდვილად არ ეყოფოდა იმას, რომ ეს ერთი კაცი ბოლომდე წასულიყო ყველაფერზე, დაეჩოქებინა ყველა მოწინააღმდეგე (სულიერიც და უსულოც), „გაეფარჩაკებინა“ ოპოზიცია და ხალხში ისეთი აზრიც კი გაეჩინა, რომ „საერთოდ რა აზრი აქვს პროტესტის გამოხატვასო“. „მიშაში“ იგულისხმება ყველა, ვინც გადაწყვეტილებებს იღებდა, ასრულებდა და ზუსტად იცოდა, რომ რეალური და მათთვის საშიში პროტესტი ხალხში არ გაჩნდებოდა** და, თუ გაჩნდებოდა, ამასაც ადვილად მოუვლიდნენ – მერაბიშვილიც, ბოკერიაც, რურუებიც და ა.შ.

ერთი ფსიქოლოგისთვის უკითხავთ: **ქართველი ხალხი რამდენად იმსახურებს ლიდერად მიხეილ სააკაშვილსო. არანაირად არ იმსახურებსო,** — უპასუხია ფსიქოლოგს და დაუმატებია, — **მაქსიმუმ, ვისაც ამ ეტაპზე ქართველი ხალხი თავის ლიდერად იმსახურებს, თეაა თუთბერიძეო. ტყუილია?!**

ბანალური და გაცვეთილი გამოთქმაა — ყველა ხალხს ჰყავს ის ხელისუფლება, რომელსაც ის იმსახურებსო. სრული ჭეშმარიტებაა. **რაც მეტს „გვიზამს“, უფრო მეტად დავრწმუნდებით, რომ სწორედ ამას ვიმსახურებთ და, შესაძლოა, ამაზე უფრო მეტსაც.**

არჩილ ჩხარტიშვილი

მოკლედ

73.9 მილიონი ამერიკისგან

ამერიკის შეერთებული შტატები იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერის, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის საქართველოს 73.9 მლნ აშშ დოლარის დახმარებას გამოუყოფს.

გორში შეთანხმების ხელმოსაწერად აშშ-ის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი, ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი მაშინ შეიკრიბნენ, როცა თბილისში შესაბამისი სამსახურები ლტოლვილების იძულებით გამოსახლებით იყვნენ დაკავებულნი. ეს არის ბოლო ტრანში იმ ერთი მილიარდი დოლარიდან, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ გამოუყო.

თიზ-ი – ეკონომიკური შიმშილის ზონები

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არც ფოთის და არც ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში (თიზ) შემოსასვლელად ინვესტორებს რიგი არ დაუყენებიათ, 2012 წელს კიდევ ერთს თბილისშიც ხსნიან.

ამ საქმით ქართულ-ებრაული კომპანია „tera 1“-ია დაინტერესებული, თუმცა რა თანხის ინვესტირებაში აისახება ეს დაინტერესება, ჯერჯერობით არავინ იცის. სამომავლო გეგმებში ხელვაჩაურის თიზ-ია. არადა, ქუთაისის თიზ-ში, რომელიც 2009 წელს შეიქმნა, დღემდე ერთადერთი კომპანია ფუნქციონირებს, ფოთში მისი გახსნის გადადების მიზეზი კი ინვესტორი კომპანიების სიმცირე გახდა. ექსპერტები აცხადებენ, რომ ევროკავშირი თიზ-ებს არ მიესალმება, ჩვენი ხელისუფლების ამგვარი ქმედება კი ადასტურებს, რომ ჩვენ სულ სხვა მიმართულებით მივდივართ.

18 აგვისტო — 7 სექტემბერი, 2010 წელი. №31 (74)
www.geworld.net

«ნაციონალური მოძრაობა» არჩევნებზე დახარჯული თანხის ამოღებას ცდილობს

2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებამ ბიზნესმენების დაკავების მთელი სერია განახორციელა. 31 მაისიდან დღემდე სხვადასხვა ბრალდებით ხუთი ბიზნესმენია დაკავებული. ბრალდებები ზოგ შემთხვევაში განსხვავებულია, თუმცა მოტივი — უცვლელი. ამ დროისთვის სამართალდამცავების უკანასკნელი სამიზნე ანზორ ქოქოლაძე გახლდათ. „ელიტ ელექტრონიქსის“ ყოფილ მმართველს განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის მითვისებას ედავებიან.

ანზორ ქოქოლაძე

გამოძიების ინფორმაციით, 2008-2009 წლებში, სხვადასხვა უკანონო გარიგების საფუძველზე, ქოქოლაძემ თაღლითურად აარიდა თავი სახელმწიფოსა და კრედიტორთა წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებას. 180-ე მუხლი, რომელიც ქოქოლაძეს წაუყენეს, 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. როგორც ირკვევა, ქოქოლაძე მის სახელზე დარეგისტრირებულ მცირე კომპანიებს სესხებს აძლევდა, აღნიშნულ სესხებს კი კომპანიები უკან აღარ აბრუნებდნენ და ფული ქოქოლაძეს რჩებოდა. იგი ასევე ქმნიდა „ელიტ ელექტრონიქსის“ შვილობილ კომპანიებს, მათ საბაზრო ღირებულებას ზრდიდა და „ელიტ ელექტრონიქსზე“ ჰყიდდა. „ელიტ ელექტრონიქსმა“ კომპანიები 7 მილიონ ლარად მაშინ შეიძინა, როცა ბიუჯეტის დავალიანება ჰქონდა.

ქოქოლაძის გოლოდრო-ინდელი დაპირისპირება „თიბისი“ ბანკთან, რომელსაც ყველა დროის ხელისუფლება მეტისმეტად სწყალობს, ყველასათვის ცნობილია. სწორედ ამ დავას უკავშირებენ ქოქოლაძის დაპატიმრებას.

ბიზნესმენის დაკავებასთან დაკავშირებით, **ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის (აფბა) პრეზიდენტმა მერაბ ჯანიაშვილმა** განცხადება გააკეთა: **„აფბა, დიდი ხანია, თვალს ადევნებს „ელიტ ელექტრონიქსთან“ დაკავშირებულ მოვლენებს. ბოლო პერიოდში, როცა „ელიტ ელექტრონიქსის“ ძველ ხელმძღვანელობასა და ახალ მეპატრონეებს შორის კონფლიქტი გაჩაღდა, აფბამ გადაწყვიტა მედიატორის როლის შესრულება და აპირებდა დაპირისპირებული მხარეებისთვის შეეთავაზებინა საკითხის მიუკერძოებელი შესწავლა ავტორიტეტული ექსპერტების ჩართვით. „თიბისი“ ბანკის მიერ საქმესთან დაკავშირებით კომენტარების გაკეთებაზე უარის თქმის შემდეგ, ბუნებრივია, ჩვენი ჩანაფიქრი აღარ განხორციელდა.**

დღეს, იმ ინფორმაციების შესწავლის საფუძველზე, რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომია, აგრეთვე, ბიზნესმენ ანზორ ქოქოლაძისადმი წაყენებული ბრალდების გაცნობის შემდეგ, მივედით დასკვნამდე, რომ ბიზნესმენის დაკავება უკანონოა. უამრავი ფაქტიდან, დეტალიდან და ნიუანსიდან მხოლოდ იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ „ელიტ ელექტრონიქსთან“ დაკავშირებული ამბების ყველა ეტაპზე იგნორირებულია თვით კომპანიისა და მისი მეპატრონის ინტერესები.

საფუძველს მოკლებული, ალოგიკური, უარგუმენტო და ტენდენციურია წაყენებულ ბრალდებათა უმეტესობა.

სიტუაცია კურიოზულია, როცა მოპირდაპირე მხარე ამტკიცებს, რომ ბიზნესმენი საკუთარი თავის წინააღმდეგ მუშაობდა, საკუთარ თავს ხანფულს უმალავდა და ხანაც ჰპარავდა.

იურიდიული მხარე საქმეს არ აქვს. ახალი მეპატრონეების პროტესტი, თუ რა ფულით დაიწყო ახალი ბიზნესი იმავე სფეროში ბატონმა ქოქოლაძემ, საერთოდ საღ აზრს მოკლებულია. თავისუფლების აღკვეთა ადამიანისთვის ეკონომიკური აქტივობის გამო, ჩვენი ბიზნესგარემოს კიდევ ერთი სამარცხვინო მახასიათებელია.

ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია ბიზნესმენის დაპატიმრება იმ მოტივით, რომ იგი მოწმეებზე ზეწოლას მოახდენს ან დამოძიებას დაემალება. ამას ამბობენ საქმოსანზე, რომელმაც ახლახან კომპანია „ტექნობუმი“ დააფუძნა და ბაზრის ამ სეგმენტის სხვა სუბიექტებთან ღია კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვებას აპირებს.

ქართულ ბიზნესში მომრავლებული ფარული მონოპოლისტების, ხელისუფლებასთან შეზრდილი კრიმინალური კლანებისა და ჯანსაღი კონკურენციის დეფიციტის პირობებში ერთი კონკრეტული კომპანიისა და ერთი ბიზნესსადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულება მიუღებელია“.

„თიბისი“ ბანკსა და „ელიტ ელექტრონიქსს“ შორის დავა, დიდი ხანია, მიმდინარეობს, ბოლო დროს კი ანზორ **ქოქოლაძემ „თიბისი“ ბანკი „ელიტ ელექტრონიქსის“ 55%-იანი წილის არაკეთილსინდისიერად გადაფორმებაში დაადანაშაულა** და მის დაბრუნებასა და სამმაგ ფასად გამოსყიდვას ცდილობდა. მაგრამ იგი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

ქოქოლაძემდე სამართალდამცავებმა თბილისის ყოფილი პრემიერი, ამჟამად ბიზნესმენი გია შერაძე დააკავეს.

შერაძის დაკავება არ გახმაურებულა და ამ ფაქტს ხელისუფლება დღემდე ასაიდუმლოებს. შერაძე თბილისის პრემიერი შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს გახლდათ, მაშინ, როცა საკრებულოს თავმჯდომარე დღევანდელი პრეზიდენტი, სააკაშვილი იყო და შერაძესთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა. შერაძე რევოლუციის შემდეგ ბიზნესში გადაბარგდა. იგი სააკაშვილის ხელისუფლებამ უკვე მესამედ დაპატიმრა და საპროცესო გარიგებით გაათავისუფლა.

არჩევნების შემდეგ, რომელიც ხელისუფლებას მრავალი მილიონი დაუჯდა და რომელმაც „ნაცმოელებს“ პარტიული ქისა გამოუსუფთავა, როგორც ჩანს, გამარჯვებულებმა „კარგ გადამხდელებს“ მიაკითხეს. **შერაძისგან განსხვავებით, კარგად გაპიარდა „ელიზი ჯგუფის“ მეპატრონის — თამაზ ელიზბარაშვილის დაკავება.**

მას არა ფინანსურ მაქინაციებს, არამედ 7 წლის წინათ ჩადენილ დანაშაულს, ქრთამის მიცემას ედავებიან. იგი საკუთარი ვაჟისთვის, გურამ ელიზბარაშვილისთვის, ყალბი ფსიქიატრიული დასკვნის სანაცვლოდ ფსიქიატრებისთვის ქრთამის მიცემაშია დადანაშაულებული.

„ელიზი“ საქართველოში სიგარეტების ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორია. მის პრეზიდენტს, ელიზბარაშვილს სამართალდამცავებთან პრობლემა ადრეც ჰქონდა. მას მაშინ ძვირადღირებული მანქანები ჩამოართვეს, რასაც ელიზბარაშვილი აპროტესტებდა და უკანონობად აცხადებდა. საკითხი იმით დასრულდა, რომ **ელიზბარაშვილის ჯიპები სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა და ძალოვან უწყებას გადაეცა სხვა უამრავი მანქანის მსგავსად.**

ელიზბარაშვილის დაკავებას წინ უსწრებდა საავტომობილო ფირმის, „მათე მოტორსის“ მეპატრონის, გელა ბარკალაიას დაკავება, რომელზეც ჩვენ გასულ ნომრებში ვწერდით. გამოძიება ბარკალაიასაც ქრთამის მიცემას ედავებოდა, ოღონდ მას — საგადასახადოს თანამშრომლისთვის. არადა, ბარკალაია, ისევე, როგორც შერაძე, ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენი იყო და **მმართველ პარტიას არჩევნებში გასამარჯვებლად როგორც ფინანსურად, ისე აგიტაციაშიც ეხმარებოდა, რადგან მან საკუთარი კომპანიის წინ ყვავილებით გამოსახა ხუთიანი „ნაციონალების“ მხარდასაჭერად.** თავის მხრივ, მმართველი გუნდიც არ რჩებოდა ვალში ბარკალაიას და ტენდერებს აგებინებდა სამინისტროებში. მისი დაკავების ვერსიად, ფინანსურ დაპირისპირებასთან ერთად, დასახელდა მეორე ვერსიაც, რომ **ბარკალაიას ხელისუფლება „მათე მოტორსის“ ტერიტორიის დათმობას სთხოვდა, რადგან ის ტერიტორია ხიდის გასაკეთებლად სჭირდებოდა და ბარკალაიასგან უარი მიიღო.** რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სინამდვილეს, მხოლოდ მას შემდეგ გახდება ცნობილი, თუ „მათე მოტორსის“ ტერიტორიაზე სააკაშვილი ახლო მომავალში ხიდს გახსნის, რადგან ბარკალაიას გარემოცვა მისი დაკავების მიზეზებზე არ საუბრობს.

ბიზნესმენების დაკავების სეზონი სამართალდამცავებმა „ენერჯი ინვესტის“ ხელმძღვანელით, გენო მალაზონიას დაპატიმრებით გახსნეს. მალაზონიას დაკავება ბარკალაიაზე არანაკლებ მოულოდნელი იყო როგორც საზოგადოებისთვის, ისე თავად მალაზონიასთვის. „ენერჯი ინვესტში“ პროკურატურა იყო შესული და მის საქმიანობას სწავლობდა, თუმცა, როგორც თანამშრომლები აცხადებდნენ, მუშაობა მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა და ასეთ დასასრულს არავინ ელოდა. **ბურუსით მოცული დარჩა გენო მალაზონიას დაკავების რეალური მიზეზიც, მას ბრალი ლიცენზიის წესების დარღვევისთვის წაუყენეს. თუმცა ამ შემთხვევაშიც გამოითქვა ეჭვი, რომ მალაზონიასთან ხელისუფლებას ფინანსური ანგარიშები ჰქონდა გასასწორებელი.**

ოპოზიციის აზრით, **ბიზნესის დატერორებისა და ბიზნესმენების დაწიოკების გეგმა ხელისუფლებას ფინანსურმა კრიზისმა აამოქმედებინა,** რომელიც მათ მიერ ბიუჯეტში არჩევნებზე გახარჯული მილიონების შედეგად შეიქმნა. როგორც ჩანს, **„ნაციონალური მოძრაობის“ ქისა ჯერ კიდევ არ შევსებულა, შესაბამისად, ბიზნესმენების დაკავების ტენდენცია ჯერ კიდევ ძალაშია** და, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მერაბიშვილის ბადეში ხელისუფლების ჯიბის ბიზნესმენებიც ექცევიან, ბორკილების მოლოდინში, ალბათ, ყველაა — მცირე თუ მსხვილი ბიზნესის მწარმოებელი.

სოფო გელაშვილი

მოკლედ

ევროკომისია დაგვეხმარება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის კახა ბაინდურაშვილი ევროკომისიის საგარეო ფინანსური დახმარებების განყოფილების ხელმძღვანელ პირებთან შესახვედრად და მომავალი თანამშრომლობის საკითხების განსახილველად ბრიუსელში გაემგზავრა. ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი, ცხადია, ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება უნდა ყოფილიყო. 2008 წლის ოქტომბერში, ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ევროკომისიამ საქართველოს დაახლოებით 500 მილიონი ევროს ფინანსური დახმარება გამოუყო. ამ დახმარების ფარგლებში 202 მილიონ ევროზე ხელშეკრულებები უკვე გაფორმებულია, საიდანაც საქართველოს 128 მილიონი უკვე მიღებული აქვს.

დევნილებს თბილისიდან წასვლა არ უნდათ

თბილისში კომპაქტურად ჩასახლებული ადგილებიდან გამოსახლებული დევნილები აცხადებენ, რომ სოფლებში კიდევ ერთხელ ყველაფრის თავიდან დაწყებას ვერ შეძლებენ და პერმანენტულ საპროტესტო აქციები მართავენ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან გამართული აქციისას მათ სამინისტროს განცხადებით მიმართეს და თბილისის მასშტაბით ნებისმიერ უბანში ალტერნატიული ფართის გამოყოფა მოითხოვეს. როგორც ცნობილია, სახელმწიფო მათ დასახლებას და შესაბამის ფართებს სხვადასხვა რაიონში სთავაზობს. მომდევნო აქცია გარემოვაჭრეებთან ერთად ხუთშაბათს, 18 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციასთან გაიმართება.

ერის გადაშენების ახალი გეგმა

„ვისაც არ აინტერესებს, რა არის ერი და ასეთი სუბიექტი უნდა არსებობდეს თუ არა დედამიწის ზურგზე, მათთვის ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მოკლე გზა იმისთვის, რომ საქართველოს ტერიტორია საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეთა ტერიტორიად გადაიქცეს“, — ასეთი კომენტარით უპასუხა ფილოლოგმა ლევან ღვინჯილიამ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ახალ ინიციატივას ქართველი ბავშვების „ინგლისურენოვან თაობად“ ჩამოყალიბების თაობაზე. მისივე თქმით, როგორც ჩანს, ეს ვიღაცას უნდა და გეგმაზომიერად ახორციელებს ამას, მაგრამ, თუ ამ გზით ვივლით, მოსახლეობა დარჩება, მაგრამ ერი, როგორც სუბიექტი, აღარ იარსებებს.

ჩუმლაყელებს წყალს არ ასმევენ

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის მოსახლეობა სასმელ წყალს ითხოვს და ვინაიდან მოთხოვნის სხვა არც ერთმა ფორმამ შედეგი არ გამოიღო, ხალხმა საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეები ირწმუნებოდნენ, რომ ბოლო დროს სოფლის სასმელი წყლით მომარაგებისთვის ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხა არაერთხელ გამოიყო და დაიხარჯა, პრობლემა კი კვლავაც მოუგვარებელია. სამაგიეროდ, შინაგან საქმეთა გურჯაანის სამმართველომ იმუშავა „კეთილსინდისიერად“ და აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ოთარ მირიანაშვილი დააკავა. „სასმელი წყალი არ გვაქვს და ხმაც არ ამოვიღოთ?“ — კითხულობდა გათავისუფლების შემდეგ „დამნაშავე“. პოლიცია კი ირწმუნებოდა, არავინ დაგვიკავებიაო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ბათუმი — მსოფლიო გეების დედაქალაქი?!

გავრცელებული ინფორმაციით, აგვისტოს თვეში დაგეგმილი გეი-პარადი თბილისის ნაცვლად, სავარაუდოდ, ბათუმში ჩატარდება. ეს გადაწყვეტილება ზღვის სეზონზე ტურისტების სიმრავლის გამო მიიღეს. თანაც, ამ ნაბიჯით ბათუმი ნამდვილად მიიქცეევს მსოფლიოს, განსაკუთრებით კი მსოფლიო გეების ყურადღებას და ტურისტების რაოდენობაც ერთი-ორად გაიზრდება. ბათუმი „მსოფლიო გეების დედაქალაქის“ სტატუსით ნამდვილად გაუწევს კონკურენციას შავიზღვისპირა კურორტებს და ჩვენი პრეზიდენტის ოცნებაც ახდება. მერა რა, თუ გეებისა და ლესბოსელების ყურება ამაზრზენი იქნება ბათუმელებისთვის და სხვა დამსვენებლებისთვის. მთავარია, ტურისტული ინფრასტრუქტურის „განვითარება“.
ცოტა ხნის წინათ გამოაცხადეს, ნუდისტური პლიაჟი უნდა გავხსნათ, უცხოელ ტურისტებს მოვიზიდავთო. ამას მოჰყვა, სულ ცოტა ხნის წინათ ბათუმის ახალ ბულვარში ბაიკ-ფესტივალზე უკრაინელი გოგონების სახალხო გაშიშვლება და წუწაობა; ახლა კიდევ — გეი-პარადი. ვერაფერს იტყვი, ბათუმი „წინ მიიწევს“. ამ თემასთან დაკავშირებით ჩვენ პარტია „თავისუფლების“ წარმომადგენელს — ლადო სადღოგელაშვილს გავესაუბრეთ, რომელსაც განსაკუთრებული პროტესტის გრძნობა აქვს გეების მიმართ.

ლადო სადღოგელაშვილი

რატომ უნდა გაიაროს „იუბკიანი“ მამაკაცების ბრბომ ქუჩაში? რატომ უნდა ნახონ ეს ბავშვებმა? რატომ უნდა გაირყვნას ქართული საზოგადოება? ვინ მისცემს მაგ უბედურებს და ავადმყოფებს ამის საშუალებას? ცოტა ქართველი მართლმადიდებელი გეგულებათ, რომელიც მათ წინ აღუდგება? მე ძალიან ბევრი ვიცი.

ლადო სადღოგელაშვილი:

— დაახლოებით 3 თვეა, სულ უფრო მეტი ადამიანი საუბრობს იმ საშიშროებაზე, რასაც საქართველოში გეი-აღლუმის ჩატარება ჰქვია. მართალია, ასეთი საუბრები 2008 და 2009 წლებშიც იყო, მაგრამ მსგავსი დიაპაზონით, როგორიც ახლაა, ადრე არ ყოფილა...

კავკასია არის ერთადერთი სეგმენტი ევროპის მიმდებარე ტერიტორიებიდან, სადაც გეი-აღლუმი არ ჩატარებულა. უკრაინაში, რუსეთში, ბელარუსსა და სხვა ქვეყნებში, რომლებიც ევროპას ესაზღვრება, ასეთი მსვლელობები არაერთხელ გაიმართა. რაც შეეხება საქართველოს, მაქვს ინფორმაცია, რომ **ერთ-ერთი უცხოური ორგანიზაციიდან ფონდ „ინკლუზივში“ 2008 წელს გრანტი იყო გადმორიცხული გეი-აღლუმის ჩასატარებლად. ახლა, უბრალოდ, აიძულებენ „ინკლუზივს“, რომ ეს აქცია ჩაატაროს.**

აგვისტოში თბილისში კაციშვილი არ არის, ალბათ, ამიტომ გადაწყვიტეს ბათუმში ჩატარება. ბათუმი, წარსულში საპორტო ქალაქი, დღეს ჩვენი ღირსეული მთავრობის ხელში გადაიქცა გარყვნილების ბუდედ (ვგულისხმობ არაერთ ბინძურ შეთავაზებებს აჭარლებისთვის. ნუდისტური პლიაჟი და ბათუმის მსოფლიო გეი-დედაქალაქად გადაქცევა). ამას ემატება უცხოელი ტურისტების ფაქტორი. მეტი ინტრიგა და პროვოკაცია ხომ მიმზიდველს ხდის ამა თუ იმ გარემოს.

კავკასიის სეგმენტიდან რატომ არის თავდასხმა, მაინცდამაინც საქართველოზე? პასუხი მარტივია, საქართველო მართლმადიდებლური ქვეყანაა, ხოლო ამ რწმენაში ჩადებულია სიყვარული, მოთმინება და შემწყნარებლობა. აბა, გაბედონ მუსულმანურ ქვეყნებში მსგავს რამეზე საუბარიც კი.

ინტერნეტსივრცეში, კერძოდ, ფორუმებში პედერასტების არაერთ მუქარას გადაეყრებით. ამას ემატება ისიც, რომ „იმედის“ ეთერში „სიმართლის დროში“ გამოდის ვიღაც ავადმყოფი და თამამად საუბრობს გეი-აღლუმის ჩატარებაზე, თან უსირცხვილოდ ასახელებს თარიღსაც, 26 აგვისტოს. რა უნდა იფიქროს ნორმალურმა მართლმადიდებელმა, საქართველოს მოქალაქემ? მე მაინც ვიმედოვნებ, რომ ამ ბინძურებს ეყოფათ ტვინი და მოერიდებიან პროვოკაციებს, რადგან **საქართველო ვერასოდეს ვერ გახდება ჰოლანდიის მაგვარი სახელმწიფო, სადაც ყველაფერი შეიძლება, ან შვედეთი, სადაც 6 წლის წინათ ერთ-ერთი ეკლესიის მღვდელი მხოლოდ იმიტომ დააპატიმრეს, რომ მან ქადაგებაში თქვა, ჰომოსექსუალიზმი ცოდვააო.**

დაახლოებით 3 დღის წინათ ვიყავი თბილისის მერიაში და ვიკითხე, არის თუ არა საჭირო რაიმე სახის განცხადების შეტანა მერიაში გეი-პარადის მსგავსი მსვლელობის ჩასატარებლად. პასუხი იყო ასეთი: იმ შემთხვევაში, თუ იგეგმება რომელიმე ქუჩის ან პროსპექტის გადაკეტვა, საჭიროა განცხადების შემოტანა, მაგრამ თუ ადამიანთა ჯგუფი გაივლის ტროტუარზე ტრანსპარანტებითა და შეძახილებით, ამისთვის არავითარი ნებართვა არ არის საჭირო; მათ, პრინციპში, დაუკითხავად შეუძლიათ მსგავსი მსვლელობის ჩატარება. რაც მთავარია, მათ მოუწევთ დაცვის ორგანიზება, ანუ შინაგან საქმეთა სამინისტრო, წესით, ინფორმირებული უნდა იყოს.

ანალოგიური სიტუაციაა ბათუმში. მათ სრული უფლება აქვთ, ვინმეს დაუკითხავად ჩაიაროონ ბათუმის ქუჩებში ისე, რომ არც კი გააფრთხილებენ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას.

ისე, წარმომიდგენია, მაგ ავადმყოფებსა და უბედურებს აჭარლები რას უზამენ! გეი-აღლუმის ჩატარების ინიციატორები „ინკლუზივის“ შეფი პაატა საბელაშვილი და ბებერი პედერასტები არიან.

რატომ უნდა გაიაროს „იუბკიანი“ მამაკაცების ბრბომ ქუჩაში? რატომ უნდა ნახონ ეს ბავშვებმა? რატომ უნდა გაირყვნას ქართული საზოგადოება? ვინ მისცემს მაგ უბედურებს და ავადმყოფებს ამის საშუალებას? ცოტა ქართველი მართლმადიდებელი გეგულებათ, რომელიც მათ წინ აღუდგება? მე ძალიან ბევრი ვიცი.

გეი-პარადის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება ჩვენ ფონდ „ინკლუზივის“ ხელმძღვანელთან — პაატა საბელაშვილთან ვცადეთ.

პაატა საბელაშვილი:

— საინტერესოა, ვინ ახდენს ასეთი ჭორების გენერირებას. მრჩება შთბეჭდილება, რომ მთავრობას სხვა გასაკრიტიკებელი ვერაფერი გამოუძებნეს და ამ საკითხით ახდენენ მის დემონიზაციას, მაშინ, როდესაც მთავრობა ამ საკითხზე ყურსაც არ იბერტყავს. 2007 წელსაც ასე მოხდა, „ალიამ“ გადაწყვიტა, რომ პარადი უნდა გამართულიყო ფოთში. ჩვენ დავუკავშირდით და ვთხოვეთ ორგანიზატორების კოორდინატები. 2 კვირის მერე გამოაქვეყნეს სტატია, რომელშიც ეწერა, რომ ფოთელებმა აღშფოთება გამოთქვეს და პარადი ჩაიშალაო. შემდეგ, ივლისში, ევროსაბჭოს კამპანიაზე თქვეს, პარადიაო და ამის შედეგად ჩაშალეს ღონისძიება, რომელსაც საერთოდ არანაირი კავშირი არ ჰქონდა ამ თემასთან.

მოვა 26 აგვისტოც და აღმოჩნდება, რომ არავინ არაფერს ატარებს. შემდეგ გამოვლენ და იტყვიან, რომ ქართული საზოგადოების აქტიური ჩარევით პარადი არ ჩატარდაო. მე მიმაჩნია, რომ ეს ადამიანები იმდენად გაბანკროტდნენ, რომ, ასეთი სკანდალების გავრცელების გარდა, სხვა არაფერი დარჩათ საკუთარი ამომრჩევლებისთვის სათქმელი.

თუ გინდა დაიჯერო, დაიჯერე! ბევრს გავესაუბრე პირადი მიმოწერით, ვკითხე, თუ საიდან ფლობდნენ ინფორმაციას. ზოგმა თქვა, რომ მოძღვარმა უთხრა, ზოგის მეზობელი მერიის თანამშრომელია და მან უთხრა და ა.შ. არაფერი კონკრეტული. საინტერესო კი ისაა, რომ, მიუხედავად ამისა, ყველას გულმხურვალედ სჯერა ამის. რა გაეწყობა, თუ ასე გულით უნდათ, სჯეროდეთ! ჩვენ სერიოზულ რეაგირებას ვერ გავაკეთებთ წესების გარეშე მებრძოლი პოლიტიკანების გამოხდომებზე.

თეო ტაბატაძე

მოკლედ

თსუ ნუგზარ სურგულაძეს ჩააბარეს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ რექტორის მოვალეობის შემსრულებლად იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი ნუგზარ სურგულაძე აირჩია. კულუარული ინფორმაციის თანახმად, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის პოსტისთვის ბრძოლაში ნუგზარ სურგულაძემ საპარლამენტო უმრავლესობის წევრის — გოკა გაბაშვილის, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის — ავთანდილ დემეტრაშვილის, ილიას უნივერსიტეტის რექტორის — გიგი თევზაძის, თავდაცვის ყოფილი მინისტრის — დავით სიხარულიძისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის — ნოდარ სურგულაძის კანდიდატურები დაამარცხა.

ასეულშიც ვერ მოვხვდით

საქართველო Newsweek-ის მიერ შედგენილ მსოფლიოს საუკეთესო ქვეყნების ასეულში ვერ მოხვდა. რეიტინგისთვის ქვეყნები ხუთი კრიტერიუმის — ჯანდაცვის, ეკონომიკური განვითარების, განათლების, პოლიტიკური მდგრადობისა და ცხოვრების დონის მიხედვით შეირჩა. ასეულის პირველ სამეულში ფინეთი, შვეიცარია და შვედეთი შევიდა. ათეულში მოხვდნენ ავსტრალია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, კანადა, ნიდერლანდები, იაპონია და დანია. სიას ბურკინა-ფასო, ნიგერია და კამერუნი ასრულებენ, ანუ ეს „შესანიშნავი სამეული“ ზემოხსენებული ყველა კრიტერიუმის მიხედვით გვჯობნის. ჯანდაცვისა და განათლების საუკეთესო სისტემა იაპონიაშია. ცხოვრების დონით პირველ ადგილზე ავსტრალიაა.

თურქეთი და აზერბაიჯანი შეთანხმდნენ

თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა აბდულა გიულიმ და ილჰამ ალიევმა ბაქოში სტრატეგიული თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. ამ ფაქტს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ორი ქვეყნის სამომავლო თანამშრომლობისთვის ისტორიული ნაბიჯი უწოდა. შემდეგ კი აღნიშნა, რომ აზერბაიჯანისა და თურქეთის კავშირები ყოვლისმომცველ ხასიათს შეიძენს, მათი ეკონომიკური აქტიურობა კი, მათ შორის ტრანსნაციონალური პროექტების ფარგლებში, რეგიონში სიახლეების აღმოცენებას უზრუნველყოფს. თავის მხრივ, თურქეთის პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ „თურქეთი აგრძელებს აზერბაიჯანის მხარდაჭერას ყარაბაღის საკითხში და ყოველთვის მასთან ერთად იქნება“.

აშშ-ის ულტიმატუმი თურქეთს

თუ თურქეთი ისრაელისა და ირანის მიმართ პოლიტიკურ კურსს არ შეცვლის, აშშ ანკარას იარაღს აღარ მიაწვდის. როგორც ბრიტანული გაზეთი „ფაინენშელ თაიმსი“ იუწყება, ეს ულტიმატუმი ბარაკ ობამამ თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოგანს პირადად წაუყენა. ობამას განცხადებით, თურქეთის ზოგიერთმა ნაბიჯმა კონგრესი დააეჭვა, თუ რამდენად საიმედოა ანკარა, როგორც აშშ-ის მოკავშირე. გაზეთის მონაცემებით, აშშ უკმაყოფილოა იმით, რომ ივნისში თურქეთმა მხარი არ დაუჭირა გაეროს რეზოლუციას ირანის წინააღმდეგ. „თურქეთმა უნდა დაამტკიცოს, რომ უსაფრთხოების სფეროში აშშ-ის ნაციონალურ ინტერესებს ითვალისწინებს“, — უთხრა გაზეთს აშშ-ის ადმინისტრაციის ინკოგნიტო წარმომადგენელმა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

აშშ-ის «რბილი ძალის» პოლიტიკამ რუსეთის პოზიციები განუმტკიცა

The Washington Times-მა და The Wall Street Journal-მა გასულ კვირას ერთმანეთის მიყოლებით გამოაქვეყნეს ელი ლეიკისა და არიელ კოენის სტატიები, რომლებშიც აშშ-რუსეთის „გადატვირთვის“ პოლიტიკის მიმდინარე შედეგებს აანალიზებენ და ერთ დასკვნამდე მიდიან: რუსეთის ენერგიული შეტევის ფონზე თეთრი სახლის ადმინისტრაციის „რბილი ძალის“ პოლიტიკა ამ უკანასკნელისთვის აშკარად წამგებიანია.

ევრაზია რუსეთის პრივილეგებული ზონა ხდება, რასაც მან თავისი დიპლომატიის გააქტიურებით (მათ შორის, თვითგამოცხადებული რესპუბლიკების აღიარებით), იარაღის მიწოდებით, სამხედრო ხელშეკრულებების დადებით, ბაზების მშენებლობითა და რეჟიმის შეცვლითაც კი მიაღწია.

თუ რუსეთისთვის წაყენებული პრეტენზიები არახალია და უფრო მიმომხილველის სუბიექტურ მოსაზრებებს ეყრდნობა (მაგალითად, ყირგიზეთში ბაკიევის დამხობა იყო რუსეთის საპასუხო ნაბიჯი ყირგიზეთის პრეზიდენტის მიერ მანასის აშშ-ის სამხედრო ბაზის დახურვაზე უარის თქმის გამო, ასევე, რუსეთმა მოუწოდა თავის საბაჟო პარტნიორებს — ყაზახეთსა და ბელარუსს, შეწყვიტონ „ბორჯომისა“ და ქართული ღვინოების იმპორტი), სამაგიეროდ, ორივე პუბლიკაციაში სავსებით რეალისტურად არის შენიშნული, რომ ამ და რუსეთის სხვა მოქმედებაზე **„ამერიკის შეერთებული შტატების რეაქცია საუკეთესო შემთხვევაში დაბნეულია“** (არიელ კოენი); **რუსეთი „ამერიკის პოლიტიკას საკვანძო საკითხებში აშკარად უპირისპირდება“** (ელი ლეიკი).

ასეთი ერთმნიშვნელოვანი დასკვნები კონკრეტულ ფაქტებს ემყარება, მრავალ ფაქტს, რომელთა ერთობლიობა წარმოქმნის მოვლენას — **ევრაზია რუსეთის პრივილეგებული ზონა ხდება,** რასაც მან თავისი დიპლომატიის გააქტიურებით (მათ შორის, თვითგამოცხადებული რესპუბლიკების აღიარებით), იარაღის მიწოდებით, სამხედრო ხელშეკრულებების დადებით, ბაზების მშენებლობითა და რეჟიმის შეცვლითაც კი მიაღწია.

პოლიტოლოგები რუსეთის გააქტიურების ერთ-ერთ მაგალითად ასახელებენ ბელარუსზე გავლენის გაძლიერებას ლუკაშენკოს მოცილებისა და მისი „უფრო დამყოლი, პრომოსკოვური, მაგრამ არა აუცილებლად დემოკრატიული ხელმძღვანელით“ შეცვლის მიზნით (არიელ კოენი).

ამ ყველაფერს კი აშშ უპირისპირებს ჰილარი კლინტონის მიერ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების რუსეთის მიერ ოკუპაციის აღიარებას; და კიდევ — პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის, ჯონ მაკეინის შეფასებებს, არიზონელი სენატორისა, რომელიც საკაკშვილს ჰგონია, რომ გავლენიანი ძალაა; მის „ღრმა შეშფოთებას“ რუსეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო; აგრეთვე, საგარეო პოლიტიკის ანალიტიკოსებისა და უფლებადამცველი აქტივისტების მოწოდებას ობამასადმი, რათა „მან პირადად დაგმოს დემონსტრაციის დარბევა მოსკოვში, როცა დააპატიმრეს რუსეთის ყოფილი პრემიერ-ministrის მოადგილე ბორის ნემცოვი“ (ელი ლეიკი).

თეთრი სახლის უგერგილო საგარეო პოლიტიკის მიზეზებზე საუბრისას არიელ კოენი ხაზგასმით ბრალს სდებს ობამას ადმინისტრაციას იმაში, რომ იგი იშვიათად გადადის სიტყვიდან საქმეზე, „მან უარი თქვა „თავისუფლების გავრცელების“ ოცწლიანი, უპირატესად, ძალისმიერი ოპერატიული პოლიტიკის პრაქტიკაზე, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის სამხედრო ყოფნისთვის წინააღმდეგობის გაწევას, ჩრდილოატლანტიკური უსაფრთხოების სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციას, ასევე, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს შორის — უზბეკეთიდან უკრაინასა და მოლდოვამდე კავშირების განმტკიცებას გულისხმობდა“ (The Wall Street journal).

ასეთმა პოლიტიკამ, — მიიჩნევს არიელ კოენი, — **„საბოლოოდ მოწყვიტა საქართველოს პრორუსული სეპარატისტული ტერიტორიები — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი“.**

თუ შეწუხდებით და კიდევ ერთხელ გადაიკითხავთ ამ დასკვნას, ჩემი კარნახის გარეშეც მიხვდებით, რომ საქართველოს გაერთიანების პრობლემის გადაწყვეტა აშშ-ის კომპეტენციისა და სურვილის მიღმა რჩება.

რუსეთის პრესამ წინა კვირაში გაავრცელა ინფორმაცია, რომ **„მოსკოვმა აფხაზეთის სადავო ანკლავში გააგზავნა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები C-300. ეს არის საქართველოდან გამოყოფილი ორთაგან ერთი პროვინცია, რომლებიც რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნო. შეერთებულ შტატებს კი მიაჩნიათ,**

ერაყი: რეკვიემი ავანტიურისა გამო

„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ უცხოეთის პრესის მიმოხილვაში („მიდის, რათა დარჩეს“, №30) აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი აგენტის — ფილიპ ჯირალდის ინტერვიუ დავიმოწმე, რომელიც აღნიშნავდა: „ობამა ცდილობს, გამოაცხადოს გამარჯვება და დროზე წაეთრეს ქვეყნიდან“, ამერიკელების მიერ „გათავისუფლებული“ ერაყიდან.

ერაყული ესკიზები

ობამამ ერაყიდან ამერიკის შეიარაღებული ძალების ერთი ნაწილის წასვლის შესახებ კი გამოაცხადა (იხ. მითითებული სტატია), მაგრამ ეს საზეიმო დაფდაფების თანხლებით არ გაუკეთებია, არ უთქვამს, რომ ძირითადი საბრძოლო მოქმედებები შეწყდება 31 აგვისტოს, რადგან აშშ-ის მისია შესრულებულია.

არავითარი სიყალბე „გამარჯვების“, რითაც, მეორე წელიწადია, აბითურებს ჩვენი ხელისუფლება ქართველ ხალხს და გულზე წითელ ყაყაჩოებს იბნევს — ლადო ასათიანისგან მოპარულ ბრწყინვალე მეტაფორას, საკუთარი პატრიოტიზმისა და ქართველობის დემონსტრაციის მიზნით. „პატრიოტიზმი არა მარტო არამზადების უკანასკნელი თავშესაფარია, არამედ — ერთადერთი იდიოტებისთვის“ (ნოდარ ჯინი).

„თუ არც ყაყაჩოს ცეცხლია
და არც ახალი იარა,
მა ეს ბებერი კრწანისი
რა ძალამ ააბრდღვიალა...“
(ლადო ასათიანი)

არც არავითარმა ძალამ, და არც არავითარი აბრდღვიალება მარადიული ცეცხლის, რომელიც კრწანისის გმირთა მემორიალზე უნდა ენთოს. მაგრამ ჩამქრალია, ანუ გამქრალი, როგორც ყველაფრის იმედი — საქართველოში.

აშშ პრეზიდენტს არ უზეიმია ერაყის ომში გამარჯვება, რადგან რეალისტურ შეფასებას ეყრდნობა და იზიარებს.

ექსპერტების შეფასებით კი, ეს ომი საერთოდ არ უნდა დაწყებულიყო. მაგრამ ბუშის ავანტიურა მაინც შედგა. მას, ამ ავანტურას, ამერიკის „ნეოკოლონიალისტურ შეცდომად“ მიიჩნევენ. საბოლოო ჯამში, **ეს სამხედრო კამპანია აშშ-ს სამი ტრილიონი დოლარი დაუჯდება, ორივე მხრიდან ათასობით დახოცილებზე არაფერი რომ არ ვთქვათ.**

საქართველოში აგვისტოს ომით მიყენებული ზარალი არავის დაუთვლია, ხოლო ავტორიტეტულ მეცნიერთა მიმართვა, ამ საქმეს ჩვენ მოვკიდებთ ხელსო, ჩვეულებისამებრ, ერთ ყურში შეუშვეს, მეორედან გაუშვეს. ხელს არ აძლევდათ უთუოდ და — იმიტომ.

წინასწარი გათვლებით, რაც, ადამიანების მსხვერპლის გარდა, ტერიტორიების დაკარგვას, დარბეულ და გადამწვარ დასახლებულ პუნქტებს, ანუ პირდაპირ და უშუალო დანაკარგებს ეხება, არის კიდევ საომარი მოქმედებების შედეგად მოშლილი ეკონომიკური კავშირები, რაც ბევრად მეტი ზარალის მომტანია. მკვლევარების მტკიცებით, მაგალითად, **აფხაზეთის ომმა თავის დროზე, ძირითადად, განაპირობა კუპონის დევალვაცია. ამ ეტაპზე ლარმა სიმყარე შეინარჩუნა მხოლოდ ამერიკელების მხარდაჭერით, მაგრამ როდემდე იქნება ჩვენი ხელისუფლება სხვისი ხელის შემყურე ან როდემდე შერჩება ამერიკას ჭაობიდან ჩვენი ამოთრევის სურვილი?**

რატომ არ ვითვლით ზარალს? ნუთუ ვინმეს შეუძლია დაიჯეროს, რომ ომგადატანილი ქვეყნის უპირველესი საზრუნავია ომის წლისთავების საზეიმოდ აღნიშვნა, ხოლო ყველა ხარჯს ომი ჩამოწერს?

ვიღაც, ეტყობა, დარწმუნებულია, რომ ხალხმა დაკარგა განსჯის უნარი და მხოლოდ რწმენა ამოძრავებს.

ბევრია შეკითხვა?

მაგრამ, ჯერ ერთი, ჭეშმარიტებამდე მისასვლელი გზა მაინცდამაინც შეკითხვებზე მიღებულ პასუხებზე გადის, და, მეორე, როგორც ამბობენ, შეკითხვებით უნდა იაზროვნო — ნაკლებად შეცდები.

ამერიკელებმაც შეკითხვებზე მიღებული პასუხების გაანალიზებით დაასკვნეს, რომ ამხელა ზარალად არ ულირდა ბუშის ადმინისტრაციას ერაყული ჩიტის ბრდღვნა.

„არავითარი „გამარჯვება“ ერაყში არ იყო და არც იქნება. დღეს იქ სტაბილიზაციის მაგვარი რაღაც კი არის, მაგრამ — გარკვეულ დრომდე.

დემოკრატიის მსგავსი რამ, რომელიც ადრე თუ გვიან შიიტების დიქტატურით შეიცვლება, რომელიც, საკმარისად ეფექტიანი თუ არ იქნა, სამხედრო დიქტატურით დამთავრდება“, — აღნიშნავს ამერიკული Times-ი.

პერსპექტივა მრუმე და უხალისო იკვეთება ამ რეგიონში შეერთებული შტატების ავტორიტეტის დაცემის თვალსაზრისით, რომლის გამოსწორებას იქ პირი არ უჩანს.

იქო, — განაგრძობს განსჯას Times-ი, — **„დემოკრატიის მსგავსმა წყობამ რომც გაიმარჯვოს, ერაყელები ამერიკელების შეჭრასა და ოკუპაციას ნოსტალგიით არ გაიხსენებენ. მარადჟამს ჩვენ ვიქნებით დამნაშავეები ნგრევაში, მაგრამ, თუ ერაყელები რიგიანი საზოგადოების აშენებას შეძლებენ, სავსებით სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ეს მხოლოდ მათი დამსახურებაა“.**

ერაყიდან აშშ-ის ჯარისკაცების გაყვანა, ეტყობა, ის შემთხვევაა, როცა არ ღირს საქმის ბოლომდე მიყვანა. ვაშინგტონის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, ერაყში სულ უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ იმაზე, რომ აუცილებელია მსხვილი სამხედრო კონტინგენტის ადგილზე დატოვება. ეს განაცხადა ქვეყნის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსმა, რითაც დაუპირისპირდა თეთრი სახლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას. **ერაყის სამხედრო წრეებში მიიჩნევენ, რომ 50 ათასი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც 31 აგვისტოს შემდეგ მაინც დარჩებიან ერაყში, აბსოლუტურად არასაკმარისი იქნება პროდასავლური ხელისუფლების დასაცავად. ჩვენი სამხედრო ძალები, — ამბობენ სამხედროები, — მხოლოდ 2020 წლისთვის იქნება მზად ამ ამოცანის გადასაწყვეტად.**

ერაყელების შეშფოთებას ამძაფრებს ის გარემოებაც, რომ მაინცდამაინც ამ ზაფხულს იმატა ტერორისტული შეტევების რაოდენობამ. ექსპერტების აზრით, ეს დაკავშირებულია ერაყის ქალაქებიდან ამერიკელების სამხედრო შენაერთების გასვლასა და მათი სამხედრო ბაზების უშიშროების ადგილობრივი ძალებისთვის გადაცემასთან. მიიჩნევენ, რომ **„ამერიკული ჯებირის“ გამოცლა ერაყს სამოქალაქო ომის მორევში ჩაითრევს.**

არაფერი არ ხდება ამქვეყნად ისეთი, რაც უკვე არ მომხდარა: როცა ოთხმოციანი წლების ბოლოს მოსკოვში გამოძახებულ ავღანეთის ლიდერს — ნაჯიბულას მიხეილ გორბაჩოვმა ედუარდ შევარდნაძის თანდასწრებით განუცხადა, რომ საბჭოთა ჯარები გამოდიან ავღანეთიდან, სამაგიე-

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველოში დევნილებს შიმშილი ემუქრება

აგვისტო აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ქართველებისთვის ავი თვეა — ერთგანაც და მეორეგანაც ომი მაინცდამაინც აგვისტოში დაიწყო, წლევანდელი მარიამობის თვე კი ეკლის გვირგვინად დაედგათ თავზე — კომპაქტურად ჩასახლებულ ლტოლვილთა მასობრივი გამოსახლებით აღნიშნა საქართველოს მთავრობამ რუსეთ-საქართველოს ომის მეორე წლისთავი.

დევნილების გამოსახლება

მაგრამ ჭირთათმენა ამით არ დასრულებულა. როგორც საკვები პროდუქტებით დახმარების მსოფლიო ორგანიზაციის კოორდინატორმა **მაიკ ჰაგინსმა EurasiaNet.org**-ს განუცხადა, „შემოწირულობების დეფიციტის გამო ჰუმანიტარული დახმარების დარიგება უკვე ივნისში, ანუ ვადაზე დაახლოებით ერთი წლით ადრე შეწყდა“. ზამთარი ამ ადამიანებს მასობრივი შიმშილით ემუქრება, რადგან უკვე დღეს **„დამატებითი კვების საშუალება ცოტას თუ გააჩნია. სამსახურის შოვნა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. საქართველოში უმუშევრობის დონე ძალიან მაღალია“** (მოლი კორსო, „საქართველოში დევნილებს შიმშილი ემუქრება“, EurasiaNet.org).

Amnesty International-ის მიერ დევნილების შესახებ მომზადებულ 5 აგვისტოს ანგარიშში სერიოზული შეშფოთებაა გამოთქმული იმის გამო, რომ ლტოლვილების ბედი, ფაქტობრივად, ცაშია გამოკიდებული, ვინაიდან **„საქართველოში არ არსებობს კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკა ქვეყანაში უმუშევრობის ზოგადი პრობლემისა და ამ პრობლემის სოციალურად დაუცველი ფენებისთვის მოგვარების მცდელობა, კერძოდ, როგორიც დევნილი მოსახლეობაა“**, — აღნიშნულია მოხსენებაში.

ჩვენს მკითხველს უთუოდ დააინტერესებს ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც EurasiaNet.org-შია გამოქვეყნებული და გვიხატავს ობიექტურ სურათს, რომელიც ადასტურებს, რომ ლტოლვილების პრობლემის გადაწყვეტა იმ ვითარებაში, როგორიც დღეს არის, შეუძლებელია.

თავად განსაჯეთ: **ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წლევანდელი ბიუჯეტი 27,8 მილიონი ლარია, რაც შარშანდელი ბიუჯეტის ნახევარზე ნაკლებია.**

რატომ შეამცირეს?

ქვემოთ ნახავთ, რომ ფული არის, მაგრამ მის ათვისებას გაუგებარი მიზეზებით არ ჩქარობენ, ან უკვე დახარჯული აქვთ (გასული არჩევნების მოსაგებად?) და ტოლვილებისთვის აღარაფერი დარჩა.

„მთავარი საერთაშორისო დონორების მიერ, — წერია პუბლიკაციაში, — უშუალოდ 2008 წლის ომის შემდეგ ჩატარებული კვლევით, დევნილთა საჭიროებები „დაბრუნების, გადასახლებისა და ჩასახლებისთვის“ **მოითხოვდა 567 მილიონი დოლარის ფინანსურ დახმარებას, ხოლო მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისთვის ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რეკომენდებული იყო დამატებით 420 მილიონი დოლარის მოძიება.**

4,5 მილიარდი დოლარის დახმარების მთლიან პაკეტში მთავრობას დევნილების საჭიროებებისთვის უნდა მიეღო 350 მილიონი დოლარი. ამ თანხის დიდი ნაწილი (დაახლოებით 250 მილიონი დოლარი) გამოყოფილია, მაგრამ, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მხოლოდ 90 მილიონი დოლარია ათვისებული“.

ვისთვის ან რისთვის ინახავენ დანარჩენ მილიონებს?

ან, როგორც ეჭვობენ, შეჭმულიცაა?

როგორც EurasiaNet.org-ს, თბილისში დევნილების საკითხში გაეროს უმაღლესი კომისრის სპიკერმა **სიუზენ მიურეი ჯონსმა** აცნობა, **საქართველოს ხელისუფლებამ „ბოლოსდაბოლოს გააცნობიერა, რომ ადამიანებისთვის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თავზე — სახურავი“.**

ალილო და ხვალეო! — ასეთ დროს იტყვიან ხოლმე.

„რომ ისინი საქართველოს ტერიტორიებია“ (The Wall Street journal).

სულ ორადორი წინადადებაა და უკვე გამოკვეთილი ტენდენციის მაჩვენებელია: **აფხაზეთი უეჭველად საქართველოს ტერიტორია კი არ არის, არამედ სადავო ანკლავია** (ანკლავი — ერთი სახელმწიფოს ტერიტორია ან ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ყოველი მხრიდან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიითაა გარემოცული), რომელიც **რუსეთმა ცნო, აშშ-ს კი მიაჩნია.** გრძნობთ განსხვავებას? აფხაზეთი ანკლავია, თანაც სადავო. ამას წერს გავლენიანი ამერიკული გაზეთი The Washington Times.

განვაგრძოთ.

მაშასადამე, გავრცელდა ცნობა, რომ რუსეთმა „სადავო ანკლავში“ გააგზავნა C-300 ტიპის რაკეტების კომპლექსები, თანაც მას შემდეგ, რაც დიმიტრი მედვედევმა საქართველოსთან ომის მეორე წლისთავი აფხაზეთში ჩასვლით აღნიშნა.

შეერთებულმა შტატებმა რაო? რაო და, სახელმწიფო დეპარტამენტის ჩინოვნიკმა **კროულიმ** გასულ პარასკევს მშვიდად განაცხადა: **„კომპლექსები აფხაზეთში, მეორე წელიწადია, რაც არის. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, დაუმატეს მათ ახალი სისტემები თუ არა. ამიტომ მე — ჩვენ შევამოწმებთ ამას, მაგრამ თავისთავად ეს ახალი მოვლენა არ არის“.**

იცოდნენ. არ უკვირთ. არც აღშფოთებულან. ქორმა **მაკეინმა** იგივე დააფიქსირა: „ისინი (რუსები. — **ა.ს.**) განაგრძნობენ სამხედრო ტექნიკის „სამხრეთ ოსეთისთვის და აფხაზეთისთვის მიწოდებას“ და (მიაქციეთ ყურადღება!) **კვლავ ემუქრებიანო მიხეილ სააკაშვილს — „განაგრძობენ სააკაშვილის დაშინებას“.**

რა უნდა სააკაშვილის დაშინებას და — ერთი თვითმფრინავის გორის თავზე გუგულივით გადაფრენაო.

ეს ქართული ზეპირსიტყვიერებაა!

ასე გვიცავს ამერიკა.

რუსეთი კი, მიიჩნევენ ამერიკელები, ჩვენს მეზობელთან — სომხეთთან ამ თვეში გააფორმებს ხელშეკრულებას და თავის თავზე აიღებს აზერბაიჯანისგან და თურქეთისგან ამ ქვეყნის საზღვრების დაცვაზე პასუხისმგებლობას. ამასთან, გიუმრის რუსული სამხედრო ბაზის გაუქმების ვადა 2015 წლიდან 2049 წლამდე გადაიწევს.

მაშ, რუსეთი სომხეთს აზერბაიჯანის წინააღმდეგ „შეეკრა“? როგორც ჩანს, — არა. „რუსული გაზეთი „ვედომოსტი“ იუწყებოდა, რომ მოსკოვმა აზერბაიჯანს ყველაზე თანამედროვე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები C-300 მიჰყიდა. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ეს ინფორმაცია უარყო, აზერბაიჯანისამ — დაადასტურა. **„თუკი C-300-ზე გარიგება შედგა, ეს დიდწილად ახსნის ბაქოს მოულოდნელ დუმილს რუსულ-სომხური თავდაცვის ხელშეკრულებაზე“ (The Wall Street journal).**

„ვაშინგტონი, — წერს არიელ კოენი, — როგორც ჩანს, კმაყოფილია „რბილი ძალის“ მნიშვნელობის ქადაგებით. მისი ფსევდოპრაგმატული მიდგომა — „ვერაფერს ვხედავ, არაფერი მესმის“ — მხოლოდ უბიძგებს მოსკოვს საკუთარი ჰეგემონიის გაძლიერებისკენ“.

თურქეთის «ნეოოსმანური» მისწრაფება

„საქართველო და მსოფლიო“ უკვე წერდა, რომ თურქეთი სულ უფრო ენერგიულად წარმოაჩენს თავისი საგარეო პოლიტიკის ვექტორის ცვლილებას — ზურგით დასავლეთისკენ, პირით — აღმოსავლეთის ქვეყნებისკენ.

ეს თემა არ ჩამოდის უცხოეთის პრესის ფურცლებიდან. სულ ახლახან კვლევითი ცენტრის — **The Heritage Foundation**-ის საიტზე გამოქვეყნდა ავტორთა ჯგუფის სტატია (**სალი მაკნამარა, ჯეიმს ფილიპსი, არიელ კერონი**), რომელშიც პირდაპირაა თქმული, რომ თურქეთისა და აშშ ინტერესები ბოლო დროს ერთმანეთს დაუპირისპირდა ბალკანეთში, ცენტრალურ აზიაში, კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთში. ამ, ტრადიციული პარტნიორობის კონტექსტიდან ამოვარდნილმა ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს თურქეთის მტკიცედ დაკავშირება ირანთან და ახლო აღმოსავლეთის რეჟიმებთან, რომლებიც ამერიკის მიმართ მტრულად არის განწყობილი.

საქართველოს ხელისუფლება მაინცდამაინც არ უწევს აფიშირებას, ცდილობს, დაავიწყოს ქვეყნის მოქალაქეებს ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, კერძოდ, რომ **მეზობელი თურქეთი,** რომელიც საქართველოს მიმართ ყოველთვის მეგობრული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა, **2008 წლის ომის დროს არც ერთ დაპირისპირებულ მხარეს გვერდით არ დაუდგა.**

არც ერთ მეზობელ ქვეყანას არ დაუჭერია მაშინ ჩვენთვის მხარი და ეს ნიშანდობლივია.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილი ამჟამად მონდომებით ცდილობს როგორც თურქეთის, ასევე აზერბაიჯანისა (განსაკუთრებით) და სომხეთის ხელისუფალთა თავის მოქონვას, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ აღწევს — საქართველო, რომელმაც მისი პრეზიდენტობის პერიოდში რეგიონის ლიდერი ქვეყნის პოზიცია დაკარგა, კვლავ მეორეხარისხოვან პოზიციაზე რჩება.

სამაგიეროდ თურქეთს გაუჩნდა პრეტენზია, ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ პოლუსად მრავალპოლარულ მსოფლიოში.

ივნისში პრეზიდენტმა ობამამ გააკრიტიკა თურქეთი იმის გამო, რომ იგი, თურქეთი გადაუდგა თავის ტრადიციულ მოკავშირეებს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის ჩათვლით, და ირანის წინააღმდეგ გაეროს სანქციების მეოთხე რაუდში უშიშროების საბჭოს რეზოლუციის წინააღმდეგ მისცა ხმა.

ჩვენ კი ის გვიკვირს, რომ ერდოღანმა რუსეთ-საქართველოს ომში არ დაგვიჭირა მხარი.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა **რობერტ გეიტსმა** ამასწინათ განაცხადა, რომ თურქეთის დასავლეთისგან სტრატეგიული გაუცხოება ნაწილობრივ განაპირობა ევროკავშირის უარმა, მიეღო ეს ქვეყანა თავის სრულუფლებიან წევრად.

გეიტსს მხარი დაუჭირა ნატოს გენერალურმა მდივანმა **ანდრეს ფოგ რასმუსენმა** და გააკრიტიკა ევროკავშირი „უსამართლო“ გადაწყვეტილების გამო.

თურქეთის „ნეოოსმანური“ ხედვა მიზნად ისახავს ქვეყნის გასვლას კასპიის, შავი, ხმელთაშუა, წითელი ზღვების ნაპირებზე, აგრეთვე, — სპარსეთის ყურეში შესვლას.

ამ ახალ მისწრაფებას განამტკიცებს (სურს განამტკიცოს) „ნული პრობლემის“ პოლიტიკით მეზობლების მიმართ. მაგრამ ის, რომ ურთიერთობა სომხეთთან ვერ მოაწესრიგა (თუმცა ძალიან ცდილობდა), ისრაელთან კონფრონტაცია რომ გაამწვავა, მისი „ახალი პოლიტიკის“ წარმატებაზე არ მეტყველებს.

პრემიერ-მინისტრი ერდოღანი ცდილობს, სული ჩაჰბეროს ახალ ინიციატივას — **„სტაბილურობისა და თანამშრომლობის კავკასიურ პლატფორმას“, რომელშიც გაერთიანდებიან რუსეთი და სამხრეთ-კავკასიის სამი რესპუბლიკა, ამასთან, თამაშგარეთ დარჩებიან აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, ირანი.**

თუ თურქეთი საქართველოს კვლავ იმავე საზომით მიუდგება, როგორითაც — რუსეთ-საქართველოს ომის დროს, საეჭვოა, ეს კავშირი ჩვენთვის სასარგებლო და პერსპექტიული აღმოჩნდეს.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ **კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ერთმანეთს უპირისპირდება თურქეთისა და რუსეთის ინტერესები:** თურქეთი მიისწრაფის, გახდეს რუსეთიდან, ირანიდან, ერაყიდან, კასპიის აუზიდან ენერგორესურსების სატრანზიტო ცენტრი. მოსკოვის გეგმა კი ევროპული ბაზრისა და სატრანზიტო მარშრუტების მონოპოლიზაციას ითვალისწინებს. ამიტომ არის, რომ **ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ თურქეთის ინიციატივის წარმატებაში** (**Trend News Agency**).

აშშ რეგიონული პარტნიორობის დაკარგვას ვერ შეეგუება, ვერც ანკარა განახორციელებს თავის რეგიონულ დიპლომატიას მოკავშირეთა და პარტნიორების ინტერესების გაუთვალისწინებლად.

ქართული დიპლომატიის უძალობას თუ გავითვალისწინებთ, იგი ამ გეოპოლიტიკურ თამაშებს მიღმა დარჩება, რაც ფრიად სამწუხაროა.

მიმოხილვა მოამზადა
არმაზ სანეგლიძემ

როდ ავღანეთის ხელისუფლებას დაუტოვებენ იმდენ შეიარაღებას, რამდენსაც მოითხოვს, გორბაჩოვის წინადადებაზე ნაჯიბულას რეაქცია აბსოლუტურად ადეკვატური იყო ერაყელების რეაქციისა ობამას გადაწყვეტილებაზე.

ამერიკელი მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ დემოკრატიის დამყარება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ეგვიპტე, საუდის არაბეთი, მით უფრო, ერაყი შეუძლებელია, რადგან ეს **ბიძგს მისცემს ისლამური პარტიების მოსვლას ქვეყნის სათავეში, რომელთა მმართველობა მათ მიერ დამხობილი დიქტატორების მმართველობაზე უფრო დაუნდობელი იქნება.** ამის მაგალითად ასახელებენ „ჰამასის“ გამარჯვებას ღაზაში, როცა პალესტინაში ჩატარდა არჩევნები აბსოლუტურად ყველას ნების საწინააღმდეგოდ, ბუშის ადმინისტრაციის გამოკლებით. **ღმერთმა აშშ შექმნა არა იმისთვის, რომ მან ძალით თავს მოახვიოს თავისუფლება სხვებს,** — დარწმუნებულები არიან ისინი. დღეს ობამას ადმინისტრაციის წინაშე რთული დილემა დგას. თუ აშშ-ის პრეზიდენტი, თავისი დაპირების თანახმად, დათქმულ დროში გამოიყვანს ამერიკის ჯარებს, ეს სათუოს გახდის ერაყის ახალგაზრდა დემოკრატიის არსებობას. თუ ობამა შეცვლის თავის გეგმებს და გატეხს სიტყვას, ის დაკარგავს ამომრჩევლების ნდობას დემოკრატიული პარტიის მიმართ და კონგრესში ნოემბრის არჩევნებზე გაიმარჯვებენ რესპუბლიკელები (**რეგინა ფუქსი, ტელეკომპანია RTVI**).

საგულისხმოა, რომ Times-ში გამოქვეყნებული წერილი მთავრდება ისეთი პათოსით, როგორც ბიბლიაზე დაფიცება: **„მთავარი პრინციპი უცვლელია: არასოდეს არ უნდა დავიწყოთ ომი, თუ თავს არ დაგვესხმიან და თუ არ დაგვემუქრება თავდასხმის პირდაპირი და უშუალო საშიშროება. არასოდეს. და კვლავაც არასოდეს“.**

ერაყული ესკიზები

18 აგვისტო — 7 სექტემბერი, 2010 წელი. №31 (74)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

გაფრთხილებული

დიმიტრი მედვედევი,
რფ-ის პრეზიდენტი:

რუსეთი საკუთარ კურსს არ ცვლის და ვერც შეცვლის, ის გამოწრთობილია.

„რია ნოვოსტი“

ბარაკ ობამა,
აშშ-ის პრეზიდენტი:

ამერიკელი ხალხის სახელით მე და მიშელი ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებთ მთელი მსოფლიოს მუსლიმანებს... ისლამი ყოველთვის იყო ამერიკის ნაწილი და ამერიკელმა მუსლიმანებმა ბევრი რამ გააკეთეს ჩვენი ქვეყნისთვის.

„რია ნოვოსტი“

ილჰამ ალიევი,
აზერბაიჯანის პრეზიდენტი:

ჩვენ აღვადგენთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. იარაღის, ტექნიკისა და საბრძოლო მასალების შეძენის პროცესი გრძელდება და შემიძლია გითხრათ, რომ სასაზღვრო ჯარი ჩვენი არმიის მსგავსად მზადაა, აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ქმედებაზე გადავიდეს. საჭირო მომენტში ყველა სამხედრო სტრუქტურა იმოქმედებს, როგორც ერთი მუშტი... ჩვენ ომის პირობებში ვცხოვრობთ, ომი ჯერ არ დასრულებულა.

„რეგნუმი“

ტიგრან სარქსიანი,
სომხეთის პრემიერ-მინისტრი:

დღესდღეობით პრემიერ-მინისტრისთვის დასვენება სხვა არაფერია, თუ არა ინტენსიური და ეფექტური მუშაობა. როდესაც გრძნობ, რომ შენს მუშაობას შედეგი მოაქვს, ეს პრემიერ-მინისტრისთვის უკვე დასვენებაა, იმიტომ, რომ კმაყოფილების განცდას უქმნის... ვთვლი, რომ უახლოესი ხუთი წლის მანძილზე სომხეთის პრემიერის თანამდებობაზე მომუშავე ადამიანმა მხოლოდ საკუთარ კაბინეტში უნდა დაისვენოს.

„რია ნოვოსტი“

რამზან კადიროვი,
ჩეჩნეთის პრეზიდენტი:

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პარლამენტში გავგზავნე ოფიციალური წერილი, რომელშიც ვითხოვ ცვლილებების შეტანას ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირის სახელწოდებაში. გამოვდივარ იქიდან, რომ ერთ სახელმწიფოში მხოლოდ ერთი პრეზიდენტი უნდა იყოს, სუბიექტების პირველ პირებს კი შეიძლება ერქვათ რესპუბლიკის მეთაურები, ადმინისტრაციის ხელმძღვანელები, გუბერნატორები და ასე შემდეგ... სუბიექტის ხელმძღვანელის აღმნიშვნელ ნებისმიერ ტერმინს დავთანხმდები, გარდა „პრეზიდენტისა“.

„რია ნოვოსტი“

იმპერიის სევდა

„ცივი ომის“ დამთავრების მომდევნო ათწლეულში, — წერდა თავის წიგნში „საპასუხო დარტყმა“ ჩალმერს ჯონსონი, — შეერთებულმა შტატებმა მნიშვნელოვანწილად უარი თქვა დიპლომატიაზე, ეკონომიკურ დახმარებაზე, საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე თავისი საგარეო პოლიტიკის განხორციელების საქმეში და დროის დიდი ნაწილი დაუთმო მუქარას, სამხედრო ძალასა და ფინანსურ მანიპულირებას. მისი მტკიცებით, ამ ყველაფერს გარკვეული შედეგი უნდა გამოეღო. ასეც მოხდა, როცა ერთი წლის შემდეგ ჯიჰადისტებმა, რომელთაც აშშ უწინ ასპონსორებდა, თავიანთი მზერა ამერიკისკენ მიმართეს.

11 სექტემბერს კვალში მოჰყვა ბიუროკრატიის აფეთქება ქვეყნის შიგნით და საომარი განწყობილება მის ფარგლებს გარეთ. **ავღანეთის ოკუპირება იმთავითვე უსამა ბენ ლადენის ხელში ჩასაგდებად დაიწყო და, მიუხედავად იმისა, რომ, მრავალი წელია, იგი თვალით არავის უნახავს, აშშ-ისა და ნატოს ჯარები კვლავინდებურად ავღანეთში რჩება, ხოლო თალიბანი, რომელიც რომელიღაც მომენტში განადგურებულად ჩათვალეს, უწინდელზე გაძლიერებული დაბრუნდა.** ამერიკის საზოგადოებრიობა დაარწმუნეს, რომ ერაყში შეჭრა 2003 წელს და მისი შემდგომი ოკუპაცია იყო წინმსწრები დარტყმა იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც მასობრივი განადგურების იარაღს ფლობდა და მზად იყო ტერორისტებისთვის ეწილადებინა იგი. **როცა გამჟღავნდა, რომ იარაღის შესახებ გავრცელებული ისტორია დიდი ტყუილი იყო, იმპერატორის რეაქცია მხრების აწურვით შემოიფარგლა: „მერე რა?“**

ჯონსონმა განაგრძო ამერიკის იმპერიალიზმისკენ დაქანების დოკუმენტურად დადასტურება და 2000 წელს გამოცემულ „საპასუხო დარტყმას“ მოჰყვა „იმპერიის სევდა“ (2004), „მოსისხლე მტერი“ (2008) და სულ მაღე გამოვა მისი ახალი წიგნი „იმპერიის ნგრევა“.

ყველაფერი ჰიროსიმადან დაიწყო

ამერიკის გარდაქმნა ტოტალიტარულ იმპერიად არც 11 სექტემერს დაწყებულა, არც — ცივი ომის დასრულების შემდეგ. ორივე შემთხვევაში პროცესი დაჩქარდა, მაგრამ მისი ფესვები უფრო ღრმადაა ისტორიაში გადგმული და სათავე აბრაამ ლინკოლნის, მაკლინის, ვუდროუ ვილსონის პრეზიდენტობის ხანაში უნდა ვეძებოთ, უფრო მეტად — ფრანკლინ დელანო რუზველტის ზეობის პერიოდში, გადამწყვეტი ნაბიჯი კი, რა თქმა უნდა, ჰარი ტრუმენმა გადადგა.

შეიძლება ვიდავოთ იმაზე, რომ ცივი ომის პირველი გასროლა ატომური დარტყმები იყო, რომლებიც 1945 წლის აგვისტოში ამერიკამ იაპონიის წინააღმდეგ განახორციელა. იმ დროისთვის იაპონია აბსოლუტურად ძალაგამოცლილი და დაუცველი იყო, მოლაპარაკება კაპიტულაციის შესახებ უკვე მიმდინარეობდა. მაგრამ ტრუმენი შეეცადა, ბირთვული იარაღის გამოყენებით დაემთავრებინა ომი მანამდე, სანამ საბჭოთა კავშირი ჩაერეოდა, და განემტკიცებინა თავისი პოზიცია ომისშემდგომ მსოფლიოში. მისი კანონი ეროვნული უსაფრთხოების შესახებ, რომელსაც 1947 წელს მოაწერა ხელი, საფუძველი გახდა შეიარაღებულ ძალებსა და დაზვერვაში სერიოზული გარდაქმნების განსახორციელებლად; **შეიქმნა აპარატი, რომელიც „ცივი ომის“ საწარმოებლად იყო საჭირო. დაიწყო კიდეც ეს ომი, რომლის აუცილებლობა მსოფლიო საშიშროებისგან — კომუნიზმისგან შეერთებული შტატების უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობით ახსნეს. მომდევნო 40 წლის განმავლობაში მსოფლიო ბალანსირებდა ბირთვული ურთიერთგანადგურების უფსკრულის პირას.**

პარალელურად სსრ კავშირი და აშშ აფართოებდნენ თავიანთ მსოფლიო იმპერიებს, სამხედრო ბაზებისა და დამოკიდებული სახელმწიფოების ხარჯზე.

კრაინადან კოსოვომდე

„ცივი ომი“ 1989 წელს დამთავრდა, როცა საბჭოთა კავშირმა უარი თქვა კონფრონტაციაზე. ორი წლის შემდეგ კი თვით სსრკ გაქრა და მას ჩაენაცვლა „დამოუკიდებელი სახელმწიფოების“ აჯაფსანდალი. 1970 წელს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დამუშავებული ავღანური ჯიჰადი დასასრულს უახლოვდებოდა. **ფრენსის ფუკუიამამ დაწერა თავისი ცნობილი ესე „ისტორის დასასრულის“ მოახლოების შესახებ.** მაგრამ იმპერიალისტურმა ისტებლიშმენტმა შექმნილ ვითარებაში ახალი შესაძლებლობანი დაინახა: მსოფლიო ხელისგულზე ედოთ.

გაეროს მოსყიდვით, საერთაშორისო სამართლის უგულებელყოფით, „ჰუმანიტარული“ აუცილებლობის ილუზორული უფლების მოშველიებით აშშ-მა ნაბიჯ-ნაბიჯ მოშალა მსოფლიო წესრიგი. საამისო საცდელ პოლიგონად იქცა ბალკანეთი, სადაც შტატები ეთნიკურ ომში ჩაერია, რომელიც იუგოსლავიის განადგურებას მოჰყვა.

რიჩარდ ჰოლბრუკმა აღიარა, რომ ბოსნიაში ჩარევით აშშ-მა კვლავ დაადასტურა თავისი ძალაუფლება ევროპაში. ვაშინგტონმა თამაშიდან გამოთიშა გაერო და გააძლიერა ნატო. დეიტონის დიპლომატიის შემდეგ, აშშ-მა მოაწყო ფარსი რამბუიეში (ლაპარაკია ნატოს მიერ წამოყენებულ შეთანხმებაზე, რომლის ხელმოწერაზეც იუგოსლავიამ უარი თქვა, ხოლო ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა კოსოვოში ომის დაწყების მიზეზად გამოიყენა. — **მთარგმნ.**), რასაც ფეხდაფეხ მოჰყვა აგრესიული ომი, რომელსაც ნატომ „ჰუმანიტარული ჩარევა“ უწოდა.

კოსოვოს ომი, ცხადია, ჰუმანიტარული არ ყოფილა. თუ მაინცდამაინც, იგი ოპერაცია „შტორმის“ ▶

მოკლედ

რუსეთი აშშ-ს ადანაშაულებს

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს ტერორიზმთან დაკავშირებულ მოხსენებაში მიკერძოებული შეფასებების გამო ადანაშაულებს. კონკრეტულად, საუბარია მოხსენების იმ ნაწილზე, სადაც დასკვნები კავკასიაში არსებულ ვითარებას ეხება. „საკმარისია მხოლოდ ის, რომ ტერორიზმთან სამაგალითო მებრძოლად საქართველოა გამოყვანილი. ამასთან, იგნორირებულია ის ფაქტი, რომ თბილისი ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტულ იატაკქვეშეთთან ორმაგ თამაშს თამაშობს“, — ნათქვამია რუსეთის საგარეო უწყების განცხადებაში. რუსეთის მიმართ გამოთქმული ბრალდებები კი, რომელთა თანახმადაც მის მიერ კონტროლირებადი საზღვრები არაჯეროვნადაა დაცული, უწყებამ „პრობლემის პოლიტიზირების მცდელობად“ შეაფასა.

კრემლი ლუკაშენკოს სტენოგრამას გამოუქვეყნებს

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ სერგეი პრიხოდკომ განაცხადა, რომ კრემლი მზად არის, გამოაქვეყნოს სტენოგრამა, სადაც ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების პირობას დებს. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც აგვისტოს დასაწყისში პრეზიდენტმა მედვედევმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ 2008 წელს ბელარუსის პრეზიდენტმა ამის პირობა დსთ-ს სხვა ლიდერების თანდასწრებით დადო. „რუსი კოლეგა არაკეთილსინდისიერად და უწესოდ, კონტექსტიდან ამოგლეჯილად ახდენს ამ თემაზე ჩემ მიერ გამოთქმული მოსაზრებების მოხმობას“, — განაცხადა ლუკაშენკომ, რასაც კრემლმა სტენოგრამის გამოქვეყნების მუქარით უპასუხა.

ობამა „ტყუპების“ ადგილას მეჩეთს აშენებს

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მხარი დაუჭირა ნიუ იორკის მუსლიმანი საზოგადოების ინიციატივას, 11 სექტემბრის ტერაქტის ადგილას კულტურული ცენტრისა და მეჩეთის აშენების თაობაზე. ობამას თქმით, მუსლიმანებს ისეთივე უფლება აქვთ, იქადაგონ საკუთარი მრწამსი, როგორც ნებისმიერი სხვა რელიგიის წარმომადგენელს და დიდად არ ადარდებთ იმ უმრავლესობის აზრი, რომელიც მიიჩნევს, რომ აუცილებელი არაა, მაინცადამაინც აღნიშნულ ადგილას იქადაგონ და რომ პროექტის განხორციელება ტერაქტის შედეგად დაღუპული ადამიანების შეურაცხყოფა იქნება. ქვეყნის პოლიტიკოსთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ტყუპი ცათამბჯენების რაიონში 13-სართულიანი მუსლიმანური კულტურის ცენტრისა და მეჩეთის აშენება ყოვლად დაუშვებელია.

შავი ოთხშაბათის გმირი

ფინანსისტი, რომლის სახელიც მსოფლიომ ეკონომიკის ისტორიაში „შავი ოთხშაბათის“ სახელით ცნობილ დღეს გაიგო, 12 აგვისტოს 80 წლის იუბილეს აღნიშნავდა. 1992 წლის 16 სექტემბერს რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარე უჩვეულოდ მარჯვე სპეკულაციური ოპერაციის ხარჯზე ჯორჯ სოროსმა, რომელიც ინგლისური გირვანქა სტერლინგის წინააღმდეგ იბრძოდა, ინგლისის ბანკი დააჩოქა და დიდი ბრიტანეთი აიძულა, ევროპის სავალუტო გაცვლითი მექანიზმიდან გასულიყო. იმ დღეს „ადამიანმა, რომელმაც ინგლისის ბანკის გატეხვა შეძლო“, მილიარდი დოლარი იშოვა. დღეს სოროსი მიიჩნევს, რომ საბაზრო ეკონომიკას ძლიერი მთავრობის კონტროლი სჭირდება და თვითონ ბომბეის საფონდო ბირჟის ხელში ჩასაგდებად გარიგებაზე მუშაობს.

◀ გამეორება იყო, როცა 1995 წლის აგვისტოში იმპერია ადგილობრივ ძალებს ჰაერიდან დაეხმარა. აშშ-მა მოამზადა „სანაგვის ძაღლები" — ხორვატული არმია, 1999 წელს მისი ადგილი დაიკავა კოსოვოს გათავისუფლების ტერორისტულმა არმიამ.

ორივე შემთხვევაში შედეგები ერთნაირად საშიში და ამაზრზენი იყო: **სერბების მასობრივი განდევნა, დარჩენილების დახოცვა და დაშინება და საკუთრების მასობრივი განადგურება.**

ამჟამად კოსოვოში სიხარულით იღებენ სერბეთიდან მიწოდებულ ელექტროენერგიასა და პურს, მაგრამ თვით სერბების დანახვაც არ სურთ. საყოველთაოდ გახმაურდა ფაქტი, როცა გაეროს ბულგარელი თანამშრომელი მოკლეს მხოლოდ იმიტომ, რომ სერბულის მსგავს ენაზე ლაპარაკობდა.

მაგრამ **იმპერიამ ოპერაცია „შტორმიც" და კოსოვოს ოკუპაციაც ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლის დიდ გამარჯვებად წარმოგვიდგინა. კოსოვოს კამპანია მიიჩნიეს „უკანონოდ, მაგრამ — ლეგიტიმურად" (!), რამაც გაკვალა გზა ბაღდადისკენ.**

იმპერიისკენ სწრაფვას ამერიკა გაკოტრებამდე მიჰყავს, ხოლო ამერიკელების უსაფრთხოება დღეს უფრო საეჭვოა, ვიდრე ოდესმე. ამერიკის ძალა აღარ ეფუძნება იდეებს, იგი დაშინებას ეყრდნობა.

ანტიუტოპია

იმპერიულმა „სახელმწიფოს მშენებლობამ" ბომბების, მოსყიდვისა და პროპაგანდის მეშვეობით ბალკანეთი ტოტალიტარულ ანტიუტოპიად აქცია, სადაც განსხვავებული ხალხების მიმართ განსხვავებულ წესებს იყენებენ. იმპერიის იდეოლოგები შეეცადნენ ასეთი ორპირობის დაფარვას ბალკანეთის კონფლიქტების დაყოფით და განაცხადეს, რომ ხორვატია, ბოსნია და კოსოვო სრულიად განსხვავებული და უნიკალური შემთხვევებია თავთავიანთი პრინციპებითა და წესებით. რატომ? — იმიტომ, რომ ასე თქვეს იმპერიის იდეოლოგებმა.

ამერიკელების მიერ შექმნილი სახელმწიფოებისთვის — ბოსნია-ჰერცოგოვინასთვის და კოსოვოსთვის თვალის მიდევნება სასაცილო იქნებოდა, ტრაგიკული რომ არ იყოს.

იმპერიამ განიმტკიცა უფლება — თავს დაესხას ნებისმიერს, ნებისმიერ ადგილზე, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი მიზეზის მოშველიებით და საამისოდ ბრეჟნევის დოქტრინის ადაპტირებით იმოქმედოს: **გუშინ — ბალკანეთი, დღეს — ერაყი და ავღანეთი, ხვალ — მთელი მსოფლიო!**

ფული, პოლიტიკა და ძალაუფლება

მთელი ამ წლების განმავლობაში იმპერიული ავანტიურების მოწინააღმდეგე ოპოზიცია ხან ძლიერდებოდა, ხან — სუსტდებოდა. მისი უმეტესი ნაწილი პარტიული იყო: რესპუბლიკელები აღშფოთებულები იყვნენ კლინტონის ინტერვენციებით, დემოკრატები მასხრად იგდებდნენ ბუშს (უმცროსს). მაგრამ კრიტიკულ მომენტში ყველანი უერთდებოდნენ გამარჯვებულებს და ხმას აძლევდნენ იმპერიალისტური ომების დაფინანსებას. **აუცილებელი „ცვლილებების" დაპირების მიუხედავად, ბარაკ ობამას არჩევა კლინტონის ეპოქის დაბრუნებად წარმოგვიდგა.**

უმცროსი ბუში და მისი დამქაშები ამერიკას მართავდნენ და ცდილობდნენ, ემართათ მსოფლიო. დარწმუნებული ბრძანდებოდნენ, რომ მხოლოდ მათი ნება იყო საკმარისი სინამდვილის ფორმირებისთვის. **„ლიბერალური" იმპერიალისტებიც დარწმუნებულები არიან, რომ მსოფლიო ოცნებობს ამერიკის ჰეგემონობაზე და, ყველაფერი, რაც მათ მოეთხოვებათ, მხოლოდ არომატის შეცვლაა.**

იმპერიის კრიტიკოსები ცდილობენ, თვალი მიადევნონ ხელისუფლების ფინანსურ ნაკადებს. მაგრამ ეს ამაო შრომაა, რადგან სახელმწიფოს, ნებისმიერ შემთხვევაში, ნებისმიერი ოდენობით შეუძლია ფულის ბეჭდვა. ომები კი სიმდიდრეს სპობს და ანადგურებს. ზოგიერთები აქედან დიდ მოგებას იღებენ, მაგრამ საზოგადოებისთვის ეს დიდად საზარალოა. მხოლოდ სულელი ირჯება საიმისოდ, რომ ძალით იშოვოს ის, რასაც ჭკვიანი ვაჭრობით მოიპოვებს.

იმპერიისთვის ფული უმნიშვნელო რამაა, თუმცა მისი სტრატეგები და შუამავლები უარს არ ამბობენ პირად გამდიდრებაზე. იმპერიის მიზანი ძალაუფლება და კონტროლია.

როგორც ორუელმა განაცხადა: **„ჩექმას, რომელსაც ადამიანს სახეზე დაადგამენ, სამუდამოდ ადგამენ".**

მოსისხლე მტერი

ამბიციაში ცუდი არაფერია. მაგრამ დედამიწაზე არსებული თითქმის ყველა რელიგია ძალაუფლების წყურვილს ცოდვად მიიჩნევს. **„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად",** — დაწერა 1887 წელს ლორდმა ექტონმა. **რა შეიძლება იყოს უფრო გახრწნილი, ვიდრე სურვილი მსოფლიოს მართვის?**

პოლიტიკოსები იმპერიაზე ოცნებობენ, რათა მოიპოვონ ძალაუფლება და სიმდიდრე. თავიანთ ქვეშევრდომებს ისინი ამ ოცნებას აწვდიან როგორც მათი კეთილდღეობისა და უსაფრთხოების ერთადერთ საშუალებას. მაგრამ **იმპერიისკენ სწრაფვას ამერიკა გაკოტრებამდე მიჰყავს, ხოლო ამერიკელების უსაფრთხოება დღეს უფრო საეჭვოა, ვიდრე ოდესმე.** ამერიკის ძალა აღარ ეფუძნება იდეებს, იგი დაშინებას ეყრდნობა. ადრე თუ გვიან დანარჩენი მსოფლიო დაძლევს შიშს.

რა მოხდება მაშინ?

ჩალმერს ჯონსონი ამტკიცებს, რომ **იმპერიამ უკვე გახრწნა ამერიკის საზოგადოება, შეიძლება, — საბოლოოდაც.**

რას მოიგებს ქვეყანა, თუ ხელთ იგდებს მთელ მსოფლიოს და დაკარგავს თავის სულს? როცა ხელებზე სხვისი სისხლი აცხია და მთელი მსოფლიო ნანგრევებად არის ქცეული?

მან, ვინც იმპერიის საზღვრების დატოვებას აპირებს, უნდა გაიხსენოს **თომას ჯეფერსონის სიტყვები: „როცა ვფიქრობ იმაზე, რომ ღმერთი სამართლიანია, ვკანკალებ ჩემი ქვეყნისა გამო, მისი სამართლიანობა სამუდამოდ დაძინებული არ იქნება".**

Antiwar.com


ამერიკული „ოგლავა"

გამოხმაურებული

ალექსანდრე ლუკაშენკო,
ბელარუსის პრეზიდენტი:

ჩვენ არ გვაქვს ნავთობი და გაზი და ყოველ წელს გვიზრდიან ფასებს ამაზე... უნდა დავეხმაროთ გვალვით დაზარალებულ რუსეთის რეგიონებს, ჩვენს მეგობრებს რუსეთში, ისინი იხდიან, ნავთობი და გაზი საკმარისად აქვთ და ჩვენ გაცვლაზე თანახმანი ვართ... ხორბალი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა გავყიდოთ, იმიტომ, რომ ფასი მოიმატებს, ახლა ხორცის და რძის გაყიდვაა საჭირო.

„newsru.com"

ფიდელ კასტრო,
კუბის ყოფილი ლიდერი:

ჩემი ამოცანაა, რასაც ვფიქრობ, ვუთხრა მათ, ვინც ხელისუფლებაშია და გადაწყვეტილებებს ღებულობს... ის, რომ ობამა ჯერ კიდევ არ მოუკლავთ, მხოლოდ გამართლების საკითხია.

„news.mail.ru"

ბენ უესტმორი,
ავსტრალიის ეროვნული ბანკის ექსპერტი:

მსოფლიო ეკონომიკა უთანასწოროდ ვითარდება. ევროპაში ზოგიერთი მონაცემები მოსალოდნელს სჯობდა, მაგრამ აშშ-ის მონაცემები, უბრალოდ, საშინელება იყო.

„ბლუმბერგი"

ჯულიან ესანჯი,
ინტერნეტ-პორტალ „WikiLeaks"-ის დამფუძნებელი:

ჩვენ შუა გზაზე ვართ. ასე რომ, რამდენიმე კვირის შემდეგ პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტების ახალ პარტიას გამოვაქვეყნებთ.

„newsru.com"

ვიქტორ ზუბკოვი,
რუსეთის ფედერაციის პირველი ვიცე-პრემიერი:

გადაწყვეტილება, ხორბლის ექსპორტის დროებით აკრძალვაზე მიღებულია. ის 15 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე იმოქმედებს და არც ვადების, არც რაიმე სხვა მხრივ არანაირი ცვლილებები ამასთან დაკავშირებით აღარ განხორციელდება.

„რია-ნოვოსტი"

ელენა სკრინიკი,
რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მინისტრი:

ზომები, რომლებსაც დღეს ვღებულობთ, საშუალებას იძლევა იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენ შევძლებთ ყველა მოთხოვნის შენარჩუნებას და ქვეყანას ხორბლეულით დავაკმაყოფილებთ.

„რია-ნოვოსტი"

მოკლედ

ობამა ახმადინეჯადს შეხვდება

აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, შესაძლოა, ირანელ კოლეგა მაჰმუდ ახმადინეჯადთან შეხვედრას დათანხმდეს, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ირანელები ბირთვული პროგრამის შესახებ „მაგატე"-სთან მოლაპარაკებებს განაახლებენ. ამის თაობაზე ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ჯეიმს ჯონსმა განაცხადა და იქვე ამ შეხვედრიდან რაიმე სარგებლის გამოდნობის ყველა წყალიც გადაწურა: „უაზრობაა შეხვედრის მოწყობა, თუ ის სერიოზულ შედეგებს არ მოიტანს... ნაკლებად სარწმუნოა, რომ ირანელები აშშ-ის მოთხოვნას შეასრულებენ და ბირთვულ პროგრამაზე მუშაობას შეაჩერებენ". სამაგიეროდ მტკიცედ და გადაჭრით უარყო ირანის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების განახლების პერსპექტივა.

ჩინეთის ჩრდილოვანი ტრილიონები

ჩინეთში საოჯახო მეურნეობების ჩრდილოვანმა შემოსავლებმა ქვეყნის მთელი ეკონომიკის 30% შეადგინა. ახლახან დასრულებული კვლევის შედეგების მიხედვით, მხოლოდ 2008 წელს ჩინელებმა სახელმწიფოს 9,3 ტრილიონი იუანი დაუმალეს. შეფასება რეალური შემოსავლებისა და ხარჯების დათვლის მიხედვით გაკეთდა. ჩინეთში მდიდრები ღარიბებზე 26-ჯერ მეტს გამოიმუშავებენ და არა — 9-ჯერ მეტს, როგორც ამას ოფიციალური სტატისტიკა ირწმუნება. ქალაქის მოსახლეობის შემოსავალი 23-ჯერ კი არა, 65-ჯერ აღემატება სოფლებში მცხოვრებთა შემოსავალს. ჩრდილოვანი შემოსავლები ქვეყანაში გამეფებული კორუფციის შედეგია. მოსახლეობის უმეტესობა აღშფოთებულია იმის გამო, რომ ჩინეთის ყველა შეძლებულ ოჯახს პოლიტიკური წარსული აქვს.

კორეის გაერთიანების გეგმა

სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა ლი მენ ბაკმა ჩრდილოეთ კორეასთან გაერთიანების გეგმა შეიმუშავა და იაპონიის კოლონიური უღლისაგან კორეის გათავისუფლების 65 წლის იუბილეზე წარუდგინა თავის ხალხს. მისი გეგმის პირველი პუნქტი ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღებაა, მეორე ეტაპი ეკონომიკურ განვითარებას გულისხმობს და ესეც ჩრდილოეთს ეხება, გაერთიანებისათვის საჭირო ფული კი, ცხადია, მოსახლეობამ უნდა გადაიხადოს. ამ საქმისათვის სეულს დაახლოებით 1 ტრილიონი დოლარი დასჭირდება და მის მოსაგროვებლად სამხრეთ კორეის მოსახლეობამ 60 წლის მანძილზე 2%-ით გაზრდილი გადასახადები უნდა იხადოს. ჩრდილოეთ კორეას ამ გეგმასთან დაკავშირებით აღფრთოვანება ჯერ არ გამოუხატავს.

გერმანიას ჰიტლერის ვალებს ედავებიან

აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ კანონიერად ჩათვალა და განსახილველად გაამწესა ამერიკელ ინვესტორთა ჯგუფის სარჩელი, რომლის მიხედვითაც ისინი გერმანიისგან ითხოვენ, პროცენტებით დააბრუნოს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყნისთვის მიცემული სესხები. ამ სესხების გადახდა თავის დროზე ადოლფ ჰიტლერმა შეწყვიტა. ვეიმარის რესპუბლიკამ ფული პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აღდგენითი სამუშაოებისათვის ისესხა, მაგრამ 1933 წლის შემდეგ, როცა ხელისუფლების სათავეში ჰიტლერი მოვიდა, აღარაფერი გადაუხდია. ახლა სრული თანხა, რომელიც სესხისა და დაგროვილი პროცენტებისგან შედგება, 450 მილიონ ევროს შეადგენს. საქმეს მაიამის სასამართლო განიხილავს.

ომსა შინა გამაგრება უნდა

ავღანეთში რთული მდგომარეობის გამო ბუნდესვერმა სასწრაფო წესით დაიწყო ISAF-ის გერმანული კონტინგენტის დაჯავშული მანქანების „Dingo 2“ 40 მმ. ყუმბარმტყორცნებით (სროლის სიშორე 2000 მეტრამდე) აღჭურვა; როგორც ჩანს, ტყვიამფრქვევი „MG3“ 7.62 მმ. არასაკმარისად ჩაითვალა. მწარმოებელი ყუმბარმტყორცნების ახალი პარტიის მოწოდებას მხოლოდ 9 თვეში შეძლებს, ამიტომ ბუნდესვერი ხსნის ყუმბარმტყორცნებს გერმანიაში განლაგებული დაჯავშნული ავტომობილებიდან („Fennek“) და სასწრაფოდ ავღანეთში აგზავნის.

აზერბაიჯანელები ტანკებზე სანადიროდ ემზადებიან

„ЦАМТО“-ს ცნობით, აზერბაიჯანმა შეიარაღებაზე რამდენიმე ახალი ტანკსაწნაალმდეგო სისტემა მიიღო, კერძოდ: გადასატანი კომპლექსი „Скиф“-ი, რომელიც აღჭურვილია უკრაინელი კონსტრუქტორების მიერ შექმნილი რაკეტით „Р-2“-ი (სიშორე 5 კილომეტრამდე). კომპლექსები „Корнет-Э“ ისრაელის წარმოების მაღალი გამავლობის დაჯავშნულ ავტომობილებზე „Sufa-3“ დაამონტაჟეს. 9К111 „Фагот“-ები და 9К113 „Конкурс“-ები აღიჭურვა „Elbit Systems“-ის მიერ შექმნილი დამიზნების სიტემით; ხოლო, მოდერნიზებული ვერტმფრენები „Ми-24G“ ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსებით „Барьер-В“ (მართვადი რაკეტები „Р-2В“, დამიზნების ნახევრადავტომატური სისტემა, სროლის სიშორე 7,5 კმ, მიზნის განადგურების ალბათობა 0,7-0,85). აგრეთვე, აზერბაიჯანმა შეიძინა დაუდგენელი რაოდენობის ისრაელის წარმოების ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსები „Spike LR“-ი.

სომხები კი ავიაციას ჩაუსაფრდებიან

სამეცნიერო-სამრეწველო გაერთიანება „Jamhar-DD“, რომელიც ქალაქ აშტარაკში მდებარეობს, შეუდგა მობილური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების 9К33 „Оса“-სთვის მოდერნიზებული ოპტიკურ-ელექტრონული სამიზნეების „ТОВ-М“-ის წარმოებას, — წერს „Jane's Missiles and Rockets“-ი. მას მუშაობა ორ — ვიწრო (1,5x1,1 გრად.) და ფართო (4,3x3,6 გრად.) რეჟიმში შეუძლია. ძველი ,,ვიდიკონის“ ტიპის სატელევიზიო კამერა ახალი ციფრული მოწყობილობით შეიცვალა. ტელე-ინდიკატორ „ВПУ-44 (55)“-ის ადგილი კი ახალმა თხევადკრისტალურმა დისპლეიმ დაიკავა. ამ აღჭურვილობამ სომხეთის თავდაცვის უწყებაში გამოცდები უკვე გაიარა.

სულ ზევით-ზევით, მაღლა და მაღლა

ინდოეთის მთავრობის უსაფრთხოების კომიტეტმა მხარი დაუჭირა ქვეყნის შეიარაღებული ძალებისთვის დამატებით 42 რუსული გამანადგურებლის — „Су-30МКИ“-ის (Flanker-H) შეძენას, — წერს „Times of India“. ამ კონტრაქტის განხორციელების შემდეგ ინდოელებს 272 ასეთი თვითმფრინავი ეყოლებათ.

რატომ წუხს მაკეინი სააკაშვილის ბედზე და ვინ აკონტროლებს საქართველოს საჰაერო სივრცეს?

გასულ კვირას აფხაზეთში განლაგებული რუსული საზენიტო-სარაკეტო სისტემის „С-300“-ის გარშემო ერთგვარი აურზაური ატყდა. პოლიტიკოსებისა და მედიის კომენტარებმა შექმნეს შთაბეჭდილება, რომ ეს კომპლექსი აფხაზეთში ახლახან განალაგეს, თუმცა ეს ასე არ არის. „С-300“ კონფლიქტის რეგიონში ორი წლის წინათ გადაისროლეს. დაახლოებით ამ დროს ინტერნეტში გაჩნდა ფოტოები, რომლებზეც ასახულია, თუ როგორ ტვირთავენ მას პლატფორმიდან გუდაუთის სადგურში. საინტერესოა, რა გახდა ბოლოდროინდელი ხმაურის მიზეზი?

ყველაფერი შემდეგი ფრაზიდან დაიწყო: **„ჩვენ განვალაგეთ სისტემა „С-300“ აფხაზეთის ტერიტორიაზე, სახმელეთო ჯარების ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებებთან ერთად, ის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ამოცანებს წყვეტს“,** — განაცხადა რუსეთის საჰაერო ძალების სარდალმა, გენერალმა ალექსანდრე ზელინმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე და იქვე დასძინა, რომ „С-300“ მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ობიექტებს იცავს, ხოლო ცხინვალის რეგიონში ამ ამოცანების გადაწყვეტა სხვა საშუალებების გამოყენებით ხდება.

ერთი შეხედვით, ამ ფრაზაში არ არის კონკრეტული მინიშნება დროის მომენტზე, თუმცა მედიაში ამას ისეთი ინტერპრეტაცია მიეცა, თითქოს ყოველივე ახლახან მოხდა. ყველაფერი ეს გაგრძელდა მანამ, სანამ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ფილიპ კროულიმ შემდეგი კომენტარი არ გააკეთა: **„ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, განალაგეს თუ არა მათ ახალი კომპლექსები. თავად სიტუაცია ახალი ამბავი არ არის. ასეთი სისტემები იქ გარკვეული დროით ადრე განალაგეს“.** ამ კომენტარმა, შესაძლოა, გული დაწყვიტა სენატორ ჯონ მაკეინს, რომელმაც ვითარება ასე შეაფასა: **„ისინი აგრძელებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მილიტარიზაციას, რის ბოლო დადასტურება იქ „С-300“-ების განლაგებაა. ამით რუსეთი კვლავინდებურად ემუქრება საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რაც, ასევე, მაწუხებს“.** ყოფილი მფრინავის ემოციური დამოკიდებულება საზენიტო რაკეტების მიმართ (მაკეინის თვითმფრინავისთვის ფატალური, „С-75“-იდან გამოშვებული რაკეტა გამოდგა) გასაგებია, თუმცა მნიშვნელოვანი სხვა გარემოებაა — **მაკეინი ამბობს „სააკაშვილს ემუქრება“** და არა — *„საქართველოს ემუქრება“*. ამ დეტალმა შეიძლება სიტუაციის გასაღები მოგვცეს.



იყო თუ არა ყოველივე ეს კვამლი ცეცხლის გარეშე? როგორც ჩანს, არა. პარასკევს, ანონიმურმა „წყარომ კრემლში“ „რია ნოვოსტის“ განუცხადა, რომ **„С-300“ აფხაზეთში „ორი წელია, რაც იმყოფება და დასავლელი პარტნიორები ამის შესახებ ინფორმირებულები იყვნენ. ახლა კი მხოლოდ დისლოკაციის ადგილი შეიცვალა“.** რას ნიშნავს ეს პრაქტიკულად?

ნაკლებად სავარაუდოა, რომ „С-300“ გუდა- ▶

რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ძლიერდება

რუსეთი შავი ზღვის ფლოტს აძლიერებს. ვინაიდან ეს საკითხი უშუალოდ თუ არა, ირიბად მაინც გვეხება, სჯობს, დეტალურად განვიხილოთ ის ცვლილებები, რომლებიც უახლოეს მომავალში მოხდება.

ის, რომ ფლოტის შემადგენლობაში შემავალი ხომალდები მოძველდა, საიდუმლო არავისთვის არ არის. ჯერ ერთი, პოსტ-საბჭოთა რუსეთში კრიზისი მძვინვარებდა და ახალ ხომალდებს პრაქტიკულად არ აგებდნენ; ამასთანავე, გაურკვეველი იყო, რამდენ ხანს დარჩება რუსული ბაზა სევასტოპოლში, ხოლო იუშჩენკოს ხელისუფლება სხვადასხვა დიპლომატიური და იურიდიული საშუალებების გამოყენებით ხელს უშლიდა ფლოტის შემადგენლობაში ახალი ხომალდების შეყვანას. დღეს ყველა ეს პრობლემა მოიხსნა და შავი ზღვის ფლოტის გაძლიერებისთვის არანაირი წინაღობა არ არსებობს.

წლის ბოლომდე იგეგმება ფლოტის შემადგენლობაში 1154 პროექტის ორი ფრეგატის — „ЯРОСЛАВ МУДРЫЙ“-ისა და „НЕУСТРАШИМЫЙ“-ის შეყვანა. პირველი მათგანი შარშან ააგეს და მას ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი „Уран“-ი და უფრო თანამედროვე აღჭურვილობა აქვს. 1994 წელს აგებული „Неустрашимый“ ყოველივე ამას უახლოეს წლებში დაგეგმილი მოდერნიზაციის დროს მიიღებს. ეს ხომალდები შავ ზღვაზე ბალტიის ფლოტიდან გადმოდიან, სადაც მათ ახალი, 11356 და 22350 პროექტების ფრეგატები ჩაენაცვლება.

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლის, ადმირალ ვლადიმირ ვისოცკის თქმით, მომავალ ათწლეულში შავი ზღვის ფლოტი 15 ახალ ხომალდს მიიღებს. ნავარაუდევია, რომ, პირველ რიგში, ააგებენ სამ ფრეგატს და სამ წყალქვეშა ნავს. სავარაუდოდ, ეს იქნება 636 პროექტის სუბმარინები (ნატოს კლასიფიკაციით, „Improved Kilo“), საკმაოდ დიდი ალბათობით მოდერნიზებულ ვარიანტში „636M“-ი. რვა ასეთი წყალქვეშა ნავი რუსეთმა ხუთიოდე წლის წინათ ჩინეთისთვის ააგო. **ისინი აღჭურვილნი არიან სარაკეტო კომპლექსით „Club-S“-ი, რომლებმაც, ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტების გარდა, შეიძლება გაუშვან რაკეტები „3М-14Э“** (საკმაოდ ეფექტურია სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ; სიშორე — 300 კილომეტრამდე, საბრძოლო მასა — 450 კილოგრამი, მაღალი სიზუსტე).

ჯერჯერობით, გაურკვეველია შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანის სარაკეტო კრეისერ „Москва“-ს სამომავლო ბედი, თუმცა ის ერთადერთი ხომალდია ფლოტის დღევანდელი შემადგენლობიდან, რომელსაც 2020 წლის შემდეგ მწყობრში დარჩენის შანსი აქვს, თუ საფუძვლიან მოდერნიზაციას გაივლის.

მიმდინარეობს საზღვაო ქვეითების გადაიარაღება. ამჟამად სახეზეა თვითმავალი საარტილერიო დანადგარებისა და ავტოპარკის განახლება, უახლოეს მომავალში ჯავშანტრანსპორტიორების შეცვლა იგეგმება. ბუნებრივად იბადება კითხვა: რა ხომალდები ჩაანაცვლებს 775 პროექტს შავი ზღვის ფლოტზე; ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

უთიდან გაგრისკენ დაეწიათ, ხოლო იმ შემთხვევაში, **თუ ის ენგურისკენ გადაადგილეს** (მაგალითად, ოჩამჩირისკენ ან გალისკენ) — **ეს ნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს საჰაერო სივრცე მისი მოქმედების რადიუსში ექცევა.** „С-300МПУ-1“ ან „С-300МПУ-2 Фаворит“ (ნატოს კლასიფიკაციით „SA-20 Gargoyle“; „a“ და „b“) ასეთი დისლოკაციის შემთხვევაში აკონტროლებს პრაქტიკულად მთელ სივრცეს თურქეთის საზღვრამდე; სამცხე-ჯავახეთის მიმართულებით, მისი კონტროლის ზონის გადაფარვას, სომხეთში რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზის „С-300Б Антей-300“ („SA-12 Giant/Gladiator“). **ნებისმიერი თვითმფრინავი, რომელიც საქართველოდან საზღვარგარეთ, დასავლეთის მიმართულებით მიფრინავს** (ან პირიქით), **რუსული „С-300“-ების შესაძლო მოქმედების ზონა უნდა გაიაროს.** ამ ფაქტზე საგანგებოდ შედგენილ რუკაზე „Stratfor“-მა მიუთითა: მართალია, ამ რუკაზე რაკეტების გაშვების ადგილად ადმინისტრაციული საზღვარია აღნიშნული, რაც ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ გამშვები დანადგარი ოჩამჩირის ან გალის მიდამოებში განალაგეს, სამიზნე ზონის გადაფარვა მაინც მოხდება; სივრცე ნებისმიერ შემთხვევაში იკეტება. აღსანიშნავია, რომ **რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ „ანონიმური წყაროს“ მეშვეობით გააკეთა სპეციალური „გაჟონვა“ იმის თაობაზე, რომ დისლოკაციის ადგილი შეცვლილია.**

შესაბამისად, თუ ჩვენი ვარაუდი სიმართლეს შეესაბამება, ამიერიდან, როდესაც მიხეილ სააკაშვილი დასავლეთ საქართველოს გადაუფრენს (საზღვარგარეთ წავა თუ ბათუმში), რაღაც მომენტში მისი ბედი რუსი მეზენიტეების ხელში გადავა. შესაძლოა, ამ ფაქტის გააზრებამ მისი ემოციური რეაქცია გამოიწვია, რომელიც ჯონ მაკეინს გაუზიარა და ამის გამო სენატორმა თქვა „სააკაშვილს ემუქრება“ და არა „საქართველოს ემუქრება“. **ძნელი წარმოსადგენია, რომ სააკაშვილის თვითმფრინავს ღიად და დაუფარავად საზენიტო რაკეტები დაუშინონ, თუმცა შიში, როგორც ცნობილია, ოხერია.**

ფაქტი ერთია, რუსეთმა მთელ მსოფლიოს მიანიშნა, რომ რეალურად ახორციელებს სამხედრო კონტროლს საქართველოს საჰაერო სივრცეზე, მის საავიაციო კომუნიკაციაზე დასავლეთთან. მეტიც, ამას ერთ-ერთი საუკეთესო საზენიტო-სარაკეტო სისტემების მეშვეობით აკეთებს. მთავარი ამ სიტუაციაში სწორედ ეს არის და არა ის, ემუქრება თუ არა ვინმე პირადად მიხეილ სააკაშვილს მის და მითუმეტეს ჯონ მაკეინის აღგზებულ წარმოსახვაში.

ესენია: „Цезарь Куников“-ი, „Ямал“ „Новочеркасск“-ი და „Азов“-ი (775M)) და 1171 პროექტის (შესაბამისად „Николай Фильченков“-ი, „Орск“-ი, „Саратов“-ი) დიდ სადესანტო ხომალდებს, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს. სავარაუდოდ, მათ 1177.1 პროექტის დიდი სადესანტო ხომალდები შეცვლის, რომელთაგან პირველის „Иван Грен“-ის მშენებლობა გაისად დასრულდება, თუმცა გაურკვეველია, ვის გადასცემენ ამ ხომალდებს, უპირველეს ყოვლისა, ბალტიისა თუ შავი ზღვის ფლოტს. **„მისტრალები“ კი, ჩვენში ფართოდ გავრცელებული მოსაზრებების მიუხედავად, ჩრდილოეთისა და წყნარი ოკეანის ფლოტების შემადგენლობაში შევა.**

ვიდრე შავი ზღვის ფლოტის საავიაციო კომპონენტის გაძლიერება მოხდება, მის მოქმედებას, სავარაუდოდ, რუსეთის „სამხრეთის გაერთიანებული სტრატეგიული სარდლობის“ გამანადგურებლები უზრუნველყოფენ, რომლის დაქვემდებარებაშიც შავი ზღვის ფლოტი ახლახან გადავიდა, კასპიის ფლოტილიასთან, ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო ოლქთან, ვოლგისპირეთ- ურალის ოლქის ნაწილთან (მდინარე ვოლგამდე) და სომხეთში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განლაგებულ რუსულ ბაზებთან ერთად.

როგორც ცნობილია, ორი წლის წინათ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ვერ გათვალა, რომ კონფლიქტში რუსეთის შეირაღებული ძალები და, შესაბამისად, შავი ზღვის ფლოტი ჩაერთვებოდა.

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალები 2008 წლის აგვისტოში აკეთებდნენ იმას, რაც უნდოდათ და როდესაც უნდოდათ, მათთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა ქართულ მხარეს არ ჰქონდა.

შესაბამისი ძალის ესკადრის გამოყვანა არ შეგვეძლო (და ხელშესახებ პერსპექტივაში ამის შესაძლებლობა არც გვექნება), ხოლო ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო სახმელეთო კომპლექსები არ გვქონდა; აგვისტოს ომამდე ეს მიმართულება ისეთივე იგნორირებული იყო, როგორიც, სავარაუდოდ, დღეს არის (ავიაციაზე კომენტარის განვრცობა, ალბათ, არც ღირს). შესაბამისად, **შავი ზღვის ფლოტს თავის მოქმედებაში არანაირი დაბრკოლება არ შეხვედრია და მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დასავლეთის მიმართულებაზე რუსული ძალების წარმატების უზრუნველყოფაში.** სავარაუდოდ, ის ასევე უპრობლემოდ შეძლებს მსგავსი ამოცანების განხორციელებას დღესაც, და მითუმეტეს, — მისი გაძლიერების შემდეგ, რაც ამჟამად დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს.

ჩინეთი აზიაში პირველობისთვის ემზადება

ჩინეთი სამხედრო პოტენციალს ზრდის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უახლოეს ათწლეულებში აზიაში ძალთა თანაფარდობა მნიშვნელოვნად შეიცვლება. თავდაცვის საკითხთა თეთრ წიგნში შარშან გარკვევით აღინიშნებოდა, რომ ავსტრალიის ხელისუფლება ღელავს — ჩინეთმა და აშშ-მა, შესაძლოა, „სტრატეგიული წინააღმდეგობების ესკალაცია“ დაიწყონ, ეს კი გათვლებში შეცდომებს არ გამორიცხავს.

ასეთი შიში სავსებით საფუძვლიანია, რამდენადაც ჩინეთის გაძლიერებამ, შესაძლოა, უსაფრთხოების საკითხებში აშშ-სთან დაპირისპირება გაააქტიუროს. ამას კი უსაფრთხოების სფეროშივე თავად ავსტრალიის პოზიციისთვის უდიდესი შედეგები მოჰყვება.

გაძლიერების შესაბამისად, ჩინეთი აზიაში ბატონობას მოინდომებს, ზუსტად ისევე, როგორც აშშ ბატონობს დასავლეთ ნახევარსფეროში. თუ დავაკონკრეტებთ, ჩინეთი შეეცდება, მაქსიმალურად გაზარდოს სხვაობა საკუთარი და მეზობელი ქვეყნების (პირველ რიგში, ინდოეთის, იაპონიისა და რუსეთის) სამხედრო **ძლიერებას შორის, რათა მეზობლები მისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდნენ.**

როგორც აშშ-მა შეავიწროვა მე-19 საუკუნეში დასავლეთ ნახევარსფეროში უდიდესი ევროპული სახელმწიფოები, ზუსტად ასევე შეეცდება ჩინეთი თავად აშშ-ის შევიწროებასა და განდევნას აზიიდან.

ჩინეთი მონროს დოქტრინის საკუთარ ვერსიას შექმნის. სინამდვილეში ამგვარი პოლიტიკის დასაწყისი უკვე სახეზეა. პეკინმა ახლახან აცნობა ობამას ადმინისტრაციას, რომ ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალებისთვის არ ღირს სამხრეთ ჩინეთის ზღვის საკითხში ჩარევა. ეს ახლა ჩინეთისთვის ისეთივე საკვანძო საკითხია, როგორიც ტაივანი და ტიბეტი.

ბუნებრივია, აშშ შეეცდება, წინ აღუდგეს და ხელი შეუშალოს ჩინეთის გაძლიერებას. ისტორია ცხადყოფს, რომ ამ მიზნისთვის ის უკან არაფერზე დაიხევს და ყველაფერზე წავა, ოღონდ კი აზიასა და ევროპაში სხვა ზესახელმწიფოს დომინირება არ დაუშვას.

იმის გახსენებაც საკმარისია, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდა ამერიკის შეერთებული შტატები ისეთი ქვეყნების რეგიონალურ ჰეგემონიას, როგორებიც გერმანიის იმპერია, იაპონიის იმპერია, ნაცისტური გერმანია და საბჭოთა კავშირი იყო.

ჩინეთის მეზობელთა უმეტესობა, მათ შორის ინდოეთი, იაპონია, სინგაპური, სამხრეთი კორეა, ვიეტნამი და, რაღა თქმა უნდა, ავსტრალია, ძალზე შიშობენ ჩინეთის მოძლიერების გამო და მის შესაჩერებლად ამერიკასთან ერთად იბრძოლებენ.

ჩინეთისთვის მოსალოდნელი წინააღმდეგობის გათვალისწინებით, შესაძლოა, წამოიჭრას საკითხი: რამდენად სწორი და ჭკვიანურია პეკინის მცდელობები, მოიპოვოს დომინირებული პოზიცია აზიაში და რამდენად გამართლებულია რეგიონიდან ამერიკელი სამხედროების განდევნასთან დაკავშირებული მისეული ძალისხმევა.

სტრატეგიის თვალსაზრისით, ჩინეთმა ამერიკის მაგალითით უნდა იხელმძღვანელოს და რეგიონალურ ჰეგემონიას უნდა მიაღწიოს. რატომ არ უნდა მოინდომოს პეკინმა, რომ მეზობლებზე ბევრად ძლიერი გახდეს, დროთა განმავლობაში კი თავისი ზურგიდან ძლევამოსილი ამერიკის შეერთებული შტატებიც განდევნოს?

ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწეები შეშფოთებას გამოხატავენ ყოველ ჯერზე, როდესაც შორეული ზესახელმწიფოები ჯარებს დასავლეთ ნახევარსფეროსკენ გზავნიან. ჩინეთმაც ზუსტად ანალოგიური ლოგიკით უნდა იხელმძღვანელოს. **განა შეიძლება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავს უსაფრთხოდ გრძნობდეს, როდესაც მის ზღურბლთან ამერიკელი ჯარისკაცები დგანან?** იქნებ, სწორედ ამერიკული ჯარი უნდა განდევნოს აზიიდან ჩინეთმა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად?

ამერიკელთა და, ალბათ, ავსტრალიელთა უმეტესობაც მიიჩნევს, რომ აშშ-ს მშვიდობიანი ზრახვები ამოძრავებს და უახლოეს ათწლეულში ჩინეთს ამ მხრივ შიშის არანაირი საფუძველი არ აქვს. მაგრამ, როგორც ჩანს, თავად ჩინეთის ხელისუფლება მდგომარეობას აბსოლუტურად სხვაგვარად აფასებს. რა დასკვნების გამოტანა შეუძლიათ მათ ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით, როდესაც მის შესაძლებლობებსა და რეალურ დროში განხორციელებად ქმედებებს უყურებენ?

ჩინეთის ლიდერებმა არ იციან და არც შეიძლება იცოდნენ, ვინ იქნება უახლოეს მომავალში ამერიკის საგარეო პოლიტიკის საჭეთმპყრობელი. კიდევ უფრო ნაკლები წარმოდგენა აქვთ დღეს იმის თაობაზე, თუ რა გეგმები ექნებათ ამ ახალ მესაჭეებს კონკრეტულად ჩინეთთან მიმართებაში. სამაგიეროდ, მათ იციან, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ ამერიკის ყველა პრეზიდენტი და მათ შორის ბარაკ ობამაც ცალსახად ერთგულებდნენ ამერიკის პირველობის შენარჩუნების იდეას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვაშინგტონი მომავალშიც არაფერზე დაიხევს უკან, ოღონდ კი ჩინეთის დიდ ძალად ქცევა არ დაუშვას.

ამერიკის შეერთებული შტატები თავდაცვაზე უფრო ბევრ ფულს ხარჯავს, ვიდრე

მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანა ერთად. უფრო მეტიც, რამდენადაც ამერიკული შეიარაღებული ძალები განკუთვნილნი არიან მთელ მსოფლიოში საბრძოლო მოქმედებების წარმოებისთვის, ისინი უდიდეს სამხედრო პოტენციალს ფლობენ. ამ პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი კი ან უკვე აზიაშია, ან უსწრაფესად შეიძლება იქ გადაიგზავნოს. **შეუძლებელია, ჩინეთს არ ესმოდეს, რომ აშშ-ს მის მეზობლად უდიდესი სამხედრო ძალები ჰყავს განლაგებული და ისინი შეტევითი მოქმედებებისთვის არიან მომართულნი.**

ამერიკელთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ მათი ჯარი თავდაცვითი ხასიათისაა, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სულ სხვაგვარად გამოიყურება. მით უფრო მაშინ, თუ ამ ჯარს მიზანში რაიმე აქვს ამოღებული. **ისევე, როგორც ყველა წინდახედული სტრატეგი, ჩინელი ლიდერებიც, სავარაუდოდ, პროგნოზირებენ და აფასებენ აშშ-ის შესაძლო ქმედებებს სამომავლოდ.** ოღონდ არა ამერიკელი პოლიტიკოსების განცხადებების, არამედ ამერიკის შეიარაღებული ძალების რეალური დანიშნულებისა და ამოცანების შესაბამისად.

აშშ-ის ბოლო პერიოდის ქმედებებზე დაკვირვება კი რა აზრსაც შეუქმნიდა ჩინელ ლიდერებს ამ ქვეყნის სამომავლო აქტიურობის შესახებ, ცხადია. **ამერიკის შეერთებული შტატები მეომარი და საშიში ქვეყანაა. ბოლოსდაბოლოს, ცივი ომის დამთავრებიდან გასული 21 წლის განმავლობაში 14 წელი აშშ-მა ომში გაატარა.** ეს მოცემული დროის მონაკვეთის ორი მესამედია. გარდა ამისა, **სავსებით შესაძლებელია, რომ პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაცია ამ წუთშიც კიდევ ერთი ომისთვის ემზადებოდეს, ამჯერად — ირანის წინააღმდეგ.**

შესაძლოა, ვინმე შეგვედავოს და თქვას, რომ აშშ ჩინეთს არ ემუქრება, მაგრამ ამგვარი არგუმენტის ნაკლი ისაა, რომ ორივე პოლიტიკური პარტიის ამერიკელი ლიდერები დარწმუნებულნი არიან, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უფლება აქვს და ვალდებულიცაა, მსოფლიო პოლიციელის როლი ითამაშოს. გარდა ამისა, ჩინელების უმეტესობას მშვენივრად ახსოვს, როგორ ისარგებლა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1899 წელს ჩინეთის სისუსტით და როგორ დაიწყო თავისი სავალალოდ ცნობილი „ღია კარის“ პოლიტიკის განხორციელება.

ჩინელმა ხელმძღვანელებმა ისიც იციან, რომ აშშ ებრძოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას კორეის 1950-1953 წლების სისხლისმღვრელი ომის დროს. სულაც არაა საკვირველი, რომ ჟურნალი „Economist“-ი ახლახან წერდა: **„გადამდგარმა ჩინელმა ადმირალმა ამერიკული სამხედრო საზღვაო ძალები იმ ფეხმოკიდებულ დამნაშავეებს შეადარა, რომლებიც დიდი ოჯახის სახლის ზღურბლთან დატანტალობენ“.**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნებისმიერი კეთილგონიერი ხელმძღვანელი შეეცდება, გამოძებნოს მეთოდი, რომ ამერიკის ჯარი ჩინეთის ტერიტორიიდან რაც შეიძლება შორს განდევნოს; თან ეს ისე მოახერხოს, რომ ჩინეთის გამოწვევა ვერც ერთმა მეზობელმა ქვეყანამ ვერ გაბედოს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არც ერთი შორსმჭვრეტელი ამერიკელი და ავსტრალიელი ლიდერი ჩინეთს აზიაში პირველობას უბრძოლველად არ დაანებებს.

ჰორიზონტზე დიდი უსიამოვნებები იკვეთება და, თუ ჩინეთი გაძლიერების პროცესს განაგრძობს, ავსტრალია აუცილებლად აღმოჩნდება ამ ბრძოლაში ჩათრეული.

ჯონ მირსჰაიმერი,
ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი.

inosmi.ru

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ახლო აღმოსავლეთი ახალი ომის ზღვარზე

ღაზას სექტორიდან ისრაელისკენ რაკეტების გაშვებასა და ისრაელის მიერ ალყაშემორტყმულ ტერიტორიაზე განხორციელებულ ავიადარტყმებში განსაკუთრებული არაფერია, თუ ამ მოვლენებს ცალკე შევხედავთ. იმავე თვალსაზრისით, საუდის არაბეთისა და სირიის ლიდერების უპრეცენდენტო ერთობლივი ვიზიტი ბეირუთში შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნაბიჯი, რომელიც ამ ქვეყნების ლიბანელ მეთვალყურეებს შორის კონფლიქტის გაღრმავების დაუშვებლობისთვის გადაიდგა. ბრიტანელი პრემიერის — დევიდ კემერონის თხოვნა თურქეთისადმი ისრაელელ ხელმძღვანელებთან ურთიერთობის არხების გახსნის თაობაზე, ჯანსაღი აზროვნების ბანალური გამოვლინებაა და არა — რაიმე განსაკუთრებული. მაგრამ, თუ ჩამოთვლილთაგან თითოეულ მოვლენას გაცილებით ფართო კონტექსტში განვიხილავთ, თითოეული მათგანი, შესაძლოა, განგაშის სიგნალად გამოდგეს და იმაზე მიანიშნოს, რომ, მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, ახლოაღმოსავლური რეგიონი ახალი კატასტროფული ომის ზღვარზე დგას.

რამდენიმე დღის წინათ ყოფილი დიპლომატების ავტორიტეტულმა საშუამავლო კომპანიამ „საერთაშორისო კრიზისულმა ჯგუფმა“ ახლოაღმოსავლური რეგიონის ქვეყნების პასუხისმგებელ პირებთან მრავალრიცხოვან საუბრებზე დაყრდნობით ახალი მოხსენება გამოაქვეყნა. მასში მოახლოებული ომის საშიშროება იგრძნობა.

„ახლო აღმოსავლეთში სიტუაცია უკიდურესად მშვიდი და უნიკალურად სახიფათოა, თანაც ერთი და იმავე მიზეზის გამო, — წერენ ზემოხსენებული ჯგუფის წევრები მოხსენებაში, — **სამხედრო პოტენციალის გაძლიერება და იმ სრულმასშტაბიანი ომის საფრთხე,** რომელიც როგორც მშვიდობიან მოსახლეობას, ასევე სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტებსაც შეინირავს, ამავე **ომის რეგიონალიზაციის პერსპექტივით გამოწვეულ შიშზეა მიგმული და ძალზე ეფექტურად აკავებს ყველა მხარეს“.** მაგრამ თუ „ჰეზბოლა“ და მისი რეგიონალური სპონსორები — სირია და ირანი — თვლიან, რომ შიიტი ბოევიკების საბრძოლო შესაძლებლობებისა და არსენალის გაძლიერება ისრაელს მათზე თავდასხმისგან თავის შეკავებას აიძულებს, თელავივი დაუშვებელ საფრთხედ მიიჩნევს ჰეზბოლას მიერ იმ რაკეტების შეძენას, რომელთაც ისრაელის ქალაქებისთვის ზიანის მიყენება შეუძლიათ. **„ჰეზბოლას გაძლიერების პარალელურად იზრდება ისრაელის მისწრაფებაც, მოაგვაროს საკითხი, ვიდრე გვიანი არაა... იმას, რაც არსებულ სიტუაციას ცვლილებების გარეშე ინარჩუნებს, შეუძლია ძალიან სწრაფად დაარღვიოს იგივე სიტუაცია“,** — წერენ მოხსენებაში.

თუ ახალი ომი დაიწყება, ისრაელი გაცილებით უფრო დამანგრეველი დარტყმების მიყენებას შეეცდება, ვიდრე ეს ბოლო კონფლიქტისას იყო. გარდა ამისა, ის ამის განხორციელებას გაცილებით სწრაფად მოინდომებს, თუნდაც იმიტომ, რომ წინა შემთხვევისას მიზანს ვერ მიაღწია და ჰეზბოლა ვერ გაანადგურა. **ახლა ისრაელი ღიად აცხადებს, რომ დაანგრევს სამოქალაქო ინფრასტრუქტურას ლიბანში და რომ ჰეზბოლას იარაღით მომმარაგებელი სირიაც დაზარალდება.**

თავად ჰეზბოლა თვლის, რომ თელ-ავივისთვის საჰაერო დარტყმების მიყენების მის ხელთ არსებული შესაძლებლობა, ისრაელს დაბრუნებასა და შიიტურ ფორმირებებთან საბოლოო ანგარიშწორებისგან თავის შეკავებას აიძულებს.

თავისთავად ცხადია, რომ ირანული ბირთვული პროგრამის გამო შექმნილი რეგიონალური დაძაბულობის ფონზე თვითმარქვია „წინაღმდეგობის ღერძი“ ირანის, სირიის, ჰამასისა და ჰეზბოლას სახით დღითიდღე აძლიერებს ალიანსს. ამის გათვალისწინებით კი, ცხადია, უნდა ვივარაუდოთ, რომ, თუ „ღერძის“ შემადგენელი რომელიმე ნაწილი ისრაელის ან აშშ-ის მხრიდან შეტევის მსხვერპლი გახდება, ჩხუბში ამ დაჯგუფებათაგან ნებისმიერი ჩაერთვება.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ძირითად მოთამაშეს საკმარისზე მეტი მიზეზი აქვს საიმისოდ, რომ ახლა ახალი ომის გაჩაღებაზე არც კი იფიქროს, კრიზისული ჯგუფი მაინც მოსალოდნელ საფრთხეზე მიანიშნებს: **„დაძაბულობა მატულობს, წნევის დაცემისთვის კი არანაირი თვალსაჩინო სარქველი არ ჩანს“.**

განსაზღვრულ მომენტში ჰეზბოლადან მომაგრებულმა ძალებმა, შესაძლოა, ისრაელის მიერ გავლებული წითელი ხაზი გადალახონ. **წინაღმდეგობის ბანაკისადმი დასავლური დიპლომატიის ბოიკოტი კი ნამდვილი განგაშის საფუძველს იძლევა.**

არ არსებობს არანაირი ეფექტურად მოქმედი არხი, რომელთა მეშვეობითაც ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს აიძულებდნენ, გაეგოთ, თუ რატომ გამოიწვევს მათი დაუდევარი ქმედებები გაუთვალისწინებელ შედეგებს. ეს კი უკვე იქცა ახლოაღმოსავლური ომების ტრაგიკულ ტრადიციად, ომებისა, რომლებიც გარკვეულწილად იმის გამოც იწყებოდა, რომ მოწინააღმდეგეებს ერთმანეთის განზრახვები არ ესმოდათ. **როდესაც ჰეზბოლას ლიდერმა, შეიხმა ჰასან ნასრალამ 2006 წელს ისრაელის შეტევაზე თავისი მოძრაობის „წმინდა გამარჯვება“ გამოაცხადა, ის არაბული სამყაროს ქუჩებში გმირად გამოაცხადეს. ამ გმირმა კი ყოველივე მომხდარის შემდეგ აღიარა, რომ მცოდნოდა, ისრაელი სრულმასშტაბიან შეტევას განახორციელებდა, ისრაელელი ჯარისკაცების გატაცებით მის პროვოცირებას არ შეეცდებოდიო.**

წინააღმდეგობის ბანაკსა და ისრაელს შორის ურთიერთობის არხების არარსებობა სერიოზული პროგლემაა. სწორედ ამის გამო იყო, რომ ახლახან თეთრი სახლიდან დაბრუნებული ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი ანკარაში გაემგზავრა და თურქეთს ისრაელთან ურთიერთობების შენარჩუნებისკენ მოუწოდა. შემდეგ კი საკუთარი კონტაქტების საშუალებით მხარეებს შორის ურთიერთობების მოწესრიგებასა და ამით ნაპერწკლის ჩაქრობას შეეცადა.

დასავლეთში ზოგიერთებმა და, თავისთავად ცხადია, ისრაელშიც, თურქეთი სამარცხვინო ბოძზე გააკრეს სირიასთან, ირანთან, ჰამასთან და მის მსგავსებთან დაახლოების გამო. მაგრამ **კემერონმა თავისი მოწოდებით მდუმარედ აღიარა ის ფაქტი, რომ ბუშის დროიდან შემორჩენილმა პოლიტიკამ, არ იქონიონ არანაირი კონტაქტი მათთან, ვისაც რეგიონში „რადიკალის“ იარლიყი უკვე მიაწებეს, აშშ-სა და ევროკავშირს მკვეთრად შეუზღუდა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებზე რაიმე გავლენის მოხდენის შესაძლებლობები.**

პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტ მაჰმუდ აბასსა და ისრაელს შორის მშვიდობიანი მოლაპარაკებები, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ აბასი ისრაელთან არ ომობს და არც იმ შემთხვევაში იომებს, თუ ღაზაში სამარი მოქმედებები განახლდება.

ალყაშემორტყმულ პალესტინურ ტერიტორიაზეც მხარეთაგან არც ერთი არ მიისწრაფის ისეთი სრულმასშტაბური სამარი მოქმედებები განახლებისკენ, წელინადნახევრის წინ ეს ტერიტორია რომ გამოაცარიელა. **პალესტინიდან გასულ კვირას ნასროლ ჭურვებს არავინ მოუკლავს და ისრაელელი სამხედროები თვლიან, რომ რაკეტები ჰამასმა კი არა, იმ წვრილფეხა დაჯგუფებათაგან ერთერთმა გაუშვა, რომლებიც დროდადრო ცდილობენ ჰამასის მიერ 2009 წლის თებერვლიდან ნაბრძანები დროებითი ზავი ხანდახან მაინც დაარღვიონ.**

ზოგიერთი ისრაელელი ანალიტიკოსი ეჭვობს, რომ, შესაძლოა, ჰამასმა მოკლე დროით ამ ზავის შენარჩუნებაზე კონტროლი მიზანმიმართულად შეასუსტა, რითაც აშშ-სა და ისრაელს შეახსენა, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკებების პროცესიდან მოძრაობის გამორიცხვის შემთხვევაში საფრთხე არაერთი მხრიდან ელით. **ის, რაც ისრაელმა ღაზასთან მიმართებაში გააკეთა, მისი დიპლომატიური იზოლაციის გაძლიერების მიზეზი გახდა, საბრძოლო მოქმედებათა ახალი ციკლი კი კიდევ უფრო გააღრმავებს ამ იზოლაციას.**

მაგრამ დროებითი ზავი, რომელსაც ჰამასი ბოლო წელიწად-ნახევრის მანძილზე იცავს და ინარჩუნებს, ცალმხრივია. მასში არაა მკვეთრად განსაზღვრული მხარეებს შორის კავშირის არხები და ურთიერთქმედების შეთანხმებული წესები. ეს კი ნიშნავს, რომ ესკალაციის საფრთხე მუდმივად დგას.

ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ისრაელისა და ლიბანის საზღვრის შესახებაც. იქ მხარეები მომავალი ომისთვის წინა ომის დამთავრების დღიდან ემზადებიან. ამ დროს არც ერთ მათგანს არ სურს მოვლენათა ამგვარად განვითარება. მაგრამ ორივე ეთანხმება მოსაზრებას, რომ ეს გარდაუვალია.

მშვიდობიანი მოლაპარაკებების პროცესის არარსებობის პირობებში, რომლის შემთხვევაშიც სირია ისრაელის მიერ ჯერ კიდევ 1967 წლის ომისას ოკუპირებულ ტერიტორიებსაც კი დაიბრუნებდა, დამასკო ჰეზბოლას მხარდაჭერას განაგრძობს და მას ებრაულ სახელმწიფოზე ზეწოლის ძირითად ბერკეტად მიიჩნევს.

დიპლომატიურმა ქმედებებმა უკანასკნელ ათწლეულში დამასკოსა და თეირანის ალიანსის გამყარება განაპირობა, შედეგად კი ისრაელს კიდევ უფრო მეტად არ სურს სირიელებთან კონტაქტი.

მოარული სიბრძნე, უკვე დიდი ხანია, ირწმუნება, რომ თუ ირანის ბირთვული ობიექტები თავდასხმის მსხვერპლი გახდება, ჰეზბოლას რაკეტები თეირანის შურისძიების გეგმების განხორციელებისას მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

მაშ ასე, საომარი მოქმედებების ახალი ციკლისთვის დეტონატორები თანდათან მრავლდება. ზოგიერთ მოთამაშეს შორის არსებული კავშირების გამო კი სულ უფრო იზრდება მათი თანმიმდევრული ამოქმედების შანსიც.

„საერთაშორისო კრიზისული ჯგუფი“ წერს: **„დღეს-დღეობით არ არსებობს მექანიზმი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნებოდა მზარდი დაძაბულობის მოხსნა ან შესუსტება“.** და ვინაიდან ღაზადან ირანამდე კონფლიქტების რეალურად აღმოფხვრის ან დარეგულირების პოლიტიკური პროცესები, უბრალოდ, არ არსებობს, **„მსოფლიომ თითები უნდა გადააჯვარედინოს და იმედოვნებდეს, რომ კატასტროფული კონფლიქტის წინაშე შიში საკმაოდ მტკიცე საფუძველია იმისთვის, რომ მხარეებმა ეს კონფლიქტი არ წამოიწყონ“.**

„TIME“

მოკლედ

ირანში ჩაქოლვას ჩამოხრჩობით ცვლიან

ირანში ცოლქმრული ღალატისთვის გასამართლებულ და სიკვდილმისჯილ ორ ქალს ძალიან გაუმართლა — მათი განაჩენის სისრულეში მოყვანისათვის ჩაქოლვა ჩამოხრჩობით შეცვალეს.

მთავრობის ამგვარი ჰუმანურობის მიზეზი 43 წლის საკინე აშტიანის გახმაურებულმა ისტორიამ განაპირობა. მან წამების გამოყენებით დაკითხვის შედეგად „აღიარა“, რომ მოკლა ქმარი, რომელსაც ღალატობდა.

ორი შვილის დედას, ცხადია, ჩაქოლვა მიუსაჯეს, მაგრამ მისმა ადვოკატებმა საერთაშორისო საზოგადოებამდე მიიტანეს ეს ამბავი და ირანის მთავრობა საყოველთაო კრიტიკის ობიექტი გახდა, ქალს კი მთელ რიგ ქვეყნებში პოლიტიკური თავშესაფარი შესთავაზეს. ამჟამად ჩაქოლვა კიდევ 13 ქალსა და სამ მამაკაცს მიუსაჯეს.

პაკისტანური უარი ამერიკულ წვეულებას

პაკისტანის საჰაერო სამხედრო ძალების მთავარსარდალი რაო კამარ სულეიმანი ვაშინგტონში ვიზიტისას აშშ-ში პაკისტანის ელჩის — ჰუსეინ ჰაკანის მიერ მის საპატივცემულოდ გამართულ ვახშამზე არ მივიდა.

ამით მან საკუთარი ქვეყნის სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას მიაგო პატივი.

15 ათასზე მეტი დოლარი, რომელიც 300 სტუმრისთვის დაგეგმილ ბანკეტზე უნდა დახარჯულიყო, საელჩომ დაზარალებულებს გადაურიცხა.

ძლიერი წვიმების გამო ქვეყნის ისტორიაში უდიდესი წყალდიდობა ივლისის ბოლოს დაიწყო. ამ დროისათვის გარდაცვლილთა რაოდენობა 1600-ს აღემატება, დაზიანებული ან განადგურებულია 700 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი, 20 მილიონამდე პაკისტანელი უსახლკაროდაა დარჩენილი.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ბეიკერ-სტრიტის მეორე ჰიპოსტასი

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქუჩა ლონდონის ბეიკერ-სტრიტია, ქუჩა, სადაც ოდესღაც შერლოკ ჰოლმსი და მისი მეგობარი დოქტორი უოტსონი ცხოვრობდნენ — გმირები, რომლებიც მწერალ არტურ კონან დოილის უშრეტმა ფანტაზიამ შექმნა. შერლოკ ჰოლმსმა აქ შეიმუშავა თავისი დედუქციური მეთოდი და რთული, მრავალსაფეხურიანი ოპერაციებიც.

ბეიკერ-სტრიტი

უინსტონ ჩერჩილი

ეს უდიდესი ოკუპირებული ქვეყანა იყო, რომელიც ინგლისთან ყველაზე ახლოს იმყოფებოდა და წინააღმდეგობის მოძრაობაც იქ ჩინებულად იყო ორგანიზებული. თუმცა უსო-ს ფრანგულ სექციას კადრების შერჩევა უჭირდა, რადგან საუკეთესო აგენტებს დე გოლი და „თავისუფალი საფრანგეთი“ არავის უთმობდნენ. ამასთან, დე გოლი უსო-ს მიმართ არც თუ მეგობრულად იყო განწყობილი, რადგან მიაჩნდა, რომ ის საფრანგეთის სუვერენიტეტს არღვევდა და წინააღმდგომის მოძრაობის წევრებს მუშაობაში ხელს უშლიდა. ამიტომ „ფრანგების შექმნა“ ხშირად ინგლისელებისა და კანადელებისგან უწევდათ, რაც უსო-ს დამატებით სირთულეებს უქმნიდა.

უსო მჭიდროდ თანამშრომლობდა ეკონომიკური ომის სამინისტროსთან, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე, 1937 წლის 29 ივნისს შეიქმნა, საიდუმლო სახელწოდებით „გერმანიაზე ეკონომიკური წნეხის კომიტეტი.“ მასში შედიოდა მრეწველთა, ბანკირთა და მეცნიერთა

მარქსი და სპენსერი ლონდონში, 1938 წ.

ჯგუფი. მოგვიანებით კომიტეტი გააუქმეს, მაგრამ მან მუშაობა განაახლა 1938 წელს, ჰიტლერის მიერ ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის შემდეგ. 1939 წლის 27 ივლისს კომიტეტი სამინისტროდ გადაკეთდა.

უსო-ს ხელმძღვანელებს სერიოზული სირთულეები ჰქონდათ, რაც დიდი ბრიტანეთის მთავრობასა და ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ დევნილ მთავრობებსა და ნაციონალურ კომიტეტებს შორის გამწვავებულ ურთიერთობებს უკავშირდებოდა. ჩერჩილის შეხედულებები წინააღმდეგობის მოძრაობაზე მკვეთრად განსხვავდებოდა ამ მთავრობებისა და კომიტეტების შეხედულებებისგან.

თვით ყველაზე ლოიალური ნორვეგიის მთავრობაც კი საიდუმლო პატრიოტულ ორგანიზაცია მილორგთან უსო-ს თანამშრომლობის წინააღმდეგი იყო, ხოლო ჰოლანდიის მთავრობამ უსო ჰოლანდიელებისგან შემდგარი ინგლისური აგენტურული ქსელის მუშაობის ჩავარდნაში დაადანაშაულა.

მათ მიაჩნდათ, რომ ინგლისელთა რეიდები და დივერსიები სარკინიგზო და სამხედრო ობიექტებზე გერმანელების მხრიდან მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ რეპრესიებს იწვევდა და წინააღმდეგობის ძალების მუშაობას აფერხებდა. თვით ყველაზე ლოიალური ნორვეგიის მთავრობაც კი საიდუმლო პატრიოტულ ორგანიზაცია მილორგთან უსო-ს თანამშრომლობის წინააღმდეგი იყო, ხოლო ჰოლანდიის მთავრობამ უსო ჰოლანდიელებისგან შემდგარი ინგლისური აგენტურული ქსელის მუშაობის ჩავარდნაში დაადანაშაულა.

ინგლისელებსაც და ამერიკელებსაც მიაჩნდათ, რომ ისინი, ვინც რეალურად იბრძოდა წინააღმდეგობის მოძრაობაში, საკვანძო პოლიტიკურ პოსტებს დაიკავებდნენ გათავისუფლების შემდეგ და, უნდა ითქვას, რომ ასეც მოხდა — „დახვრეტილთა პარტიამ“ — კომუნისტებმა თითქმის ყველა გათავისუფლებულ ევროპულ ქვეყანაში არჩევნები მოიგეს.

უსო-ს ერთ-ერთი საზღვარგარეთული რეზიდენტურა შვეიცარიის ქალაქ ბაზელში იმყოფებოდა, რომელიც საფრანგეთისა და გერმანიის საზღვრებიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობდა. ის სამოთხე იყო ყველა ქვეყნის მზვერავისთვის და უსო ამ შესაძლებლობს იყენებდა.

1942 წელი უსო-სთვის უიღბლოდ დასრულდა.

ევროპის ქვეყნებში მათ ძალიან ცოტა აგენტის შეგზავნა მოახერხეს, რომელთა უმრავლესობა გერმანელებმა დაატყვევეს. გადარჩენილებთან კავშირის დამყარება ხშირად კვირაობით არ ხერხდებოდა (ამ ხნის განმავლობაში გერმანელები აგენტს ან რადისტს იჭერდნენ და მათი კონტროლის ქვეშ მუშაობას აიძულებდნენ), იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების მიწოდება თითქმის შეწყდა.

ფრანგული სექციის მუშაობა ახალი ხელმძღვანელის, მაიორ მორის ბუკმასტერის მოსვლის შემდეგ აღორძინდა. 1943 წელს აგენტების შეგზავნა გახშირდა. ჩერჩილის ბრძანებით, 1944 წლის იანვარში უსო-მ თავის განკარგულებაში 35 თვითმფრინავი მიიღო. **უსო-ს აგენტებმა, წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებთან ერთად, არაერთი დივერსია მოაწყვეს.**

მარტო 1943 წლის ივნისიდან 1944 წლის მაისამდე გაანადგურეს ან სერიოზულად დააზიანეს 1822 ლოკომოტივი, 200 სამგზავრო ვაგონი, 2500 სატვირთო ვაგონი; სარკინიგზო ხაზებზე 3000-ზე მეტი დივერსიის მცდელობა იყო, განადგურდა 132 მატარებელი, სერიოზულად დაზიანდა 427 ობიექტი.

1943 წლის ოქტომბერში გენერალმა რუნშტედტმა ჰიტლერს პატაკი გაუგზავნა, რომელშიც დიდი შეშფოთება გამოთქვა სარკინიგზო ხაზებზე გახშირებული საბოტაჟის გამო. გენერალი ირწმუნებოდა, რომ მოკავშირეთა შემოჭრის შემთხვევაში, სიტუაცია გაუარესდებოდა, რადგან შეუძლებელი იქნებოდა სარემონტო სამუშაოების ჩატარება. გერმანელები იძულებული შეიქნენ, საფრანგეთში 20.000 გერმანელი რკინიგზელი გაეგზავნათ.

უსო-ს აგენტები და წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები დივერსიებს აწყობდნენ გერმანიისთვის მომუშავე სამრეწველო საწარმოებზეც, მათ შორის ისეთებზე, როგორიც იყო „შნეიდერ-კრეზო“ და „მიშლენი“, ასევე, ელექტროსადგურებზე, ელექტროგადამცემ და კავშირგაბმულობის ხაზებზე. **ბორდოს რაიონში მდებარე რადიოსადგურის აფეთქებამ, რომელიც წყალქვეშა ნავებთან კავშირისთვის გამოიყენებოდა, გერმანელები ძალიან დააზარალა.**

ნაცისტები სასტიკად იძიებდნენ შურს დივერსიებისა და საბოტაჟისთვის. **წინააღმდეგობის მოძრაობის 24.000 მებრძოლი გერმანელებმა საფრანგეთში სიკვდილით დასაჯეს, ხოლო 115.000 — საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს.** მიწასთან გაასწორეს სოფელი ორადურ-სიურ-გლანი მის მოსახლეობასთან ერთად.

თავისი არსებობის განმავლობაში უსო-მ არაერთ გამარჯვებას მიაღწია, თუმცა ბევრი შეცდომაც დაუშვა და დიდი დანაკლისიც განიცადა. გერმანელებმა ასობით აგენტი დააპატიმრეს, ადგილზევე დახვრიტეს ან ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში გაამწესეს.

მოამზადა
ნანა ჩარკვიანმა

დრო გადიოდა. გარემოებები შეიცვალა და მეორე მსოფლიო ომის წლებში ბეიკერ-სტრიტზე მარტოხელა მაძებრის ნაცვლად, მძლავრი ორგანიზაცია — სპეციალური ოპერაციების სამმართველო (უსო) ამოქმედდა, რომლის წიაღშიც არანაკლებ რთული გეგმები ისახებოდა და რომელიც ათასობით ადამიანის ბედ-იღბალს განაგებდა.

უსო-ს წარმოშობის თარიღად 1940 წლის 19 ივლისი მიიჩნევა, როცა ჩერჩილმა სამხედრო კაბინეტს წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც ნათქვამი იყო: „უსო იქმნება იმისთვის, რომ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ძირგამომთხრელი საქმიანობისა და ჯაშუშობის ყველა აქციის კოორდინირება მოახდინოს“. მოგვიანებით ჩერჩილმა დაამატა: **„რათა ევროპა ამოგუგოს“.**

ბედის ირონიით, უსო-ს მრავალრიცხოვანი ქვეგანყოფილებები ბეიკერ-სტრიტსა და მიმდებარე ქუჩებზე განთავსდა. **ორგანიზაციის შესანიღბად გამოფინეს ცნობილი სავაჭრო ფირმა „მარქსი და სპენსერი“**-ის აბრა, ხოლო ფირმის ოფისის შენობას დაზვერვა მთელი ომისა და შემდგომი რამდენიმე წლის განმავლობაში იყენებდა.

უსო-ს ხელმძღვანელი **სერ ჩარლზ ჰამბრო** გახლდათ. მის დაქვემდებარებაში შედიოდა ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში მიმდინარე სადაზვერვო და დივერსიული სამუშაოების ხელმძღვანელი განყოფილებები. უსო თავის სამუშაოებს საკუთარი აგენტების შეგზავნითა და წინააღმდეგობის მოძრაობის მთელი ჯგუფების, ასევე, პატრიოტების მოზიდვით აწარმოებდა. ბი-ბი-სი კი წარმოადგენდა ცენტრს, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა ინფორმაციის დიდი ნაწილის გადაცემა. **ისინი, ჩვეულებრივ, დაშიფრული სახით გადაიცემოდა ლიტერატურულ-მუსიკალური გადაცემების მიმდინარეობისას და ხშირად კომიკურ ხასიათს ატარებდა. ასე მაგალითად: თეატრალური გმირის მონოლოგში ჩართავდნენ ფრაზას: „ბიძია ჯორჯს ახალი წინდა აქვს“** ან **„სავსემთვარეობისას ყვითელი ძროხა ლურჯ ღობეს გადაახტა“.**

ადრესატისთვის ამ ფრაზების შინაარსი გასაგები იყო.

ხშირად ერთი რადიოკავშირი საკმარისი არ იყო და პირადი კონტაქტების დამყარება უხდებოდათ. უსო ამ მიზნით ასობით აგენტს ამზადებდა. შეარჩევდა ადამიანებს, ვინც იმ ქვეყნის ენა იცოდა, სადაც უნდა ემოქმედა და ყოველდღიურ აგენტურულ მუშაობას ასწავლიდა, რის შემდეგაც ისინი კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად საჭირო ცოდნას იღებდნენ. ამისათვის რინგუეში სპეციალური სკოლა შეიქმნა. **სწავლების სისტემა საომარი დროის მოთხოვნებს ესადაგებოდა და გამომდინარეობდა იმ მოსაზრებებიდან, რომ მზვერავებს მუშაობა მოუწევდათ ქვეყანაში, სადაც მეგობრულად განწყობილი მოქალაქეების რაოდენობა 50-ჯერ მაინც აღემატებოდა შეიარაღებული მოწინააღმდეგის რაოდენობას.**

ბუნებრივია, რომ სკოლაში ასწავლიდნენ პარაშუტით გადმოხტომას, დივერსიების მოწყობას, თავდაცვისა და თავდასხმის მეთოდებს, რადიოსაქმესა და სხვა დისციპლინებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა „წვრილმანებს“, რომლებზეც ხშირად აგენტების სიცოცხლე და წარმატებული საქმიანობა იყო დამოკიდებული. საუბარია არა მარტო დოკუმენტაციის, ბიოგრაფიის ლეგენდების ზედმიწევნით დამუშავებასა და იმ ადგილის ენის თავისებურებების შესწავლაზე, საიდანაც ვითომდა წარმოშობით იყო აგენტი. მას აღჭურვავდნენ ინფორმაციით ყველა საკითხზე, რომელსაც შეიძლებოდა წაწყდომოდა მტრის ზურგში — ცხოვრებისა და გადაადგილების რეჟიმის თავისებურებებზე, სამსახურში მოწყობაზე, სურსათ-სანოვაგის ნორმებზე, რეგისტრაციის წესებზე, კომენდანტის საათის დაცვაზე. **ყალბი დოკუმენტები უსო-ს სპეციალურ ლაბორატორიაში მზადდებოდა და ემატებოდა მნიშვნელოვანი დეტალები: „ოჯახური“ ფოტოსურათები, ძველი სავიზიტო ბარათები, მეგობართა წერილები, მეტროს ბილეთები, მოკლედ, ყოველგვარი წვრილმანი, რომელთა ტარებაც ჯიბით შეეძლო და რომლებზეც მისი სიცოცხლე იყო დამოკიდებული.** თუ აგენტს, მაგალითად, საფრანგეთში შეაგზავნიდნენ, მაშინ სუფრასთან მოქცევასა და ჭამასმას ფრანგულ მანერაზე ასწავლიდნენ, ფრანგული კალამბურებისა და ახალი ანეგდოტების ჩათვლით.

ქვეყანაში შეგზავნის წინ ხშირად აწყობდნენ „გესტაპოში დაკითხვის“ ინსცენირებებს, როცა აგენტს ძლიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ აქცევდნენ.

იყო შემთხვევა, როცა ქალიშვილმა, სახელად ნორ ინაილატ ჰანმა „დაკითხვას“ ვერ გაუძლო, გონება დაებინდა, ხმა ჩაუწყდა, გაფითრდა და შიშისგან აცახცახდა. თუმცა დავალების შესრულება მაინც ვერ გადააფიქრებინეს და, როცა საფრანგეთში იგი მართლაც ჩაიგდო ხელში გესტაპომ, სიმშვიდე შეინარჩუნა და არავინ გაუცია.

ყველაზე დიდ ყურადღებას უსო საფრანგეთში მუშაობას ანიჭებდა, განსაკუთრებით, 1943 წლიდან.

ᲛᲝᲐᲛᲐᲠ ᲙᲐᲓᲐᲤᲘᲡ ᲐᲗᲐᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲦᲐᲛᲔ

ᲛᲝᲐᲛᲐᲠ ᲙᲐᲓᲐᲤᲘ

XXI საუკუნის პოლიტიკაში სულ უფრო ნაკლებად ვაწყდებით მისტიკასა და აუხსნელ მოვლენებს, თუმცა არსებობს ლიდერი, რომელიც უწინდებურად „ამოუცნობ პოლიტიკურ ობიექტად“ რჩება. საუბარია 35 წლის განმავლობაში ბედუინის კარავში მჯდომ ლიბიის რევოლუციის ბელადზე — მოამარ კადაფზე, რომელიც ზოგისთვის „ცოფიანი ძაღლია,“ ზოგისთვის — მუჰამედზე აღმატებული ბრძენი.

ᲙᲐᲓᲐᲤᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ᲙᲐᲓᲐᲤᲘ ᲑᲔᲠᲚᲣᲡᲙᲝᲜᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

პირველი ბრიტანელი პოლიტიკოსი, რომელიც ლიბიას 1943 წელს ეწვია, უინსტონ ჩერჩილი გახლდათ. ასე ამბობენ დღეს და არც კი აზუსტებენ, რომ მაშინ ლიბიის სახელმწიფო არ არსებობდა. ამგვარად, როცა ლიბიას „ისტორიული ვიზიტით“ ტონი ბლერი ეწვია, ამ, ნავთობით უმდიდრესი ქვეყნის პირველაღმომჩენ ბრიტანელადაც იქცა, ქვეყნისა, რომელსაც, სამ ათეულ წელიწადზე მეტია, ექსცენტრიკული და ექსტრავაგანტური პოლკოვნიკი კადაფი მართავს.

ტონი ბლერს ლიბიის ლიდერთან ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან უნდა დაეწყო, არადა, მისი ხსენებაც კი ნებისმიერ წესიერ ინგლისელში მრისხანებასა და ზიზღს იწვევდა, რადგან **1988 წელს სწორედ კადაფის „შევარდნებმა“ ააფეთქეს შოტლანდიის თავზე სამგზავრო ლაინერი, რომელშიც 270 კაცი იჯდა და მრავალი წლის განმავლობაში სწორედ პოლკოვნიკი უჭერდა მხარს ირლანდიის რესპუბლიკური არმიის ბოევიკებს.**

მერე კი კადაფი თითქოს შეცვალეს. თავზე ნაცარი წაიყარა, დაგმო საერთაშორისო ტერორიზმი და კარი ფართოდ გაუღო გაეროს ინსპექტორებს, რომლებსაც უჩვენა, თუ თავის დროზე სად და როგორ ცდილობდა მასობრივი განადგურების იარაღის შექმნას. და **ტონი ბლერმაც გაიხსენა ბრძენი ჩერჩილის სიტყვები, „ეშმაკმა დალახვროს, ვაჭრობა კაციჭამიასთანაც კი შეიძლებაო“ და გეზი ახლო აღმოსავლეთისკენ აიღო.**

მათი საათნახევრიანი შეხვედრა ტრიპოლში კი არა, ქალაქგარეთ, უდაბნოში, ბედუინის კარავში მიმდინარეობდა, რადგან ლიბიის ლიდერის რეზიდენცია სწორედ იქ იყო განთავსებული. ბრიტანეთის პრემიერზე ამ შეხვედრამ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ბლერი არა მარტო გააოცა ამ კაცის თავაზიანობამ და მომხიბვლელობამ, რომლის შესახებაც საზარელ ისტორიებს ყვებოდნენ, არამედ ძალზე გაახარა ნავთობისა და გაზის, ასევე, ავიასამშენებლო სფეროში სავარაუდო დიდმა გარიგებებმა, რომელთა საერთო ღირებულება მილიარდ დოლარს მაინც შეადგენდა.

თუმცა, როცა კადაფთან ბლერის საუბრების ამსახველმა ფოტოებმა მსოფლიო შემოიარა, ნამდვილი ფურორი მოხდა. გაზეთმა „დეილი მირორმა“ ყურადღება გაამახვილა ერთ პატარა დეტალზე, რომელიც მოწმობდა, რომ ლიბიის ლიდერმა ბრიტანელი სტუმრის მიმართ პატივისცემა კი არა, ზიზღი გამოხატა. გაზეთმა ფოტოზე კადაფის ფეხსაცმელი წრით შემოხაზა, რითაც ტონი ბლერისადმი მისი დახრილობის კუთხე წარმოაჩინა. ხოლო არაბული კულტურის მცოდნეებმა აღნიშნეს, რომ კადაფის მარცხენა ფეხსაცმლის ლანჩა ბრიტანეთის პრემიერისკენ იყო მიმართული, რითაც პოლკოვნიკმა საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა სტუმარს, რადგან არაბები ფეხსაცმელს უბინძურეს ნივთად მიიჩნევენ...

ფეხსაცმელთან დაკავშირებული კაზუსი ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ამ იდუმალი კაცის არსს, რომელსაც ერთი კი არა, რამდენიმე „მე“ გააჩნია. სწორედ ეს დაეხმარა უბრალო ბედუინის შვილს მეფე იდრისის დამამხობელი რევოლუციის სათავეში ჩამდგარიყო და თავისი „ჯამაჰირია“ აეშენებინა. მოამარ კადაფის მამას ვაჟისთვის მემკვიდრეობით მხოლოდ კარვისა და საქონლის დატოვება შეეძლო, რაც მის ნაშიერს აშკარად არ აკმაყოფილებდა.

გონიერი ყმაწვილი ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას მიხვდა, რომ ხალხში ქვეყნის მმართველი სამეფო დინასტიის მიმართ უკმაყოფილება მწიფდებოდა, რისი მიზეზიც სიღატაკე, უსამართლობა, კორუფცია და უზნეობა იყო. „ქვედა ფენებს“ აღარ სურდათ ასე ცხოვრება, მაგრამ სიტუაციის შეცვლის გზას ვერ ხედავდნენ. თუმცა ახალგაზრდა კაცს მკაფიოდ წარმოედგინა, რა იყო ამისთვის საჭირო. 20 წლის კადაფმა მონარქიულ რეჟიმთან საბრძოლველად იატაკქვეშა ახალგაზრდული ორგანიზაცია შექმნა. ამგვარივე ორგანიზაციები ყალიბდებოდა ქვეყნის სხვა კუთხეებშიც. 1964 წელს ახალგაზრდა არალეგალები თავინათ პირველ ყრილობაზე შეიკრიბნენ. იმხანად მოამარ კადაფი უკვე არმიაში მსახურობდა. **ყრილობის დელეგატებმა „თავისუფალ იუნიონისტ-სოციალისტ ოფიცერთა ორგანიზაციის“ შექნა გამოაცხადეს, რომლის დევიზადაც, კადაფის შეთავაზებით, ეგვიპტის 1952 წლის რევოლუციის ლოზუნგი აქციეს: „თავისუფლება, სოციალიზმი, ერთობა!“. თავიანთი მიზნის მისაღწევად „თავისუფალმა ოფიცრებმა“ სამხედრო გადატრიალება აირჩიეს.**

მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ „თავისუფალ ოფიცრებს“ კონკურენტი გამოუჩნდათ. სამხედრო გადატრიალების იდეა, პოლკოვნიკ შელჰის ხელმძღვანელობით, სამხედროთა ჯგუფსაც დაებადა. რაკი შელჰის ჯგუფმა ახალგაზრდა ოფიცერთა განზრახვის შესახებ იცოდა, გადაწყდა, ისინი სტაჟირებისთვის საზღვარგარეთ გაეგზავნათ, რათა ხელისშემშლელები არ ყოლოდათ.

კადაფმა და მისმა მომხრეებმა „კონკურენტ ფირმას“ დაასწრეს. პოლკოვნიკ შელფის ამბოხება 1969 წლის 15 სექტემბერს იყო დანიშნული. „თავისუფალმა ოფიცრებმა“ გადაწყვიტეს, ჯანყი ორი კვირით ადრე დაეწყოთ. **1 სექტემბერს, გამთენიისას, რევოლუციური სარდლობის საბჭომ, კადაფის მეთაურობით, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში შეიარაღებული აჯანყება დაიწყო. ლიბიის მონარქია ერთ დღეში დაემხო.** სამხედროებმა **კონტროლზე აიყვანეს სახელმწიფო და სამხედრო ობიექტები. იმავე საღამოს მოამარ კადაფი ნაციონალური რადიოთი გამოვიდა და ზარზეიმით განაცხადა, რომ ხალხის მასების საოცნებო რევოლუცია მოხდა.** უმაღლესი ხელისუფლება რევოლუციური სარდლობის საბჭოს ხელში გადავიდა, ორკვირიანი პაუზის შემდეგ კი მოამარ კადაფი ოფიციალურად გამოცხადდა ლიბიის რევოლუციის ლიდერად. მაშინ იგი მხოლოდ 27 წლის იყო.

რევოლუციის გამარჯვებისთანავე კადაფმა გადწყვიტა, რომ შეექმნა საკუთარი სწავლება, რომელიც „კაცობრიობის ყველა პრობლემას გადაჭრიდა“. ასე იშვა მისი სახელგანთქმული „მწვანე წიგნი“, რომელიც მეცნიერული სოციალიზმის, ისლამისა და ცნობილი არაბი ნაციონალისტების თეორიების კოქტეილს წარმოადგენდა. აი, ნაწყვეტი წიგნიდან: **„რეფერენდუმი — დემოკრატიის ფალსიფიკაციაა. ის, ვინც ამბობს „დიახ“ და ისიც, ვინც ამბობს „არა,“ სინამდვილეში თავიანთ ნებას კი არ გამოხატავენ, არამედ თანამედროვე დემოკრატიის მიერ დუმილისთვის არიან განწირულნი. მათ მხოლოდ „დიახ“ ან „არას“ თქმა შეუძლიათ. ეს კი დიქტატორული რეჟიმის ყველაზე სასტიკი და ულმობელი ფორმაა... რადგან თავიანთი ნების დასაბუთება და დაცვა არ ძალუძთ“.**

ᲡᲐᲠᲙᲝᲖᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲓᲐᲤᲘ

გამოსავალი კადაფმა „ჯამაჰირიის“, ანუ ისეთი სახელმწიფოს შექმნაში დაინახა, სადაც სახალხო კომიტეტების მეშვეობით ყველაფერს რევოლუციური სახალხო მასები მართავენ (არაბულად „ჯამაჰირი“ „ხალხს“ ნიშნავს). **ლიბიის ლიდერი ხაზს უსვამდა, რომ საუბარი რესპუბლიკას არ შეეხებოდა, „ჯამაჰირია“ მისი საკუთარი გამოგონება იყო.**

ლიბიის რევოლუციის ლიდერი „დამპალი დასავლური დემოკრატიის“ აკადემიური კრიტიკით არ შემოფარგლულა, 70-80-იან წლებში მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა დასავლეთს და ისეთ ქმედებებს მიმართა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა **რონალდ რეიგანმა კადაფის „ახლო აღმოსავლეთის ცოფიანი ქოფაკი“ უწოდა.**

1984 წლის აპრილში ადგილი ჰქონდა ინციდენტს, რომლის შემდეგაც ლონდონმა ტრიპოლთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. ლონდონში ლიბიის საელჩოსთან ბრიტანეთის პოლიციის თანამშრომელი ივონა ფლეტჩერი მოკლეს. მოკლე ხანში კიდევ ერთმა მოვლენამ მთელი ცივილიზებული სამყარო აალაპარაკა: დასავლეთ ბერლინში დისკოთეკაზე მოხდა აფეთქება, რომლის ორგანიზებაშიც „ლიბიური კვალი“ აღმოაჩინეს. **დისკოთეკაზე რამდენიმე ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა და გაცოფებულმა რონალდ რეიგანმა „ცოფიანი ძაღლის“ დასჯა გადაწყვიტა, რის შემდეგაც, 1986 წლის აპრილში ამერიკის ავიაცია ტრიპოლის დასაბომბად გაეშურა. დაბომბვისას დაიღუპა კადაფის გერი, თუმცა თავად პოლკოვნიკი საღ-სალამათი გადარჩა.**

ორი წლის შემდეგ მან დასავლეთს კიდევ ერთი, ყველაზე დიდი დარტყმა მიაყენა, რის მერეც ლიბიის წინააღმდეგ სანქციები შემოიღეს და ის თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე საშიში რეჟიმების ამერიკულ „შავ სიაში“ მოხვდა. 1988 წელს შოტლანდიის თავზე ორმა ლიბიელმა ტერორისტმა ავიაკომპანია „პანამერიკანის“ ავიალაინერი ააფეთქა. კვალი ისევ ლიბიაზე მიუთითებდა.

ამავე დროს, პოლკოვნიკი კადაფი სულ უფრო მეტად იჭრებოდა იმპერიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ უდრეკი მებრძოლის როლში; სერიოზულად ფიქრობდა საკუთარი მასობრივი განადგურების — ბირთვული, ქიმიური და ბაქტეოროლოგიური იარაღის შექმნაზე. **საიდუმლო ლაბორატორიებსა და სამეცნიერო ცენტრებში სამუშაოები 24 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.**

მოკლე ხანში კი მკერდზე მჯიღის ბრაგუნით პოლკოვნიკმა მთელი მსოფლიო დაარწმუნა, რომ არაფერი იცოდა ლიბიელების მიერ განხორციელებულ ტერაქტებზე. მისი მარტო ლიბიელებს როდი სჯეროდათ. ვაშინგტონში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების გამომკვლევი კომისიის ღია სხდომაზე აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისმა ორი საათი ილაპარაკა ომზე, რომელსაც საერთაშორისო ტერორისტები ამერიკის წინააღმდეგ 20 წლის განმავლობაში აწარმოებდნენ. მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს ლოკერბის საქმეზე, რომელიც 11 სექტემბრამდე ამერიკელ მოქალაქეთა წინააღმდეგ განხორციელებულ ყველაზე დიდ ტერაქტად ითვლებოდა. უფრო მეტიც, კონდოლიზა რაისმა კადაფის ქება დაიწყო და ტრაგედიის მსხვერპლთა ნათესავებმა ყურებს არ დაუჯერეს. **თვითგამოაშკარავებით, ცოდვეგის საჯაროდ მონანიებითა და თვინიერების გამოჩენით ჩინებულმა არტისტმა კადაფმა მოახერხა ის, რაც ვერ შეძლო სადამ ჰუსეინმა — ამერიკა მწარედ მოატყუა და მტერი მეგობრად აქცია,** რის შემდეგაც ტრიპოლისკენ ერთმანეთის მიყოლებით დაიძრნენ **დასავლელი ლიდერები გუშინდელი არამზადის გადასაკოცნად.** ტონი ბლერამდე პოლკოვნიკს სილვიო ბერლუსკონი ეწვია, რომელიც თვითმფრინავიდან ისეთი სახით ჩამოვიდა, თითქოს ეს მის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღე იყო...

ამბობენ, რომ მსოფლიოში არც ერთი საზოგადოება სპეცსამსახურთა ქსელით ისე არაა გარშემორტყმული, როგორც ლიბიისა. ყოველი მესამე ლიბიელი ადგილობრივ სპეცსამსახურთან — „მუჰაბარატთან“ თანამშრომლობს. ამგვარი მკაცრი კონტროლის მიუხედავად, ყველა მაინც იმას აკეთებს, რაც მოესურვება.

ლიბიის სოციალისტური ჯამაჰირიის კიდევ ერთ უნიკალურ თავისებურებას წარმოადგენს მისტიკითა და ათასი ჯურის ჯადოქრობით მასობრივი გატაცება, რაც თავად ბელადისგან მომდინარეობს. ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲡ ᲰᲒᲐᲕᲡ. ᲛᲐᲗ ᲬᲘᲜ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲓᲒᲐᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ...

პოლკოვნიკ კადაფიზე, რომლის მმართველობასაც ბოლო არ უჩანს, ათასგვარ ლეგენდებს ყვებიან. ხან გენიოსს, ხანაც დემონსა და შეშლილს უწოდებენ, თუმცა ყველა აღიარებს, რომ იგი ყველაზე არაორდინალური პიროვნებაა, რომლის ალტერნატივაც ლიბიის ჯამაჰირიაში ჯერჯერობით არ ჩანს...

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

«ვეფხვების» ქვეყანა და ჩვენი დროის შერ-ხანი

ჩანდრიკა კუმარატუნგა 1994 წელს შრი-ლანკის პრეზიდენტი გახდა. მისი მშობლები შრი-ლანკის პრემიერ-მინისტრები იყვნენ. სირიმავო ბანდარანაიკე უახლეს ისტორიაში პირველი ქალი იყო, რომელიც პრემიერ-მინისტრი გახდა და ეს მაღალი პოსტი მას შემდეგ მიიღო, რაც ქვეყნის წინა პრემიერი — მისი ქმარი მოკლეს. კუმარატუნგა მაშინ 14 წლის იყო.

ველუპილაი პრაბჰაკარანი და თამილელი ვეფხვები

თამილელი ვეფხვები

პრაბჰაკარანი ოჯახთან ერთად

17 წლის განმავლობაში შრი-ლანკას გაერთიანებული ნაციონალური პარტია მართავდა, სანამ სხვა პარტიის — სახალხო კოალიციის ოფიციალური ლიდერი კუმარატუნგა ხელისუფლების სათავეში არ მოვიდა. არჩევნებზე მთავარ კარტად „შრი-ლანკის გამათავისუფლებელი ვეფხვების“ პრობლემა გათამაშდა. არჩევნების დროს და გამარჯვების შემდეგაც კუმარატუნგა ირწმუნებოდა, რომ „ვეფხვებთან“ მეგობრობა საჭირო იყო და მათთან მშვიდობიანი მოლაპარაკებებიც გამართა, მაგრამ ისინი მალე ჩაიშალა. **ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით „ვეფხვებმა“ იერიში მიიტანეს შრი-ლანკის არმიაზე. კუმარატუნგა რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა: „ვეფხვებიც“ უნდა დაემარცხებინა და თამილის ოლქებისთვის ფართო ავტონომიაც მიეენიჭებინა. ამიტომ ომი ხანმოკლე და გამარჯვების მომტანი უნდა ყოფილიყო.**

რამდენიმე წელიწადში ნათელი შეიქნა, რომ ქვეყნის ჩრდილოეთში საკმაოდ დიდი ტერიტორიები დაიკარგა. ათიათასობით ადამიანი თითქოსდა შრი-ლანკის საზღვრებს მიღმა აღმოჩნდა. **ახლოვდებოდა ახალი არჩევნები და ასეთი დანაკარგები ერთობ უდროო იყო. კუმარატუნგას უნდა უგულებელეყო თავისი ომამდელი სტრატეგია — „ვეფხვებთან“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა ეომა, მაგრამ ამის მოტივირება როგორმე უნდა მოეხერხებინა.**

და სწორედ ამ დროს მას თავს დაესხნენ. ეჭვობდნენ, რომ თავდამსხმელი „ვეფხვი“ იყო. **2000 წელს, წინასაარჩევნო კამპანიის დასრულების წინა დღეს კოლომბოს ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც ჩანდრიკა სიტყვით გამოდიოდა, უცნობი პირი შეიჭრა და პრემიერისგან 5 მეტრში თავი აიფეთქა.**

დაიღუპა 20 კაცი, ბომბის ნამსხვრევი კუმარატუნგას თავში მოხვდა და კინაღამ თვალი დაეკარგვინა. პრემიერ-მინისტრს თვალზე სახვევი დაადეს და იგი მყისვე ტელევიზიით გამოვიდა ნაციის წინაშე, გამოაცხადა, რომ, თუ არჩევნებში გაიმარჯვებდა, „ვეფხვებს“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გამოუცხადებდა. იგი მეორე ვადით აირჩიეს, თუმცა თავდასხმამდე ეს საეჭვო იყო.

„ვეფხვების“ ლიდერი მრავალი წლის განმავლობაში ველუპილაი პრაბჰაკარანი იყო, რომელსაც თავისუფლებისთვის დაუცხრომელ მებრძოლს უწოდებდნენ.

მას უშიშარი და სასტიკი პარტიზანების ლიდერის სახელი ჰქონდა და სწორედ მისი ხელმძღვანელობით იქცნენ „ვეფხვები“ ნამდვილ არმიად. პარტიზანები მას აღმერთებდნენ. ამბობდნენ, რომ ველუპილაი კისერზე ზონრით ჩამოკიდებულ კალიუმის ციანიდიან კაფსულას ატარებდა, რათა ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში თავი მოეწამლა და ასეთსავე ფანატიზმს ელოდა დანარჩენი „ვეფხვებისგანაც“. მომხრეები მას გამათავისუფლებელს ეძახდნენ, ხოლო მოწინააღმდეგეები — მხეცს.

„შერ-ხანი“ 1954 წლის 26 ნოემბერს დაიბადა თამილის ნახევარკუნძულ ჯაფნაზე, ქალაქ ველვეტიტჰურაიში. სტუდენტობისას მასზე დიდი გავლენა მოახდინა ორი ინდოელი ლიდერის — ჩანდრა ბოსისა და ბჰაგატ სინგჰის ცხოვრებამ და კარიერამ. ორივე ლიდერი ინგლისის ბატონობისგან ინდოეთის გამათავისუფლებელ ომში მონაწილეობდა.

ჯერ კიდევ მოზარდობისას ველუპილაის თამილელების დისკრიმინაცია აღაშფოთებდა — მას და სხვა თამილელებს ზოგიერთ საგანმანათლებლო ლექციაზე დასწრების უფლებას არ აძლევდნენ და პრესტიჟულ სამსახურზეც უარს ეუბნებოდნენ. მაშინ მან თამილელების პოლიტიკურ შეხვედრებზე დასწრება და სამხედრო საქმის შესწავლა დაიწყო. მალე თამილელების საპროტესტო მოძრაობის ცენტრში აღმოჩნდა და სიტყვიდან საქმეზე გადავიდა. **1975 წელს, 21 წლის ასაკში იგი ჯაფნას მერის მკვლელობაში დაადანაშაულეს.**

იმხანად ველუპილაი უკვე იატაკქვეშ იმყოფებოდა.

მერის მკვლელობა ერთადერთი გახმაურებული საქმე როდი იყო, რაშიც პრაბჰაკარანს პირადად ადანაშაულებდნენ. **ოფიციალურმა ინდოეთმა იგი 1991 წელს პრემიერ რაჯივ განდის მკვლელობაშიც დაადანაშაულა.**

განდი სიცოცხლეს კამიკაძემ გამოასალმა, რომელსაც ინსტრუქტაჟს თურმე პირადად „ვეფხვების“ ლიდერი უტარებდა. სავარაუდოდ, პარტიზანების ბელადს რაჯივისთვის სამაგიეროს მიზღვა სურდა იმის გამო, რომ მან 80-იან წლებში ინდოეთის ჯარები შრი-ლანკაში განათავსა.

მოკლედ, **ველუპილაი პრაბჰაკარანი სრულიად ინდოეთის უსამა ბენ ლადენი იყო. მას უამრავ რამეში ადანაშაულებდნენ და მისი ცხოვრებაც საიდუმლოებებით იყო მოცული. სანამ „შერ-ხანი“ ცოცხალი იყო, შრი-ლანკასა და ინდოეთში მშვიდობა არ დამყარებულა.**

„თამილ ილამის გამათავისუფლებელ ვეფხვებს“,ანუ „თამილელ ვეფხვებს“ საზღვარგარეთ წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მთელი სტრუქტურა ჰქონდათ — მშვიდობის თამილის ასოციაცია, მშვიდობის თამილის მოძრაობა, კანადელი თამილელების ასოციაციათა ფედერაცია და სხვ. **„ვეფხვები“ ყველაზე ძლიერი სეპარატისტული დაჯგუფება იყო რეგიონში. ის 1976 წელს დაარსდა, ხოლო შრი-ლანკის მთავრობასთან შეიარაღებულ კონფლიქტში 1983 წელს ჩაერთო.** „ვეფხვები“ ბრძოლის მეთოდად პარტიზანულ სტრატეგიასა და ტერორისტულ ტაქტიკას იყენებდნენ. „თამილელი ვეფხვები“ არა მარტო სამთავრობო ჯარებს უტევდნენ სოფლებში, არამედ თავს ესხმოდნენ ჩინოვნიკებს, ოფიცრებსა და პოლიტიკოსებს შრი-ლანკის დედაქალაქ კოლომბოშიც. **მათ აქციათაგან ყველაზე ცნობილია შრი-ლანკის პრეზიდენტ რანასინგჰ პრემადასსა და ინდოეთის პრემიერ რაჯივ განდიზე თავდასხმა.**

უცხოელ ტურისტებს „ვეფხვები“ თითსაც არ აკარებდნენ, რადგან არ უნდოდათ, რომ დასავლეთის ქვეყნების მთავრობები მათ წინააღმდეგ განწყობილიყვნენ, ამასთან, უცხოეთში არსებულ თამილის ორგანიზაციებსა და თამილელ ემიგრანტებს არაფერი დამუქრებოდათ. ინდოეთის სპეცსამსახურთა მონაცემებით, **დაჯგუფება „ვეფხვების“ შემადგენლობაში 10.000-მდე პარტიზანი და 6 ათასამდე მოთარეშე ტერორისტი ირიცხებოდა.**

„ვეფხვები“ შრი-ლანკის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ სანაპირო ოლქებში მოქმედებდნენ და მთელ კუნძულზე აქციებს აწყობდნენ. მათი ლიდერის შტაბბინა თამილელების მიერ კონტროლირებად ჯაფნის ნახევარკუნძულზე მდებარეობდა.

ახალბედა „ვეფხვები“ მკაცრ წვრთნასა და პროფესიულ იდეოლოგიურ დამუშავებას გადიოდნენ. ამ ტრენინგების დასრულების შემდეგ კი მებრძოლებს კალიუმის ციანიდიან კაფსულებს ურიგებდნენ, რათა მტერს ხელში ცოცხლად არ ჩავარდნოდნენ. სტატისტიკა ადასტურებს, რომ ისინი ამ კაფსულებს იყენებდნენ.

„ვეფხვები“ არც საკუთარ და არც სხვის სიცოცხლეს არად აგდებდნენ.

მათ ხუთჯერ მეტი ტერაქტი აქვთ განხორციელებული, ვიდრე ნებისმიერ სხვა ტერორისტულ დაჯგუფებას. **კამიკაძე-„ვეფხვები“ იყვნენ მამაკაცებიც, ქალებიცა და გავშვებიც.**

აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ შრი-ლანკაში მშვიდობიანი მოსახლეობა ძალიან რთულ პირობებში — თამილ ილამის „ვეფხვების“ კონტროლქვეშ ცხოვრობდა. **ტერორისტები სოფლებში დადიოდნენ და გლეხების უმცროს ვაჟებს მძევლებად იყვანდნენ, რათა ქვეყნის სხვა რეგიონებში სასწავლებლად მყოფი მათი უფროსი ძმები დაჯგუფებაში გაერთიანებულიყვნენ.** გადამბირებლები არც ერთ პოტენციურ მებრძოლს ხელიდან არ უშვებდნენ და ხშირად პატარა მძევლებსაც ომში მონაწილეობას აიძულებდნენ. გადამბირებლები სკოლებშიც დადიოდნენ და მოსწავლეებს თამილელებსა და მათ სამართლიან ბრძოლაზე ვიდეოსიუჟეტებს უჩვენებდნენ. ამასთან, რა თქმა უნდა, კრინტსაც არ ძრავდნენ „ვეფხვების“ მიერ მოწყობილ ტერაქტებზე.

1990-იანი წლების ბოლოს გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ **აღშფოთებული მშობლები თამილელთა ბანაკებში მიდიოდნენ და შვილების დაბრუნებას ითხოვდნენ.** მასწავლებლებმაც გაბედეს და სკოლებში „ვეფხვების“ პროპაგანდა აღკვეთეს. 1998 წლის მაისში „ვეფხვებს“ გაეროს სპეციალური დამკვირვებლები ეწვივნენ, დაათვალიერეს შრი-ლანკის რეგიონები და ბელადის ერთ-ერთ მოადგილეს ანტონ ბალასინგამსაც შეხვდნენ. იქვე ნახეს ბავშვებიც, თუმცა „ვეფხვებმა“ დაარწმუნეს სტუმრები, რომ არასრულწლოვანებს ომში მონაწილეობის უფლებას არ აძლევდნენ და, საერთოდაც, ბანაკებში 17 წლამდე ასაკის მოზარდები არ ჰყავდათ.

სინამდვილეში კი „ვეფხვები“ სასტიკად სჯიდნენ იმ მშობლებს, რომლებიც მათ შვილებს უმალავდნენ.

ასეთი მშობლების უმეტესობა ქალაქის მოედნებზე სახალხოდ გაროზგეს, რამდენიმე დედა კი ციხეში ჩასვეს, რის შემდეგაც ირწმუნებოდნენ, რომ ამ ქალებმა საპყრობილეში თავი მოიკლეს...

არავითარი გავლენა არ ჰქონდათ ტერორისტებზე საერთაშორისო ორგანიზაციებსაც. „საერთაშორისო ამნისტიაცა“ და „გაეროს ბავშვთა ფონდიც“ მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდა, რომ „ვეფხვებს“ ბავშვების დანდობას სთხოვდა. შრი-ლანკაში მომუშავე საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს „ვეფხვებთან“ ურთიერთობის გამწვავება არ სურდა, რათა ამ ტერიტორიაზე დარჩენისა და მუშაობის საშუალება ჰქონოდა. ასე რომ, „ვეფხვები“ არა მარტო იარაღითა და ფულით, არამედ ახალი მებრძოლებითაც უზრუნველყოფილი იყვნენ.

შრი-ლანკის ჯარების სარდლობის ცნობით, პრაბჰაკარანი 2009 წლის 18 მაისს, ალყიდან გაღწევის მცდელობისას მოკლეს.

მეორე დღეს მისი გვამი იპოვეს და ამოიცნეს. თავიდან პარტიზანები თავიანთი ლიდერის დაღუპვას უარყოფდნენ და აცხადებდნენ, რომ იგი ცოცხალი და საღ-სალამათი იყო, თუმცა მალე სიმართლის აღიარება მოუხდათ.

კამიკაძეები იყვნენ ქალებიც

გვერდები მოამზადა ნანა ჩარკვიანმა

18 აგვისტო — 7 სექტემბერი, 2010 წელი. №31 (74)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ნანარია კვალი

ქვემოთ, ბარში, აგვისტოს ხვატისაგან ადამიანები რიყეზე ამოყრილი თევზებივით სულს ძლივს ითქვამენ... არც აქ, სტეფანწმინდაშია დიდი სამოთხე, მაგრამ დარიალის ხეობის ვიწროებში თერგს ზოგჯერ მყინვართა სუნთქვა შემოაქვს. მეოთხედი საუკუნის წინათ დიდი ხალხმრავლობა და ავტომობილების გაბმული ჯაჭვი იყო ამ გზაზე, ახლა კი ოდესღაც საგულდაგულოდ დაგებულ ასფალტს ბზარები დაუდის და ნაპირებიდან ბალახი უტევს.

გერგეტის „სამება“

სტეფანწმინდის ეკლესია



გალაღებული იყო ადრე მოხევე, ახლა მტრობამ დაგმანა დარიალი, ჩიხად აქცია და გაყურსა.

თერგის ღრიალს ხდისწყლის შესართავთან მომუშავე სამშენებლო ტექნიკის ხმა ფარავს. ეს დარიალის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის გულისცემაა, ხეობიდან მოდენილ სიოს კი უძველესი წარსულის სუნთქვა მოაქვს...

ანტიკური ხანის ისტორიკოსების — სტრაბონისა და პლინიუსის აღწერის თანახმად, ხეობის ვიწრო, კლდოვანი ყელი, თურმე, ლითონის სალტეებით შეკრული ბასტიონებით იყო გამაგრებული. ლეონტი მროველი უფრო ძველ სურათს ხატავს. იგი გადმოგვცემს, რომ ჩრდილოეთის ეს კარი გაცილებით ადრე არსებობდა: **„და ისწავეს ხაზართა ორივე ესე გზანი, რომელი არს ზღვის კარი დარუბანდი და არაგვის კარი, რომელ არს დარიალა“.** „დარი-ალან“ ალანთა კარს ნიშნავს, მაგრამ ამ ტერმინის ქართულში შემომტანი ჩვენი მემატიანე XI საუკუნის ავტორია და ალანთა კარსაც ამიტომ არქმევს, თორემ **ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ალანების ხსენებაც კი არ იყო აქ. მხოლოდ ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნიდან ჩნდება ალანთა სახელი და მაშინაც მათი საბინადრო ადგილები პონტოსა (შავი) და მეოტის (აზოვის) ზღვების და მდინარე ისტრის (დუნაის) ჩრდილოეთ ნაპირები იყო. ჩვენი წელთაღრიცხვის 72-73 წლეში მიდიაში ისინი დარუბანდიდან შეიჭრნენ. ამ ცნობებს გვაწვდიან: სენეკა, პლინიუსი, ფლავიუსი, პტოლემეოსი და დიონისელი.**

სულ სხვანი იყვნენ დვალები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიაში დარიალიდან მამისონის უღელტეხილამდე ცხოვრობდნენ და სვანებს ემეზობლებოდნენ. ისინი, სწორედ, ალანთა მოწოლის შედეგად დაეშვნენ სამხრეთ კავკასიაში და დროთა განმავლობაში ქართველთა დანარჩენ ტომებში აითქვიფნენ. არჩილ მეფისთვისაც კი დვალები ალან-ოსები არ ყოფილან, რადგან მათ ერომანეთისაგან განარჩევდა. იგი ამბობს: **„დვალეთს გადმოველ** (ჩრდილოეთიდან — გ.ქ.), **დედოფალი იქ დავაყენე და მე იქავ, იმერეთს ჩაველ და რვა თვეს ჩხერს ვიყავ და ისევ დვალეთს წამოველ და იქიდამ ოსეთს, ფაიქომში გადაველ“.** არჩილ მეფემდე მრავალი საუკუნით ადრე ანონიმი სომეხი ავტორიც სარმატიაში (კავკასიის ჩრდილოელ მთიელებში) ალან-ოსებსა და დვალებს ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან საკმაო დაშორიშორებით მოიხსენიებს ჩამონათვალში.

...გერგეტის „სამებაზე“ ასვლამდე სტეფანწმინდის მუზეუმში შევდივართ. ჩოფიკაშვილთა კარის ეკლესია, სასახლე და ხევის საგანძური უნდა გადავიღოთ: უძველესი კევრი, ბეთლემის კარი, არქეოლოგიური მონაპოვარი, ვიღებთ, ვათვალიერებთ...

ტერმინი „მოხევე“ ქართულ საისტორიო წყაროებში XIII საუკუნიდან ჩნდება. „მოხევე“ აშკარად გამოგონილი, გვიან შერქმეული სახელი უნდა იყოს, რადგან იგი ასეთივე წარმატებით კავკასიონის მთახევებში მოსახლე სხვა ტომებსაც შეიძლებოდა შერქმეოდა (ისევე როგორც მთიელი).

დღევანდელ „ხევს“, ანუ ყაზბეგის რაიონს, „მატიანე ქართლისაის“ მიხედვით, „წანარეთის ხევი“ ჰქვია.

წანარებს, პირველად, მოიხსენიებს II საუკუნის რომაელი ისტორიკოსი პტოლემეოსი, შემდეგ კი VII-IX საუკუნეების სომხური და ქართული წყაროები. აღსანიშნავია, რომ VIII-X საუკუნეებში მთელ კახეთსაც კი (ხევი, არაგვის ხეობა, ივრისა და ალაზნის სათავეები თელავ-გულგულამდე) უცხოელი ავტორების ერთი ნაწილისათვის წანარეთი ერქვა. **უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად წანარეთი მხოლოდ ხევს ერქვა, ხოლო შემდეგ, როცა ეს სახელი მთელ კახეთს დაერქვა, დღევანდელი თერგის ხეობა წანარეთის ხევად იქცა, უფრო მოგვიანებით კი სიტყვა წანარეთი გაძრა და ხელთ შეგვრჩა მოკლე დასახელება — „ხევი“.**

სახელწოდება „წანარეთის“ გეოგრაფიული საზღვრების გავრცელება იმის დასტურია, რომ კახეთის ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბებაში და აღმავლობაში (კახეთ-წანარეთი ყველაზე მედგრად დაუხვდა არაბ დამპყრობლებს) პოლიტიკური ლიდერობა ამ კუთხეს გამოუჩენია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ კახეთის სამთავროს პირველი მმართველები — ქორიკოზები სწორედ წანარები იყვნენ.

ზოგიერთი რუსი და სომეხი მკვლევარი ერთხანს ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ წანარები ერთ-ერთი ვაინახური ტომი იყო, მაგრამ ბოლოდროინდელმა კვლევებმა დაადასტურა სარგის კაკბაძის მოსაზრება წანარების ჭანურ-სვანური წარმომავლობის თაობაზე. ფუძე „წან“ უმეტესად სვანეთის ონომასტიკაში გვხვდება (უღელტეხილი „წანური“, მთები „წანერი“ და „წანარი“, სოფლები „წანა“ და „ცანა“ და სხვ.). ერთი აფხაზური ლეგენდის თანახმადაც, აფხაზთა ადგილზე, ადრე, თურმე, წანები ცხოვრობდნენ და მათ პირველყოფილ საცხოვრისებს (დღემდე შემორჩენილ დოლმენებს) „წან იგუარას“ უწოდებენ.

ლეონტი მროველის საპირისპიროდ, XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი თეიმურაზ ბატონიშვილი ამბობს, რომ ძვ.წ-ის III საუკუნეში ჩრდ. კავკასიაში დროებით გადახვეწილ ფარნავაზის ძეს — საურმაგს დურძუკები კი არ მოჰყოლიან დასახმარებლად, არამედ საკუთარი მამიდაშვილის, ეგრისის სამეფოს პატრონის, ქართამმა ქუჯის ძის ხალხი. ქართამმა მეფე საურმაგს **„მიაშველა მხედრობანი მრავალნი და დაიპყრა (საურმაგმა) მთელი ივერია“. ბუნებრივია, რომ ეგრისის (ლაზიკის) მეფე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მისულ ბიძაშვილს ვაინახებს კი არა, საკუთარ ხალხს მიაშველებდა, ჩვენ კი ვიცით, რომ სვანები იმ პერიოდში კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზეც ცხოვრობდნენ და დარიალამდე მხოლოდ დვალები ემეზობლებოდნენ.**

ეს ძვ.წ.-ის III საუკუნის საკარაუდო სურათია. მაგრამ სტეფანწმინდის მუზეუმში ინახება გაცილებით ადრეული ეპოქის — ძვ.წ.-ის X-VII საუკუნეების ნივთიერი კულტურის ნიმუშებიც. მკვლევართა ერთი ჯგუფი, და მათ შორის ა. ტალგერენიც ამბობს, რომ ეს კულტურა აშკარა მსგავსებას იჩენს ხეთურ კულტურასთან, რომლის ჩამოყალიბებაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ხალიბ-ხალდურ, მესხურ და სვანურ ქართველურ ტომებს.

მუზეუმში ჩემს მოსაზრებებს იქაურ თანამშრომელს ნაზი სუჯაშვილს ვუზიარებ და ბოლოს შეკითხვას შევაპარებ:

— ხომ არ მიგიქცევიათ ყურადღება, რომ აღნაგობით, სახის იერით, ხასიათით, რიხით და მეტყველების ინტონაციებით მოხევეები ყველაზე მეტად სვანებს ჰგავხართ?..

* * *

ამასობაში ოპერატორმა საქმე მოამთავრა და მასპინძელს ვემშვიდობებით. გერგეტისაკენ ვბრუნდებით. ამ სოფელში უმეტესად სუჯაშვილები, ქისტაურები, წიკლაურები და ხუციშვილები ცხოვრობენ. იარაჯულებისაგან მხოლოდ ძველი კოშკი შემორჩენილა, თადოშვილებისაგან კი ვახტანგ გორგასალთან დაკავშირებული ლეგენდა. სოფელში განსაკუთრებულ ყურადღებას ძველი ბანიანი სახლები იპყრობს. ერთ-ერთ ასეთ სახლში დღესაც ცხოვრობენ ხუციშვილები. ყველაზე საინტერესო კი მაინც სუჯაშვილთა ნასახლარია, რომლის კარის ბალავარზე ფუძის მცველი ორი გველხოკერაა გამოკვეთილი.

სოფლიდან მთის კორტოხდე ავდივარ, სადაც მყინვარწვერის კალთაზე XIV საუკუნის ცნობილი ტაძარი და სამრეკლო დგას.

გადმოცემის თანახმად, ამ ადგილზე უძველეს დროში ღვთაებრივი, სიცოცხლის მომნიჭებელი წყარო ამოდიოდა, თურმე. ხევის არქეოლოგიურმა მკვლევარმა — ბაიერნმა ეს წყარო პრიაპის წყაროდ მიიჩნია, ხოლო პრიაპი ბერძნული მითოლოგიით ნაყოფიერების ღვთაებაა. აქედან გამომდინარე, ქრისტიანული საყდრის აგებამდე დიდი ხნით ადრე აქ, შეიძლება, წარმართული ღვთაების ტაძარიც კი იდგაო, დაასკვნიდა გერმანელი მეცნიერი.

სხვა მოსაზრება აქვს გამოჩენილ ქართველ ისტორიკოს თეიმურაზ ბატონიშვილს, ჩვენთვის უცნობ წყაროებზე დაყრდნობით, იგი ამბობს, რომ აქ პირველი ჯვარი ანდრი მოციქულის საქართველოში შემოსვლის დროს აღიმართა და მერე, „სამების“ ეკლესიის აგებამდე, პირველმონამე სტეფანეს ეკლესია იქნა აშენებული.

აღსანიშნავია, რომ გერგეტის „სამებაში“ შიშიანობის უამს მცხეთის ტაძრის საეკლესიო საგანძური და ერთხანს წმინდა ნინოს ჯვარიც იყო დავანებულ-გადმოსვენებული. ამიტომაც გერგეტის ეს ტაძარი კარგახანს საქართველოს საპატრიარქო ტაძარს წარმოადგენდა.

საყდარს სამხრეთიდან მიშენებული აქვს ე.წ. „საბჭეო“, ანუ ის თავშესაყარი მცირე ნაგებობა, სადაც ხევის რჩეული ხუცესები, ხევისბერები და სხვა დარბაისელნი საქვეყნო საქმეებზე ბჭობდნენ და გადაწყვეტილებები გამჰქონდათ. რაც შეეხება სამრეკლოს, იგი ტაძრის თანამედროვეა და ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენში. სამრეკლოს დათვალიერებისას განსაკუთრებით გამახსოვრდებათ სამხრეთ ფასადზე გამოსახული ორი, უცნაური, გრძელკუდა მხეცი. იქვეა კაცის ბარელიეფი და ამოკოდილი წარნერა, რომელშიც ნახსენებია მისი ამგები ვინმე იაგუნდის ძე. ხალხური გადმოცემით ბარელიეფზე ის მწყემსია გამოსახული, რომელიც სამების ხუროთმოძღვარს დუღაბის მოსაზელად, წყაროს წყალთან ერთად, რძესაც უზიდავდა.

გელა ქოქიაშვილი

ავტორის ფოტოები

გერგეტი. სუჯაშვილთა ნასახლარი გველის გამოსახულებით

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

1806 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. ამ ომმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში. ცხადია, იმხანად ეს პროცესი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, მაგრამ ჩვენი ისტორიული მიწა-წყლის შემომტკიცების თვალსაზრისით, უაღრესად წარმატებულ ნაბიჯს წარმოადგენდა; რუსეთ-თურქეთის ომში აქტიურად იბრძოდნენ ქართველი პატრიოტებიც.

ცნობილია, რომ ამ პერიოდისთვის ოსმალეთს ძირითადი ყურადღება ბალკანეთის ფრონტისკენ ჰქონდა მიპყრობილი, საიდანაც რუსთა ჯარი სტამბოლს ემუქრებოდა. ამიტომ ამიერკავკასიაში ოსმალები რუსეთის წინააღმდეგ დივერსიებით კმაყოფილდებოდნენ. სპარსეთთან სამხედრო შეთანხმებით, კავკასიის ხალხებში აჯანყებათა გამოწვევით ოსმალეთი ცდილობდა, მტრისთვის სირთულეები შეექმნა.

მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ ამ ომთან დაკავშირებულ პოლიტიკურ მოვლენათა ანალიზს, რომელშიც გაეცნობით მის მნიშვნელობას საქართველოსთან მიმართებაში.

ოსმალეთი, ისევე, როგორც სპარსეთი, საუკუნეების განმავლობაში უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოსთვის. თათრობა და ყიზილბაშობა წალეკვით ემუქრებოდა ჩვენს ეროვნულ-სარწმუნოებრივ თვითმყოფადობას. მათთან ბრძოლაში გამოიწრთო ქართული ხასიათი, მისი რწმენა და იდეალები.

ილია ჭავჭავაძე ჩვენი ეროვნული მეობის შენარჩუნების საქმეში ქრისტიანობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი წერილი „ოსმალოს საქართველო“ დღესაც არ კარგავს თავის პირვანდელ მნიშვნელობას. მკითხველს, ალბათ, ერთხელ კიდევ ღრმად დააფიქრებს დიდი წინაპრის ნაფიქრ-ნაღვაწი.

ილია ჭავჭავაძე

ოსმალოს საქართველო

ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრი, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლ, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული — ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ საყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭქიოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.

„ივერიის“ წარსულ ნომერში მოხსენებულს ნაწილებს ოსმალოს საქართველოსას დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით-არსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალო ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალოს ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთმთავრობის დადგინებისათვის და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძლევითაც მოსილ იქმნა.

საკვირველს მედიდურს საანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში, როდესაც საქართველო დაყოფილ იყო წვრილ სამთავროებად და ერთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე ჯერ ბიზანტიისა და მერმე ოსმალოს ზედმოქმედების ქვეშ, ზემო-ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალოს საქართველოს ვუწოდებთ, ხან ერთს ნაწილს მიემხროდა, ხან მეორეს, და თვისის მომხრეობით განაძლიერებდა ქართველებს თვით-არსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა.

პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპ-მსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში ადერკი მეფეს (60 წ.) უნდოდა კერპთთაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისთვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამცთ თუ მოისპო, პირიქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვლამდე.

როდესაც ბიზანტიისა და სპარსეთის შუა ატყდა შესანიშნავი ბრძოლა „ლაზიკის“ თაობაზედ, მაშინ ეხლანდელი ოსმალოს საქართველო დიდ საისტორიო ასპარეზად შეიქმნა მათთა შორის. სპარსეთი ძლეულ იქმნა და იგი ნაწილი საქართველოსი დარჩა ბიზანტიის უფლების ქვეშ. შემდეგ ქართლ-კახეთთან შეერთების სურვილმა აღმოიჩინა თავი, მაგრამ ბიზანტიამ დაუშალა და მისცა მხოლოდ უფლება ქართველი კათალიკოზი იყოლიონ, „რათა დასხდებოდნენ კათალიკოზად ნათესავნი ქართველნი და არა ბერძენნი, და აქვნდეს უაღრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელთმთავართა ზედა“. ეს მოხდა 586 წ. ქრისტ. შობიდან. ამ გვარად მთელის საქართველოს ერთობის წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა, სულიერად მაინც, თუ არ ხორციელად. მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი გურამ კურაპალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემნეობით შეიქმნა მეფედ ქართლ-კახეთისაცა და ამგვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეერთდა საქართველოსვე ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შემწეობითა. თუმცა ამის შემდეგ ისევ დაირღვა საქართველო ნაწილებად, მაგრამ არტანუჯის ბაგრატიონთა გვარი გაძლიერდა და ამას მოჰყვა მთელის საქართველოსათვის ნაყოფიერი და საკეთილო შედეგი.

როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისთვის იღვწოდა ბაგრატიონების მეთაურობით და წინამძღოლობითა. ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდმშვენიერი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს აღშენებული. იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე დაჰფენდნენ სწავლასა საქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, როდესაც ტფილისსა და გარშემო ადგილებში მაჰმადიანობის გავრცელებას მეცადინეობდნენ თავისი არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და საერო წიგნებს ქრისტიანობისას ჰსთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სასწავლებელთ მართავდნენ.

უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაელი იმ მხრის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მაულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთ დროს.

ბოლოს ბაგრატიონთა გვარის კაცი მეფე ბაგრატ III გაძლიერდა იმოდენად, რომ 1014 წ. შეაერთა სრულიად საქართველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ძლიერ და სახელოვან. ეხლანდელმა ოსმალოს საქართველომ იმ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანას, დიდი სისხლი დაანთხია, დიდი ქველობა გასწია.

თამარ მეფის შემდეგ, ე.ი. მას ჟამს, როდესაც ჩვენის ქვეყნის ერთობა დაირღვა, ეხლანდელს ოსმალოს საქართველოში მფლობელობდა სამცხის ათაბაგი, რომელიც ახალციხეში მკვიდრობდა და იგი ადგილი წოდებული იყო სამცხე-საათაბაგოდ. ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა მრავალი ჭირი მიაყენეს სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ეტანებოდნენ და ამისთვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ. მაგრამ 1625 წლამდე სამცხე-საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა და ყოველთვის თავ-გაწირულებმა ვერა დააკლეს რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქართველობის გვარტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი კი შეაწირვინეს. 1625 წ. ბექამ მოწამლა თავისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ, გადაუდგა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორთუღიანი ფაშობა ოსმალეთისაგან სამცხე-საათაბაგოში და სახელად დაირქვა საფარ-ფაშა. ამის გამო ბევრნი თავადაზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობით; სამღვდელონი და ეპისკოპოზნი მოსწყვიტეს, საყდრები დასძარცვეს და ყოველი საღმრთო-საერო წიგნები ცეცხლს მისცეს. ჩვენი მომძე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უწყალოდ დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელად მიეცა მაჰმადიანობასა.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან. ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმალად აღიარებს ქრისტიანობასაო, რომ დღესაც ათისა თუ თორმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთო მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს, ოსმალების იდუმალად თურმე.

ეგრეთ, — მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები — ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ, უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისთვის სისხლ-დანთხეულსა საქართველოსა. სარწმუნოების სხვადა-სხვაობა ჩენ არ გვაშინებს. **ქართველმა, თავისის სარწმუნოებისავთის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა ად დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ, სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა.**

არ გვაშინებს-მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევშევუერთდეთ, ერთმანეთი ვიიმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს, და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა...

1877 წ.

გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის

«ისტორიული მემკვიდრეობა»

მეცხრე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.

არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ყველაზე ახალგაზრდა მოქმედი პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები

ყველაზე ახალგაზრდა მოქმედი პრეზიდენტებისა და პრემიერ-მინისტრების ნუსხის სათავეში კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი **ჟოზეფ კაბილაა** (1971 წლის 4 ივნისი). 2001 წელს, როცა მამამისი, პრეზიდენტი ლორან კაბილა მოკლეს, 30 წლის ჟოზეფი (ყოფილი ზაირის ლიდერი) 2006 წლის ოქტომბერში სახელმწიფოს დემოკრატიულად არჩეული 40 წელზე ნაკლები ასაკის პირველი მეთაური გახდა.

ნუსხაში მეორეა საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** (დაბ. 1967 წლის 21 დეკემბერს). თავისი 40 წლის იუბილე მან 2008 წლის არჩევნებამდე ორი კვირით ადრე იზეიმა. წინა, 2004 წლის არჩევნებმა მას ევროპის ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტის ტიტული მოუტანა.

ტოგოლეზის რესპუბლიკის მეთაური **ფაურე გნასინგბე** (დაბ. 1966 წლის 6 ივნისს) სახელმწიფოს ლიდერად მამამისის გარდაცვალების დღეს, 2005 წლის 5 თებერვალს გამოაცხადეს. თუმცა, აფრიკის სხვა ქვეყნების მოთხოვნით, რომლებსაც ეჭვი შეჰქონდათ ამ დანიშვნის ლეგიტიმურობაში, ფაურე იძულებული შეიქნა, გადამდგარიყო და საპრეზიდენტო არჩევნები დაენიშნა, რომელიც 2005 წლის აპრილში გაიმართა. ეს არჩევნები მან პირველივე ტურში მოიგო.

სიაში მეოთხეა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **დევიდ კემერონი** (დაბ. 1966 წლის 9 ოქტომბერს). 2010 წლის 11 მაისს 43 წლის დევიდ კემერონი დიდი ბრიტანეთის ყველაზე ახალგაზრდა პრემიერი გახდა. 1812 წლის შემდგომ, როცა მთავრობას სათავეში 42 წლის რობერტ ბანკს ჯენკინსონი ჩაუდგა, ის ყველაზე ახალგაზრდა მეთაურია.

მეხუთე პოზიცია უკავია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ **დმიტრი მედვედევს** (დაბ. 1965 წლის 14 სექტემბერს). იგი რუსეთის სახელმწიფოს ყველაზე ახალგაზრდა მეთაურია (საბჭოთა ხანის ჩათვლით) 1917 წლის შემდეგ, როცა დროებით მთავრობას სათავეში 36 წლის ალექსანდრ კერენსკი ჩაუდგა.

ნუსხაში მეექვსე ადგილი გამბიის პრეზიდენტს — **იაჰია ჯამეჰს** ერგო (დაბ. 1965 წლის 25 მაისი). ჯამეჰი ხელისუფლების სათავეში 1944 წელს, 29 წლის ასაკში მოვიდა. 1944 წელს იგი უსისხლო სამხედრო გადატრიალებას ხელმძღვანელობდა. 1996 წელს საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით იგი პრეზიდენტის პოსტზე აირჩიეს, რის შემდეგაც კიდევ ორჯერ გაიმარჯვა არჩევნებში.

2006 წლის ნოემბერში **რაფაელ კორეამ** (1963 წლის 6 აპრილი) არჩევნების მეორე ტურში გაიმარჯვა და 43 წლისა ეკვადორის პრეზიდენტი გახდა. 2009 წლის 26 აპრილს იგი ხელახლა აირჩიეს პრეზიდენტის პოსტზე.

სიას მექსიკის პრეზიდენტი **ფელიპე კალდერონი** (1962 წლის 18 აგვისტო) აგვირგვინებს. 43 წლისამ მან 2006 წლის 2 ივლისის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა.

ყველაზე წარმატებული მსახიობები

ჰოლივუდის ყველაზე წარმატებულ მსახიობად ჟურნალმა „ფორბსმა“ **სანდრა ბალოკი** აღიარა. 2009 წლის ივნისიდან 2010 წლის ივნისამდე სანდრამ 56 მლნ დოლარი გამოიმუშავა და ამ შედეგით რეიტინგის სათავეში მოხვდა. ფილმში „უხილავი მხარე“ შესრულებული როლისთვის ბალოკს ოსკარი მიანიჭეს, ხოლო 2010 წლის იანვარში მან მსოფლიო კინოინდუსტრიის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო — კინომსახიობთა გილდიის პრემია მიიღო.

სანდრა ბალოკი

რიზ უიზერსპუნი

კამერონ დიასი

რეიტინგის მეორე და მესამე ადგილები **რიზ უიზერსპუნმა** და **კამერონ დიასმა** გაიყვეს. ორივე მსახიობმა ერთი წლის განმავლობაში 32 მლნ დოლარი გამოიმუშავა.

ჯენიფერ ენისტონი

მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა ტელესერიალ „მეგობრების“ ვარსკვლავი **ჯენიფერ ენისტონი**, რომლის წლიურმა შემოსავალმა 27 მლნ დოლარი შეადგინა.

სარა ჯესიკა პარკერი

სერიალის „სექსი დიდ ქალაქში“ ვარსკვლავმა **სარა ჯესიკა პარკერმა** 25 მლნ დოლარი გამოიმუშავა და რეიტინგში მეხუთე პოზიცია დაიკავა.

ყველაზე ძვირფასი მონეტა

ისრაელში, თელ კედეშის ბორცვის რაიონში მიმდინარე გათხრებისას აღმოაჩინეს ოქროს მონეტა, რომელიც 2200 წლისაა. ეს 28 გ-იანი მონეტა ეგვიპტეში პტოლემეუსთა (ჩვ.წ.აღ.-მდე IV საუკუნე) დინასტიის მმართველობის ხანაშია მოჭრილი და ძალიან ძვირფასია. სავარაუდოდ, მონეტაზე პტოლემეუს V-ს ცოლი, კლეოპატრა I-ია გამოსახული. პტოლემეუსი ეგვიპტეს ჩვენს ერამდე 205-180 წლებში მართავდა. თავად პტოლემეუსთა დინასტიას სათავე დაუდო ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთმა სარდალმა, რომელმაც მაკედონელის სიკვდილის შემდეგ მის მიერ შექმნილი იმპერია ორად გაყო.

ყველაზე გრძელი ძელსკამი

დიდ ბრიტანეთში 324 მ სიგრძის ძელსკამი შექმნეს, რომელიც შემდგომში კიდევ უფრო დაგრძელდება. პროექტის სარეალიზაციო სახსრების წყაროდ ქალაქური გარემოს მოწყობისა და არქიტექტურის კომისიის მიერ გაცემული გრანტი იქცა. გულუხვი შემოწირულობა გაიღო გორდონ როდიკმაც თავისი გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნის გამო, რომელსაც ლითლჰემპტონი უყვარდა და ქალაქის სანაპიროზე ძელსკამის მშენებლობის იდეის მხარდამჭერი იყო. ამ პროექტის რეალიზაციაში თავისი წვლილი ასობით მოქალაქემაც შეიტანა. ამჟამად „მოცეკვავე“ ძელსკამზე 300-მდე კაცი ეტევა, თუმცა პროექტის ავტორები მისი სიგრძის გაზრდას 612 მ-მდე გეგმავენ.

ყველაზე ძვირადღირებული კატა

უკვე ათასი წელია, კატა ადამიანის გვერდით ბინადრობს და ყველაზე გავრცელებულ ცხოველადაც ითვლება. ძველი ეგვიპტელები ამ ლამაზსა და გრაციოზულ ცხოველებს თავიანთ ტაძრებში ზრდიდნენ. თანამედროვე მეცნიერები კატის ახალი ჯიშებისა და ნაირსახეობის გამოყვანას ცდილობენ. ერთ-ერთი ასეთი ჯიშია აშშ-ში გამოყვანილი **აშერა**, რომელიც დღეს კატისებრთა ოჯახის ყველაზე ძვირადღირებულ წარმომადგენლად მიიჩნევა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი ქალები

ჯერ კიდევ შარშან ახალგაზრდა ქალი-მილიარდერი (40 წლამდე ასაკისა) იშვიათობა იყო. მსოფლიოში სულ 2 ასეთი ქალი თუ გამოიძებნებოდა. ამჟამად ისინი 7 არიან. 50 წელს გადაცილებული მილიარდერი ქალების რიცხვი კი 20-ს აღწევს.

მათგან ყველაზე ახალგაზრდა 24 წლის **ჰინდი ჰარირია**, ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის — რაფიკ ალ-ჰარირის ქალიშვილი, რომელსაც მემკვიდრეობით ერგო საოჯახო ბიზნესი — სამშენებლო, საბანკო და მედიაკომპანიები.

მეორე ადგილზე ჩინეთის მკვიდრი, 28 წლის **იან ჰუეიანია**. ამ ქალბატონს მამამისის სამშენებლო კომპანია Country Garden-ის აქციათა 58 პროცენტი ეკუთვნის. იანი მარტო მდიდარი კი არა, ჭკვიანიცაა — ოჰაიოს უნივერისტეტი დაამთავრა და მარკეტოლოგის დიპლომიც აიღო.

მესამე ადგილი 31 წლის **ბეგუმჰან დოგან ფარალიალის** ერგო. იგი თურქი მილიარდერების — აიდინ დოგანისა და სემი ისილ დოგანის ქალიშვილი და მემკვიდრეა. უწინ ბეგუმჰანი კონსულტანტად მუშაობდა ნიუ იორკის საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიაში. ამჟამად ოჯახური — დოგან ჰოლდინგის პრეზიდენტია.

სიაში მომდევნო მისი უფროსი და, 36 წლის **ჰანზადე დოგან ბოინერია**. იგი ლონდონის ეკონომიკის სკოლისა და კოლუმბიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და ამჟამად მამამისის კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი.

მეხუთე პოზიციაზე კვლავ დოგანების ოჯახის წევრი — 37 წლის **ვუსლათ დოგან საბანჩია**. მას „ნიუ იორკ თაიმსისა“ და „უოლ სტრიტ ჯორნალის“ რედაქტორის პოსტები ეკავა, ამჟამად კი დიდი ყოველდღიური გამოცემა The Hurriyet-ის აღმასრულებელი დირექტორია.

თურქ მილიარდერებში ყველაზე უფროსი, ასევე, დოგანების ოჯახის მემკვიდრე **არზუჰან დოგან იალჩინდაგია**. იგი ტელევიზიაში მუშაობს და 2005 წლიდან დოგან-ტივის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტი და დოგან-ჰოლდინგის დირექტორთა საბჭოს წევრია.

თუკი ზემოხსენებულმა მილიარდერებმა ქონება მშობლებისგან მემკვიდრეობით მიიღეს, მომდევნო ოთხმა ჩინელმა ყველაფერი საკუთარი შრომით გამოიმუშავა.

მათგან ყველაზე ახალგაზრდა 38 წლის **ჩუ ლამ იუა**. იგი პარფიუმერიისა და არომატიზატორების მწარმოებელი კომპანია Hubao International-ის ხელმძღვანელია. ფირმა Cu lam ium-ი 10 წლის წინათ დააარსა და მისი ორი მესამედის მფლობელია.

ჩინელი **ჯან სინი** 43 წლისაა. მუშაობა 14 წლისამ დაიწყო სამკერვალო ფაბრიკაში. მოგვიანებით კემბრიჯის უნივერსიტეტი დაამთავრა. ამჟამად ჯან სინსა და მის ქმარს, პან შიის ჩინეთში უდიდესი სამშენებლო ფირმა „სოჰო ჩაინა“ ეკუთვნით.

მილიარდერთა სიაში მოხვდა მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის მეუღლე, 45 წლის **ლენა ბატურინა**. ოდესღაც ისიც ფაბრიკაში მუშაობდა, 1991 წელს კი მოსკოვში უდიდესი სამშენებლო კომპანია „ინტეკო“ დააარსა.



42 წლის ბრიტანელი მწერალი **ჯოან როულინგი**, რომელმაც ბიჭუნა ჰარი პოტერი გამოიგონა, ასევე, საკუთარი შრომით გამდიდრდა. როცა ჯოანმა წერა დაიწყო, მარტოხელა დედა იყო და სოციალური დახმარების ხარჯზე ცხოვრობდა.

ყველაზე ცნობილი ცაციები

ბარაკ ობამა უკვე მეხუთე ცაციაა, ვინც აშშ-ის პრეზიდენტის სავარძელში ზის. ცაციები იყვნენ რონალდ რეიგანი, ჯორჯ ბუში-უფროსი, ბილ კლინტონი და ჯორჯ ბუში-უმცროსი.

ხორცშესხმული სექს-სიმბოლო, მსახიობი და მოდელი **მერილინ მონრო**, რომელიც ასე ძალიან უყვარდათ ჯენტლმენებს, ცაცია იყო.



ცაცია **ტომ კრუზისთვის** შეუსრულებელი მისია არ არსებობს...

საბედისწერო ქალისა და კეთილი ნების ელჩის — **ანჯელინა ჯოლის** მარცხენა ხელი არაერთმა მამაკაცმა ითხოვა...

ეს ცნობილი ცაცია — 47 წლის **დემი მური**, დიდი ხანია, მოწიფული ქალების მისაბაძ მოდელად იქცა.

ფილმ „რესტლერის“ ვარსკვლავი **მიკი რურკი**, ასევე, ცნობილი „მემარცხენეა“.

უდიდესი კრისტალების მღვიმე

მექსიკაში, ჩიხუახუას შტატის სამხრეთით, ნაისას შახტაში მდებარე მიწისქვეშა მღვიმე მსოფლიოში უდიდესი სელენიტის კრისტალებითაა სავსე. კრისტალების სიგრძე 15 მ-ს აღწევს და 1.5 მ დიამეტრისაა.

მიწისქვეშ, 300 მ-ის სიღრმეში მდებარე შახტა 2000 წელს მეშახტე ძმებმა სანჩესებმა აღმოაჩინეს და ამის თაობაზე მაშინვე პასუხისმგებელ ინჟინერს, რობერტო გონსალესს აცნობეს. გონსალესი მიხვდა, რომ ძმებმა ნამდვილ საუნჯეს მიაგნეს და სასწრაფოდ შეცვალა გვირაბის მარშრუტი. მაშინ რამდენიმე კრისტალი დაზიანდა, რადგან მეშახტეებმა მეგაკრისტალების ნატეხების გამოტანა სცადეს. ამიტომ კომპანიამ აღმოჩენის დასაცავად მღვიმის შესასვლელს რკინის კარი გაუკეთა.

უძველესი კლდეები



კანადაში მეცნიერებმა აღმოაჩინეს 4.28 მლრდ წლის კლდეები. ეს დედამიწაზე უხნესი მთიანი წარმონაქმნია. კლდეები ჰუძონის სრუტის მიდამოებში, ნუვუაგიტუკის ქედზე მდებარეობს და მათი დათარიღება რადიოაქტიური მეთოდის გამოყენებით მოხერხდა. ამ კლდეების გამოკვლევა მეცნიერებს საშუალებას მისცემს, უკეთ შეისწავლონ დედამიწის ევოლუცია. შეგახსენებთ, რომ თავად პლანეტის ასაკი დაახლოებით 4.6 მლრდ წელს შეადგენს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

მაიმუნებს ხეზე ასვლას ასწავლიან

ჰოლანდიელმა ტანმოვარჯიშემ ეპლე ზონდერლანდმა „Ouwehands Dierenpark Rhenen"-ის ზოოპარკის ბინადარ მაიმუნებს ხეზე ასვლა უნდა ასწავლოს. ვარჯიშები მაიმუნებისათვის მას შემდეგ შეიქნა აუცილებელი, რაც ვოლიერებში რემონტის გამო ისინი დროებით ხეებს ჩამოაშორეს.

ორანგუტანები იმ ვოლიერებში ცხოვრობდნენ, სადაც არა მხოლოდ ხეები, მათი იმიტაციაც კი არ იყო და რა გასაკვირია, რომ ასე გადაჯიშებულიყვნენ. ახლა მათი ჩვეულ ფორმაში დაბრუნება ტურნირების მრავალგზის პრიზიორი ტანმოვარჯიშის ხელთაა. მეცადინეობები უკვე დაწყებულია, მაიმუნებს ერთადერთი რამ ევალებათ — ზონდერლანდს მიბაძონ. იმედია, გამოჯავრების ჩვევა მათ ჯერ არ დაუკარგავთ. ვარჯიშებზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეუძლია, სავარჯიშო დარბაზი ზოოპარკის დამთვალიერებელთათვის ღიაა. ცნობისათვის: ბუნებაში ორანგუტანები მიწაზე ნაკლებად დადიან და მთელ ცხოვრებას ხეებზე ატარებენ. ახალ ვოლიერებში მათთვის შვიდი უზარმაზარი ხე დაირგო და მათ კენწეროებზე მაიმუნებისთვის საკვებს სპეციალური მოწყობილობებით აზიდავენ.

იყიდება ქალწულობა



17 წლის უნგრელმა გოგონამ საკუთარი ქალწულობის გასაყიდად მთელი კამპანია გააჩაღა. როგორც თავად ამბობს, ფული სასწრაფოდ სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ოჯახი ვალებს ვერ დაფარავს და სახელმწიფო სახლს წაართმევს. თავიდან იტერნეტაუქციონ „eBay"-ზე ღია ვაჭრობა მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგ გოგონამ ამ საიტის საშუალებით ლოტის გაყიდვაზე უარი განაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ ქალწულობის ფასმა 120 ათას ევროს მიაღწია, ყველაფერი იმის გამო გაფუჭდა, რომ ინგლისის რომელიღაც ბიზნესმენმა მას ცოლობა სთხოვა. „მე ქმარი არ მჭირდება, უბრალოდ, ვეძებ მას, ვინც მე და ჩემს ოჯახს დაგვეხმარება", — ამბობს გოგონა. ინტერნეტსაიტზე ვაჭრობის დახურულად გამოცხადების შემდეგ აუქციონი უნგრეთის ერთ-ერთი ტელეარხით გაგრძელდება. უნგრელი გოგონა ორიგინალობით ვერ დაიკვეხნის, მსოფლიოში მსგავსი შემთხვევები უკვე იყო. ამერიკელ ნატალი დილანს თავისი ქალწულობის სანაცვლოდ რამდენიმე წლის წინათ 3,9 მილიონი დოლარი შესთავაზეს, რუმინელ ალინა პერჩას კი — 10 ათასი ევრო.

«გამოლვიძება» დათვის ხახაში

23 წლის მოგზაურ სებასტიან ნილსენს თეთრი დათვი დაესხა თავს. როგორც შემდეგ ყვებოდა ამ ამბის გმირი, ეს თავდასხმაც არ იყო, უბრალოდ, ერთ მშვენიერ დღეს დათვის ხახაში გამოეღვიძა. ინცინდენტი შპიცბერგენის არქიპელაგზე მოხდა. როდესაც მოგზაურს თავის კარავში ეძინა, მხეცი შეუმჩნევლად მიეპარა, გადაყლაპვა დაუპირა და უკანა თათებზე ისე შედგა, რომ საბრალო მოგზაური, რომლის თავიც დათვს ყბებში ჰქონდა მოქცეული, მიწიდან დაახლოებით 2,5 მეტრის სიმაღლეზე აღმოჩნდა. საბედნიეროდ, ექსპედიციის წევრმა ლუდვიგ ფიელდმა დახმარება შეძლო — დათვი რამდენიმე გასროლით მოკლა, ნილსენი კი საავადმყოფოში სერიოზული ტრამვებით მოათავსეს. სამაგიეროდ, ახლა ამაყობს, რომ მის სხეულზე არსებული უამრავი ნაიარევი თეთრ დათვთან შერკინების შედეგია.

ამერიკა უფსკრულის პირას დგას

სულ ცოტათი თუ ეეჭვება ვინმეს, რომ ამერიკა, ისევე, როგორც მთელი დასავლეთი მსოფლიო, დღითიდღე უახლოვდება იმ აბსოლუტურ კრახს, რომელიც ძირფესვიანად შეცვლის მის ცხოვრებას. ქვეყანას, რომელსაც ერთ დროს მსოფლიო ზესახელმწიფოს სტატუსი ჰქონდა, პერსპექტივაში კოლექტივისტურ მოდელად ქცევა ელის. მისი ახალი მმართველები და მაკონტროლებლები კი ისევ ის ავაზაკები იქნებიან, რომლებმაც ხანგრძლივი და თანმიმდევრული მზაკვრული ქმედებების წყალობით ახლანდელი კრიზისი დიდი წარმატებით მოაწყვეს.

მსოფლიოს მოწყობის ახალი კოშმარული გეგმების განხორციელების შემთხვევაში მსოფლიო მმართველობა აშშ-ის ნანგრევებზე დამყარდება

კარგა ხანია, ამერიკა გლობალისტების მიერ ეკონომიკური, სამხედრო და სოციალური გადატრიალებისთვისაა განწირული.

ამ გლობალისტებმა მშვენივრად იციან, იმისათის, რომ ადამიანებს ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში ცხოვრების ახალი წესებისადმი მორჩილება აიძულო, საფუძვლიანად უნდა მოსპო და გაანადგურო ყველაფრი, რაც მათ აქამდე იცოდნენ.

„პოსტინდუსტრიულ რევოლუციაში" თავისუფლების, კეთილდღეობისა და ჯანმრთელი საზოგადოებისთვის ადგილი არ მოიძებნება. ამერიკის მოქალაქეთა ცხოვრებისეულ სტანდარტებზე ყოველდღიური თავდასხმები სწორედ ამ, ჯერ კიდევ შემორჩენილი იდეალების საბოლოო მსხვრევას ემსახურება.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ამერიკაში საზოგადოების კოლაფსი ისედაც სახეზეა. მათ, ვინც კრიზისი მოაწყო, ეძლევათ სრული უფლება და საშუალება, „მხსნელის" როლი მოირგონ და თავიანთი მკაცრი, ფაშისტური რეჟიმი დაამყარონ — ატმოსფეროს დაბინძურების გადასახადები დააწესონ, „ეკოლოგიურად ორიენტირებული ეკონომიკა" ააშენონ, პოსტინდუსტრიული რევოლუცია წარმართონ. **ჯერ მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ, თუ ყველა უკვე არსებული „პროექტი" რეალურადაც განხორციელდება, ამერიკის, როგორც მსოფლიო ზესახელმწიფოს სტატუსის განადგურება, გარდაუვალია.**

თუ ყველაფერი კარგად, ანუ გეგმის მიხედვით წარიმართება, მაშინ ქვეყანა ქაოსში ჩაძირვისთვისაა განწირული, თანაც ისეთ ქაოსში, რომლის წყალობითაც გლობალური მმართველობისკენ მიმავალ გზაზე მისი მთლიანად შთანთქმა და მონელება არ გაძნელდება.

გლობალისტებს სურთ, ამერიკას ისევე მოექცნენ, როგორც მესამე მსოფლიოს ქვეყნებს ექცეოდნენ — შექმნან ღატაკი და უუფლებო მოქალაქეების ფენა, რომელიც მთლიანად მთავრობაზე იქნება დამოკიდებული.

მილიონობით ამერიკელი იმ დონემდეა გამოშტერებული, რომ მიზნის მიღწევამდე ბევრიც აღარაა დარჩენილი. ქვეყნის მთავარი გაზეთები წერენ, რომ სამშობლო დიდი დეპრესიის მესამე და კიდევ უფრო საშინელ ეტაპზე გადადის, რომ უმუშევრობა კატასტროფული ტემპით მატულობს, რომ პოლიციის სამმართველოები დანაშაულებებზე რეაგირებას აღარ აპირებენ, რომ ქვეყნის ინფრასტრუქტურა იშლება და ასე შემდეგ დაუსრულებლად. ამ დროს კი ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ საიტზე ყველაზე მეტი მკითხველი იმ ინფორმაციას ჰყავს, რომლის თანახმადაც ბრედ პიტმა თურმე წვერი მოიპარსა.

იმ დროს, როდესაც ამერიკელებს საზოგადოებაც და ეკონომიკაც თავზე ჩამოემხოთ, მათი გონება რომელიღაც კალათბურთელის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლის დეტალებითაა დაკავებული, მათი გული კი აღსავსეა ამ ფაქტით გამოწვეული პროტესტით.

მიუხედავად ამ გლობალური გამოშტერებისა, სტიქიური გამოსვლების სიხშირის ზრდა ხალხს „დიდი" მთავრობის ქმედებათა საწინააღმდეგო ალშფოთების საფუძველზე აერთიანებს. ამას მოაქვს არაანგაჟირებული, ანტისამთავრობო კანდიდატების პოლიტიკური გამარჯვებები, რის შედეგადაც ვაშინგტონის ორპარტიულ მმართველობას ნოემბერში სერიოზული საფრთხე ემუქრება. **ამგვარმა რეალობამ ობამასთან დაახლოებული ადამიანები აიძულა, ღიად ელიარებინათ შიდა ტერორისტული აქტის, როგორც მისი პრეზიდენტობისა და გაცილებით ფართო კოლექტივისტური პროგრამის გადარჩენის ერთადერთი საშუალება.**

გლობალისტები ახლა დროს ეგრძვიან, რათა მოასწრონ და სრულად გაანადგურონ ყველაფერი, რაზეც ამერიკა დგას.

ამ საქმის წარმატებით დასრულების შემდეგ კი ამერიკის ხელახალი აშენებას აპირებენ, ოღონდ ააშენებენ საკუთარი გეგმის შესაბამისად.

აი, რატომ აცხადებენ უარს დოლარზე ცენტრალური ბანკები. ეს გლობალური ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული გაერთიანებული გლობალური ვალუტისკენ მსვლელობის ნაწილია. სწორედ ის გახდება ახალი მსოფლიო სარეზერვო ვალუტა ახალი მსოფლიო წესრიგისთვის.

აი, რატომ აცხადებენ პოლიციის სამმართველოები, რომ აღარ მოახდენენ შესაბამის რეაგირებას დანაშაულებათა, მათ შორის ქურდობების უზარმაზარ ჩამონათვალზე. **ქვეყანაში უკანონობის გარკვეული დონე უნდა დამყარდეს, რომ შემდეგ ტოტალური პოლიციური სახელმწიფოს ჩამოყალიბება გამართლებული იყოს.**

ტოტალური პოლიციური სახელმწიფო კი აუცილებლად ჩამოყალიბდება მას შემდეგ, რაც გარდაუვალი მასობრივი არეულობები დაიწყება. აი, რატომაა, რომ მკაცრი ეკონომიის ზომები, რომელთაც ზიანის მეტი არაფერი მოაქვთ, სწორედ მაშინ ინერგება, როდესაც რიგითი მოქალაქეების შემოსავლები და სამუშაო ადგილები უკვე წარსულს ჩაბარდა. საბაზო მომსახურებათა ღირებულება არნახულ დონეს მიაღწევს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მომსახურებები შენარჩუნდა, არაა გამორიცხული, ეს სისტემაც, ამერიკელთა სამუშაო ადგილების მსგავსად მთლიანად წარსულს ჩაბარდეს.

ამერიკას „შოკური თერაპია" ელის, სწორედ ისეთი, როგორიც უკვე ჩაუტარდა სხვა ქვეყნებს და რომლის შედეგადაც იქ ადამიანები აიძულეს, მიეღოთ და დათანხმებოდნენ ცხოვრების იმ ერთადერთ შემოთავაზებულ დონეს, რომლის პირობებშიც სიღატაკისა და სხვაზე დამოკიდებულების თავსმოხვეული სტანდარტის ალტერნატივა არ არსებობს.

მას შემდეგ, რაც „ეკოლოგიურად ორიენტირებული ეკონომიკის" დამღუპველ-დამქანცველი ინიციატივები რეალურად ამოქმედდება, ელექტროენერგიის ღირებულება ბევრჯერ გაიზრდება.

ნებისმიერ სავარაუდო შემოსავალს, რომელიც კი შეიძლება ამ ქვეყნის მოქალაქეს ჰქონდეს, უფრო სწორად, ელექტროენერგიის საფასურის გადახდის შემდეგ დარჩენილ მის უბადრუკ ნაწილს, საბოლოოდ გააცამტვერებს ფასიანი გზებისა თუ სხვა უხვად გამოგონილი სამომხმარებლო გადასახადები.

მსოფლიო მთავრობა დიდი დეპრესიის ფერფლისგან შეკოწიწდება. ის იმ ფინანსური ტერორისტებისგან აიგება, რომელთაც მოძრაობაში მოიყვანეს მოვლენათა მთელი ციკლი, გრძელი ჯაჭვი, რომელსაც მხოლოდ ერთი დასასრული აქვს.

ერთადერთი გამოსავალი იმის დროულად დადგენაა, თუ ვინ არიან სინამდვილეში ეს გლობალისტები.

ნებისმიერი სუბიექტი, რომელსაც რაიმე შეხება აქვს ხელისუფლებასთან, არის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს, ბილდერბერგის კლუბის ან სამმხრივი კომისიის წევრი, ამერიკის მტერია.

ნებისმიერი ასეთი მტრის თავისი ოფისიდან დროულად გამოგდება, მისთვის ყველანაირი ძალაუფლებისა და გავლენის წართმევა და საიდუმლო დამნაშავედ გამოცხადება გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა.

ეს ადამიანები ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ზესახელმწიფოს განადგურებას ცდილობენ. მხოლოდ მათი გამოვლენისა და მათ ხელთ არსებული გავლენა-ძალაუფლების პოლიტიკური განადგურების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი იმ კოშმარული გეგმების ჩაშლა, რომელთაც ამერიკა შეეწირება.

perevodika.ru

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ევროზე შეტევა და ევროკავშირის დემონტაჟი

ევროზონის კრიზისი სულაც არაა „ბაზრის უხილავი ხელის“ ნამოქმედარი. ეს იმ სტრატეგიის შედეგია, რომელიც კრისტინა რომერმა და მისმა ხელქვეითებმა — თეთრი სახლის ეკონომიკური მრჩევლების საბჭოს წევრებმა გულდასმით შეიმუშავეს. საუბარია ამერიკის ეკონომიკის გადარჩენაზე, ევროპული კაპიტალის აშშ-ში „გაქცევის“ იძულებაზე, ევროზონის ეკონომიკაზე მსოფლიო სავალუტო ფონდისა და ევროკავშირის საშუალებით ამერიკული კონტროლის დაწესებაზე.

ევროზონის კრიზისი ევროკავშირის ხელმძღვანელობის პოლიტიკური არჩევანის შედეგია. მან საბერძნეთის სახელმწიფო ვალის რესტრუქტურიზაციის ნაცვლად საერთო ვალუტა დააგირავა. რესტრუქტურიზაცია საბერძნეთსაც იხსნიდა და ევროსაც, მაგრამ ბანკები სავალე ვალდებულებების ნაწილს დაკარგავდნენ. **ფრანგულ ბანკებს ბალანსზე ბერძნული ვალების სახით 50 მილიარდი ჰქონდათ, გერმანულ ბანკებს — 28 მილიარდი.**

ფინანსური ორგანიზაციებისთვის რამდენიმე მილიარდი ევროს გადარჩენა ამგვარ რისკს ვერ ამართლებს. საერთო ვალუტაზე ზეწოლის ძირითადი მიზეზი ის გახდა, რომ კრიზისს მომუშავე ადამიანები აანალიზებენ და ამით საოჯახო მეურნეობების შემოსავლების დიდი ნაწილი ფინანსურ ორგანიზაციებში გადაიქაჩება.

ევროზონის კრიზისი საბერძნეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის წინააღმდეგ ამერიკული სარეიტინგო სააგენტოების — „STANDARD & POOR'S“-ის, „MOODY'S“-ისა და „FITCH“-ის შეტევის შედეგია.

მათ მიერ ამ ქვეყნებისთვის რეიტინგის დაწევა შეთანხმებულ ქმედებათა შედეგია. **ამ თავდასხმებს აშშ-ის სახელმწიფო აპარატის მხარდაჭერა ჰქონდა.**

ამ მხარდაჭერებს შორის იყო ობამას ეკონომიკური მრჩევლის, ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილი პრეზიდენტის — პოლ ვოლკერის პანიკური განცხადებებიც. სწორედ მან „იწინასწარმეტყველა“ ევროზონის მომავალი კრახიც. არადა, ჯერ კიდევ „2004 წლიდან ცნობილი იყო, რომ საბერძნეთის მთავრობა თაღლითობდა“, მაგრამ სარეიტინგო სააგენტოებს ამაზე რეაქციაც კი არ ჰქონიათ.

ევროზე ამ თავდასხმის მთავარი მიზანი უცხოური კაპიტალის კვლავ აშშ-ში დაბრუნება და ქვეყნის მზარდდეფიციტიანი ფინანსური ბალანსის რამენაირად დარეგულირებაა. ეს გამაფრთხილებელი სიგნალია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა ჩინეთი, რომელიც დოლარის საზიანოდ ევროს შეძენით თავის სავალუტო რეზერვებს აწონასწორებს. შტატებისთვის ეს გადაუდებელი საკითხია. 2009 წლამდე მათი დეფიციტის დაფინანსება და დოლარის დაცვა ფულადი ნაკადების დადებითი სალდოს წყალობით ხერხდებოდა, ახლა კი 398 მილიარდი დოლარის სალდო ნეგატიურია.

წმინდა ეკონომიკურ დონეზე ევროზე თავდასხმა იგივეა, რაც გადასახადების დაფარვასთან ბრძოლა. საუბარი კაპიტალის ამერიკაში დაბრუნებას ეხება.

ამ ტაქტიკურ სვლას თან ახლავს სტრატეგიული ოპერაცია — ევროკავშირის დემონტაჟი ორი კონტინენტის მომცველი ეკონომიკური კავშირის სასარგებლოდ. დიდი ტრანსატლანტიკური ბაზრის შექმნის პროექტი ამის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებაა. **მხოლოდ ამ მიზნის ფონზე ხდება გასაგები გერმანიის პოზიცია. მან გადასახადების დაფარვის საკითხშიც და ევროზე თავდასხმის შემთხვევაშიც ამერიკას დაუჭირა მხარი. აღნიშნული ორმაგი ტაქტიკა ლოგიკურად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება აიხსნას, თუ ეს ევროპული სახელმწიფო ტრანსატლანტიკური ეკონომიკური კავშირის შექმნის მონაწილეა.**

ევროკავშირი გერმანიის ირგვლივ შეიქმნა და მისი ინტერესების მიხედვით ფორმირდა. საერთო ბაზრის შექმნის მომენტში გერმანიამ პოლიტიკური შეზღუდვებისა და პრობლემურ ზონებში დიდი სახსრების გადარიცხვის გარეშეც სრულად შეძლო ეკონომიკური უპირატესობების გამოყენება. შემდეგ კი პოლიტიკოსებისა და ბანკირების განცხადებების საშუალებით და საკუთარი უმოქმედობის მრავალჯერადი დემონსტრირებით ევროზე შეტევის მონაწილეც გახდა. მისთვის ეს პირველივე წუთიდან მომგებიანი იყო — საერთო ვალუტის გაუფასურებამ ევროზონის გარეთ გერმანული ექსპორტი გაზარდა, გარდა ამისა, საშუალება მიეცა იაფად დააფინანსოს შიდა დეფიციტი.

თუ საბოლოო ჯამში გერმანია ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ჭრის ტოტს, რომელზეც ზის, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან სხვა ტოტზე გადაჯდომა და უფრო მსხვილ სისტემაში ინტეგრირება მოინდომა. ეს სისტემა დიდი ტრანსნაციონალური ბაზარია. ევროპის მშენებლობა გზაგასაყარზეა. აქამდე ის გერმანიის მუდმივ განვითარებას უწყობდა ხელს, მაგრამ ეს პროცესი ძველებური წესებით ვეღარ გაგრძელდება. ევროკავშირი კრიზისიდან ვერ გამოვა იმ საერთო ეკონომიკური მმართველობის გარეშე, რომელიც საერთო ეკონომიკური პოლიტიკით შეუწყობს ხელს ჰარმონიულ განვითარებას და ამისთვის კრიზისულ ქვეყნებს საჭირო გადარიცხვებით უზრუნველყოფს. ამგვარი პოლიტიკა კი სრულიად საწინააღმდეგოა გერმანიის მიერ შემოთავაზებული სტაბილურობის პაქტისა.

დეფიციტის დაჩქარებულად შემცირების საბიუჯეტო პოლიტიკა, რომელიც ამ პაქტის სახელით კვლავ მიიღეს, მხოლოდ შეამცირებს მომხმარებლის მსყიდველუნარიანობას და ეკონომიკური ვარდნის გარეშე ვერ რეალიზდება. შესაბამისად, ევროზონა გერმანიის ექსპორტის ბაზარი ვეღარ იქნება და გერმანიამ არჩევანი დიდი ტრანსატლანტიკური და მსოფლიო ბაზრის სასარგებლოდ გააკეთა.

გაკოტრებული ქვეყნების ვალის რესტრუქტურიზაციის ნაცვლად, ევროპამ ორი ანტიკრიზისული ფონდი შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელი იყო ფინანსური კუთხით ვალდებულებები, რომლებიც მთელი ანტიკრიზისული ფონდის მოცულობას უტოლდება, საკუთარ თავზე აეღო, ევროჯგუფმა გადაწყვიტა, მსოფლიო სავალუტო ფონდთან დაეჭირა საქმე. იქ კი ხმათა უმრავლესობა აშშ-ს ეკუთვნის. ამ საერთაშორისო ორგანიზაციას დახმარების საკუთარი რეცეპტები აქვს: ხელფასების პირდაპირი და ირიბი შემცირება, კომუნალური მომსახურებების პრივატიზაცია და სოციალური პოლიტიკის გამარტივება. მისი დახმარება ყოველთვის მოსახლეობის გაღატაკებას ნიშნავს.

დეპრესიის ან ეკონომიკური სტაგნაციის შემთხვევაში, „საზოგადოებრივი დანახარჯების კონსოლიდაციის პოლიტიკა“ განწირულია. გადარჩენისათვის განკუთვნილი 750 მილიარდი ევრო ბანკებთან ანგარიშსწორებას მოხმარდება და გადასახადების გადამხდელთა მსყიდველუნარიანობას დაცემს. ეკონომიკური ვარდნა გარდაუვალია. ამრიგად, **მსოფლიო სავალუტო ფონდის მეთვალყურეობის ქვეშ გადასვლა და ბანკების გადასარჩენი ფონდის შექმნა ერთი და იმავე პოლიტიკის ორი ურთიერთშემავსებელი ასპექტია.**

საუბარია შემოსავლების ხელახალ გადანაწილებაზე ფინანსური ორგანიზაციების მიერ. ქვეყნებს, რომლებიც დავალიანებას საერთო შიდა პროდუქტის 60%-ზე დაბლა ვერ დასწევენ, ბრიუსელი დააჯარიმებს. შეთანხმების ტექსტში საუბარია შესაძლო სანქციებზეც. ევროზონის წევრი სახელმწიფოები ევროკავშირის მიმართ იმავე მდგომარეობაში იქნებიან, რა მდგომარეობაც ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ ფედერალური სახელმწიფოს მიმართ.

ევროზე შეტევა და ევროკავშირის დემონტაჟის ოპერაცია აშშ-ის დაწყებულია, მაგრამ მისგან ესტაფეტა ღირსეულად მიიღეს როგორც ძველი კონტინენტის წამყვანმა ეკონომიკამ, ასევე — ევროკავშირის ინსტიტუტებმა.

ევროკომისია და ევროსაბჭო, თუნდაც ევროპელ მოქალაქეთა პერსონალური საქმეების აშშ-სთვის გადაცემით, ამტკიცებენ, რომ ისინი აშშ-ის ხელმძღვანელობით მშენებარე ტრანსატლანტიკურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურაში ინტეგრაციისა და ევროკავშირის დაშლის მონაწილეები არიან. მსოფლიო სავალუტო ფონდის კონტროლის დაწესება ევროპის ქვეყნებს ყველანაირი ინიციატივის შესაძლებლობას უსპობს. ევროს შეინახავენ, ოღონდ მატყუარა ვალუტის სახით, მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანიისთვის მარკასთან დაბრუნება ეკონომიკური თვითმკვლელობა იქნება და აშშ-ს არ სურს, რომ მისი ვალუტა და მასთან დაკავშირებული უპირატესობები მთელ ევროპას მოედოს.

perevodika.ru

15 საკვნეტელა დამწყები ნინძას მუცელში

ჩინეთის ჩრდილოდასავლეთით მდებარე სინცზიანის პროვინციის მკვიდრმა დამწყებმა ნინძამ 30 ცალი საპარსი სამართებელი და 15 ცალი ფრჩხილების საკვნეტელა გადაყლაპა. კიდევ რამდენიმე ათეული ლურსმანი ამ ყველაფერთან მოსატანიც აღარაა. საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ ვუ ლიმ აღიარა, რომ სურდა იმ ნინძას დამსგავსებოდა, რომელიც დაშნებს ყლაპავს.

ლის მტკიცებით, ის მთელი თვე მეცადინეობდა მჭრელი საგნების გადაყლაპვაში და, ვინაიდან დაშნები და ხმლები არ ჰქონდა, მანიკურისა და პედიკურის საკვნეტელებს დასჯერდა.

ექიმებს ხუთ საათზე მეტი დასჭირდათ, რომ ლის მუცლიდან ყველაფერი ამოელაგებინათ. მათი განცხადებით, ზოგიერთი ნივთი უკვე დაჟანგულიც კი იყო.

მოკლედ, ინციდენტის შემდეგ ჩინელმა ნინძობაზე უარი განაცხადა და კასკადიორობა გადაწყვიტა. ასე რომ, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში იმავე კლინიკაში მრავალჯერადი მოტეხილობებით მოხვდება.

ჯარიმა ბაყაყის კოცნისთვის

აიოვას შტატის ქალაქ დევენპორტში მდებარე რესტორან „Osaka“-ს შეფ-მზარეული იმის გამო დააჯარიმეს, რომ სტუმრების მისაღებად მომზადების პროცესში ბაყაყებს კოცნიდა, ლოკავდა და პირში იდებდა. ჯარიმა 335 დოლარის ოდენობით განისაზღვრა.

შეფ-მზარეულის ბაყაყებთან რომანის შესახებ სანიტარული სამსახურის ინსპექტორებმა რესტორანში დამონტაჟებული ვიდეოკამერების ჩანაწერების ყურებით შეიტყვეს. ახსნა-განმარტებისას მზარეულმა განაცხადა, რომ უბრალოდ ერთობოდა, მაგრამ ჯანდაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ გომბეშოებს უამრავი ინფექცია გადააქვთ და მათი კოცნა და ლოკვა დაუშვებელია. გარდა ამისა, მას დაწესებულების სტუმრებისთვის საფრთხის შექმნაც დაბრალდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კამერებზე არ იყო დაფიქსირებული „გართობის“ შემდეგ ხელების დაბანის პროცესი.

სამწუხაროდ, ამდენი ხვევნა-კოცნის შემდეგაც კი პრინცესად არც ერთი ბაყაყი არ ქცეულა.

თავდასხმა ზომბებსა და მოჩვენებებზე

ტაივანის გასართობი პარკის თანამშრომლებმა სტუმრების საქციელის გამო ხელმძღვანელობასთან იჩივლეს. „შიშის ოთახში“ მომუშავე მსახიობებს თურმე მნახველები მუდმივად სცემენ.

ამ ოთახში მსახიობებს ზომბების, ცნობილი საშინელებათა ფილმების მანიაკი პერსონაჟების, მოჩვენებების როლების შესრულება ევალებათ. პარკის სტუმრებიც თვლიან, რომ მანიაკებსა და ზომბებს უნდა ებრძოლონ და დაუნდობლად ესხმიან თავს საბრალო მსახიობებს. მას შემდეგ, რაც შიშის ოთახის მომაჯადოებელი გავლენისგან გათავისუფებული სტუმრები რეალობას უბრუნდებიან, გვარიანად ნაცემ მსახიობებს ბოდიშებს უხდიან, მაგრამ ეს მათ ტრამვებს არ შველის. გარდა ამისა, ზომბისა და მანიაკი მკვლელის კოლეგა მოჩვენებას პარკში ლამის ყველა სტუმარი დასდევს და საკმაოდ ხშირად იჭერენ კიდეც. გოგონა უცხო მამაკაცების ამგვარი ქცევით ისეა შეწუხებული, რომ სამსახურიდან წასვლას აპირებს. პარკის ხელმძღვანელობა იძულებულია, მსახიობებს თითო სამუშაო დღის შემდეგ გონზე მოსასვლელად რამდენიმედღიანი დასვენება მისცეს.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ „ᲘᲡᲘᲓᲐ“

ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ

სუფრის წყალი „ᲘᲡᲘᲓᲐ“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ᲘᲡᲘᲓᲐ“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ: 899-16-30-21.
890-26-15-15 (ᲝᲤᲘᲡᲘ); ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ: 890-11-50-99; 895-91-24-14.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ — Ი. ᲭᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევასა და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;
- სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
- ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
- ქალებსა და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტურ კონტრაცეფციას;
- ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ Ქ. 43. ᲢᲔᲚ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77

ᲬᲛᲘᲓᲐ ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲙᲚᲝ

ს.ს „ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲘ“	602602
შპს „ᲐᲮᲢᲔᲚᲘ“	700818
შპს „ᲛᲐᲒᲗᲘᲙᲝᲛᲘ“	200320
შპს „ᲯᲔᲝᲡᲔᲚᲘ“	700305
შპს „ᲑᲘᲚᲐᲘᲜᲘ“	200333

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 636360801000001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ
ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ,
ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖ ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲔ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐᲡ:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



ᲐᲥ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲐ!

«ᲢᲔᲥᲜᲝ ᲑᲣᲛᲨᲘ» ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲑᲣᲛᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ტექნიკის მაღაზიათა ქსელ **„ტექნო ბუმში“** ნამდვილი ბუმი დაიწყო და პირველად საქართველოში **„ტექნო ბუმის“** საბითუმო ცენტრი საზეიმოდ გაიხსნა, სადაც მსოფლიო ბრენდების უახლესი ტექნიკის შეძენას საბითუმო ფასად შეძლებთ.

მენეჯმენტის ინფორმაციით, **საბითუმო ცენტრი განსხვავებული სისტემით იმუშავებს და სრულიად განსხვავებული ფასწარმოქმნის პოლიტიკა ექნება.**

გარდა იმისა, რომ **„ტექნო ბუმში“** საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე: კონდიციონერებზე, ტელევიზორებზე, ფოტოაპარატებზე, კომპიუტერებზე, მობილურ ტელეფონებსა და ნებისმიერ ტექნიკაზე — **ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲐ**, „ბუმის ცენტრში“ ნებისმიერ მომხმარებელს ტექნიკის შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

ამისთვის მომხმარებელი **„ტექნო ბუმის“ ცენტრში** უნდა მობრძანდეს, გააკეთოს შენაძენი თავად ან მეგობრებთან ერთად. ნივთების რაოდენობა დაჯამდება და, ორი ან მეტი ნივთის შეძენის შემთხვევაში, მომხმარებელს მათი შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲕᲐᲥᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №21, ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ №1, ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲮᲔᲘᲕᲐᲜᲘ, ᲛᲔ-13 ᲙᲛ (ᲡᲐᲑᲘᲗᲣᲛᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ)

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ 8 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ

http://www.geworld.net

 მთავარი რედაქტორი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲝᲓᲣᲐ
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
ᲐᲠᲛᲐᲖ ᲡᲐᲜᲔᲑᲚᲘᲫᲔ, ᲑᲝᲜᲓᲝ ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ტექნიკური რედაქტორი ᲚᲔᲕᲐᲜ ᲖᲐᲜᲒᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ვებრედაქტორი ᲒᲝᲩᲐ ᲮᲐᲕᲗᲐᲡᲘ
რეალიზაციის მენეჯერი ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲣᲐᲫᲔ, ოფისმენეჯერი ᲗᲐᲗᲘᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ,
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net